



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

აკადემიური მუშაობის საფუძვლები:

პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის

ავტორები:

თინათინ ქავთარაძე, ნათია ქასრაშვილი, ნათია სალინაძე, სალომე პატარიძე და
თინათინ საბაური

აკადემიური წერის ცენტრი

ერასმუს პლუსის ინსტიტუციური განვითარების პროექტი - „აკადემიური
კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებაში (INTEGRITY)“

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2018

“The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.”

წინასიტყვაობა.....	6
თავი 1. მეცნიერება და კვლევა (ნათია სალინაძე)	9
1.1. სამეცნიერო ეთიკა: მეცნიერულობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები	10
1.2. მეცნიერებათა დაყოფა	13
1.3. ყოველდღიური და სამეცნიერო ცოდნა	14
1.4. სამეცნიერო ტექსტის სახეობები	15
სავარჯიშოები	18
შემაჯამებელი ტესტი: მეცნიერება და კვლევა	24
გამოყენებული ლიტერატურა	26
თავი 2. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და ფორმატი (ნათია სალინაძე).....	27
2.1. სამეცნიერო ნაშრომის აგებულება.....	27
2.1.1. თავფურცელი.....	27
2.1.2. განაცხადი	28
2.1.3. სარჩევი	29
2.1.4. შესავალი	31
2.1.5. ძირითადი ნაწილი.....	35
2.1.6. დასკვნა.....	38
2.1.7. ბიბლიოგრაფია.....	38
2.1.8. დანართი	39
2.2. სამეცნიერო ნაშრომის ფორმატი.....	39
სავარჯიშოები	40
შემაჯამებელი ტესტი: სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და ფორმატი	46
გამოყენებული ლიტერატურა	48
თემა 3. მზადება სამეცნიერო ნაშრომისთვის (თინათინ საბაური)	49
3.1. რას წერთ?	49
3.2. ვისთვის წერთ?	50
3.3. რისთვის წერთ?	51
3.4. სათაურის შერჩევა.....	51
3.5. თემის „ლანდშაფტი“	53
3.6. შეფასების კრიტერიუმები	53
3.7. რას უნდა მოიცავდეს ნაშრომი?	54
3.8. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნა.....	55
სავარჯიშოები	58
შემაჯამებელი ტესტი: მზადება სამეცნიერო ნაშრომისთვის	62
გამოყენებული ლიტერატურა	64
თავი 4. სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება (სალომე პატარიძე).....	65
4.1. წყაროს მოძიების სტრატეგიები	66
4.2. წყაროს ტიპების მახასიათებლები და მათი გამოყენების შესაძლებლობები	73
4.3. პირველადი, მეორეული და მესამეხარისხოვანი წყაროები.....	79
სავარჯიშოები	81
შემაჯამებელი ტესტი: სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება	88
გამოყენებული ლიტერატურა	90
თავი 5. წყაროს კითხვა და დამუშავება (სალომე პატარიძე).....	91
5.1. კითხვის სტრატეგიები.....	92
5.2. შემეცნებითი კითხვა და ანოტირება	95
სავარჯიშოები	100
შემაჯამებელი ტესტი: წყაროს კითხვა და დამუშავება	110

გამოყენებული ლიტერატურა.....	112
თავი 6. არგუმენტაცია და მსჯელობა (<i>თინათინ ქავთარაძე</i>).....	113
6.1. როგორ ავაგო არგუმენტაცია?.....	113
6.2. როგორ წარმოვადგინო არგუმენტი?	114
6.3. როგორ წარვმართო არგუმენტირებული მსჯელობა?	115
6.4. რა გამოდგება მტკიცებულებად არგუმენტაციის განსავითარებლად?.....	115
სავარჯიშოები	116
შემაჯამებელი ტესტი: არგუმენტაცია და მსჯელობა.....	122
გამოყენებული ლიტერატურა	123
თავი 7: წყაროების გამოყენება და დამოწმება (<i>ნათია ქასრაშვილი</i>).....	125
7.1. პლაგიატი, მისი ფორმები და თავიდან აცილების გზები.....	125
7.2. წყაროს ტექსტში ჩართვა: ციტატა, პარაფრაზი, რეზიუმე, მინიშნება.....	127
7.3. წყაროების დამოწმება.....	132
7.3.1. ტექსტში ჩართული მითითების ფორმატი	133
7.3.2. შენიშვნებში მითითების ფორმატი	134
7.3.3. ბიბლიოგრაფია	135
7.4. სქოლიოს დამატებითი დანიშნულება	142
სავარჯიშოები	144
შემაჯამებელი ტესტი: წყაროების გამოყენება და დამოწმება.....	150
გამოყენებული ლიტერატურა	153
თავი 8. სტილის საკითხები (<i>თინათინ საბაური</i>)	155
სავარჯიშოები	166
შემაჯამებელი ტესტი: სტილის საკითხები	171
გამოყენებული ლიტერატურა	173
9.3. როგორ ვაქციოთ ნაშრომი ყველასთვის გასაგები და ზუსტი?.....	179
სავარჯიშოები	182
შემაჯამებელი ტესტი: ნაშრომის დამუშავება და საბოლოო რედაქტირება.....	196
გამოყენებული ლიტერატურა	197
თავი 10. სამეცნიერო ნაშრომის ზეპირი წარდგენა (<i>ნათია ქასრაშვილი</i>).....	198
10.1. პრეზენტაციის მომზადების ეტაპები	199
10.2. პრეზენტაციის სტრუქტურა.....	200
10.2.1. შესავალი	201
10.2.2. ძირითადი ნაწილი.....	202
10.2.3. დასკვნითი ნაწილი	202
10.2.4. კითხვები და დისკუსია.....	203
10.3. პრეზენტაციის დამხმარე საშუალებები და მათი დანიშნულება	204
10.3.1. სლაიდ-შოუ	204
10.3.2. ჰენდაუთი	209
10.3.3. მაგნიტური დაფა	212
10.3.4. ფლიპჩარტი	212
10.4. პრეზენტაციის მსვლელობა.....	212
10.4.1. ვერბალური მხარე.....	212
10.4.2. არავერბალური მხარე.....	214
10.5. როგორ უნდა დამდიოთ საჯარო გამოსვლის შიში?	216
სავარჯიშოები	218
შემაჯამებელი ტესტი: სამეცნიერო ნაშრომის ზეპირი წარდგენა.....	224
გამოყენებული ლიტერატურა	226
გამოსახულებათა ნუსხა.....	227

წინასიტყვაობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრი წარმოგიდგენთ *Erasmus+*-ის პროექტ *Integrity*-ის ფარგლებში დაწერილ სახელმძღვანელოს აკადემიური მუშაობის საფუძვლები: პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის. მასში თავმოყრილია აკადემიური წერის სწავლების შედეგად დაგროვილი გამოცდილება, კლასიკური და თანამედროვე, ქართული და საერთაშორისო თეორიული მასალა, რომელსაც თან ახლავს ავტორების მიერ შედგენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სავარჯიშო.

თავდაპირველად, პროექტი შეიქმნა გამომდინარე იმ რეალობიდან, რომ საუნივერსიტეტო საბაკალავრო კურსის აკადემიური მუშაობის ტექნიკები სწავლების პროცესში პედაგოგებს არ ჰქონდათ ქართულ ენაზე დაწერილი, ერთიანი, აკადემიური წერის თანამედროვე, თეორიული და პრაქტიკული მასალით გაჯერებული სახელმძღვანელო. შესაბამისად, მათ უხდებოდათ არსებული სიცარიელის შევსება და ყოველი ლექციისთვის სხვადასხვა წყაროში გაფანტული თეორიული მასალის თავმოყრა, გადამუშავება, სალექციო პრეზენტაციის მომზადება და თემის შესაბამისი სავარჯიშოების შედგენა. შედეგად ვიღებდით სხვადასხვა მოცულობის მასალის მიხედვით მომზადებულ სტუდენტებს, რაც ერთიანი საუნივერსიტეტო პროგრამის ფარგლებში დაუშვებელია. შექმნილი მდგომარეობის შეცვლის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სწორედ წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელიც დაწერილია, ერთი საერთო სქემის მიხედვით და ერთიან მეთოდური ხედვაზე დაყრდნობით.

ერთიან სქემაში იგულისხმება კურსი აკადემიური მუშაობის ტექნიკები და მისი სილაბუსი. ერთიანი მეთოდური ხედვა კი რიგ უმნიშვნელოვანეს პრინციპს ითვალისწინებს. კერძოდ, პირველი, ხარისხიანი თანამედროვე სასწავლო პროგრამა უნდა იყოს ინტერაქტიული, სტუდენტზე ორიენტირებული, ყველა სწავლის მსურველი სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი და ობიექტური შეფასების მწყობრი სისტემის შემცველი - პროგრამის დამღევის შემთხვევაში რას შეძლებს სტუდენტი. მეორე, პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს სალექციო დროის მაქსიმალურად გამოყენებას პრაქტიკული აქტივობებისთვის, ხოლო სტუდენტის კლასგარეშე დრო ხარისხიან, ეფექტურ კითხვასა და მასალის მოძიება-დამუშავებაზე იყოს მიმართული (ამოზრუნებული (flipped) სწავლა-სწავლების პრინციპი). მესამე პრინციპია ის, რომ კარგად განსაზღვრული მიზნის მიღწევისკენ მიმართული პროცესი გულისხმობს თეორიის თანდათანობით, მარტივიდან-რთულისკენ დაგროვებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებული ახალი ცოდნის მიღებას, გააზრებას; აგრეთვე გარკვეული აკადემიური უნარის თანმიმდევრულ გამომუშავებასა და განვითარებას.

თუმცა, მუშაობის პროცესში ასევე აშკარა გახდა, რომ ავტორების მიერ მოძიებული, თავმოყრილი და დამუშავებული თეორიული მასალა და დინამიური, თანამედროვე ეფექტიანი მეთოდების გათვალისწინებით შექმნილი სავარჯიშოები იმდენად მრავალფეროვანი და ბევრისმომცველია, რომ სრულიად მართებული იქნებოდა წარმოდგენილი სახელმძღვანელოს, ან მისი გარკვეული ნაწილების, გამოყენება აკადემიური წერის სწავლების სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიურ საფეხურებზეც.

აკადემიური მუშაობის საფუძვლები: პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის რამდენიმე პედაგოგის მიერ გაწეული ხანგრძლივი შრომის პროცესში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების შედეგად შეიქმნა. საფუძვლად კი დაედო აკადემიურ სივრცეში დღეისთვის მოქმედი ორი უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტის სინთეზი. ერთი მხრივ, ავტორებმა გაითვალისწინეს ის, რომ დღეს სტუდენტს კვლევის წარმართვისა და მიღებული შედეგების გადმოცემის პროცესში სჭირდება მრავალფეროვანი და თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება. თუმცა არ დავიწყებიათ ისიც, რომ მიუხედავად ახალი ტექნოლოგიებისა, არსებობს რამდენიმე უცვლელი ჭეშმარიტება: ნებისმიერი ღირებული კვლევა უნდა იყოს კარგად გააზრებული და ჩამოყალიბებული, ხოლო მიღებული შედეგების შესახებ დაწერილი აკადემიური ნაშრომი კი გასაგები და ზედმიწევნით კეთილსინდისიერად უნდა ითვალისწინებდეს სწორი ციტირების, სტილისა და ფორმატირების აკადემიურ სტანდარტებს.

სახელმძღვანელოს ჰყავს ხუთი ავტორი. თითოეული მათგანი უკვე ოთხი წელია ასწავლის საგანს *აკადემიური მუშაობის ტექნიკები*, მათ თავად აქვთ გავლილი აკადემიური ნაშრომის წერასთან დაკავშირებული გრძელი გზა (ხუთივე არის მაგისტრის ხარისხის მფლობელი) და დღეს აქტიურ მონაწილეობას იღებენ აკადემიური წერის ცენტრის პროგრამების შემუშავების, განვითარებისა და გაახლების პროცესებში. ბუნებრივია, ყოველი მათგანი თავისი უნიკალური ინდივიდუალობით გამოირჩევა, რასაც ცალკეული მათგანის წერის სტილი ასახავს, თუმცა, მასალის დამუშავების პროცესში ძალიან ვეცადეთ ეს სხვაობა მინიმუმამდე დაგვეყვანა. ვეცადეთ სახელმძღვანელო სტუდენტისთვის ადვილად კითხვადი, ტექსტი და ინსტრუქციები ადვილად გასაგები და გააზრებადი ყოფილიყო. სახელმძღვანელოში თეორიული მასალა გადმოცემულია მარტივი, თუმცა აკადემიური ენით. ტექსტში მრავლადაა გამოყენებული თანამედროვე ტერმინები და სამეცნიერო/აკადემიურ სფეროში გამოყენებული ლექსიკა, რაც მყისიერად არის განმარტებული. ეს სტუდენტს დაეხმარება, მისთვის ახალი სამეცნიერო/აკადემიური მეტა ენა ბუნებრივ კონტექსტში, გააზრებულად დაიმახსოვროს და შესძლოს მომავალში გამოყენება.

სახელმძღვანელო შედგება 10 თავისგან. თითო თავი, არის ერთი დიდი თემა, რომელიც ჩაშლილია რიგ შემადგენელ საკითხებად. ყველა თავში წარმოდგენილია ქართული და უცხოური წყაროების დამუშავების შედეგად თავმოყრილი მრავალმხრივი თეორიული მასალა, მრავალი მაგალითი და სავარჯიშო კლასში სამუშაოდ სხვადასხვა ფორმატის (მაგალითად, წყვილში, ჯგუფური, ინდივიდუალური) აქტივობებისთვის თუ საშინაო დავალებების შესასრულებლად ან გავლილი მასალის გასამეორებლად. პედაგოგსა და სტუდენტს სისტემატიურად ეძლევა საშუალება, წაკითხული და გააზრებული მასალა პრაქტიკულად გამოიყენოს.

ამრიგად, სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტს, ერთ სივრცეში გაეცნოს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებულ საკმაოდ ამომწურავ საკითხავ მასალას; წაიკითხოს და მომდევნო ლექციისთვის იყოს მომზადებული, ჰქონდეს გააზრებული თეორიული მასალა და პედაგოგის მიერ კლასში შეთავაზებულ აქტივობებში გამოიყენოს. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი გამოყენებული ლიტერატურის სია კი, ვფიქრობთ,

დაეხმარება მას უფრო მეტი შეიტყოს წარმოდგენილი თემების შესახებ და ადვილად მიაკვლიოს არსებული ცოდნის ამსახველ ავთენტურ წყაროებს.

იმედი გვაქვს, სახელმძღვანელო საინტერესო და გამოსადეგი იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის, და არა მარტო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასშტაბით. ასეთი ფორმატის სახელმძღვანელო უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან, სტუდენტზე ორიენტირებულ სალექციო პროცესს აკადემიური წერის ყველა პროგრამაში.

რაკი ნებისმიერი შემოქმედებითი პროცესი არ გულისხმობს ზღვრულ შედეგს, ჩვენი სახელმძღვანელოც ვერ იქნება საბოლოო. პირიქით, ჩვენ დავიწყეთ დიალოგი და შემოგთავაზეთ ჩვენი ვარიანტი იმისა, თუ როგორ შეიძლება დავეხმაროთ სტუდენტს, შეიძინოს აკადემიურ სივრცეში ორიენტაციისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, განივითაროს ლოგიკური, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, გაიზიაროს და გაითავისოს საყოველთაოდ აღიარებული აკადემიური კეთილსინდისიერების ღირებულებები და ყოველივე ამის მიღწევის გზები არა მარტო დავანახოთ, ან მოვუყვებთ მათ შესახებ, არამედ მივცეთ მას პრაქტიკული, თანამედროვე, გასაგები ენით დაწერილი გზამკვლევი.

პროცესი უნდა განვითარდეს და ამისათვის საჭიროა დიალოგი გაგრძელდეს. ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ და გავიაზრებთ ყველა რჩევას, კომენტარს, წინადადებას და, რა თქმა უნდა, კონსტრუქციულ კრიტიკას.

იმედი გვაქვს, ჩვენი შრომის შედეგი თქვენთვის საინტერესო და გამოსადეგი იქნება.

პროექტის საინიციატივო ჯგუფისა და

აკადემიური წერის ცენტრის ხელმძღვანელი,

მაია როგავა

თბილისი, 30 ივნისი, 2018

თავი 1. მეცნიერება და კვლევა (ნათია საღინაძე)

მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ შეკითხვებს:

- რა არის მეცნიერება?
- როდის ვატარებთ კვლევას?
- რა იგულისხმება სამეცნიერო ეთიკაში?
- რა კრიტერიუმებით განისაზღვრება მეცნიერულობა?
- რომელ სამეცნიერო დარგებად იყოფა მეცნიერება?
- რა განხვავებაა ყოველდღიურ და სამეცნიერო ცოდნას შორის?
- რა მიზნით იქმნება სამეცნიერო ნაშრომი?
- რა ტიპის სამეცნიერო ტექსტები მოიპოვება?

„მეცნიერება“ და „კვლევა“ ის ცნებებია, რომლებსაც უნივერსიტეტში სწავლის დაწყების პირველივე დღიდან ყველაზე ხშირად გაიგებთ. ტერმინი „მეცნიერება“ ლათინური სიტყვისგან *scientia* მომდინარეობს, რაც ცოდნას ნიშნავს. ტრადიციული გაგებით, მეცნიერება საქმიანობაა, რომელიც ახალ ცოდნას ქმნის. მისი მთავარი დანიშნულება კი ისაა, ჯერ გაარკვიოს და შემდეგ ახსნას. ამრიგად, მეცნიერების მიზანია, უცნობი საკითხების აღმოჩენა, ცოდნის შეგროვება, გაანალიზება და მისი სარგებლიანად ქცევა, რაც გამოიხატება სწავლებაში, მიღებული ცოდნის გადაცემაში.

უკანასკნელ წლებში პლაგიატთან¹ დაკავშირებული სკანდალების² გამო მეცნიერებისა და მეცნიერულობის საკითხი საჯარო ყურადღების ცენტრში მოექცა. შედეგად, გამოიკვეთა მეცნიერების მთავარი განმარტება: სხვების მიერ შექმნილი ცოდნის გაცნობა და მასზე დაყრდნობით ახალი ცოდნის შექმნა. მნიშვნელოვანია, მეცნიერულად მომუშავე ადამიანები კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მოექცნენ უკვე შექმნილ ინტელექტუალურსა და მატერიალურ პროდუქტს (Balzert u.a. 2015, 5).

სამეცნიერო მუშაობას მივყავართ შემეცნებისა და აღმოჩენებისკენ, პრობლემების ინოვაციური გზებით მოგვარებისკენ. მეცნიერული წინსვლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა კი **კვლევა**ა. კვლევა ნიშნავს კითხვების დასმას და ფაქტების, მონაცემების მოძიებას მათზე პასუხის გასაცემად (თურაბიანი 2007, 25). კვლევა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად განხორციელებული მიზნობრივი ძიებაა. სწორედ კვლევის საშუალებით იქმნება ახალი ცოდნა სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინაში. აქ ისმის ლოგიკური

¹ პლაგიატი (ლათ. plagiatus მოტაცებული) - „ინტელექტუალური და გონებრივი ნამოღვაწარის ქურდობა“ (აფრიდონიძე 2007, 33).

² მაგალითად მოვიყვანთ გერმანიის ყოფილი თავდაცვის მინისტრის კარლ თეოდორ ცუ გუთენბერგის შემთხვევას, რომელიც დისერტაციის დაცვიდან რამდენიმე წლის შემდეგ, პლაგიატში ამხილეს. შედეგად მას სამეცნიერო ხარისხი ჩამოერთვა და თანამდებობის დატოვებაც მოუწია. მოგვიანებით ცუ გუთენბერგმა წერილობით მოუბოდიშა იმ ტექსტების ავტორებს, რომელთა ნაშუქვერებიც მიისაკუთრა.


კითხვა: შესაძლებელია თუ არა მეცნიერება კვლევის გარეშე? პასუხი უარყოფითი იქნება, რადგან კვლევა სამეცნიერო მუშაობის წინაპირობაა.

დღესდღეობით, ყველაზე ფართო გაგებით „მეცნიერებაში“ იგულისხმება:

- შემეცნებისა და ახალი ცოდნის ძიების სისტემურ-მეთოდოლოგიური პროცესი (ლაბორატორიაში მუშაობა, კვლევა);
- უკვე არსებული ცოდნა, მეცნიერული მუშაობის პროდუქტი (სამეცნიერო ლიტერატურა, გამოგონებები, აღმოჩენები და ა.შ.);
- სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნასა და მის ხელმისაწვდომობაზე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის (უნივერსიტეტები და სხვა კვლევითი ორგანიზაციები) (Wytrzens u.a. 2014, 14).

1.1. სამეცნიერო ეთიკა: მეცნიერულობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

სამეცნიერო ნაშრომი საყოველთაოდ მიღებულ კონკრეტულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. მეცნიერული მსჯელობა მოიცავს რაციონალობას, საკითხების ეჭვქვეშ დაყენებას, ფაქტების მოძიებასა და მათ გათვალისწინებას. ამასთან, იგი უნდა იყოს კრიტიკისთვის ღია, შემოწმებადი, არადოგმატური და საიმედო, ანალიზზე და არა ინსტინქტებზე დამყარებული. უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა მეცნიერულობის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმები³:



გამოსახულება 1: მეცნიერულობის განმსაზღვრელი შვიდი კრიტერიუმი

³ მეცნიერულობის კრიტერიუმები გადამუშავებულია შემდეგ წყაროებზე დაყდნობით: Balzert u.a. 2015, 17-39, Voss 2017, 31-35, ეკო 2014, 54-61, 204-213.

კეთილსინდისიერება: იგი სამეცნიერო ნაშრომის ხარისხის საფუძველია. მკვლევარმა ყველა გამოყენებული წყარო უნდა დაამოწმოს და არგუმენტაციის⁴ აგების პრინციპი ნათლად წარმოაჩინოს. მონაცემებით მანიპულირება, მათი გაყალბება და შედეგების გამოგონება დაუშვებელია სამეცნიერო მუშაობის პროცესში. ამ კომპონენტის შესასრულებლად მუდმივად დასვით კითხვები: რას ემყარება თქვენი თვალსაზრისი? (რა არის თქვენი მოსაზრებების საფუძველი, რაზე დაყრდნობით მსჯელობთ?) ყველა გამოყენებული წყარო (მაგალითები, არგუმენტები, ფაქტები და ა.შ.) სათანადოდ არის დამოწმებული? სტატისტიკური თუ სხვა მონაცემების დამუშავების პრინციპი თვალსაჩინოა? ნაშრომის შედეგები ობიექტურადაა წარმოჩენილი?

ობიექტურობა (ინტერსუბიექტურობა⁵): სამეცნიერო ნაშრომი უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური და მასში არ უნდა ვლინდებოდეს ავტორის პირადი სიმპათიები ან დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ. ნეიტრალური პოზიცია იმის წინაპირობაა, რომ თუ მკითხველი სხვა დროს, სხვა ადგილას მსგავს გზას აირჩევს კვლევის წარმართვისას, იმავე შედეგებს მიიღებს, როგორც თქვენმა ნაშრომმა წარმოაჩინა. ობიექტურობა მიიღწევა საკუთარი თავის კონტროლით. ჩამოაყალიბეთ თქვენი დაკვირვებები და არგუმენტები საქმიანად და მიუკერძოებლად. არა ამგვარად: „დიდი ძალისხმევით შედეგად მივედი(თ) იმ დასკვნამდე, რომ“, ან „დიდი ხანია ვვარაუდობ(თ)“, არამედ შეძლებისდაგვარად დამოუკიდებლად, ყოველგარი პიროვნულობის გამომჟღავნების გარეშე და ლოგიკური დასკვნა-დასაბუთების საფუძველზე: „ეს მაგალითი ცხადყოფს“, „ანალიზის შედეგად საცნაურდება, რომ“, „აღნიშნულის საფუძველზე აშკარაა, რომ“ და ა.შ. ამ კრიტერიუმის შესასრულებლად თავი შეიკავეთ ემოციური და დაუსაბუთებელი მოსაზრებებისგან, არგუმენტაციისას წარმოაჩინეთ მრავალი პერსპექტივის შესაძლებლობა და მიეცით მკითხველს მეტი სივრცე დამოუკიდებლად აზროვნებისთვის.

მნიშვნელოვნება: ეს კრიტერიუმი განაპირობებს დარგში ახალი ცოდნის შექმნას და დისციპლინის წინსვლას. მნიშვნელოვანია ის ნაშრომები, რომლებიც მაღალი ინფორმაციულობით გამოირჩევიან (კომპილაციური⁶ გამოკვლევა) და ამასთან ის კვლევები, რომელთაც კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების ამოხსნა/გადაჭრაში შეაქვთ წვლილი. ამრიგად, როდესაც სამეცნიერო ნაშრომისთვის თემის შერჩევას დაიწყებთ, უწინარესად უნდა დაფიქრდეთ იმაზე, რა არის ისეთი საკითხი, რისი გამოკვლევაც რომელიმე დარგს წინ წასწევს? რაზე და როგორ შეიძლება ახალი ცოდნის შექმნა? რა უნდა გაკეთდეს კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებლად?

⁴ უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, Argumentum - ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საბუთს, „რომელიც მოჰყავთ რისამე დასამტკიცებლად“ (ჭაბაშვილი 1989).

⁵ სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით, კომუნიკაციის ფორმაა, რომელიც მიმართულია საერთო პოზიციის გამომუშავებისა და პრობლემის თანამედროვე გზებით მოგვარების, ასევე მიზნების, იდეების შეთანხმებისკენ (კოდუა 2004).

⁶ ლათ. ნიშნავს „ძარცვას“. აღნიშნულ კონტექსტში კი კომპილაციურია ნაშრომი, რომელიც არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევას და ძირითადად წარმოადგენს სხვა ავტორთა ნაშრომების მიმოხილვას ერთ კონკრეტულ საკითხზე.

ორიგინალურობა: ვინც სამეცნიერო ნაშრომს ქმნის, სამუშაო დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს, რაც დამოუკიდებელ აზროვნებას მოითხოვს. სამეცნიერო ნაშრომში ორიგინალურობა მიიღწევა ახალი კონცეფციის შექმნით, ინოვაციური სქემის წარმოდგენით, კვლევის ახალი მოდელის/მეთოდის დამკვიდრებით ან პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედვით.

ექსპერტის რჩევა

„ნაშრომში რაღაც ისეთი უნდა ითქვას საკვლევი საგნის შესახებ, რაც ჯერ არ თქმულა, ანდა ახლებურად უნდა წარმოჩნდეს უკვე გამოთქმული შეხედულებები. მათემატიკურად ზუსტი ნაშრომი, რომელიც ტრადიციული გზებით ამტკიცებს პითაგორად თეორიის სისწორეს, მეცნიერულ ნაშრომად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ახალს არაფერს გვთავაზობს“ (ეკო 2014, 57)

აზრობრივი და ენობრივი სიცხადე: სამეცნიერო ნაშრომის ენა უნდა იყოს მარტივი, ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი, წინადადებები უნდა იყოს მკაფიოდ აგებული და არ იძლეოდეს ინტერპრეტაციების საშუალებას. აღნიშნულის მისაღწევად, წერეთ სადად, ერიდეთ ხატოვან სტილს და გრძელ (რთულ ქვეწყობილ) წინადადებებს, რაც ართულებს ტექსტის წაკითხვას და კიდევ უფრო მეტად — მის გაგებას. ამასთან, ყურადღება უნდა დაუთმოთ მართლწერის საკითხებს, არ დაუშვათ გრამატიკული, ბეჭდური და სტილისტური შეცდომები. მიეჩვიეთ სამეცნიერო მეტა-ენით (აღწერითი ენა) წერას და ზომიერად გამოიყენეთ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული დარგობრივი ტერმინები, საჭიროების შემთხვევაში კი განმარტეთ ისინი, რათა ტერმინთა მრავალმნიშვნელობამ გაუგებრობა ან ბუნდოვანება არ აღძრას მკითხველში.

ვალიდურობა (საფუძვლიანობა, დასაბუთებულობა): „ნაშრომში უზრუნველყოფილი უნდა იყოს წამოჭრილი თვალსაზრისის შემოწმებისა და უარყოფის შესაძლებლობა“ (ეკო 2014, 59). მნიშვნელოვანია, აკადემიურ ნაშრომში საკვლევი პრობლემის სრულყოფილად გააზრება, სამეცნიერო ლიტერატურისა თუ სხვა საკვლევი ხელსაწყოების ზედმიწევნით შერჩევა და მათი ურთიერთკავშირის მკაფიოდ წარმოჩენა. ამასთან დაკავშირებით ჰელმუტ ბალცერტს მოჰყავს ანეკდოტი: ერთმა ფსიქიატრმა ერთხელ დაწერა, მთელი კაცობრიობა შეიშალაო. ცხადია, ჰკითხეს, რის საფუძველზე ამბობდა ამას, როგორ მივიდა ამ მოსაზრებამდე, რაზეც მან უპასუხა: შეხედეთ ჩემს პაციენტებსო (Balzert u.a. 2015, 28).

გამჭვირვალობა/გადამოწმებადობა: სამეცნიერო ნაშრომი არა ვარაუდებზე, არამედ გადამოწმებულ, სანდო ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უნდა ააგოთ და თქვენ მიერ მოყვანილი არგუმენტები ზედმიწევნით, უშეცდომოდ დაამოწმოთ, რათა მკითხველს, (უწინარესად კი სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელს, დარგის სპეციალისტს) სურვილის შემთხვევაში, თქვენი კვლევის გადამოწმება არ გაუჭირდეს.

1.2. მეცნიერებათა დაყოფა

საკვლევი სფეროს, შემეცნებითი მიზნებისა და დამკვიდრებული კვლევის მეთოდების მიხედვით⁷ მეცნიერება იყოფა შესაბამის დარგებად:

ჰუმანიტარული მეცნიერებები	სოციალური და ეკონომიკის მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
- ხელოვნებათმცოდნეობა (ლიტერატურათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა) - ენათმეცნიერება - ფილოსოფია - ისტორია - რელიგიათმცოდნეობა	- სოციოლოგია - სამართალმცოდნეობა - პოლიტიკის მეცნიერებები - ფსიქოლოგია - ეთნოლოგია - კომუნიკაციის მეცნიერებები - ეკონომიკა	- ფიზიკა - ქიმია - ბიოლოგია - გენეტიკა - გეოლოგია - ასტრონომია
ფორმალური მეცნიერებები	დისციპლინათშორისი მეცნიერებები	საინჟინრო მეცნიერებები
- ლოგიკა - მათემატიკა - ინფორმატიკა - თეორიული ლინგვისტიკა	- მედიცინა - ფარმაცია - პრაქტიკული ინფორმატიკა	- მშენებლობა - მანქანათმშენებლობა - ელექტროტექნიკა

გამოსახულება 2: მეცნიერებათა დაყოფა

ჰუმანიტარული და კულტურის მეცნიერებები: აქ საკვლევი ობიექტი ნებისმიერი კულტურულ-გონებრივი ნამოღვაწარია: ლიტერატურული, თეოლოგიური, ფილოსოფიური, მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი და ა.შ. ხოლო ძირითადი მეთოდი, რომელსაც ეს დარგი მუშაობისას იყენებს, არის ინტერპრეტაცია⁸.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: აქ კი საკვლევი ობიექტი სულიერი და უსულო ბუნებაა; თვალსაზრისი ძირითადად დაკვირვებებს ემყარება (ბიოლოგია, ასტრონომია) ან ექსპერიმენტების საშუალებით დასტურდება (ფიზიკა, ქიმია). ეს დარგი მუშაობს შემდეგი რესურსებით: სტატისტიკური მონაცემები, ექსპერიმენტებისა და/ან გამოკითხვების შედეგები, ინტერვიუები და ა.შ. (Niedermair 2010, 23).

⁷ კვლევის მეთოდი არის კვლევის ინსტრუმენტების (სამეცნიერო ლიტერატურა, ექსპერიმენტი, დაკვირვება, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.), წესების და პროცედურების მწყობრი სისტემა, რომელთაც კვლევა ემყარება.

⁸ „interpretatio“ ლათინური სიტყვაა და ახსნას, განმარტებას, გააზრებას ნიშნავს. „ინტერპრეტაცია“ შეიძლება განიშარტოს როგორც ვიზუალური და სხვა ნიშნების გაგება და გაგების პროცესის აღწერა და დასაბუთება [...] ინტერპრეტაციის დროს ინტერპრეტატორი ცდილობს ახსნას და აღწეროს, როგორ (რის საფუძველზე) გაიგო ფენომენი ისე, როგორც გაიგო“ (ცაგარელი 2016, 8).

სოციალური მეცნიერებები: იკვლევენ ადამიანთა საზოგადოებრივი თანაცხოვრების ფენომენებს, როგორებიცაა ქცევა, მოტივი, ზრახვები. ამ დარგს განეკუთვნება სოციოლოგია, სამართალმცოდნეობა, ფსიქოლოგია და ა.შ.

საინჟინრო მეცნიერებები: აქ საკვლევი ობიექტებია მატერიალური პროდუქტები და მათი განვითარება/კონსტრუქცია. კლასიკური საინჟინრო დარგებია ზოგადად მშენებლობა, მანქანათმშენებლობა და ელექტროტექნიკა.

სტრუქტურული/ფორმალური მეცნიერებები: თეორიული არგუმენტაციით იკვლევენ ადამიანების მიერ შექმნილ არამატერიალურ სისტემებსა და სტრუქტურებს, ეს დარგებია მათემატიკა და ინფორმატიკა (Balzert u.a. 2015, 10).

თუ სამეცნიერო დისციპლინებს მათი კვლევის მეთოდების მიხედვით განვიხილავთ, ამგვარი დაყოფა გამოვა:

თეორიული მეცნიერებები: აქ საკვლევი ობიექტების გააზრება ახლებურად ხდება: ახალი მიდგომით, ახალი მეთოდით ან საკითხის დასმის ახალი ხედვით; ცოდნის შესაქმნელად აუცილებელია დამტკიცება/დასაბუთება. თეორიულია ჰუმანიტარული და ფორმალური მეცნიერებები: მათემატიკა, თეორიული ფიზიკა, ფილოსოფია და ა.შ.

ემპირიული⁹ მეცნიერებები: აქ ახალი ცოდნის შექმნა ექსპერიმენტებით (ლაბორატორიაში) და დაკვირვებებით მიიღწევა. ემპირიულია მეტწილად საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებები.

1.3. ყოველდღიური და სამეცნიერო ცოდნა

თავისუფალი ესეს წერიდან, რასაც სკოლაში ეჩვევით, უნივერსიტეტში გადადიხართ სამეცნიერო ნაშრომის შექმნაზე. ესეში, როგორც იცით, კონკრეტული საკითხის დამუშავებისას თავად განსაზღვრავთ ნაშრომის სტილს და დასკვნებიც სუბიექტური მსჯელობით გამოგაქვთ. ამრიგად, ესეს წერისას ყოველდღიურ ცოდნას იყენებთ. ყოველდღიური ცოდნა დიდწილად პირად გამოცდილებას ემყარება. ყოველდღიურობის თეორიის თავისებურება ისაა, რომ იგი სუბიექტურია და განსხვავებული პირები ერთსა და იმავე სიტუაციაში განსხვავებულად რეაგირებენ, განსხვავებულ ცოდნას აგროვებენ (შდრ. Karmasin und Ribing 2017, 83). თუ ვინმეს, მაგალითად, არასასიამოვნო ამბავი შეემთხვა მანქანის ერთ გამყიდველთან, ამის გამო შეიძლება ჩათვალოს, რომ მანქანის ყველა გამყიდველი „ცუდია“.

სამეცნიერო მუშაობა კი უფრო რთული და კომპლექსური პროცესია. ამ პროცესს განეკუთვნება: პრობლემური საკითხების, საკვლევი სფეროების „დანახვა“, აღმოჩენა; შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, მისი სწორად წაკითხვა/დამუშავება და ა.შ.

⁹ „ემპირია“ (ბერძნ. „გამოცდილება“) არის სფერო, სადაც საგნები მოიპოვება. ამ საგნების აღქმა დაკვირვებითაა შესაძლებელი. დაკვირვება, საგნებზე მონაცემების შეგროვება კი სამეცნიერო კვლევას ახასიათებს.

	ყოველდღიური ცოდნა	სამეცნიერო ცოდნა
ცოდნის შექმნა	ცხოვრებისეული გამოცდილებით, შეგროვებით, ინტუიციით და ა.შ. გროვდება.	დაკვირვებების, აღმოჩენების, კვლევა-ძიების, ანალიზის შედეგად იქმნება და ემყარება უკვე არსებულ ცოდნას.
ცოდნის ობიექტურობა	ცოდნა პირდაპირ უკავშირდება პიროვნებას და ამრიგად, იგი მიკერძოებული და სუბიექტურია.	პიროვნება და ცოდნა გამიჯნულია ერთმანეთისგან. ცოდნა ინტერსუბიექტურია და ამდენად, იგი საკვლევ საგნებს მიუკერძოებლად შეისწავლის.
ცოდნის რეპრეზენტაცია	ყოველდღიური მეტყველების ერთ გადაიცემა და იბეჭდება მაგ. პოპულარულ ჟურნალებში, გაზეთებში და ა.შ.	სამეცნიერო მეტა-ენით აღწერს საკვლევ ობიექტს და იბეჭდება აკადემიურ გამოცემებში.

გამოსახულება 3: განსხვავება ყოველდღიურ და მეცნიერულ ცოდნას შორის (ზდრ. Voss 2017, 36)

1.4. სამეცნიერო ტექსტის სახეობები

სამეცნიერო ნაშრომის შექმნა საუნივერსიტეტო ცხოვრების მთავარი საქმიანობაა როგორც სტუდენტისთვის, ისე პროფესორისთვის. სამეცნიერო, აკადემიურ ნაშრომებზე მუშაობის პრინციპი კი საერთოა ყველასთვის: ავტორმა უნდა წარმოაჩინოს, რომ

- ა) ფლობს სამეცნიერო მუშაობის უნარ-ჩვევებს,
- ბ) აქვს დარგობრივი ცოდნა და ცნობს შესაბამის დისციპლინაში დამკვიდრებულ წესებსა და ნორმებს,
- გ) შეუძლია რელევანტური დარგობრივი ლიტერატურის დამუშავება და შეფასება და
- დ) აქვს უნარი, თემა განიხილოს და დაამუშავოს პრობლემურ ჭრილში.

თუმცა, სამეცნიერო ნაშრომებს ერთმანეთისგან განასხვავებთ შემდეგი ასპექტები: თემის დამუშავების დრო, მოცულობა, კვლევაში გამოყენებული მეთოდოლოგია, მისაღწევი აკადემიური ხარისხი და გამოქვეყნების ვალდებულება. აკადემიურ სივრცეში ძირითადად იწერება შემდეგი ტიპის სამეცნიერო ნაშრომები:

საშინაო ნაშრომი: იგი პირველი სამეცნიერო ტექსტია, რომლის შექმნაც უნივერსიტეტში სწავლისას მოგიწევთ. მისი მოცულობა სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ქვეყნის აკადემიურ სივრცეში. ზოგ ქვეყანაში (შვედეთი) იგი მოიცავს 5-10 გვერდს, ზოგში (გერმანია) – 15-20 გვერდს, ზოგშიც (ავსტრია) – 25-30 გვერდს. კონკრეტული ლექციის ფარგლებში,

სტუდენტი ირჩევს ერთ თემას, დამოუკიდებლად იკვლევს მას და სემესტრის ბოლოს დასკვნითი შეფასების მისაღებად უგზავნის კურსის ხელმძღვანელს. საშინაო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტმა უნდა შეძლოს საკვლევ საკითხის/პრობლემის მეცნიერულად დამუშავება: საკითხის დაყოფა-დანაწევრება, გაანალიზება, სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებით ამ საკითხის ახლებურად წარმოჩენა ან პრობლემის ამოხსნის გზების ჩვენება.

სასემინარო ნაშრომი: როგორც იცით, სემინარი აყირავებს სასწავლო პროცესს. სემინარის მსვლელობისას არა ლექტორი, არამედ სტუდენტები ამუშავებენ სიღრმისეულად


კონკრეტულ თემებს და გადასცემენ ცოდნას ჯგუფელებს. სემინარზე იქმნება პირობები იმისთვის, რათა საკითხები დამუშავდეს დამოუკიდებლად ან თანამშრომლობით (გუნდურად). სასემინარო ნაშრომის შესაქმნელად, როგორც წესი, ერთი სემესტრია საჭირო. სემესტრის დასაწყისში სტუდენტები ინაწილებენ თემებს. სემესტრის განმავლობაში, სემინარებზე, ისინი ლექტორთან ერთად განიხილავენ არჩეულ თემას და სემესტრის ბოლოს წარადგენენ ჯგუფში მოხსენების/რეფერატის სახით. სასემინარო ნაშრომი მოიცავს 8-12 გვერდს, ხოლო მოხსენება, რეფერატი გრძელდება 10-15 წუთი.

საბაკალავრო ნაშრომი: მარტივად რომ ვთქვათ, იგი საშინაო ნაშრომის ვრცელი ფორმაა. საბაკალავრო ნაშრომს სტუდენტი ბაკალავრიატის ბოლო სემესტრში ქმნის. მისი მოცულობა დაახლოებით 30-40 გვერდით განისაზღვრება. საბაკალავრო ნაშრომში სტუდენტი იკვლევს და ამუშავებს კონკრეტულ საკითხს უკვე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებით. სტუდენტს ევალება საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და მონაცემების შეგროვება, გაანალიზება, კონკრეტული საკვლევი მეთოდის შერჩევა, კვლევის დაგეგმა/წარმართვა და შემდეგ გადმოცემა. ნაშრომში ასახული უნდა იყოს საბაკალავრო საფეხურზე სწავლის განმავლობაში შეძენილი თეორიული და დარგობრივი ცოდნა.

სამაგისტრო ნაშრომი: მისი მოცულობა დაახლოებით 50-70 გვერდია. მასში სტუდენტმა უნდა გამოავლინოს კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ახალი, ორიგინალური მეთოდების შემუშავება/გამოყენების უნარი. სტუდენტმა არგუმენტირებული მსჯელობით და ანალიზით უნდა წარმოაჩინოს კონკრეტულ საკვლევ საკითხზე არსებული მდგომარეობა სამეცნიერო დისციპლინაში.

სადოქტორო ნაშრომი: განსხვავებით საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებისგან, სადოქტორო ნაშრომით დოქტორანტი ქმნის ახალ ცოდნას და აფასებს მის მნიშვნელობას. მისი მოცულობა დამოკიდებულია შესაბამის დარგზე და ზოგადად განისაზღვრება 120-300 გვერდებით. მისი მთავარი დანიშნულებაა, რომელიმე დარგი/დისციპლინა წასწიოს წინ.

სამეცნიერო სტატია: კვლევითი სტატია, დისერტაციის მსგავსად, ახალი ცოდნის შექმნას ისახავს მიზნად. დისერტაციისგან განსხვავებით იგი შედარებით მცირე ზომის ნაშრომია, ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ საკითხზე, ასახავს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ორიგინალურ კვლევას და არგუმენტირებულ მიგნებებს. მეტწილად იბეჭდება სამეცნიერო კრებულებში/ჟურნალებში და მის მოცულობასა და სტილს სწორედ კრებულის გამომცემლობა განსაზღვრავს.



(წრეების სიდიდე სიმბოლურად ასახავს სამეცნიერო ტექსტების მოცულობას)

გამოსახულება 4: სამეცნიერო ნაშრომის ტიპები და მათი მოთხოვნები (Balzert u.a. 2015, 70)

სავარჯიშოები

ჯგუფური დისკუსია: მეცნიერება

- იმსჯელეთ, რა არის მეცნიერება და როგორია მისი დანიშნულება?
- როგორ გესმით „ახალი ცოდნის შექმნა“, როდის ქმნით ახალ ცოდნას?
- რას არის „კვლევა“? რითვის არის საჭირო „კვლევა“?
- რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ კვლევა სასარგებლო იყოს სხვებისთვის?

წყვილური სავარჯიშო: მეცნიერულობის კრიტერიუმები

ა) გაიხსენეთ და ჩამოთვალეთ მიმდინარე თავში განხილული მეცნიერულობის კრიტერიუმები და თქვენი სიტყვებით განმარტეთ თითოეული მათგანი.

კრიტერიუმი	განმარტება
•	
•	
•	
•	
•	
•	
•	

ბ) მოიფიქრეთ დამატებით კიდევ ერთი კრიტერიუმი, რომლის შესრულებაც, თქვენი აზრით, სამეცნიერო ნაშრომის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანი იქნებოდა. დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.

ინდივიდუალური სავარჯიშო: სამეცნიერო ტექსტის მოთხოვნები

ქვემოჩამოთვლილი მახასიათებლებიდან განსაზღვრეთ, რომელი მათგანია სამეცნიერო ნაშრომის წერისას მისაღები კრიტერიუმები და დანომრეთ ისინი მნიშვნელოვნების მიხედვით.

- ☐ ნაშრომისთვის მკაფიო სტრუქტურის მიცემა
- ☐ ყველა გამოყენებული წყაროს მართებულად ციტირება და დამოწმება
- ☐ მონაცემების თვალსაჩინოდ დამუშავება
- ☐ არგუმენტირებული მსჯელობის თანმიმდევრულად და ლოგიკურად აგება

- ☐ კვლევის შედეგების ობიექტურად წარმოჩენა
- ☐ სადა და ერთმნიშვნელოვანი ენით წერა, ყოველდღიური ლექსიკისთვის თავის არიდება
- ☐ სუბიექტური საუბრის ფორმა/პირიანი კონსტრუქციების სიჭარბე
- ☐ საკვლევ შეკითხვაზე პასუხის გაცემა
- ☐ პოლემიკური ხასიათის თხრობა: საწინააღმდეგო თვალსაზრისების/ ალტერნატიული მოსაზრებების წამოჭრა და განხილვა
- ☐ ნაშრომის აქტუალობის წარმოჩენა
- ☐ უკვე არსებული ცოდნის განვითარება/ახალი ცოდნის შექმნა
- ☐ საკვლევ საკითხთან მიმართებაში პირადი გამოცდილების წარმოჩენა
- ☐ საკვლევი საკითხის ახალი პერსპექტივით განხილვა
- ☐ ნაშრომის აგება სანდო, გადამოწმებულ მონაცემებზე დაყრდნობით
- ☐ სამეცნიერო ლიტერატურის შერჩევა და გამოყენება
- ☐ დარგობრივი ტერმინების განმარტება
- ☐ ორიგინალური ნაშრომის დაწერა
- ☐ საკუთარი თვალსაზრისის განვითარება და ნაშრომში გამოხატვა
- ☐ საკვლევი საკითხის დავიწროება და საკვლევი არეალის კონკრეტულად შემოსაზღვრა
- ☐ პირადი ინტერესების გათვალისწინებით მიღებული კვლევის შედეგების დამახინჯება
- ☐ ავტორისეული ინდივიდუალიზმის მკვეთრად გამოხატვა
- ☐ კონკრეტული პრობლემის მოსაგვარებელი გზების ძიება

წყვილური სავარჯიშო: სამეცნიერო დარგები და მათი საკვლევი ობიექტები

განსაზღვრეთ, რომელ სამეცნიერო დისციპლინას განეკუთვნება ჩამოთვლილი საკვლევი ობიექტები. პასუხი დაასაბუთეთ.

დისციპლინა	საკვლევი ობიექტი
	მხატვრული ტექსტები
	რელიგიური განწყობა საზოგადოებაში
	უხერხემლო ცხოველები კავკასიის რეგიონში
	გენდერის საკითხები რეკლამაში
	სასამართლოს გადაწყვეტილება
	გამოთვლითი მათემატიკა
	ნახატები

წყვილური საგარჯიშო: აკადემიური წერა და მისი ჟანრები

ა) ჩამოწერეთ (ინდივიდუალურად) ყველა იმ ტექსტის ტიპი, რომელიც ბოლო თვის განმავლობაში შეგიქმნიათ (მაგ. ესე, sms-შეტყობინება, განცხადება და ა.შ).

ბ) მცირე ზომის ჯგუფში (3-4 სტუდენტი) დაყავით ჩამოთვლილი ტექსტის ტიპები კატეგორიებად (მაგ. სოციალური კომუნიკაცია, სასწავლო/აკადემიური, დამახსოვრების საშუალება და ა.შ.). დასაშვებია ტექსტის ერთი ტიპის ერთზე მეტ კატეგორიაში განთავსება.

გ) გამოყავით აკადემიურ სივრცეში შექმნილი ტექსტები და იმსჯელეთ, რა მიზნით შეიქმნა ეს ტექსტები? რა თემა დამუშავეთ? ნაშრომის რომელ ძირითად მახასიათებლებს გამოყოფდით? რაში დაგეხმარათ ამ ტექსტების შექმნა?

დ) როგორ ფიქრობთ, მომავალში (სხვა) რა ტიპის აკადემიურ ტექსტებზე მოგიწევთ მუშაობა უნივერსიტეტში? სამსახურში?

წყვილური საგარჯიშო: ენა და სტილი

ქვემოთ წარმოდგენილია სხვადასხვა სტილის მახასიათებლები. დააჯგუფეთ ისინი კატეგორიების მიხედვით. დასაშვებია ერთი მახასიათებლის რამდენიმეჯერ გამოყენებაც.

სტილის მრავალგვარობა	ლაკონიურობა	პირიანი კონსტრუქციები	აზრობრივი და ენობრივი სიცხადე
სტანდარტულობა	ნაშრომის სათაური ავტორის ინდივიდუალიზმი	ემოციურობა/ექსპრესიულობა	ენის სისადავე
გრძელი/გადატვირთული წინადადებები	მკაცრად განსაზღვრული ფორმატი	მხატვრული ხერხების სიჭარბე	მარტივი კონსტრუქციები
სიტყვათქმნადობა	ყოველდღიური მეტყველების სტილი	ობიექტურობა	ქვეთავების გამოყოფა
		ნეიტრალურობა	
		ხატოვანი გამონათქვამები	

სამეცნიერო სტილი	პუბლიცისტური სტილი	ოფიციალურ-საქმიანი სტილი	მხატვრული სტილი

--	--	--	--

წყვილური საგარჯიშო: აკადემიური ტექსტის მახასიათებლები

წარმოიდგინეთ, რომ იკვლევთ ბედნიერების ფენომენს. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ამონარიდები (1-5-ის ჩათვლით), განსაზღვრეთ თითოეული ტექსტის ტიპი, დანიშნულება/მიზანი, ჩამოაყალიბეთ მათი მახასიათებლები სიტყვებისა და წინადადების აგებულების გათვალისწინებით და იმსჯელეთ, რომელი მათგანის გამოყენებაა დასაშვები აკადემიური მიზნებისთვის.

	ტექსტი 1	ტექსტი 2	ტექსტი 3	ტექსტი 4	ტექსტი 5
ტექსტის ტიპი					
შესაბამისობა/გამოსადეგობა					
მიზანი/ჩანაფიქრი					
სიტყვები					
წინადადებების აგებულება					

ტექსტი 1

20 მარტი ბედნიერების საერთაშორისო დღეა. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ეს დღე 2012 წლის ივნისიდან აღინიშნება. ბედნიერებისკენ სწრაფვა გაეროს მიერ აღიარებულია, როგორც ადამიანის ფუნდამენტური მიზანი. რა არის და როგორ მოვიპოვოთ ბედნიერება? ძნელია ბედნიერების სავალდებულო ნორმების გამოყოფა, ამბობს ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი, მაგრამ, მისი თქმით, როცა გაერო აწესებდა ამ დღეს, ალბათ, გულისხმობდა იმ საკითხებს, რომლებიც შეილება გაიზიაროს ადამიანთა უმეტესმა ნაწილმა. ეს შეიძლება იყოს კეთილდღეობა, მათ შორის, მატერიალური, თავისუფლება, ანუ ის, რამაც შესაძლოა ადამიანის არსებობის პოზიტიური საფუძველი შექმნას.

წყარო: ხარაძე, ნინო. 2015. ბედნიერების საერთაშორისო დღე. <https://www.radiotavisupleba.ge/a/bednierebis-dge/26911433.html> (16.06.2018).

ტექსტი 2

ბედნიერება, ცხოვრებით კმაყოფილება, სუბიექტური კეთილდღეობა ეს ის ცნებებია, რომელიც ასოცირდება ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან. ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ფენომენის

პოპულარობის და გვიანდელი მოზარდის ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის მისი მნიშვნელობის მიუხედავად, საქართველოში არ ჩატარებულა მოზარდის ფსიქოლოგიური კეთილდღეობის სპეციალური მასშტაბური კვლევა, რომელიც გაანალიზებული იქნებოდა პიროვნების ზოგიერთ მაჩვენებელთან მიმართებაში როგორც არის: პიროვნული ზრდა, ავტონომიურობა, გარემოს მართვის უნარი, პიროვნული ურთიერთობები და მათი მიმართება სტრესის დაძლევის სტრატეგიასთან. ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი მშობლების მოზარდებთან ურთიერთობის სპეციფიკა უდავოდ აისახება მოზარდთა პიროვნული განვითარების სპეციფიკაზე. ეს გულისხმობს, რომ „მშობელი შვილის მაგივრად პრობლემას თავის თავზე იღებს. ამის შედეგად პრობლემების გადაჭრის უნარის უქონლობას ვიღებთ“ (იმედაძე და ქსოვრელაშვილი 2004).

წყარო: ტურაშვილი, თამარ. 2014. *ფსიქოლოგიური კეთილდღეობის განმსაზღვრელი ზოგიერთი ფაქტორი ქართველ სტუდენტებში*. სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ტექსტი 3

ბედნიერება — სულიერი და ემოციური მდგომარეობა, რომელიც სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს ადამიანში. ბედნიერების გამომწვევი ზოგადი მიზეზებია ყოფიერების პირობებით, ცხოვრების შინაარსიანობით, საკუთარი მიღწევებით შინაგანი კმაყოფილება. მის საწინააღმდეგო მდგომარეობად ითვლება უბედობა, რომლის ნიშნებად ძველბერძნული ფილოსოფიის დროებიდან ითვლება მოუსვენრობა, რომელით, თავის მხრივ აუცილებელი პირობაა რაიმე მოქმედებისთვის გადაწყვეტილების მისაღებად.

წყარო: <https://ka.wikipedia.org/wiki/ბედნიერება> (16.06.2018).

ტექსტი 4

ბედნიერ უფლისწულს თვალები ცრემლით ავსებოდა და ოქროს დაწვებზე დაჰაღუპით სცვიოდა. მთვარის შუქზე ისეთი მშვენიერი სანახავი იყო, რომ პატარა მერცხალს გული სიბრაღულით აევსო.

– ვინა ხარ? – შეეკითხა მერცხალი.

– მე ბედნიერი უფლისწული ვარ.

– მაშ, რაღა გატირებს? – გაიკვირვა მერცხალმა, – სულ ერთიან დამასველე. როცა მე ცოცხალი ვიყავი და ადამიანის გული მქონდა, – უპასუხა უფლისწულმა, – ცრემლი რა იყო, არ ვიცოდი. ვცხოვრობდი სანსუსის სასახლეში, სადაც მწუხარებას შემოსვლის ნება არა ჰქონდა. დღისით მეგობრებთან ერთად ბაღში ვერთობოდი, საღამოობით კი ცეკვას ვმართავდი დიდ დარბაზში. ბაღს მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გარშემო ისე თვალწარმტაცი იყო ყველაფერი, რომ არასოდეს მიკითხავს, რა იყო ამ გალავანს იქით. ჩემი კარისკაცები ბედნიერ უფლისწულს მიწოდებდნენ და მართლაც ბედნიერი ვიყავი, თუ განცხრომას ბედნიერება ჰქვია. ასე ვცხოვრობდი და ასე მოვკვდი. ახლა კი უსულო, აქ, ამ სიმაღლეზე შემაყენეს, რათა უკეთ დავინახო ჩემი ქალაქის სიმახინჯე და საცოდაობა. და თუმცა გული ტყვიისა მაქვს, რაღა დამრჩენია ტირილის გარდა.

წყარო: უაილდი, ოსკარ. 2012. *ბედნიერი უფლისწული*. მთარგმნ. ქეთევან კანდელაკი. http://children.wanex.net/mcerloba/targmanebi/bednieri_uflisculi.htm (15.06.2018).

ტექსტი 5

ბედნიერება დეტალებშია, უბრალოდ მისი აღმოჩენა უნდა შევძლოთ. მაინც რა არის ბედნიერება? ამ კითხვით მოქალაქეებს მივმართეთ:

სანდრო (35 წლის): ჩემთვის ბედნიერება არის ბევრი რამ ერთად. პირველ რიგში, ზუსტად ვიცოდე, ყველა ჩემი ოჯახის წევრი და მეგობარი არის ჯანმრთელი და უხარიათ ცხოვრება. ყოფითი პრობლემების მიღმა, რომ არსებობს ალტერნატივა, რომელსაც ჩაეჭიდები და შედეგი გაგაბედნიერებს. ყველაზე ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა სკოლის პერიოდში გავაცნობიერე რას ნიშნავდა დედა ჩემთვის და შემდეგ, როცა ჩემი პატარა ძმა დაიბადა.

წყარო: გიგოლაშვილი, ქეთი. 2018. რა არის ბედნიერება - დღეს ბედნიერების საერთაშორისო დღეა. <http://fortuna.ge/ra-aris-bedniereba-dghes-bednierebis-saertashoriso-dghea/> (16.06.2018).

წყვილური სავარჯიშო: სამეცნიერო სტილი

ქვემოთ იხილავთ ამონარიდს ერთ-ერთი სამეცნიერო ნაშრომიდან და სამეცნიერო სტილის ძირითად მახასიათებლებს. მოიფიქრეთ სამეცნიერო სტილის ორი დამატებითი მახასიათებელი და შეუსაბამეთ თითოეულ მახასიათებელს მაგალითები მოცემული ამონარიდიდან.

ხშირად ტრადიციები თაობიდან თაობას ისე გადაეცემა, რომ მოქალაქეები შესაძლოა, გაუცნობიერებლად კი იყვნენ მოძალადეები. მემკვიდრეობის განაწილებისას ჩვეულებითი სამართალი იმდენად არის ფესვგადგმული საქართველოში, რომ მოსახლეობამ ხშირ შემთხვევაში იცის კიდევაც მემკვიდრეობის კანონმდებლობით მინიჭებული უფლების შესახებ, მაგრამ ტრადიციას ინერციით მიჰყვება. ამ კუთხით საინტერესოა პ. ბურდიეს (P. Bourdieu) წიგნი „პრაქტიკის თეორიის მონახაზი“ (Outline of a theory of practice), რომელშიც მან გამოთქვა მოსაზრება, რომ არსებობს სქემები, რომელთა საშუალებითაც სოციალური პრაქტიკები თაობიდან თაობაზე მსჯელობისა და გაცნობიერების გარეშე მეორდება, ხდება სოციალური ურთიერთობების კვლავწარმოება, როგორც თავისთავადად, ყოველთვის ამ ფორმით არსებული. პ. ბურდიე კაბილიის¹⁰ მაგალითზე განიხილავს ასევე მემკვიდრეობის საკითხს და აცხადებს, რომ ქალის ლიმიტირებული არსებობა არასოდეს იმღევა საშუალებას, რომ მან სრულყოფილი მონაწილეობა მიიღოს სიმბოლური თუ ეკონომიკური კაპიტალის წარმოებაში (Bourdieu 2005, 67-87), თუმცა ეს ქალის მხრიდანაც შესაძლოა არც ისე მტკივნეულად აღიქმებოდეს, რადგან ასეთ გარემოში ყოველდღიური ცხოვრების რუტინა წყვეტის გარეშე გრძელდება და პრობლემა თითქოს არ არსებობს.

წყარო: არავიაშვილი, მაია. 2015. მემკვიდრეობის განაწილების გენდერული ასპექტები ქართულ კულტურაში. სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მახასიათებლები	მაგალითები
1. დარგობრივი ტერმინები	
2. დამოწმებები	
3. ნეიტრალური/უპირო კონსტრუქციები	
4. ერთმნიშვნელოვანი წინადადებები	
5.	
6.	

ჯგუფური დისკუსია: ყოველდღიური vs. მეცნიერული ცოდნა

- იმსჯელეთ, რა განსხვავებაა მეცნიერულ ცოდნასა და ყოველდღიურ ცოდნას შორის?
- როგორ იქმნება ყოველდღიური ცოდნა? მეცნიერული ცოდნა?
- რა სარგებლობა აქვს მეცნიერულ ცოდნას?

¹⁰ რეგიონი ალჟირში

შემაჯამებელი ტესტი: მეცნიერება და კვლევა

აირჩიეთ და შემოხაზეთ მხოლოდ ერთი მართებული პასუხი.

1. სამეცნიერო ნაშრომი უნდა იყოს:

- ა) მიკერძოებული
- ბ) სასარგებლო
- გ) გადამოწმებადი
- დ) ობიექტური

2. სამეცნიერო კვლევის მიზანია:

- ა) ავტორის სუბიექტური აზრის დაფიქსირება
- ბ) ახალი ცოდნის შექმნა
- გ) რაიმე მოვლენის შეფასება

3. სამეცნიერო ტექსტისთვის არ არის დამახასიათებელი:

- ა) მოკლე წინადადებები
- ბ) განმარტებითი წინადადებები
- გ) გრძელი (რთული ქვეწყობილი) წინადადებები
- დ) წინადადებებს შორის აზრობრივი, ლოგიკური ბმა

4. პლაგიატი არის:

- ა) აკადემიური დანაშაული
- ბ) საშიში დაავადება
- გ) აკადემიური ვებგვერდი
- დ) აკადემიური ნაშრომის ტიპი

5. ნაშრომის მეცნიერულობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი არ არის:

- ა) ვალიდურობა
- ბ) გადამოწმებადობა
- გ) კეთილსინდისიერება
- დ) სუბიექტურობა

6. აკადემიურ ნაშრომში ობიექტურობის მისაღწევად საჭიროა:

- ა) ნაშრომში ჩანდეს ავტორის დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ
- ბ) წარმოაჩინოს თემა მხოლოდ ერთი პერსპექტივით
- გ) დაკვირვებები და მიგნებები ჩამოაყალიბოს ფაქტებზე დაყრდნობით და მიუკერძოებლად

7. ნაშრომის ორიგინალურობას განსაზღვრავს:

- ა) ახალი კონცეფციის შექმნა

ბ) საკვლევი საკითხის ახალი პერსპექტივით დამუშავება

გ) დამოუკიდებლად მუშაობა

8. რომელია აკადემიური ნაშრომისთვის მისაღები ფორმა:

ა) „დიდი ძალისხმევის შედეგად დავასკვნით, რომ...“

ბ) „მეჩვენება, რომ ეს საკითხი საჭიროებს დამუშავებას“

გ) „აღნიშნულის საფუძველზე აშკარაა, რომ...“

დ) „ახლა კი მინდა მოგითხროთ ჩემი კვლევის შედეგებზე...“

9. სამეცნიერო ტექსტის სახეობებს არ განეკუთვნება:

ა) სასემინარო ნაშრომი

გ) საბაკალავრო ნაშრომი

ბ) საშინაო ნაშრომი

დ) თავისუფალი ესე

10. მეცნიერული ცოდნა ყოველდღიური ცოდნისგან განსხვავებით იქმნება:

ა) დაკვირვებების, აღმოჩენების კვლევა-ძიების, ანალიზის, შედეგად და ემყარება აქამდე უკვე არსებულ ცოდნას

ბ) პირადი გამოცდილების საფუძველზე

გ) ინტუიციასე დაყრდნობით

დ) ცნობილი ადამიანების ბრძულ გამონათქვამებზე დაყრდნობით

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

- აფრიდონიძე, შუქია. 2007. *ჩვენი ენა ქართული*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ეკო, უმბერტო. 2014. *როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი*. მთარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე.
- თურაბიანი, ქეით ლ. 2007. *სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის*. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტისა და მკვლევრებისათვის. მთარგმნ. ანა ადამია და მარინე თავყელიშვილი. <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sakhelmdzghvanelo-repheratebis-thezisebis-da-disertatsiebis-avtorebisathvis-qeith-l.-thurabiani.pdf> (16.06.2018).
- კოდუა, ედუარდ და სხვები. 2004. *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი*. თბილისი: ლოგოს პრესი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3677> (16.06.2018).
- ცაგარელი, ლევან. 2016. *კულტურის კვლევების შესავალი*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჭაბაშვილი, მიხეილ. 1989. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი*. თბილისი: განათლება. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=4408> (15.06.2018).

გამოყენებული ლიტერატურა გერმანულ ენაზე:

- Balzert, Helmut, Schröder, Marion und Christian Schäfer. 2015. *Wissenschaftliches Arbeiten*. Dortmund: W3L – Verlag.
- Karmasin, Matthias und Rainer Ribing. 2017. *Die Gestaltung wissenschaftlicher Arbeiten*. 9. Auflage. Wien: Facultas.
- Niedermair, Klaus. 2010. *Recherchieren und Dokumentieren*. Wien: Huter & Roth KG.
- Voss, Rödiger. 2017. *Wissenschaftliches Arbeiten. ...leicht verständlich!* 5. Auflage. Konstanz: UVK.
- Wytrzens, Hans Karl, Schauppenlehner-Kloyber, Elisabeth, Sieghardt, Monika und Georg Gratzner. 2014. *Wissenschaftliches Arbeiten. Eine Einführung*. 4., aktualisierte Auflage. Wien: Facultas.

თავი 2. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და ფორმატი (ნათია სალინაძე)

მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს:

- რომელ სტრუქტურულ ერთეულებს მოიცავს სამეცნიერო ნაშრომი?
- როგორ უნდა ააგოთ სარჩევი?
- რა იწერება ნაშრომის შესავალ ნაწილში?
- როგორ უნდა დაასაბუთოთ თემის აქტუალობა და შემოსაზღვრით კვლევის არეალი?
- როგორ იწერება ნაშრომის ძირითადი ნაწილი?
- რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს დასკვნა?
- როგორ უნდა დააფორმატოთ ვორდდოკუმენტი?

2.1. სამეცნიერო ნაშრომის აგებულება


სამეცნიერო (აკადემიურ) ნაშრომს მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა აქვს. იმის გათვალისწინებით, როგორი ტიპის ნაშრომს ქმნით (საშინაო, სასემინარო, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო), იცვლება სტრუქტურული ერთეულების რაოდენობა. ქვემოთწარმოდგენილ სქემაში გთავაზობთ საშინაო ნაშრომისთვის აუცილებელ სტრუქტურულ ერთეულებს:

საწყისი გვერდები	ძირითადი გვერდები	ბოლო გვერდები
•თავფურცელი •განაცხადი •სარჩევი	•შესავალი •ძირითადი ნაწილი (თავები და ქვეთავები) •დასკვნა	•ბიბლიოგრაფია •დანართი (საჭიროების შემთხვევაში)

გამოსახულება 5: საშინაო ნაშრომის სტრუქტურული ერთეულები

2.1.1. თავფურცელი

ნებისმიერი ტიპის აკადემიური ნაშრომი იწყება თავფურცლით, ე.წ. სატიტულო გვერდით, რომელზეც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის სახელმძღვანელოს მიხედვით, შემდეგი ინფორმაცია უნდა განათავსოთ: ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, ნაშრომის ტიპი (საშინაო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი და ა.შ.), ფაკულტეტის ან პროგრამის დასახელება, კურსის ან სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, უნივერსიტეტის სახელწოდება, ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი. თავფურცელი არ ინომრება. მონაცემები კი იწერება ცენტრირებულად, შემდეგი თანმიმდევრობითა და შრიფტის პარამეტრებით (ჩუბინიძე 2011, 44-46):



გამოსახულება 6: სატიტულო გვერდის ნიმუში

2.1.2. განაცხადი

განაცხადი აკადემიური ნაშრომის მეორე სტრუქტურული ერთეულია, თავფურცლის მომდევნო გვერდზე იწერება და მიზნად ისახავს ნაშრომის დაცვას პლაგიატისგან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი ნაშრომებისთვის გამოიყენება განაცხადის მზა ტექსტი, რომელიც ნაშრომის ავტორის სახელის, გვარის და ნაშრომის დასრულების თარიღის მითითებით სრულდება.

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ავტორის სახელი და გვარი
ნაშრომის წარდგენის თარიღი

გამოსახულება 7: განაცხადის ნიმუში (ჩუბინიძე 2011, 47)

2.1.3. სარჩევი

სარჩევი (იგივე შინაარსი) ნაშრომის აგებულებას წარმოაჩენს და ამით მკითხველს ორიენტაციას უადვილებს. იგი ქმნის სისტემას, რომელიც აჩვენებს, როგორ არის გააზრებული საკითხი, როგორ იყოფა საკვლევი პრობლემა კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად, რა თანმიმდევრობით ხდება საკითხის გამოკვლევა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.

იმის გათვალისწინებით, რომელი ტიპის სამეცნიერო ნაშრომს ქმნით (სამეცნიერო ნაშრომის ტიპებთან დაკავშირებით იხ. თავი 1), განირჩევა ტექსტის სტრუქტურირების არაერთი საშუალება. **თეორიული** გამოკვლევების შემთხვევაში დიდწილად საქმე გვაქვს ნაშრომის აგების შემდეგ შესაძლებლობებთან:

დედუქციური: ზოგადი დებულებიდან/მოვლენიდან კონკრეტული/კერძო დასკვნის გამოტანას ნიშნავს. სამეცნიერო ნაშრომის დედუქციურად დაყოფაში კი იგულისხმება ერთი რომელიმე თეორიის განხილვა და შემდეგ კონკრეტული შემთხვევის გაანალიზება ამ თეორიაზე დაყრდნობით. ამგვარი აგებულების სამეცნიერო ნაშრომები ყველაზე უფრო ხშირია.

ინდუქციური: კონკრეტული/კერძო ფაქტებიდან/დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოტანა. ერთი შემთხვევის ან ექსპერიმენტის შედეგების გამოვლენის საფუძველზე სამეცნიერო დისციპლინაში იქმნება აზროვნების ახალი მოდელი, ახალი ცოდნა. ეს ნიშნავს, რომ ამ შემთხვევის აღმოჩენამდე არ არსებობდა თეორია ან მიდგომა, რომლის მიხედვითაც შესაბამისი საკვლევი ობიექტის შესწავლა იქნებოდა შესაძლებელი (Stickel-Wolf und Wolf 2016, 185).

შედარებითი: ამგვარი სტრუქტურირების მიზანია, იდეათა, პიროვნებათა, თეორიათა, ინტერპრეტაციათა, შემთხვევათა მსგავსებებისა და განსხვავებების პოვნა და წარმოჩენა: რომელი ასპექტების მიხედვით შეიძლება X და Y ერთმანეთს შევადაროთ? რა მსგავსება აქვს X და Y-ს? შედარებისთვის საჭიროა ორი ან მეტი საკვლევი ობიექტის შერჩევა (შდრ. Rettig 2017, 48).

ემპირიულ ნაშრომებს მეტწილად სტანდარტული სტრუქტურა¹¹ აქვს და იგი შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

¹¹ ინგლისურენოვან აკადემიურ სივრცეებში ემპირიული ნაშრომების სტრუქტურა “IMRAD”-ის მოდელის სახელწოდებითაა ცნობილი, რაც ასე იშიფრება: Introduction (შესავალი), Methods and

- ☐ საკვლევი პრობლემის აღწერა
- ☐ სამეცნიერო ლიტერატურის ან სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა
- ☐ საკვლევი ჰიპოთეზები/კითხვები
- ☐ კვლევის მეთოდი
- ☐ კვლევის შედეგების წარმოდგენა
- ☐ შედეგების ინტერპრეტაცია
- ☐ დასკვნა
- ☐ რეკომენდაციები
- ☐ ბიბლიოგრაფია
- ☐ დანართი (შდრ. Stickel-Wolf und Wolf 2016, 186; Rettig 2017, 50).

სამეცნიერო ნაშრომის სარჩევი ლოგიკურად აგებული, ადვილად გასაგები უნდა იყოს, მასში შესული თითოეული პუნქტი საკვლევ საკითხს უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს, ხოლო სარჩევის ნუმერაცია ზუსტად წარმოაჩენდეს თემის ცალკეული ასპექტების ურთერთმიმართებებს, ძირითად საკითხებსა და ქვეპუნქტებს (Wytrzens u. a. 2014, 83).

თავებისა და ქვეთავების გამოყოფისას გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი კატეგორია, თუ მას ქვეკატეგორიებად ყოფთ, მინიმუმ ორი ერთეულისგან უნდა შედგებოდეს. მათი სათაურები კი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეარჩიოთ. ეს უკანასკნელი ზუსტად უნდა ასახავდეს კონკრეტულ თავში განხილულ შინაარსს. სწორად შერჩეული სათაურებით მკითხველმა დაახლოებით იცის, რას უნდა ელოდოს თითოეული თავისგან.

სარჩევში სათაურების ფორმულირებისას, მნიშვნელოვანია, დაიცვათ შემდეგი წესები:


- სათაური უნდა იყოს მოკლე, სხარტი და გადასცემდეს ინფორმაციას
- იწერება ნომინალური სტილით (ნაკლები ზმნები, მეტწილად - არსებითი სახელები)
- იწერება სასვენი ნიშნების გარეშე (გამონაკლისია სათაურები, რომლებიც ფორმულირებულია როგორც კითხვა და ამრიგად, ბოლოში კითხვის ნიშანი უნდა დაწეროთ)
- ქვეთავების სათაურები ნაშრომის ძირითადი სათაურის იდენტური არ უნდა იყოს
- ერთი სათაური მხოლოდ ერთხელ უნდა გვხვდებოდეს ნაშრომში
- თავიდან აიცილეთ არაფრისმთქმელი და შაბლონური სათაურები: „ზოგადი წესები“, „ზოგადი საფუძვლები“, „შედეგები“ და ა.შ. (შდრ. Wytrzens u. a. 2014, 84-85; Stickel-Wolf und Wolf 2016, 188)
- სათაურის წერის პრინციპებისთვის დაწვრილებით იხ. თემა 3

სარჩევი		გვერდების დანომრ. შესავლიდან იწყებ არაბული ციფრები
	შესავალი -----	1
თავები და ქვეთავები უნდა გამოიყოს დონეებით. თუ ქვეთავებს გამოყოფთ, მინიმუმ ორი ერთეულისგან უნდა იყოს ნარმოდგენილი	1. სიძულვილის ენა -----	3
	1.1. სიძულვილის ენის დეფინიცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ -----	4
	1.2. სიძულვილის ენის განმარტება აშშ-ის სამოსამართლო პრაქტიკით -----	4
	1.3. საზოგადოების დამოკიდებულება სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის შესახებ -----	5
	2. ამერიკული მოდელი -----	7
	3. ევროპული მიდგომა -----	10
	3.1. ევროპის ადამიანთა უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლებაში -----	10
	3.2. გამოხატვის თავისუფლების განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეათე მუხლით -----	11
	დასკვნა -----	13
	ბიბლიოგრაფია -----	14
შესავალს, დასკვნასა და ბიბლიოგრაფიას არ უკეთდება თავის ნომერი		

გამოსახულება 8: საშინაო ნაშრომის სარჩევის ნიმუში

2.1.4. შესავალი

სამეცნიერო ნაშრომის შესავალი ნაწილის ფუნქციაა, წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს თემის შესახებ და განაწიოს იგი ნაშრომის წასაკითხად. შესავალი, როგორც წესი, იწყება საკვლევი პრობლემის აღწერით, გრძელდება კვლევის აქტუალობის/მნიშვნელობის დასაბუთებით და სრულდება კვლევის მიზნისა და საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზის ჩამოყალიბებით. ამრიგად, აკადემიური ნაშრომის შესავალ ნაწილს გადმოზრუნებული სამკუთხედის ფორმა აქვს, სადაც საკვლევი საკითხი ზოგადი თეორიული კონტექსტის აღწერიდან ინდივიდუალური საკვლევი კითხვის დასმამდე ვიწროვდება:



გამოსახულება 9: შესავალი ნაწილის კომპონენტები

ა) საკვლევი პრობლემის წარმოდგენა და აღწერა

ნებისმიერ კვლევას სჭირდება საფუძვლის მომზადება იმისთვის, რათა მკითხველი დარწმუნდეს მისი ჩატარების აუცილებლობაში. დაუთმეთ პირველი ხუთი-ექვსი სტრიქონი საკვლევი თემის კონტექსტის აღწერას. ამისთვის შეგიძლიათ, თქვენს საკვლევ შეკითხვასთან დაკავშირებული თეორიული საფუძვლები ან თუნდაც საკითხის ისტორია მიმოიხილოთ, პრობლემის აღწერა მნიშვნელოვანი გამონათქვამით, წინააღმდეგობრივი დებულებით ან აქტუალური მოვლენით დაიწყოთ, რასაც დაუკავშირებთ განსახილველ საკითხს (Kornmeier 2009, 98).

ბ) კვლევის აქტუალობა და მნიშვნელობა

შესავალ ნაწილში თქვენ უნდა დაასაბუთოთ საკვლევი საკითხის აქტუალობა და მნიშვნელოვნება. ამაში შეიძლება დაგეხმაროთ სტატისტიკური მონაცემები, მაგალითები და ა.შ. საცნაურია, რომ ერთი კონკრეტული მაგალითით ვერ დაამტკიცებთ პრობლემის აქტუალობას. რთულია, დამწყებმა მკვლევარმა აღმოაჩინოს სრული სიახლე საკვლევ თემასთან დაკავშირებით. მთავარია, საკითხი ახლებურად დასვით, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ გჭირდებათ დღევანდელი საკითხის აქტუალური, „მოდური“ საკითხის მოძიება. შეგიძლიათ მიმოიხილოთ საკვლევი საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა და მიანიშნოთ კვლევებში არსებულ დანკლისა და ხარვეზებზე (ასეთების არსებობის შემთხვევაში). შესავლის ამ ნაწილის დასაწყერად იხელმძღვანელეთ შემდეგი შეკითხვებით:

- რა სამეცნიერო მონაცემები მოიპოვება კონკრეტულ საკითხზე?
- რა არ არის აქამდე დამუშავებული და გარკვეული?
- როგორ შეიძლება დაუკავშირდეს თქვენი ნაშრომი აქამდე არსებულ ცოდნას, სამეცნიერო მონაცემებს?

გ) კვლევის მიზანი და საკვლევი შეკითხვა

შესავლის სწორედ ამ ორი კომპონენტით ზუსტდება, რა იქნება განხილული ნაშრომში და რა - არა. კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები აკადემიური ნაშრომის ყველაზე ღირებული ერთეულებია, ხოლო მათი ნათლად ფორმულირება - ნაშრომის წარმატების საწინდარი. აკადემიური ნაშრომის **კვლევის მიზანი** შეიძლება იყოს:

- გარკვეული წვლილის შეტანა კონკრეტული საკითხ(ებ)ის უკეთ გააზრებისთვის
- კონკრეტულ საკითხ(ებ)ზე ცოდნის მოგროვება და განვრცობა
- თეორიების, პოზიციებისა თუ შეხედულებების შედარება
- ფაქტობრივი მასალის ანალიზი
- მხატვრული ტექსტის, ფილმის, ნახატის და ა.შ. ინტერპრეტაცია და სხვა.

კითხვის ტიპი	კითხვა	კვლევის მიზანი	ნიმუში
აღწერითი / მიმოხილვითი	რა ხდება? როგორია რეალობა?	რომელიმე ფენომენის პროცესის ან მდგომარეობის აღქმა და აღწერა: ა) აღწერითი ანალიზით	როგორ შეიცვალა 2010 წლის შემდეგ სამეცნიერო სფეროების დაფინანსება?

		ბ) ცნებების განმარტებით გ) კლასიფიკაციით	
ახსნა-განმარტებითი	რამ განაპირობა/გამოიწვია კონკრეტული შემთხვევა?	სიტუაციის/ფენომენის გაგება/გააზრება: ა) საქმის ვითარების ახსნით ბ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენით გ) ჰიპოთეზის/თეორიის ჩამოყალიბებით	<i>რატომ შემცირდა/გაიზარდა 2010 წლიდან სამეცნიერო სფეროების დაფინანსება?</i>
საპროგნოზო	როგორი მდგომარეობა იქნება მომავალში? რა ცვლილებები განხორციელდება?	პროცესის/ფენომენის/მდგომარეობის სამომავლო სიტუაციის წინასწარ განჭვრეტა	<i>რა გავლენა ექნება სამეცნიერო პოლიტიკის ცვლილებას მოსახლეობის განათლების დონეზე?</i>
დაგეგმვითი	რა ღონისძიებები უნდა გატარდეს კონკრეტული მიზნების მისაღწევად?	გადამჭრელი ზომების შემუშავება პროცესის/ფენომენის/მდგომარეობის პრობლემების გაანალიზებით	<i>რა სახის პოლიტიკურ ჩართულობას შეუძლია ხელი შეუწყოს აკადემიკოსთა კვოტის შექმნას?</i>
შეფასებითი	როგორ იმოქმედა კონკრეტულმა ფაქტმა უკვე არსებულ სიტუაციაზე?	პროცესების/ფენომენის/მდგომარეობის შეფასება დაკვირვებით, ანალიზით და გაუმჯობესების რეკომენდაციების ჩამოყალიბებით	<i>როგორ შეიცვალა სამეცნიერო პოლიტიკა აკადემიკოსთა კვოტის შემოღების შედეგად?</i>

გამოსახულება 10: კვლევის მიზნებისა და საკვლევი შეკითხვების ტიპები და მაგალითები¹²

ექსპერტის რჩევა

„[...] უნდა იპოვოთ შეკითხვა, რომელზეც გსურთ პასუხის გაცემა. ძალიან ბევრ სტუდენტს, როგორც საბაკალავრო დონეზე, ისე, განათლების შემდგომ საფეხურებზე მიაჩნია, რომ განათლების მიზანია, დავიმახსოვროთ სხვების მიერ გაცემული პასუხები. ეს ასე არ არის. განათლება მიზნად ისახავს საკუთარ შეკითხვებზე საკუთარი პასუხების მოძიების უნარის გამომუშავებას. ამისათვის უნდა ისწავლოთ საკითხების გამოვლენა, უნდა დაინტერესდეთ მათით, განსაკუთრებით, ისეთი საკითხებით, რომლებიც, ერთი შეხედვით, ძალიან ჩვეულებრივია“ (თურაბიანი 2007, 37).

დ) კვლევის არეალის შემოსაზღვრა

¹² ინფორმაცია გადამუშავებულია შემდეგ მასალაზე დაყრდნობით: Wytrzens 2014, 77-78; Hienerth u.a. 2009, 100.

საკვლევი საკითხის/პრობლემის საფუძვლიანად დასამუშავებლად საჭიროა, თემას თავიდანვე ჰქონდეს მკაფიო საზღვრები. ამისათვის მნიშვნელოვანია, დასაწყისშივე განსაზღვროთ საკვლევი ობიექტის არეალი, „თუ რა იქნება ყურადღების ცენტრში და რა იქნება პერიფერიაზე“ (ეკო 2014, 166), რატომ განიხილება საკითხის კონკრეტული ასპექტები და სხვა არა, რას გამოტოვებთ და რის განხილვას არ მიიჩნევთ საჭიროდ. ქვემოთ იხილავთ საკვლევი საკითხის შემოსაზღვრის რამდენიმე კრიტერიუმსა და შესაბამის მაგალითებს¹³.

კრიტერიუმები	ნიმუში
სფეროს დაკონკრეტება	ევროკავშირის შესაძლებლობების შეფასება კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში
კონკრეტული ასპექტის გამოყოფა	ცენზურა თანამედროვე ლიბერალური ტრადიციის გადმოსახედიდან
ურთიერთმიმართების/დამოკიდებულების დადგენა	აკადემიურ მოსწრებასა და დეპრესიას შორის კავშირი მოზარდებში
ცალკეული შემთხვევების, მაგალითების წინ წამოწევა	ღვინის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საოჯახო მარნების მაგალითზე
მიმდინარეობების, სხვადასხვა თეორიათა ავტორების მითითებით	სიმბოლოს კონცეფცია კარლ იუნგის თეორიაში
პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ჯგუფების გამოყოფა (ჯგუფები მსგავსი მახასიათებლებით)	მართლმადიდებელი მრევლის დამოკიდებულება ევთანაზიის მიმართ
მწერლების, წიგნების, ფილმების და ა.შ. მითითებით	რეალობა როგორც კონსტრუქცია აკა მორჩილაძის რომანში „გადაფრენა მადათოვზე და უკან“
ასაკობრივი ჯგუფები	თანამედროვე სწავლების მეთოდების გავლენა პირველკლასელ მოსწავლეთა ჩართულობაზე სასწავლო პროცესში
გეოგრაფიული არეალის (რეგიონ(ებ)ის, ქალაქ(ებ)ის, ქვეყნ(ებ)ის და ა.შ.) დაზუსტება	საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ეკოლოგიური პრობლემები
დროის ფარგლების (ისტორიული ეპოქის, პერიოდის და ა.შ.) შემოსაზღვრა	უნივერსიტეტების განვითარება საქართველოში 2007-2017 წლებში

გამოსახულება 11: სამეცნიერო ნაშრომის საკვლევი თემის შემოსაზღვრის შესაძლებლობები

საკვლევი საკითხის შემოსასაზღვრად დასაშვებია რამდენიმე კრიტერიუმის კომბინაცია. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ სამეცნიერო ნაშრომის თემა უნდა იყოს კონკრეტული და არა ზოგადი: რაც უფრო ვიწროა საკვლევი საკითხი, მით უფრო ღირებულია ნაშრომი და ადვილია თემაზე მუშაობა.

ე) კვლევის წარმართვა და ნაშრომის აგებულება

¹³ აქ და ქვემოთ მაგალითები დიდწილად აღებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული და წარდგენილი სამაგისტრო და საშინაო ნაშრომებიდან.

შესავლის ამ ნაწილში შეგიძლიათ აღწეროთ, როგორ წარიმართება კვლევა და რა მეთოდებით დამუშავდება საკითხი. ამისთვის სასურველია, უპასუხოთ შემდეგ კითხვებს:

- როგორ გააანალიზებთ (სამეცნიერო) ლიტერატურას?
- მონაცემების დასამუშავებლად რა მიდგომას აირჩევთ?
- ჩაატარებთ თუ არა გამოკითხვას (წერილობით, ზეპირად, ტელეფონით) თქვენს ძირითად საკვლევ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად?

შესავლის ბოლო სამი-ოთხი სტრიქონი ეთმობა ნაშრომის აგებულების მოკლე აღწერას, რომლის ჩამოყალიბება დაახლოებით ამგვარადაა შესაძლებელი: „ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმობა პრობლემის/საკითხის A ასპექტის კვლევას, მეორე ნაწილში განიხილება B“ და ა.შ.

ხშირად დასმული კითხვები:

☹ რა მოცულობის უნდა იყოს შესავალი?

როგორც წესი, შესავალი ნაშრომის 15%-ს შეადგენს. მაგ., საშინაო ნაშრომის (რომელიც მოიცავს დაახლოებით 12-15 გვერდს) შესავალმა შეიძლება ერთ გვერდზე მეტი დაიკავოს. შესავალი არ ემსახურება ვრცელ, არგუმენტირებულ მსჯელობას. აქ მნიშვნელოვანია, კონკრეტული საკითხის დასმა და პასუხამდე მიმავალი გზის ჩვენება.

☹ რამდენად შეიძლება უკვე დაწერილი შესავლის შეცვლა ნაშრომის დასრულების შემდეგ?

ნაშრომის დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ უნდა გადახედოთ შესავალს, რადგან შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ არგუმენტირებულმა მსჯელობამ და მტკიცებულებებმა (ნაშრომის ძირითადი ნაწილი) სხვა მიმართულებით წაიყვანა თემის მთავარი საკვლევი კითხვა და შესაძლებელია, საჭირო გახდეს ამ უკანასკნელის შეცვლა/დაზუსტება. ამრიგად, შესავალი, როგორც წესი, ორჯერ იწერება.

2.1.5. ძირითადი ნაწილი

ძირითადი ნაწილი აკადემიური ნაშრომის ბირთვია და შესაბამისად, ყველაზე ვრცელი სტრუქტურული ერთეული. მისი მთავარი დანიშნულებაა, შესავალში დასმულ საკვლევ კითხვებზე პასუხების მოძიება თეორიული ან/და ემპირიული კვლევის საფუძველზე. ძირითადი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს: თემის ისტორიული წანამდევრების აღწერას და მთავარი ცნებების განმარტებას, ტექსტების ინტერპრეტაციას, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვასა და მასზე დაყრდნობით საკვლევი პრობლემის დეტალურ ანალიზს, თეორიათა შედარებას და ემპირიული კვლევების შეფასებას, ემპირიული კვლევის განხორციელებას და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, ექსპერიმენტების აღწერას და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომელ დარგში (ჰუმანიტარული, სოციალური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ა.შ.) იქმნება ნაშრომი, განირჩევა აკადემიური ნაშრომის ორი ძირითადი ტიპი:

1. თეორიული ნაშრომები, რომელთა ყურადღების ცენტრში სხვათა თეორიების წარმოჩენა, ურთიერთშედარება დგას და ამრიგად, ძირითადი ნაწილი დიდწილად სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვით შემოიფარგლება და

2. ემპირიული კვლევები: ემპირიულ გამოკვლევაზე მუშაობისას უნდა შეადგინოთ კითხვარი, იპოვოთ კვლევაში მონაწილე პირები, ჩაუტაროთ ინტერვიუ, შედეგები შეაჯამოთ და ეს შედეგები თქვენს ჰიპოთეზას თუ საკვლევ კითხვას დაუკავშიროთ, მიღებული დასკვნები წინა, უკვე ჩატარებულ კვლევებს შეადაროთ და მათი ინტერპრეტაცია განახორციელოთ (შდრ. Gruber u.a. 2009, 112).

საბაკალავრო საფეხურზე შექმნილი საშინაო ნაშრომის ფარგლებში ძირითადად თეორიულ ნაშრომებზე, ე.ი. უკვე არსებულ სამეცნიერო სტატიებზე, ნარკვევებზე მუშაობა მოგიწევთ და იშვიათად (ეს სფეროზეა დამოკიდებული), მცირე ემპირიული კვლევის ჩატარება. თეორიულ ნაშრომებში თქვენ უნდა აღწეროთ უკვე არსებული თეორიები, ერთმანეთს შეადაროთ, შეაფასოთ, გააკრიტიკოთ, თქვენეული კომენტარი დაურთოთ, ტერმინები განმარტოთ და ამგვარი კომპილაციით (ლათ. თავმოყრა) ააგოთ ნაშრომის ძირითადი ნაწილი.

ძირითადი ნაწილის ფორმა და შინაარსი მთლიანად დამოკიდებულია საკვლევ ობიექტზე, კვლევის მიზანსა და საკვლევ კითხვაზე და ამრიგად, მისი აგების ერთი უნივერსალური წესი არ არსებობს. თუმცა, ზოგადი მოთხოვნების ჩამოყალიბება აქაც შესაძლებელია, სახელდობრ:

ა) საკვლევ საკითხის ისტორიის წარმოდგენა/კონტექსტის აღწერა/ცნებების განმარტება

საკვლევ საკითხთან დაკავშირებული კონტექსტის გაანალიზება ძირითადი ნაწილის აგების პირველი ეტაპია. კონტექსტში იგულისხმება „ის კულტურული, ეკონომიკური, სოციალური თუ ისტორიული პირობები, სადაც ეს საკითხი წარმოიშვა ან არსებობს“ (დოლიძე 2017, 40). როგორც იცით, მეცნიერების ყველა სფეროს თავისი დარგობრივი ლექსიკა აქვს. სასურველია, კონტექსტის აღწერის პარალელურად თქვენი ნაშრომისთვის საკვანძო ტერმინები განმარტოთ (საქმე ისაა, რომ ხშირად ერთი და იგივე ტერმინი სხვადასხვა დარგში ან სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამეს შეიძლება ნიშნავდეს), რათა მკითხველმა თავი არ იმტვრიოს იმაზე ფიქრით, რა იგულისხმეთ ამა თუ იმ ცნებაში და რა მნიშვნელობით იყენებთ მას ნაშრომში. თუ თქვენი საკვლევით თემა, მაგალითად, *ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში*, უწინარესად უნდა განმარტოთ, რას გულისხმობს ეს ინსტიტუტი და შემდეგ აღწეროთ, რომელ ქვეყანაში ჩამოყალიბდა, რამ განაპირობა მისი დამკვიდრება, რამდენად შედეგიანად მუშაობს და ა.შ.

ბ) სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ძირითადი ნაწილის კიდევ ერთი აუცილებელი კომპონენტია. თქვენ უნდა მიმოხილოთ საკვლევ საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა, უკვე ჩატარებული ემპირიული კვლევები, წარმოაჩინოთ კონკრეტულ თემაზე არსებული ცოდნა და ამ ცოდნას დაუკავშიროთ თქვენი ნაშრომი. მიმოხილვისას სხვათა კვლევებს კონკრეტული კრიტერიუმებით აფასებთ და

აკრიტიკებთ, ძლიერ მხარეებს და ხარვეზებს გამოააშკარავებთ. ამ ნაწილის აგებისას, სასურველია, იხელმძღვანელოთ შემდეგი კითხვებით:

- რომელი სამეცნიერო თეორიები ან მეცნიერული მიდგომებია საჭირო და მნიშვნელოვანი საკვლევ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად?
- რა მსგავსებაა განსხვავება მეცნიერთა შეხედულებებს შორის?
- ვის რა დასკვნები გამოაქვს, ვის აქვს განსხვავებული თვალსაზრისი?
- რა ახალი მიგნებები და შედეგები გამოავლინეთ საკვლევ საკითხის შესახებ?
- როგორ უკავშირდება თქვენი ნაშრომი საკითხის შესახებ აქამდე ჩატარებულ კვლევებს? (შდრ. Kornmeier 2009, 123-124)

ამრიგად, აკადემიური ნაშრომის ძირითადი ნაწილის შექმნისას თქვენ აჩვენებთ, რომ შეგიძლიათ, საკითხზე უკვე არსებულ ცოდნას მიაგნოთ, დაამუშაოთ, გაიაზროთ და შემდეგ გადმოსცეთ იგი.

გ) სტრუქტურა

ძირითადი ნაწილის თითოეულ თავს თუ ქვეთავს თავისი სტრუქტურა¹⁴ უნდა გააჩნდეს. სტრუქტურირება გეხმარებათ აზრების დაწყობაში, კავშირების წარმოჩენაში და ა.შ. სასურველია, თითოეული თავის დასაწყისში წარმოდგენილი იყოს შემდეგ კითხვებზე პასუხი:

- რაზე იყო მსჯელობა წინამორბედ თავებში და რა გამოიკვეთა?
- წინამდებარე თავში საკვლევ საკითხის რომელი ასპექტები მუშავდება?
- როგორ უკავშირდება ეს თავი ნაშრომში დასმულ საკვლევ კითხვებს?
- როგორია ამ თავის მნიშვნელობა მთელი ნაშრომისთვის?
- როგორაა თავი აგებული?

თავები/ქვეთავები უნდა სრულდებოდეს განხილულ საკითხთა მოკლე შეჯამებით.

დ) მეთოდოლოგია

ამ ნაწილში აღიწერება კვლევის წარმართვის დეტალები: რომელი წესების, პროცედურების, მიდგომებისა ანდა ხელსაწყოების საშუალებით ხორციელდება კვლევა. კვლევის მეთოდები განსხვავდება დისციპლინების მიხედვით. თუ ჰუმანტარულ მეცნიერებებში მეთოდები ერთიანდებიან ცნება **გაგების** გარშემო, საბუნებისმეტყველოსა და სოციალურ მეცნიერებებში კვლევის წარმართვის მთავარი კრიტერიუმები მეტწილად **ახსნაა**. ამრიგად, არსებობს მეთოდები, რომელთა საშუალებითაც რამის გაგებაა შესაძლებელი და მეთოდები, რომელთა დახმარებითაც ფაქტები, მოვლენები თუ შემთხვევები აიხსნება.

¹⁴ თუ ძირითადი ნაწილი თავებად დაყოფილი არ არის, მაშინ ამავე პრინციპით მოგიწევთ თითოეული აბაზაცის დამუშავება, რაც იმას ნიშნავს, რომ აბაზაცებს უნდა გააჩნდეს მწყობრი სტრუქტურა.

სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი ნაწილი არის კვლევის მსვლელობის აღწერა: რა წაიკითხეთ, გააანალიზეთ, რისი ინტერპრეტაცია მოახდინეთ, რა მონაცემები მოიპოვეთ და როგორ შეაფასეთ ისინი. ამ კომპონენტების შესასრულებლად კი აუცილებელია, აკადემიური მუშაობის შემდეგი ტექნიკების გამოყენება:

- წყაროების მოძიება (იხ. თავი 4)
- არგუმენტირება (იხ. თავი 6)
- ციტირება, პარაფრაზირება და რეზიუმირება (იხ. თავი 7)
- წყაროების გამოყენება და დამოწმება (იხ. თავი 7)

2.1.6. დასკვნა

სამეცნიერო ნაშრომის დასკვნა შესავალ ნაწილთან ერთად ნაშრომის ჩარჩოს ქმნის და ეს ორივე კომპონენტი მჭიდროდ უკავშირება ერთმანეთს. დასკვნა სრულყოფს ნაშრომს და ამრიგად, იგი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დაწეროთ.

დასკვნის დანიშნულებაა, ჩამოაყალიბოს პასუხი საკვლევ კითხვაზე და წარმოაჩინოს, როგორ განხორციელდა კვლევის მიზანი. ამ ნაწილში უნდა შეაჯამოთ კონკრეტული შედეგები, სახელდობრ, გადმოსცეთ, რა დადგინდა კვლევის, ანალიზის, ინტერპრეტაციის და ა.შ. შედეგად. იგი სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:

- კვლევის მიზნის, ჰიპოთეზის, მთავარი კითხვის რეკონსტრუქცია
- კონკრეტული შედეგების წარმოდგენა
- სამომავლო პერსპექტივების დასახვა

დასკვნაში არ უნდა წამოიწყოთ ახალი თემა და იმსჯელოთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ნაშრომის ძირითად ნაწილში არ გიხსენებიათ. სამაგიეროდ, მასში კიდევ ერთხელ შეგიძლიათ აღნიშნოთ, რა არის თქვენი კვლევის მონაპოვარი და რა სიახლე შეგაქვთ საკითხის შესახებ არსებულ ცოდნაში. გაითვალისწინეთ, დასკვნა ლაკონური და მოკლე უნდა იყოს და ნაშრომის მხოლოდ 10%-ს წარმოადგენდეს.

დასკვნაში არ იწერება:

- ის მონაკვეთები, რომლებიც უკვე გიწერიათ ნაშრომის შესავალ ან ძირითად ნაწილებში
- თეორიული მიმოხილვა ან კონტექსტის აღწერა
- ციტატა და პარაფრაზი, რადგან დასკვნაში მხოლოდ კვლევის შედეგები უნდა წარმოაჩინოთ და აქ სხვა ავტორთა მოსაზრებები უადგილოა
- ცნებებათა განმარტებები

2.1.7. ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფია¹⁵, იგივე გამოყენებული ლიტერატურა სამეცნიერო ნაშრომის ის სტრუქტურული ერთეულია, რომელშიც ნაშრომში განხილული, დამუშავებული და

¹⁵ ბერძნული სიტყვაა, სადაც biblion ნიშნავს „წიგნს“, ხოლო graphō – „ვწერ“-ს.

ციტირებული ყველა წყარო არის აღნუსხული ანბანური თანმიმდევრობით. ბიბლიოგრაფიის გამართვის სტილი და პრინციპები დაწვრილებით იხილეთ თემა 7-ში.

2.1.8. დანართი

მონაცემები და ფაქტები, რომლებიც ნაშრომის გასაგებადაა საჭირო, ან თქვენს მსჯელობას ამყარებს, შეგიძლიათ, დანართში განათავსოთ. მისი საშუალებით მკითხველი იღებს დეტალურ ინფორმაციას კონკრეტულ საკითხზე. დანართის დართვა იმ შემთხვევაშია გონივრული, თუ აღნიშნული მონაცემები იმდენად მრავლისმომცველია, რომ მათი ძირითად ტექსტში მითითება ტექსტის კითხვას გაართულებდა. ამგვარი მასალები კვლევის დეტალებია, როგორებიცაა: კითხვარი ინტერვიუებისთვის, ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ნახატები, ხელნაწერები და ა.შ.

თუ ნაშრომს ერთზე მეტი დანართი აქვს, ისინი უნდა დაინომროს, ხოლო დანართზე შეგიძლიათ მიუთითოთ ტექსტში ჩართული დამოწმებით: (იხ. დანართი N...).

2.2. სამეცნიერო ნაშრომის ფორმატი

სამეცნიერო ნაშრომში თანაბრად ექცევა ყურადღება შინაარსსა და ფორმას. ეს უკანასკნელიც განსაზღვრულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს და ამრიგად, სწორად დაფორმატებული შინაარსის გარეშე ნაშრომი ვერ იქნება ღირებული.

სამეცნიერო ნაშრომის ფორმატთან დაკავშირებით თითოეულ აკადემიურ დასწრებულს თავისი მოთხოვნები და წესები აქვს. წინამდებარე ქვეთავში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის სახელმძღვანელოზე დაყრდნობით გაგაცნობთ Microsoft Word-ის დოკუმენტის დაფორმატების ძირითად წესებს¹⁶:

შრიფტის ტიპი: ქართულენოვანი ტექსტის შემთხვევაში გამოიყენება შრიფტი Sylfaen (ქართულ უნიკოდში შესრულებული). აუცილებელია, რომ ერთი ნაშრომის ფარგლებში შეინარჩუნოთ შრიფტის მხოლოდ ერთი ფორმატი.

შრიფტის ზომა: ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 12; სათაურის შრიფტის ზომა - 14, გამუქებული (Bold), ცენტრირებული; სქოლიოსა და ტექსტიდან გამოყოფილი ციტატის შრიფტის ზომა - 10;

ინტერვალი სტრიქონებს შორის: ძირითად ტექსტში - 1.5; სქოლიოსა და ტექსტიდან გამოყოფილი ციტატისშემთხვევაში - 1;

აბზაცები: როგორც წესი, ტექსტი უნდა დაიყოს აბზაცებად. სასურველია, თითოეული აბზაცი არ იყოს 3 სტრიქონზე ნაკლები და გვერდის 1/3-ზე მეტი. აბზაცებს შორის არ უნდა გამოტოვოთ ცარიელი ხაზი. აბზაცებს შორის ინტერვალი - Paragraph → Spacing After-6; Spacing Before-0;

ველები (არეები): ზედა ველი - 2 სმ; ქვედა ველი - 2 სმ; მარცხენა ველი- 2,5 სმ; მარჯვენა ველი - 2 სმ; ტექსტი ორივე, მარჯვენა და მარცხენა კიდეზე მწყობრად უნდა განლაგდეს. ამისთვის მონიშნეთ - Justify Text.

¹⁶ ვორდის დოკუმენტის დაფორმატებასთან დაკავშირებით იხილეთ აკადემიური წერის ცენტრის ლექტორის, მარი დგებუაძის ვიდეო-ლექცია: <https://www.youtube.com/watch?v=EsBILKggIU4> (29.06.2018).

გვერდების დანომრვა: გვერდების დანომრვა იწყება შესავლის პირველი გვერდიდან (ეს იქნება გვერდი 1). გვერდის ნომერი მარჯვნივ და ქვემოთ უნდა განთავსდეს: Insert → Page Number → Bottom of Page → Right (ჩუბინიძე 2011, 63-64).

სავარჯიშოები

ჯგუფური დისკუსია: სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურული ერთეულები

ა) რომელი სამი ძირითადი სტრუქტურული ერთეულისგან შედგება სამეცნიერო ნაშრომი? დაასახელეთ თითოეული მათგანი და ჩამოაყალიბეთ მათი ფუნქციები.

	სტრუქტურული ერთეული	დანიშნულება

ბ) სამეცნიერო ნაშრომის კიდევ რომელ სტრუქტურულ ერთეულებს იცნობთ? ჩამოთვალეთ და დააღაგეთ შესაბამისი თანმიმდევრობით.

წვეილური სავარჯიშო: სტრუქტურული ერთეულები

მოცემულია აკადემიური ნაშრომის სტრუქტურული ერთეულების აღწერა. შეურჩიეთ დასახელება თითოეულ მათგანს დადააღაგეთ შესაბამისი თანმიმდევრობით.

ნიშუმი: *ბიბლიოგრაფიაშია*-ში უნდა აღნუსხოთ ნაშრომში განხილული და ციტირებული ყველა წყარო ანბანური თანმიმდევრობით.

1. ----- -ში მოცემულია ის მასალები, რომელთა სრული წარდგენა ძირითად ტექსტში არ არის მიზანშეწონილი, მაგ., კითხვარები, ცხრილები და ა.შ.
2. ----- ნაშრომის ძირითადი ბირთვია და შეიძლება მოიცავდეს: ტექსტების ინტერპრეტაციას, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, თეორიათა შედარებას, ემპირიულ კვლევას და ა.შ.
3. ეს მცირე ზომის ტექსტი ემსახურება წარდგენილი ნაშრომის დაცვას პლაგიატისაგან. ის არის ნაშრომის ავტორის ----- , თავის ნაშრომში პლაგიატის არ არსებობის შესახებ.
4. ----- -ში უნდა იყოს აღნიშნული ნაშრომის ყველა ნაწილი, თავი, ქვეთავი და ა.შ., ნაშრომში მათი თანმიმდევრობის შესაბამისად.
5. ----- -ში ჩვეულებრივ, აღიწერება: საკვლევი პრობლემა, კვლევის მნიშვნელოვნება და აქტუალობა, კვლევის მიზანი, ჰიპოთეზა ან/და საკვლევი საკითხები.
6. -----: ნაშრომის ამ ნაწილში იწერება: ნაშრომის სრული სათაური, ავტორის სახელი და გვარი, პროგრამა, კურსის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, უნივერსიტეტის სახელწოდება და ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი.

7. ----- უნდა აჯამებდეს ჩატარებული კვლევის ყველა ძირითად შედეგს და ხაზს უსვამდეს მათ მნიშვნელობას.

წყვილური სავარჯიშო: ამონარიდები სამეცნიერო ნაშრომიდან

მოცემულია რამდენიმე ამონარიდი ერთ-ერთი სამეცნიერო ნაშრომიდან. განსაზღვრეთ, ტექსტის რომელ სტრუქტურულ ერთეულს ეკუთვნის თითოეული მათგანი.

ამონარიდები	სტრუქტ. ერთეული
1. „ტომას ჰამფრი მარშალი ცდილობს აჩვენოს, რომ უფლებებს საფუძვლად უდევს სხვადასხვა ისტორიული პროცესები“.	ძირითადი ნაწილი
2. „კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი მეთოდები, კერძოდ, კონტენტ ანალიზი, საექსპერტო ინტერვიუები და დოკუმენტების ისტორიული ანალიზი. კონტენტ ანალიზის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებზე დაყრდნობით იმის გარკვევა, თუ რა კონტექსტში ხდებოდა საქართველოს პირველი პირების მიერ მოქალაქის ცნების გამოყენება“.	
3. „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქვეყანაში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მოქალაქის ცნების გაგება შინაარსით უახლოვდება ევროპაში არსებულს, ნიშანდობლივია, შეიქმნას მოქალაქის განვითარების დეტალური სურათი 1918 წლიდან დღევანდელ დღემდე და წარმოჩინდეს მოქალაქის ცნების გაგების ტრანსფორმაცია მე-20 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ დისკურსში.“	
4. „ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“	
5. „მოქალაქის ცნების გაგების ტრანსფორმაცია მე-20 საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ დისკურსში.“	
6. „კვლევის მიზანია, ცნება „მოქალაქის“ გაგების ტრანსფორმაციის შესწავლა XX საუკუნის საქართველოს პირველი პირების საჯარო გამოსვლებზე დაყრდნობით.“	
7. „ამდენად, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში მოქალაქის ცნება უფრო მეტად დაუახლოვდა ევროპულ სტანდარტებს. პოლიტიკა გახდა უფრო თანმიმდევრული და დაიწყო დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების პროცესი.“	

ინდივიდუალური სავარჯიშო: საკვლევი არეალის განსაზღვრა

განსაზღვრეთ მოცემული თემების საკვლევი არეალი და იმსჯელეთ, რომელი მახასიათებლების მიხედვითაა დაკონკრეტებული თითოეული თემა.

1. დიდგვაროვანთა ალზრდის მეთოდები მე-18 საუკუნის საფრანგეთში

2. ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის რეგიონში (საქართველო, სომხეთი

3. ქართველების შრომითი მიგრაცია საფრანგეთში 2010-2015 წლებში

4. ინგლისურენოვანი ფილმების ქართულად დუბლირების თავისებურებები: ფილმების *სიამაყე და ცრურწმენა* და *დიდი გეტსბი მიხედვით*

5. სტუდენტთა თვითშეფასების კვლევის რამდენიმე ასპექტი: ქართული (ილიაუნი) და ამერიკული (ჰარვარდი) უნივერსიტეტების შედარებითი ანალიზი

6. თანამედროვე სწავლების მეთოდების გავლენა მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობაზე დასავლეთ საქართველოს სამი საპილოტე სკოლის მაგალითზე

წყვილური სავარჯიშო: საკვლევი შეკითხვის ტიპები

ქვემოთ იხილავთ საკვლევი კითხვების სხვადასხვა ნიმუშს. თითოეულ მათგანს შეუსაბამეთ საკვლევი კითხვის ტიპი: აღწერითი, ახსნა-განმარტებითი, დაგეგმვითი, საპროგნოზო და შეფასებითი.

1. როგორ შეცვალა ისლამური ტერორიზმი „არაბულმა გაზაფხულმა“?
2. რას წარმოადგენს ისლამური ტერორიზმი დღეს და როგორ განვითარდება იგი მომავალში?
3. რა გავლენა მოახდინა ოსამა ბინ-ლადენის ლიკვიდაციამ ისლამურ ტერორიზმზე?
4. რამდენად ახასიათებს ისლამურ ტერორიზმს ბრძოლა უფრო მეტად პირადი და ორგანიზაციული სარგებლისთვის, ვიდრე იდეოლოგიური მიზნებისთვის?
5. იწვევს თუ არა ცვლილებებს მოსწავლეთა თვითშეფასებაში, პასუხისმგებლობასა და ურთიერთდამოკიდებულებაში თანამშრომლობითი სწავლება?
6. რამდენად შესაძლებელია თანამშრომლობითი სწავლების შედეგად საგნის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლა დადებითით?
7. როგორ გავლენას მოახდენს ინოვაციური ტექნოლოგიებით სწავლება ზოგადად მოსწავლეებზე?

ინდივიდუალური სავარჯიშო: შესავლის ნაწილები

შესავლის რომელ ნაწილში (საკვლევი პრობლემის აღწერა, კვლევის არეალის შემოსაზღვრა, კვლევის აქტუალობა, მიზანი და საკვლევი კითხვა, კვლევის წარმართვა, მომდევნო თავების მოკლე აღწერა ან არცერთი) გვხვდება ქვემოთ ჩამოთვლილი კითხვები?

ნიმუში: კვლევის აქტუალობა - რატომ არის თქვენი თემა საინტერესო და მნიშვნელოვანი?

1. რამდენად აღფრთოვანებული ხართ თქვენი თემით?
2. რატომ ღირს დროის დაკარგვა თქვენი ნაშრომის წასაკითხად?
3. რა პრობლემა/საკითხი განიხილება თქვენს ნაშრომში?

4. რა არის ნაშრომის სათაური?
5. რატომ არის მნიშვნელოვანი თქვენ მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა?
6. რით განსხვავდება თქვენი ნაშრომი აღნიშნულ თემაზე დაწერილი სხვა კვლევებისგან?
7. როგორ/რა მეთოდით დაამუშავეთ ნაშრომის მთავარ საკვლევ კითხვას?
8. რა თანმიმდევრობით იქნება ნაშრომში საკითხები განხილული?

წყვილური სავარჯიშო: შესავლის შეფასება

ა) ქვემოთ იხილავთ სამეცნიერო ნაშრომის „ფილოსოფიური სიცილის თეატრი თომას ბერნჰარდის დრამებში *თეატრის გამკეთებელი* და *ჩვეულების ძალა*“ შესავალს. იმსჯელეთ, რამდენად აკმაყოფილებს იგი აკადემიური ნაშრომის შესავლისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. შეამოწმეთ კრიტერიუმები და შეავსეთ ცხრილი.

თომას ბერნჰარდი XX საუკუნის ავსტრიელი მწერალია. მისი ყველა მოთხრობის, დრამისა თუ რომანის ძირითადი თემებია სიკვდილი, ნეგატიურობა, ორიენტაციის უქონლობა, ინდიფერენტულობა, პესიმიზმი და მოწყენილობა. მის თითქმის ყველა ნაწარმოებში გვხვდება გრძელი, უწმაწური სიტყვებით სავსე მონოლოგები. მწერალი შეურაცხყოფას აყენებს და ლანძღავს მთელ სამყაროს. შედეგად, თომას ბერნჰარდის სახელი და შემოქმედება პროვოკაციასა და სკანდალთან ასოცირდება.	1
1981 წელს, თომას ბერნჰარდის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით კრისტა ფლაიშმანმა მწერლის სატელევიზიო პორტრეტი შექმნა. ინტერვიუში მან პირდაპირ ჰკითხა მწერალს, იყო თუ არა ის უარყოფითი ადამიანი ცხოვრებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით. თომას ბერნჰარდმა დააზუსტა, რომ ეს როლი მას უბრალოდ მიაწერეს, მანაც კარგად მოიგო და სიცოცხლის ბოლომდე ნეგატიურ მწერლად დარჩება. თავის შემოქმედებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ სიცილის სურვილი, კომიკური სიტუაცია ჩნდება იქ, სადაც რაიმეს დეფიციტია, მაგალითად, სულიერი ან ფიზიკური სიმახინჯე, თორემ მასხარაზე, რომელიც სავსებით ნორმალურია, არავინ იცინის. წამყვანის რეპლიკას, რომ ამრიგად მისი ნაწარმოებების მთავარი მიზანი ხალხის გაცინება ყოფილა, მწერალი პასუხობს, რომ მან თავის შემოქმედებაში სიცილის პროგრამა განავითარა და მისთვის წერა ერთგვარი თერაპიაა. როცა მის ცხოვრებაში მძიმე მომენტები დგება, ის თავისივე ნაწარმოებს შლის, კითხულობს და იცინის.	10
თომას ბერნჰარდის ამ შეფასებას მოჰყვა არაერთი კვლევა, რომლების მიზანიც მწერლის მოთხრობებსა და რომანებში კომიკური მექანიზმების არსებობის დადასტურებაა. ამ მხრივ, აღსანიშნავია ჰერვიგ ვალიტშის, მარტინ ჰუბერის და კლარა ერვედოსას ნაშრომები. აღნიშნულ კვლევებში განხილულია კომიზმის თითქმის ყველა ცნობილი და გავრცელებული თეორია და ამ თეორიების დამადასტურებელი პრაქტიკული მაგალითები თომას ბერნჰარდის ნაწარმოებებში.	20
წინამდებარე ნაშრომის მიზანია, თომას ბერნჰარდის მიერ განვითარებული სიცილის ხაზის, იგივე სიცილის პროგრამის ელემენტების მოძიება მის დრამატულ ნაწარმოებებში <i>თეატრის გამკეთებელი</i> და <i>ჩვეულების ძალა</i>. დასახული მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია ტექსტის გაგების ჰერმენევტიკული მეთოდის გამოყენება. „ჰერმენევტიკა“ ნიშნავს ტექსტების გაგებისა და ინტერპრეტაციის თეორიასა და პრაქტიკას. ინტერპრეტაციის დროს ინტერპრეტატორი ცდილობს ახსნას, როგორ (რის საფუძველზე) გაიგო ტექსტი ისე, როგორც გაიგო.	30

დასახული მიზნის განსახორციელებლად ნაშრომი ოთხი ძირითადი თავისგან შედგება. პირველ თავში განვიხილავთ თეორიულ საფუძვლებს, სახელდობრ, ჰერმენევტიკას, როგორც კვლევის მეთოდს. მეორე თავში წარმოდგენილი იქნება კომიზმის ძირითადი ტიპები და გავრცელებული თეორიები. სახელდობრ, შეუსაბამობის, ტრანსგრესიისა და ლიმიტაციის თეორიები. ამავე თავში განვიხილავთ კომიზმის სამ ძირითად ფორმას: მოქმედი გმირების კომიზმს, სიტუაციის კომიზმსა და სიტყვების კომიზმს. თავის დასასრულს შევაჯამებთ ლიტერატურულ ნაწარმოებში კომიკური ეფექტების შექმნისთვის აუცილებელ წინაპირობებს. მეორე თავის პირველ ქვეთავში მიმოვიხილავთ კომიზმის ფენომენის სხვადასხვა ფილოსოფიურ ახსნა-განმარტებას ანტიკური ეპოქიდან დღემდე. მეორე თავის მესამე ქვეთავი დაეთმობა ანრი ბერგსონის ესეს <i>სიცილი</i>, რომელშიც კომიზმის მნიშვნელოვანი კატეგორიებია წარმოდგენილი. ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება თომას ბერნჰარდის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვას, ხოლო მეოთხე თავში უშუალოდ ავტორის დრამები იქნება განხილული. მეოთხე თავის პირველ ქვეთავში <i>თეატრის გამკეთებლის</i> მოკლე შინაარსს წარმოვადგენთ. შემდეგი საფეხური კი იქნება დრამაში არსებული კომიკური ელემენტების დადასტურება ზემოთ აღნიშნული კომიზმის თეორიების საფუძველზე. მეოთხე თავის მეორე ქვეთავში იმავე პრინციპით განვიხილავთ დრამას <i>ჩვეულების ძალა</i>. ნაშრომის დასკვნით ნაწილში კონკრეტულ ტექსტობრივ მასალაზე დაზრდნობით დავადასტურებთ შესავალში დასმულ ცენტრალურ საკითხს, რომ თომას ბერნჰარდის მიერ საკუთარ ნაწარმოებებში განვითარებული სიცილის პროგრამა აღნიშნულ დრამებშიც იქნეს თავს.				40
მოთხოვნები	კრიტერიუმები	შესრულება	სტრუქტურა	
შესავლის წერის ტექნიკების ფლობა	საკვლევი პრობლემის ჩამოყალიბება	✓	1-5	
	კვლევის არეალის შემოსაზღვრა/საკვლევი საკითხის ჩარჩოს დადგენა			
	საკვლევი კითხვის ჩამოყალიბება			
	კვლევის აქტუალობის განსაზღვრა			
	კვლევის მიზნის ჩამოყალიბება			
	საკითხის შესახებ არსებული კვლევების მოკლე მიმოხილვა და კვლევებში არსებული ხარვეზის წარმოჩენა			
	ნაშრომის აგებულების წარმოჩენა			
	ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი ცნებების განმარტება			
ტექსტში წყაროების გამოყენება და დამოწმება	წყაროების სანდოობა და შესაბამისობა			
	სხვა ავტორების ციტირება			
	პარაფრაზირება			
	რეზიუმირება			
	წყაროს დამოწმება			
შესაბამისობა აკადემიურ მახასიათებლებთან	ენობრივი და სტილისტური გამართულობა			
	აბზაცების აზრობრივი ბმა			
	სადა, ლაკონიური, ობიექტური მსჯელობა			

ბ) ზემოთ მოცემულ შესავალზე დაყრდნობით ააგეთ აკადემიური ნაშრომის სავარაუდო სარჩევი.

გ) შესავალსა და სავარაუდო სარჩევზე დაყრდნობით დაწერეთ ნაშრომის დასკვნა.

დ) ერთ-ერთ თანაჯგუფელთან ერთად შეაფასეთ თქვენ მიერ დაწერილი დასკვნითი ნაწილი შემდეგი კითხვების მიხედვით:

- მოიცავს დასკვნა ნაშრომის მნიშვნელოვანი შედეგებისა და მიგნებების შეჯამებას?
- მოკლედ სცემს პასუხს შესავალში დასმულ საკვლევ კითხვას?
- წარმოადგენს კვლევის სამომავლოდ გაგრძელების პერსპექტივებს?
- შესავალი და დასკვნა თანხვედრაშია ერთმანეთთან? ქმნის ორივე აკადემიური ნაშრომის ჩარჩოს?

ინდივიდუალური სავარჯიშო: ხარვეზული სარჩევი

მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სარჩევი სათაურით *კორუფცია და ინსტიტუტები საქართველოს გარდამავალ პერიოდში*. ყურადღებით წაიკითხეთ იგი და უპასუხეთ ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებს.

შინაარსი	
შესავალი.....	1
თავი 1: კორუფცია და ინსტიტუტები	4
1.1. კორუფციის ცნება.....	4
1.1. კორუფციის ტიპოლოგია	17
თავი 2: კორუფციის ფორმები	21
2.1. ქრთამი	21
2.2. კლეროკრატია.....	24
2.3. კრონიზმი	26
2.4. კორუფცია და ეკონომიკური ინსტიტუტები	27
თავი 3: თეორიული საფუძველი	28
3.1. კორუფციის გამომწვევი მიზეზები	28
3.2. გარდამავალი დემოკრატია	31
თავი 4: კორუფცია საქართველოში	35
4.1. „ვარდების რევოლუციის“ წინა პერიოდი	35
4.2. „ვარდების რევოლუცია“ და ანტიკორუფციული რეფორმები	37
4.3. ინსტიტუციონალური რეფორმები.....	40
4.4. პოლიტიკური „ელიტური“ კორუფცია	43
დასკვნა	51
დანართები	54
ბიბლიოგრაფია	59

ა) იმსჯელეთ, რა პრინციპით არის აგებული სარჩევი (ინდუქციური, დედუქციური თუ შედარებითი).

ბ) რამდენად მოკლე და კონკრეტულია თავებისა და ქვეთავების სათაურები? გვხვდება თუ არა იდენტური სათაურები? იმსჯელეთ სარჩევში სათაურების მართლწერის საკითხზე.

გ) სხვა რა ხარვეზები აქვს აღნიშნულ სარჩევს? რას და როგორ გამოასწორებდით?

შემაჯამებელი ტესტი: სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და ფორმატი

შემოხაზეთ სწორი პასუხი (დასაშვებია, ერთზე მეტი მართებული პასუხის არსებობა).

1. სამეცნიერო ნაშრომის რომელ ნაწილში იწერება ნაშრომის სათაური?

- ა) შესავალი
- ბ) თავფურცელი
- გ) სარჩევი
- დ) ძირითადი ნაწილი

2. ჩამოთვლილთაგან, რომელ საკითხებს არ უნდა მოიცავდეს საშინაო ნაშრომის შესავალი?

- ა) კვლევის მიზანი
- ბ) აღწერა იმისა, რამდენად მოხიბლული ხართ არჩეული თემით
- გ) საკვლევი კითხვები
- დ) საკვლევი პრობლემის აღწერა

3. თავფურცელზე არ იწერება

- ა) ავტორის სახელი და გვარი
- ბ) ხელმძღვანელის სახელი და გვარი
- დ) გამოყენებული წყაროები
- ე) ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი

4. ნაშრომის ძირითად ნაწილში იწერება

- ა) სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა
- ბ) კვლევის მიზანი
- გ) ბიბლიოგრაფია
- დ) განაცხადი

5. ნაშრომის რომელ ნაწილში უნდა აღნიშნოთ, რა სიახლე შეგაქვთ საკვლევი საკითხის შესახებ არსებულ ცოდნაში?

- ა) ძირითადი ნაწილი
- ბ) შესავალი
- გ) დასკვნა
- დ) განაცხადი

6. აკადემიური ნაშრომის ძირითად გვერდებს განეკუთვნება

- ა) თავფურცელი, შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა
- ბ) სარჩევი, დანართი, ბიბლიოგრაფია
- გ) შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა
- დ) თავფურცელი, განაცხადი, სარჩევი

7. ჩამოთვლილთაგან, რომელი კომპონენტი არ განეკუთვნება დასკვნით ნაწილს?

- ა) გრაფიკებისა და ცხრილების ჩამონათვალი
- ბ) კვლევის შედეგების შეჯამება
- გ) საკვლევი კითხვა
- დ) გამოყენებული ლიტერატურის აღწერა

8. რომელი დებულებაა არასწორი?

- ა) თავფურცელი ინომრება
- ბ) სქოლიოს ტექსტში სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 1
- გ) სქოლიოს ტექსტის ზომა არ განსხვავდება ძირითადი ტექსტის ზომისგან
- დ) ძირითად ტექსტში სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 1,5

9. Word-ის დოკუმენტში justify-ფუნქციით უზრუნველყოფილია

- ა) ველების გამართვა
- ბ) გრაფიკული ობიექტების ჩასმა
- გ) გვერდებისდანომრვა
- დ) ტექსტის მწყობრი განლაგება მარჯვენა და მარცხენა კიდეზე

10. Word-ის დოკუმენტში ქართულენოვანი ტექსტი იბეჭდება

- ა) Sylfaen-ით
- ბ) AcadNusx-ით
- გ) AcadMtavr-ით
- დ) გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, შრიფტის რომელ სახეობას აირჩევთ

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

- დოლიძე, ანა. 2017. *აკადემიური წერა სამართალში*. თბილისი: „უნივერსალი“.
- ეკო, უმბერტო. 2014. *როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი*. მთარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე.
- თურაბიანი, ქეთი ლ. 2007. *სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტისა და მკვლევრებისათვის*. მთარგმნ. ანა ადამია და მარინე თავყელიშვილი. <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sakhelmdzghvanelo-repheratebis-thezisebis-da-disertatsiebis-avtorebisathvis-qeith-l.-thurabiani.pdf> (29.06.2018).
- ჩუბინიძე, ნინო, რედ. 2011. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის*. პირველი ელექტრონული გამოცემა. თბილისი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (29.06.2018).

გამოყენებული ლიტერატურა გერმანულ ენაზე:

- Esselborn-Krumbiegel, Helga. 2017. *Richtig wissenschaftlich schreiben. Wissenschaftssprache in Regeln und Übungen*. 5., aktualisierte Auflage. Paderborn: Schöningh.
- Gruber, Helmut, Huemer, Birgit und Markus Rheindorf. 2009. *Wissenschaftliches Schreiben*. Wien: Böhlau.
- Hiennerth, Claudia, Huber, Beate und Daniela Süssenbacher (Hr.). 2009. *Wissenschaftliches Arbeiten kompakt*. Wien: Linde.
- Kornmeier, Martin. 2009. *Wissenschaftlich schreiben leicht gemacht. Für Bachelor, Master und Dissertation*. 2. Auflage. Bern: Haupt.
- Rettig, Heike. 2017. *Wissenschaftliche Arbeiten schreiben*. Stuttgart: Metzler.
- Stickel-Wolf, Christine und Joachim Wolf. 2016. *Wissenschaftliches Arbeiten und Lerntechniken*. 8. Auflage. Wiesbaden: Springer.
- Wytrzens, Hans Karl, Schauppenlehner-Kloyber, Elisabeth, Sieghardt, Monika und Georg Gratzner. 2014. *Wissenschaftliches Arbeiten. Eine Einführung*. 4., aktualisierte Auflage. Wien: Facultas.

თემა 3. მზადება სამეცნიერო ნაშრომისთვის (თინათინ საბაური)

მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ შეკითხვებს:


- როგორ დავგეგმოთ სამეცნიერო/საშინაო ნაშრომზე მუშაობის პროცესი?
- როგორ ვმართოთ დრო სწორად?
- როგორ შევარჩიოთ სამეცნიერო/საშინაო ნაშრომის თემა?

ამ თავში გაეცნობით ინდივიდუალურ თემაზე მუშაობის დაწყებისა და მომზადების პროცესს, რომელიც არსებითია წარმატებული აკადემიური წერისათვის. აქ წარმოდგენილი იდეები და შემოთავაზებები დაგეხმარებათ, დაგეგმოთ მუშაობის პროცესი მრავალფეროვანი აქტივობების, ცხრილებისა და სხვადასხვა სახელმძღვანელო პრინციპის გამოყენებით.

ნაშრომის /თემის დაგეგმვის პროცესისთვის დროის დათმობა ღირებულია, რადგან ასე უკეთესად შეძლებთ, წარმატებულად შეასრულოთ სამუშაოს ნაწილი და მიიღოთ საუკეთესო შეფასება გაწეული შრომისთვის. იმისთვის, რათა ნაშრომზე მუშაობა იყოს ნაყოფიერი, საჭიროა, თემა შეარჩიოთ ძალიან ყურადღებით. საკვლევი თემის შერჩევისას შესაძლოა, გამოვყოთ ორი ტიპის მკვლევარი:

1. მკვლევარი, რომელიც ირჩევს ფორმალურ გზას: გეგმა ყოველგვარი ფიქრისა და ძალისხმევის გარეშე პირდაპირ გადააქვს ქაღალდზე.
2. მკვლევარი, რომელიც გასაქანს აძლევს იდეებს, ფიქრობს საკვლევი თემის შესახებ, აყალიბებს მას გონებაში, მისთვის წერილობითი ფორმის მიცემის გარეშე.

არჩევანი იმის შესახებ, როგორ აპირებთ საკვლევ თემაზე მუშაობის დაწყებას და რომელ გზას დაადგებით, ცხადია, თქვენზეა, თუმცა საჭიროა, გაითვალისწინოთ, რომ ყოველთვის, როცა იწყებთ ნებისმიერი სახის ტექსტზე მუშაობას, თქვენ წინაშე ისმის სამი კითხვა:



3.1. რას წერთ?

აკადემიური ნაშრომის შექმნის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა საკვლევი თემის შერჩევა.

როგორ უნდა შეარჩიოთ თემა? საკვლევი თემის შერჩევა ერთ-ერთი ყველაზე რთული და დამაბნეველი ეტაპია დამწყებ მკვლევართათვის. ჩვენ გარშემო არის ინფორმაციის, პრობლემების, საინტერესო და აქტუალური საკითხების მთელი სპექტრი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს აღგვიძრავს დაბნეულობას, სახელდობრ: რომელ თემაზე უნდა შეაჩეროთ არჩევანი? რომელი თემა იქნება საინტერესო და აქტუალური?

გამოიყოფა თემის შერჩევის ორი თეორიული შესაძლებლობა:

1. ავტორი თავისი ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით ირჩევს საკვლევ თემატიკას;
2. ნაშრომს ქმნის სხვისი (მოსწავლე — მასწავლებლის, სტუდენტი — ლექტორის) დავალებით.

თემის შერჩევის სტრატეგიები: თუ ავტორი თავად ირჩევს თემას, უწინარესად, უნდა განისაზღვროს ინტერესთა სფერო:

- თავდაპირველად ჩამოწერეთ თქვენთვის საინტერესო სფეროები და იქიდან აირჩიეთ ერთ-ერთი — რომელიც თქვენთვის ნაცნობია ან გაინტერესებთ. ეს შეიძლება იყოს ლიტერატურა, პოეზია, ფილოსოფია, სპორტი, კლასიკური მუსიკა.
- რა წაიკითხეთ, ან ნახეთ ამ ბოლო დროს? ეს შეიძლება იყოს ძალიან საინტერესო წიგნი, დამაფიქრებელი ფილმი.
- რომელი თემაა ისეთი, რომელზეც გარკვეული დროის განმავლობაში შეძლებთ და მოისურვებთ ინტენსიურად მუშაობას?
- ჩაიხედეთ ბოლო დროს გამოცემულ სახელმძღვანელოებში, დარგობრივ ენციკლოპედიაში ან სხვა საცნობარო ლიტერატურაში. დაათვალიერეთ სარჩევი, იქნებ რომელიმე სათაურმა ან ქვეთავმა მიიპყროს თქვენი ყურადღება.
- გაესაუბრეთ დარგის სპეციალისტს. მას შეუძლია დაგისახელოთ ისეთი ლიტერატურა, რომელშიც დარგის ძირითადი საკითხები იქნება მიმოხილული.
- ესაუბრეთ თანაჯგუფელებსა და თანაკურსელებს, უფროსკურსელებს, რომელთაც ეს კურსი უკვე გავლილი აქვთ. ინტენსიური საუბრები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ხშირად ძალიან ეხმარება დამწყებ მკვლევარს ინტერესთა სფეროს გაცნობიერებასა და იდენტიფიკაციაში.
- რომელი საკითხებია ისეთი, რომელთა დამუშავებაც სწავლის პერიოდსა და თქვენს სამომავლო პროფესიაში წაგადგებათ?

3.2. ვისთვის წერთ?

მეორე კითხვაზე პასუხის გასაცემად, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია აუდიტორიის გათვალისწინება. ამისთვის საჭიროა, შეარჩიოთ ნაშრომისთვის შესაბამისი სტილი და თემატიკა, რაც ხდება ორი მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით:

ა) აუდიტორია — ვინ იქნება თქვენი მკითხველი? — ფართო საზოგადოება, თანაკურსელები, ლექტორი, დარგის სპეციალისტები, უნივერსიტეტის სტუდენტები თუ რომელიმე სხვა ჯგუფი; და

ბ) მიზანი - რისთვის იწერება ნაშრომი

3.3. რისთვის წერთ?

საშინაო ნაშრომზე მუშაობის პროცესში კვლევის მიზანი უმნიშვნელოვანესია. წარმოიდგინეთ, რომ კონკრეტულ მკითხველს კონკრეტულ საკითხზე ესაუბრებით.

წერა გაცილებით ადვილია, როცა თქვენ :

- გარკვეული წინარე ცოდნა და ინტერესი გაქვთ ნაშრომის თემატიკაზე; ზუსტად გაქვთ განსაზღვრული, რა გაინტერესებთ მოცემული თემის ფარგლებში; ჩამოყალიბებული გაქვთ საკითხები, რომელთა შესახებაც უკვე გაქვთ გარკვეული მოსაზრებები ან გსურთ, მეტი იცოდეთ;
- დასახული გაქვთ წერის მიზანი; იცით, რას ემსახურება თქვენი დავალება, მაგალითად: რაიმე უნდა ახსნათ, თუ კონკრეტული პოზიციის დასაბუთებას უნდა შეეცადოთ.

3.4. სათაურის შერჩევა

აუდიტორიისა და მიზნის გათვალისწინების შემდეგ ავტორმა უნდა შექმნას ეფექტური და საკვლევი ნაშრომის თემის შესაბამისი სათაური. სათაური ტექსტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. საკვლევი თემისა და საკითხის სწორად განსაზღვრის შემდეგ დგება სათაურის სწორად შერჩევის საჭიროება. სწორად შერჩეულ სათაურს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ნაშრომის წარმატებისთვის.

სათაურის მიზანია:

- აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა: სათაურში ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი საკვლევი საკითხი;
- ინტერესის აღძვრა, საკვლევი თემისთვის შესაბამისი განწყობის შექმნა;
- ძირითად იდეაზე აქცენტის გაკეთება.

გაითვალისწინეთ — სწორად შერჩეული სათაურის მახასიათებლებია:

- ტექსტთან ბმულობა — სათაური აუცილებლად უნდა იყოს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული და მასში უნდა აისახოს კვლევის მიზანი.
- ლაკონურობა — სათაური უნდა იყოს მოკლე, მაგრამ, იმავდროულად, მასში მკაფიოდ უნდა წარმოჩნდებოდეს საკვლევი საკითხი. კარგი, ნათლად ჩამოყალიბებული სათაური სასურველია, არ მოიცავდეს თორმეტ სიტყვაზე მეტს. უნდა გახსოვდეთ, რომ სათაური განსაზღვრავს ნაშრომის სტილსაც.

შევადაროთ ერთმანეთს ორი ნაშრომის სათაური:

1. *სირთულეები სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა სწავლისა და სწავლების პროცესში და მათი დაძლევის სტრატეგიები*

და:

2. სამსახურიდან სპონტანურად დათხოვნილი თანამშრომლების პროტესტი

პირველი სათაურის მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნაშრომი აკადემიური სტილისაა და მასში განხილული იქნება სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში გამოვლენილი სირთულეები და მკითხველი, ამავდროულად, გაეცნობა მათი დაძლევის სხვადასხვა სტრატეგიას. ხოლო მეორე სათაურში ჩანს, რომ საკითხის განხილვა აკადემიურ ჭრილში კი არ ხდება, არამედ — საქმე ეხება პროტესტს — სამსახურიდან დათხოვილი თანამშრომლების უკმაყოფილებას.

რჩევები ეფექტური სათაურის შესარჩევად:

- ეცადეთ, სათაური ისე ჩამოაყალიბოთ, რომ იგი იყოს ინტერესის აღმძვრელი. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ არ გამოგივიდეთ მეტისმეტად სკანდალური (მაგ.: *თურქეთში ქართველი ბიჭი ცემით მოკლეს?! ამგვარი სათაური დამახასიათებელია ჟურნალისტური სტილისთვის და ხშირად შეგხვდებათ პოპულარულ გაზეთებსა და ჟურნალებში.*)
- სათაური უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი და ნათელი (მაგ. არა ამგვარი: *ოინბაზის არქექტიპი მითოლოგიიდან თანამედროვე რომანამდე*).
- ეცადეთ, არ გამოგივიდეთ სათაური ძალიან ზოგადი, მით უფრო მაშინ, როცა კონკრეტულ საკითხზე მუშაობთ, რაც, საბოლოოდ, მკითხველის მოლოდინის გაცრუებას გამოიწვევს, მაგალითად, თუ ვწერთ ნაშრომს საქართველოში გარემოს დაბინძურების შესახებ, ამგვარი სათაური შეუსაბამოა (არარელევანტური): *ეკოლოგიური პრობლემების გამომწვევი მიზეზები თანამედროვე მსოფლიოში*. ან პირიქით, თუ ვწერთ ნაშრომს გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე პატარა ქვეყნების კულტურასა და იდენტობაზე დაყრდნობით, მაშინ თემის სათაურად არ უნდა ავირჩიოთ: *კულტურისა და იდენტობის საკითხის განსაზღვრა საქართველოს მაგალითზე*.

არაეფექტურია შემდეგი სათაურის გამოყენება: *ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი*.

ამ ბუნდოვანი და ზოგადი სათაურის მაგივრად, უმჯობესია, დაწეროთ: *ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის თავისებურებანი თანამედროვე საქართველოში გატარებული რეფორმების მაგალითზე*.

სათაურის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანია თემის დავიწროება ფართო თემიდან ვიწრო თემამდე. ხშირ შემთხვევებში თემა ძალიან ფართოა, თუ შესაძლებელია მისი ოთხზე ნაკლები სიტყვით გადმოცემა, მაგალითად, ძალიან ზოგადია სათაური — *მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფია*. იგი შეიძლება შემდეგნაირად დავიწროვდეს:

- *მონატრების კულტივაციის საკითხი მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიაში;*
- *სოციალური სტერეოტიპების ასპექტები მერაბ მამარდაშვილის შემოქმედებაში;*
- *რელიგიური თემა და მისი ადგილი მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიაში;*

- *ფილოსოფიის გარდაუვალობა თითოეული ადამიანის ცხოვრებაში მამარდაშვილის მიხედვით.*

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება კვლევის მიზანი და აუდიტორია, საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ ავტორს არ ჰქონდეს ემოციური დამოკიდებულება საკვლევი თემის მიმართ, მაგალითად, თუ სტუდენტი წერს ნაშრომს აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეთა სწავლების პროცესში არსებულ სხვადასხვა გამოწვევაზე და მას ჰყავს ოჯახის წევრი ან ახლობელი აუტისტური სპექტრით, მას გაუჭირდება, ექსპრეტის თვალთ გააანალიზოს საკითხი, და სავარაუდოა, რომ საკითხს სუბიექტური კუთხით განიხილავს. სუბიექტური იყოს შეიძლება ავტორი/მკვლევარი ასევე ისეთი საკითხების კვლევისას, რომლებიც უშუალო კავშირშია მკვლევრის თანადროული ცხოვრების სტილთან და მისი განხილვა აქტუალურია საზოგადოებაში. ასეთ შემთხვევაში ხშირია მკვლევრის ემოციური და სუბიექტური დამოკიდებულება საკვლევი პრობლემის მიმართ, მაგ.: *მარიხუანას ლეგალიზაცია და საფრთხეები; გენდერული თანასწორობა შრომით ბაზარზე; ქალთა დისკრიმინაცია ოჯახში; ბულინგის ფორმები და მასთან ბრძოლის სტრატეგიები.*

3.5. თემის „ლანდშაფტი“

ინდივიდუალურ ნაშრომზე მუშაობის პროცესი მოიცავს ყველა იმ ფიზიკურსა და ფსიქიკურ აქტივობას, რომლებიც დასრულებული ნაშრომის შექმნას ემსახურება. წერა საკმაოდ შრომატევადია, ამრიგად, ვიდრე ნაშრომზე მუშაობას დაიწყებთ, მნიშვნელოვანია, დაფიქრდეთ, რომელი ტიპის ნაშრომის შექმნას აპირებთ (ესე, მოხსენება, პროექტი, აბსტრაქტი, აკადემიური ნაშრომი). მოიპოვება არაერთი საკითხი, რომელთა ცოდნაც გჭირდებათ, ვიდრე უშუალოდ აკადემიურ ნაშრომზე მუშაობას შეუდგებოდეთ, სახელდობრ:

- როდის იჭურება ჩაბარების ვადა? იმისთვის, რათა შეძლოთ სტრესის გარეშე მუშაობა და, ამასთან, სრულფასოვნად მოასწოროთ ნაშრომის დაწერა, უმნიშვნელოვანესია, თავიდანვე დაიჭიროთ თადარიგი და წინასწარ იცოდეთ, როდის უნდა ჩააბაროთ ნაშრომის დასრულებული ვერსია.
- როგორ უკავშირდება არჩეული თემის/ნაშრომის თემატიკა კურსის შინაარსს?
- რა უნდა ვიცოდე / რა წინარე ცოდნა მჭირდება ამ თემის შესახებ?

3.6. შეფასების კრიტერიუმები

მნიშვნელოვანია, წერის დაწყებამდე გაარკვიოთ, როგორ შეფასდება ნაშრომის თითოეული კომპონენტი, მაგალითად, თუ ფასდება ბიბლიოგრაფია და თქვენ არ მიგითითებიათ ის, მაშინ გარკვეული რაოდენობის ქულები დაგაკლდებათ ამ კომპონენტში. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგად-საგნობრივი კრიტერიუმები, რომლებიც შეტანილი იქნება შეფასების სქემაში:

- შესავალი ნაწილი და მისი კომპონენტები;
- სამეცნიერო სტილი და ტერმინოლოგია

- ენობრივი გამართულობა;
- ძირითადი ნაწილი და დასკვნა;
- დიზაინი/ ვორდის დოკუმენტის გამართულობა;
- ბიბლიოგრაფია, ცხრილები, დიაგრამები, დანართები.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკუთარ თავს დავუსვათ ისეთი კითხვები, როგორებიცაა: როგორ შეფასებას ისურვებდით ამ ნაშრომში? მაღალი შეფასების მიღებაა თქვენი მიზანი, თუ მხოლოდ მინიმალური ზღვრის გადალახვა? ამის გარკვევა დაგეხმარებათ იმის გადაწყვეტაში, როგორ უნდა გაანაწილოთ დრო და სამუშაო და რა ტიპის დავალებების შესრულება მოგიწევთ.

3.7. რას უნდა მოიცავდეს ნაშრომი?

როგორც აღინიშნა, პირველი ეტაპია იმის გაანალიზება, რომელი ტიპის ნაშრომის წერას აპირებთ და როგორ შეფასდება იგი. ამის შემდეგ კი საჭიროა იმის დაგეგმვა, რა გჭირდებათ საამისოდ. ქვემოთ განვიხილავთ აკადემიური წერის სამ ჟანრს, რომლებიც უფრო ხშირად გამოგადგებათ უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისას. ესეს სტრუქტურა განსხვავდება მოხსენების სტრუქტურისგან, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, განსხვავდება კვლევითი ნაშრომის სტრუქტურისგან.

ესე შეიძლება განვსაზღვროთ როგორც თხზულების ფორმა, რომელიც წარმოადგენს გავრცელებულ საერთო აზრს ან ავტორის (სტუდენტის) მოსაზრებებს ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის, მოვლენის, ფაქტის, აზრის შესახებ. ესეში უპირატესია დაფარულის გამოამჟღავნება და ავტორისეული შეფასებებისა და სუბიექტური მოსაზრებების გადმოცემა ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

მოხსენების მომზადება ავითარებს მიზნისა და აუდიტორიისთვის შესაფერისი ტექსტის აგების/ორგანიზების უნარს. ეს კი მოითხოვს კრიტიკული წაკითხვის უნარს, ჩანაწერების, მონახაზის გაკეთებას, რეზიუმირებას. **ზეპირი მოხსენებისას** აუდიტორიისთვის ინფორმაციის უკეთ მისაწოდებლად მიზანშეწონილია ვიზუალური საშუალებების, სქემების, გრაფიკების, რუკების, სლაიდების, პროექტორის გამოყენება. მოხსენების მომზადებისას სასურველია, მსმენლებს გააცნოთ პრეზენტაციის გეგმა, ე.ი. ის საკითხები, რომლებზეც აპირებთ მსჯელობას. მნიშვნელოვანია იმ თეზისებისა და ძირითადი იდეების გამოყოფა, რომლებიც აუცილებლად უნდა მოისმინოს აუდიტორიამ.

კვლევითი ნაშრომი წარმოადგენს აკადემიური პრობლემის წერილობითი ფორმით გადაჭრას საბიბლიოთეკო კვლევის ან თავად სტუდენტის მიერ ჩატარებული ემპირიული კვლევის საფუძველზე:

- კვლევით ნაშრომში მეცნიერულადაა დასაბუთებული წამოყენებული მოსაზრებები ან ვარაუდები;
- ნაშრომში განსაზღვრულია პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები;
- ნაშრომში მკაფიოდაა გააზრებული პრობლემის ირგვლივ არსებული წყაროები;

- ნაშრომი სტრუქტურულად გამართულია;
- ნაშრომი აკადემიური სტილით არის შესრულებული;
- ნაშრომში ციტირების, პარაფრაზირებისა და რეზიუმის წერის წესები დაცულია;
- ნაშრომში მკაცრად არის დაცული წყაროების მითითების ერთი განსაზღვრული ფორმატი;
- ნაშრომში ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული.

შესაბამისად, როგორ განახორციელებთ თქვენი სამუშაოს ორგანიზებას, ეს დამოკიდებულია თითოეული ნაშრომის ტიპზე/სტრუქტურაზე.

3.8. თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნა

თემის შერჩევა არ არის იოლი პროცესი. წერისათვის შესაფერისი საკითხის თემის შერჩევისა და განსაზღვრისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რა ვიციტ ჩვენ კონკრეტული თემის შესახებ და როგორი წარმოდგენა გვაქვს მის პოტენციურ მკითხველზე / აუდიტორიაზე. გაითვალისწინეთ, რომ ნაშრომს არ ქმნით ფართო აუდიტორიისათვის. ზოგადად, სამეცნიერო დისკურსი, სამეცნიერო-პოპულარული დისკურსისაგან განსხვავებით, ვიწრო წრისათვის არსებობს. შესაბამისად, თუ თემა ეხება სპეციფიკურ საგანს ან საკვლევი საკითხი ვიწროდ არის განსაზღვრული, მაშინ ტექსტი შეიძლება საინტერესო და გასაგები იყოს მკითხველთა მხოლოდ მცირე ნაწილისათვის. **მაგალითად**, თემა — *საქართველოში თოვლის ზეგვების საფრთხის შეფასება დისტანციური ზონდირების გამოყენებით* — შეიძლება საინტერესო იყოს მკითხველთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფისთვის (მათთვის, ვინც საბუნებისმეტყველო კვლევებითა და ქვეყნის ურბანიზაციული საკითხებით არის დაინტერესებული, რადგან იგი უშუალოდ მათ ეხება). ასევე თემა — *ინკლუზიური განათლების ასპექტები საქართველოში* - მნიშვნელოვანია მკითხველთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფებისთვის (მასწავლებლები, სკოლის/პროფესიული კოლეჯების ადმინისტრაცია, მშობლები, ინკლუზიურ პროგრამაში ჩართული მოსწავლეები/სტუდენტები, განათლების პოლიტიკის სპეციალისტები და სხვა), რადგან იგი უშუალოდ მათ ეხება, თუმცა თითოეული მათგანისთვის ჩვენ, შესაძლოა, დაგვჭირდეს განსხვავებული სახის ინფორმაციის შერჩევა და, შესაბამისად, განსხვავებული კითხვების დასმა ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, სპეციალისტები, შესაძლოა, დააინტერესოს, რომელი ახალი მიდგომები და გამოცდილებები არსებობს ინკლუზიური განათლების რაკურსში; მშობლები დაინტერესდებიან იმით, რა შეიძლება შეიცვალოს და დაიგეგმოს მათი შვილების სასიკეთოდ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეებისა

და სტუდენტებისთვის საინტერესო იქნება ის შესაძლებლობები და გამოწვევები, რომლებიც მათ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვისას ელით.

უმნიშვნელოვანესია ნაშრომის თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინება, ინტერესთა სფეროს განსაზღვრა და შესაბამისი სტილის შერჩევა. **მაგალითად**, თუკი ჩვენ ისევ ზემოთ მოცემულ თემაზე - ინკლუზიური განათლების შესახებ ვწერთ, ცხადია, ვერ დავწერთ ინკლუზიური განათლების პოლიტიკის, გასატარებელი ღონისძიებებისა და საჭირო რეფორმების შესახებ, რადგან ასეთი ცოდნა არ გაგვაჩნია, ამრიგად, უმნიშვნელოვანესია თემის მაქსიმალურად დაკონკრეტება ან დავიწროება ამგვარად: *ინკლუზიური განათლების შესახებ კანონის შეფასება ან ინკლუზიური განათლების რეფორმის პირველი შედეგები საქართველოში*. ამ შემთხვევაში შეგვიძლია, ვიმსჯელოთ იმაზე, რას ითვალისწინებს ინკლუზიური განათლება საკანონმდებლო დონეზე; რაზე მოახდინა გავლენა ამ სფეროში განხორციელებულმა რეფორმამ; როგორი შედეგები მოგვცა მისმა შემოღებამ? როგორ აისახა ეს ცვლილებები სასწავლო პროცესში?

საშინაო ნაშრომის თემის შერჩევის შემდეგ წერის პროცესის გაადვილების მიზნით, რეკომენდებულია შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემა:

1. რა ვიცი უკვე საკვლევ თემაზე?
2. საკვლევ თემასთან კავშირში რის გაგება მჭირდება?
3. რა უნდა გავაკეთო / როგორ და სად მოვიძიო ინფორმაცია?

3.9 დროის მართვა

ერთადერთი რესუსი, რომელსაც ყველა ადამიანი ერთნაირად ფლობს - დროა. წარმატებულია მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია დროის ეფექტურად გამოყენება. ადამიანი დროს ვერ გაზრდის, იგი უცვლელი რესურსია, ადამიანს შეუძლია მხოლოდ დროის „შემჭიდროვება“, ე.ი. ერთსა და იმავე დროში უფრო მეტი საქმის გაკეთება (ხარხელი, მორჩილაძე 2016, 43). ინდივიდუალურ თემაზე მუშაობის დაწყებისას უმნიშვნელოვანესია დროის სწორად გადანაწილება, ე.ი. დროის მართვის ფაქტორი.

დროის მართვის თვალსაზრისით სასარგებლოა სამეცნიერო ლიტერატურასთან დაკავშირებით რჩევები მიიღოთ დარგის სპეციალისტისგან. მკვლევარი აუცილებლად გირჩევთ აქტუალურ და სანდო წყაროებს, რაც მოგაგებინებთ დროს და მყარ საფუძველს შეგიქმნით სამეცნიერო ნაშრომზე კვლევის დასაწყებად.

3.10 გონებრივი იერიში

გონების დამაბვა და გონებრივი იერიში გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ეხმარება ახალგაზრდა მკვლევარს საკვლევი თემის შერჩევასა და ჩამოყალიბებაში. გონებრივი იერიშის მიზანია საკვლევ თემასთან კავშირში რაც შეიძლება ბევრი იდეის ჩამოყალიბება. ყველაფერი, რაც საკვლევ საკითხთან დაკავშირებით თავში სპონტანურად მოგივთ, ჩაინიშნეთ ან ჩაიწერეთ. ასევე მნიშვნელოვანია ყველა ასოციაციისა და ინიციატივის გამოყენებაც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საშინაო ნაშრომის წერისას თავისთავადი პროცესია ზედმეტი ინფორმაციის გაფილტვრა.

შედეგად გექნებათ: ბევრი ნაგავი > ბევრი ნეშომპალა > კარგი მოსავალი:

1. დასვით არჩეული თემის ირგვლივ სხვადასხვა შეკითხვა და აარჩიეთ ისეთი შეკითხვები, რომლებზეც საჭირო იქნება შედარებით ვრცელი პასუხების გაცემა/დამატებითი ინფორმაციის მოძიება;
2. განსაზღვრეთ, რომელი შეკითხვა/შეკითხვები იპყრობს თქვენს ყურადღებას, რომელ შეკითხვაზე პასუხის გაცემას დასჭირდება კვლევის წარმატვა.
3. გაცხრილეთ არასაჭირო შეკითხვები (მაგ.: ბევრი ნაგავი) და დატოვეთ მხოლოდ ის ძირითადი, რომელზეც პასუხის გაცემა დაგანახებთ, რამდენად მნიშვნელოვანი საკითხი შეიძლება გადაწყდეს (მაგ.: ბევრი ნეშომპალა).
4. ჩათვალეთ, რომ უკვე გადადგით ნაბიჯი კარგი მოსავლისაკენ: თქვენ უკვე იცით, რა საკითხი შეგიძლიათ აირჩიოთ საკვლევ თემად.

სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. ქვემოთ მოცემულია სამი სათაური, რომელთაც მოსდევს ტექსტები. გაეცანით ტექსტებს და დაასათაურეთ ისინი. შეურჩიეთ ტექსტებს მათთვის შესაბამისი სათაურები

სათაურები:

1. *ნეოლიბერალიზმის ძირითადი მოტივები*
2. *დემოკრატიული პედაგოგიკის როლი მოსწავლეთა განათლების პროცესში*
3. *თანამედროვე მედია-ტექნოლოგიების როლი პოპ-რომანში*

ტექსტი 1

„სკოლა ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს უზრუნველყოფს: მოსწავლეთა განათლებასა და სოციალიზაციას. მნელია, მათი გამოჯენა, რომელია, მათ შორის უმთავრესი, ან მოიცავს თუ არა ერთი მეორეს. სკოლის განვითარებისა და მოსწავლეთა განათლების პროცესში ფუნდამენტური ადგილი უჭირავს დემოკრატიულ პედაგოგიკას. როგორ ხდება სკოლის უმთავრესი პრობლემის - სოციალური სწავლის / თანამშრომლობითი სწავლის ფორმების, გაგება-შემეცნებაზე ორიენტირებული სწავლების (სწავლის სერვისი, მომსახურება - Service Learning) ჩამოყალიბება და განვითარება? რამდენად ხორციელდება სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველყოფა? (თვითმართველობა, კონფლიქტების მოსწავლეთა მხრიდან მოგვარება, მედიაცია, მოსწავლეთა ინიციატივები, არბიტრთა გუნდი, კლასის საბჭო, თანამშრომლობითი სწავლება). დემოკრატიული პედაგოგიკა მოიაზრებს პედაგოგიურ, განსაკუთრებით, კი სასკოლო და სასწავლო აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპეტენციების განვითარებას.“ (საბაური 2016).

ტექსტი 2

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელოვნებაში სხვადასხვა მიმართულება განვითარდა. მათ შორის ერთ-ერთი პოპ-არტია, რომლის შექმნა ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა. ამ მიმდინარეობის მიმდევრები იყენებენ ყველაფერს, რაც პოპულარულია. მასობრივი კულტურიდან აღებული თემები, რეკლამები, კომიქსები, ფილმები, ტექნიკა პოპ-არტის „საზრდოს“ წარმოადგენს. პოპ-კულტურამ მოიტანა მრავალფეროვნება და მასებისათვის განკუთვნილი პროდუქცია. ძირითადად პოპ-კულტურის უკან ისეთი ადამიანები დგანან, რომლებსაც მხოლოდ ფული აინტერესებთ. თუ წინა ეპოქებში კულტურული ფასეულობები იქმნებოდა შემოქმედის სულიერი მიზნით, ესთეტიკური მოთხოვნის შესაბამისად, ახლა მდგომარეობა შეიცვალა და კულტურა იქმნება მხოლოდ და მხოლოდ კომერციული მიზნით. კულტურის მომგებიანობაზე ორიენტაციამ განაპირობა პოპ-კულტურის ანუ მასობრივი კულტურის ჩამოყალიბება.“ (კილაძე 2013)

ტექსტი 3

„პოლიტიკური ფილოსოფია და ეკონომიკური თეორია – ნეოლიბერალიზმი, ხშირად შეფასებული, როგორც თავისუფლებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი გზა, დიდი განხილვის საგანს წარმოადგენს ბოლო ათწლეულების მოვლენების კვალდაკვალ. ეკონომიკური ლიბერალიზაცია, ბაზრის თავისუფლება, ღია ბაზარი, პრივატიზაცია და დერეგულაცია, გადასახადების შემცირება, საკუთრების უფლების დაცვა, ის ძირითადი საკითხებია, რომელთა განხორციელებისკენ სახალხო სექტორის კერძო სექტორად შეცვლის მსურველნი მიისწრაფვიან. ნეოლიბერალიზმის მოტივად ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაც სახელდება. ერთი მხრივ, თეორია თავისი ძირითადი პოსტულატებით გამართლებულია, კერძო სექტორის მიერ დიდ მოწონებას იმსახურებას, მეორე მხრივ, ნეოლიბერალიზმის კრიტიკოსები მის ნაკლზე საუბრობენ და აღნიშნავენ, რომ თეორია გლობალურ კორპორატივიზმსა და შეუზღუდავი უფლებების უტოპიას ამართლებს.“ (მახათაძე 2014)

სავარჯიშო 2.

აირჩიეთ თემა და განსაზღვრეთ, რომელი მათგანი გჭირდებათ არსებული ცხრილიდან?

რესურსი	კი	არა	შესაძლოა
მაგალითად:			
წიგნები			
ჟურნალები			
გაზეთები			
ბიბლიოგრაფიული მონაცემები			
აბსტრაქტები			
პირველადი კვლევები			
კომპანიების ანგარიშები			
სამთავრობო პუბლიკაციები			
ვებ-გვერდი			
დანართები/ სქემები/ დიაგრამები			
სქოლიოები			
სათაურები/ საკვანძო სიტყვები			

სავარჯიშო 3.

მოცემული სავარჯიშო დაგეხმარებათ საკვლევ თემის ჩამოყალიბების პროცესში. უპასუხეთ კითხვებს:

რის შესახებ ვისურვებდი წერას? ჩამოწერეთ ხუთი თქვენთვის საინტერესო თემა ან საკითხი:

რა ხასიათის/ტიპის წერით სამუშაოს მოითხოვს ჩემი ახლანდელი ან მომავალი საქმიანობა?

სავარჯიშო 4.

ქვემოთ მოცემულია ნიმუში იმისა, როგორ არის შესაძლებელი ზოგადი თემიდან თანამიმდევრულად მიხვიდეთ კონკრეტულ საკითხებამდე.

ნიმუში:

ზოგადი თემა	კონკრეტული საკითხები
სკოლამდელი განათლება	5-6 წლიანთა განათლების ასპექტები; - თამაშით სწავლების სტრატეგიები სკოლამდელ განათლებაში; - სახელმწიფოს როლი სკოლამდელ განათლებაში

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები	• საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა განათლების ძირითადი გამოწვევები; • საატესტატო გამოცდების ეფექტურად ჩატარების მექანიზმები.
უმალესი განათლება	• სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების შედარება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით; • ელექტრონული სწავლების აუცილებლობა თანამედროვე უნივერსიტეტებში; • ინტერნეტის გამოყენების პოზიტიური ასპექტები სალექციო პროცესში.
პროფესიული განათლება	• პროფესიული განათლების რეფორმაში შეტანილი ძირითადი ასპექტები; • პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა პერსპექტივები საქართველოში; • პროფესიულ განათლებაში არსებული გამოწვევები თანამედროვე საქართველოში.
უმუშევრობა საქართველოში	• უმუშევრობის გამოწვევი მიზეზები • თანამედროვე საქართველოში; • სახელმწიფოს როლი უმუშევრობის დონის აღმოფხვრაში; • სამუშაო მიგრაცია და გამოწვევები შრომის ბაზარზე.


სავარჯიშო 5.

ზემოთ მოცემული აქტივობის გამოყენებით, შეეცადეთ ზოგადი თემიდან თანამიმდევრულად მიხვიდეთ ისეთ საკითხამდე, რომლის შესახებაც შეგიძლიათ რაიმე კონკრეტული დაწეროთ. ცალკეულ ზოგად თემას მიუწერეთ რამდენიმე კონკრეტული საკითხი, რომლებიც იმ ზოგადი თემიდან გამომდინარეობს.

ზოგადი თემა	კონკრეტული საკითხები

სავარჯიშო 6.

გამოიყენეთ ასოციოგრამა თემისათვის „ჩემი საოცნებო პროფესია“ და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს.



რომელია თქვენი საოცნებო პროფესია?
 როდის დაიწყეთ ფიქრი პროფესიის შესახებ?
 რამ განაპირობა თქვენი არჩევანი?
 როგორ წარმოგიდგენიათ ამ პროფესიის შემდეგ დასაქმების არეალი/პერსპექტივები?
 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი პირველი სამუშაო დღე?

სავარჯიშო 7.

შეავსეთ ასოციოგრამა იმ თემაზე, რომელიც გაინტერესებთ და რომელიც საკვლევ საკითხად შეიძლება გამოგადგეთ:



სავარჯიშო 8.

იმისთვის, რათა გაგიაღვილდეთ საშინაო ნაშრომზე მუშაობის პროცესი, გაეცანით ქვემოთ მოცემულ ცხრილს და შეავსეთ იგი.

საკვლევი თემის შერჩევა	კი	არა
გაქვთ სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თქვენი ნაშრომი?		
გადახედეთ ხელმეორედ ყველა სამეცნიერო წყაროს, რომლებსაც სწავლის პროცესში გაეცანით?		
ესაუბრეთ თქვენს თანაკურსელებს/უფროსკურსელებს თქვენი საკვლევი თემის შესახებ და ჩაინიშნეთ მათი შემოთავაზებები?		
სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს დახმარებით შეიქმენით გარკვეული წარმოდგენა თქვენთვის საინტერესო თემაზე?		
შეადგინეთ „Mindmap“ - აზრობრივი რუკა თქვენს თემაზე და „თავისუფალი წერის“ / „Free Writing“ მეთოდის მიხედვით შეადგინეთ მცირე ტექსტი თქვენს თემაზე იმისთვის, რათა პირადი დამოკიდებულება გაგიჩნდეთ თქვენი საკვლევი საკითხის მიმართ?		
ჩამოაყალიბეთ თქვენი თემისათვის თუნდაც არაოფიციალური/პირველადი სათაური?		
ესაუბრეთ დარგის სპეციალისტს ან ლექტორს თქვენს არჩევანზე და ჰკითხეთ მას აზრი თქვენ მიერ შერჩეული თემის შესახებ?		

შემაჯამებელი ტესტი: მზადება სამეცნიერო ნაშრომისთვის

შემოხაზეთ სწორი პასუხი (დასაშვებია მხოლოდ ერთი მართებული პასუხი).

- საკვლევი თემის შერჩევისას რომელი ტიპის მკვლევრის გამოყოფაა შესაძლებელი:**
 - მკვლევარი, რომელიც მხოლოდ წყაროებს ეცნობა;
 - მკვლევარი, რომელიც თავდაპირველად გასაქანს აძლევს იდეებს მათთვის წერილობითი ფორმის მიცემის გარეშე;
 - მკვლევარი, რომელიც ფიქრის პროცესში თანადროულად წერის დაწყებას ცდილობს.
- საკვლევ თემაზე მუშაობის დაწყებამდე რომელ მნიშვნელოვან კითხვებზე უნდა უპასუხოთ მკვლევარმა?**
 - რას წერთ, რისთვის წერთ, ვისთვის წერთ;
 - რატომ წერთ, რა მიზანი გამოძრავებთ;
 - ვინ დაგავალათ ნაშრომის დაწერა.
- რომელი სტრატეგიები დაეხმარება სტუდენტს საკვლევი თემის ჩამოყალიბების პროცესში:**
 - ჩამოწეროთ თქვენთვის საინტერესო თემები და დაფიქრდეთ, მათგან რომელ საკითხზე ისურვებდით წერას;
 - გაესაუბროთ ოჯახის წევრებს, რომელი თემებია მათთვის პრიორიტეტული;
 - გაიხსენოთ, რომელი თემაა ისეთი, რომელზეც უკვე გაქვთ რაიმე ტიპის ნაშრომი დაწერილი.
- რა არის ნაშრომის სათაურის მიზანი?**
 - ნაშრომის ძირითად იდეაზე აქცენტის გაკეთება და ნაშრომის თემის დაკონკრეტება;
 - საშინაო ნაშრომის ჰიპოთეზის წარმოჩენა;
 - საშინაო ნაშრომის სიტყვათა რაოდენობის გაზრდა.
- დაასახელეთ სწორად შერჩეული სათაურის მახასიათებლები:**
 - სათაური უნდა იყოს მაქსიმალურად გრძელი და ნათლად წარმოაჩინოს კვლევის დიზაინი;
 - სათაური უნდა იყოს სკანდალური, რომ მაქსიმალური ინტერესი გააღვიძოს მკითხველში;
 - სათაური უნდა იყოს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული და მასში უნდა აისახოს საკვლევი პრობლემა.
- რა უნდა გაითვალისწინოს სტუდენტმა იქამდე, ვიდრე აკადემიურ ნაშრომზე მუშაობას შეუდგებოდეს?**

- ა) რა წინარე ცოდნაა საჭირო თემის დასაწერად?
- ბ) ამ თემებზე დაწერილი აქვთ თუ არა აკადემიური ნაშრომები წინაკურსელებს?
- გ) რამდენად განიხილავს ამ საკითხს მასმედია?

7. რატომ არის თემის დაგეგმვის პროცესისათვის დროის დათმობა ღირებული?

- ა) რათა წარმატებულად შეასრულოთ სამუშაო და მიიღოთ საუკეთესო შეფასება
გაწეული შრომისათვის;
- ბ) რათა შეძლოთ სხვადასხვა დარგის წყაროების მოძიება;
- გ) რათა თქვენს მიერ არჩეული თემა იყოს მაქსიმალურად სკანდალური.

8. რატომ არის მნიშვნელოვანი ნაშრომის წერის პროცესში კვლევის მიზნის სწორად დასახვა?

- ა) როდესაც დასახული გაქვთ კვლევის მიზანი, იცით, რას ემსახურება თქვენი
ნაშრომი;
- ბ) კვლევის მიზნის განსაზღვრა აუდიტორიის დაინტერესების გარანტიაა;
- გ) სწორად ჩამოყალიბებული მიზანი ჰიპოთეზის დადასტურებას
უზრუნველყოფს.

9. უნდა ჰქონდეს თუ არა ავტორს საკვლევი თემის მიმართ ემოციური დამოკიდებულება?

- ა) არა, რადგან ავტორს გაუჭირდება ობიექტურად განიხილოს ნაშრომი;
- ბ) დიახ, რადგან ავტორი შეძლებს სუბიექტური კუთხით წარმოაჩინოს
საკვლევი
თემა;
- გ) სულ ერთია, ავტორს ექნება თუ არა ემოციური დამოკიდებულება
საკვლევი
თემის მიმართ.

10. განიხილეთ, რომელი ზოგად-საგნობრივი კრიტერიუმები იქნება შეტანილი საშინაო ნაშრომის შეფასების სქემაში?

- ა) ნაშრომის აკადემიური მახასიათებლები;
- ბ) ნაშრომის შესავალი ნაწილი და მისი კომპონენტები;
- გ) ნაშრომის ვიზუალური მხარე.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

გოჩიტაშვილი, ქეთევან, შაბაშვილი, გიული და შარაშენიძე, ნინო. 2009. *აკადემიური წერა*. თბილისი: საიმედო

დუნდუა შალვა და შავთვალაძე ნანა. 2010. *აკადემიური წერა*. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა

კიკვაძე, მ. და სხვები. *აკადემიური წერა*. ბათუმის შოთა რუსთველის სახელობის უნივერსიტეტი. ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი. თბილისი: ივერიონი

პატარიძე, ლელა. *გამოუქვეყნებელი სალექციო სკრიპტები*.

საბაური, თინათინ. 2016. *დემოკრატიული პედაგოგიკა*. <http://mastsavlebeli.ge/?p=7030>.

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Gillet, Andy and Angela Hammond & Mary Martala. 2009. *Successful Academic Writing*. University of Hertfordshire: British of Congress Cataloging-in-Publication Data

გამოყენებული ლიტერატურა გერმანულ ენაზე:

Franck, Norbert und Joachim Stary. 2013. *Die Technik wissenschaftlichen Arbeitens: Eine praktische Anleitung*. 17. Aufl. Berlin: Schöningh.

Hiennerth, Claudia, Huber, Beate und Daniela Süssenbacher. 2009. *Wissenschaftliches Arbeiten kompakt. Bachelor- und Masterarbeit erfolgreich erstellen*. Wien: Linde.

Preißner, Andreas. 2012. *Wissenschaftliches Arbeiten. Internet nutzen – Text erstellen – Überblick behalten*. Berlin: De Gruyter.

Rost, Friedrich. 2012. *Lern- und Arbeitstechniken für das Studium*. 7. Auflage. Berlin: Springer.

თავი 4. სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება (სალომე პატარიძე)


მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ შეკითხვებს:

- როგორ და სად მოვიძიო წყაროები?
- ძიების რა გამოცდილი სტრატეგიები არსებობს?
- როგორ შევაფასო წყაროს შესაბამისობა და სანდოობა?
- როგორ დავახარისხო წყაროები?

„ხელოვნება ხანგრძლივია და ჩვენი ცხოვრება კი - ხანმოკლე!“ - ჩივის ერთ-ერთი მოქმედი პირი, ვაგნერი *ფაუსტში*. სათანადო ლიტერატურის მოძიება ნამდვილი ხელოვნებაა - ხანგრძლივი და შრომატევადი, მაგრამ როდესაც ვიცით, რას ვეძებთ, როგორი სტრატეგიები და მეთოდები უნდა გამოვიყენოთ საჭირო წიგნის, სტატის, ინფორმაციის მისაკვლევად, მაშინ საკმარისი დრო გვრჩება კითხვისთვის, წერისა და ცხოვრებისთვის (Stary 2013, 65).

თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის მოძიება დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს, თუმცა მოძიებული ინფორმაციის მოზღვავებასთან ერთად იზრდება იმის აუცილებლობა, რომ შემუშავდეს აკადემიურ წყაროთა დადგენის სტრატეგიები.

როგორც უკვე იცით, სამეცნიერო მუშაობა არის კომპლექსური პროცესი, იწყება საკვლევი საკითხის დასმით, სანდო წყაროების მოძიებით, შეფასებითა და დახარისხებით. წყაროს კრიტიკული შეფასება და მისი ხარისხის დადგენა ნებისმიერი დასრულებული სამეცნიერო ნაშრომის საფუძველს წარმოადგენს, რადგან კვლევითი პროექტის არგუმენტები, შეხედულებები და მოსაზრებები ეყრდნობა სამეცნიერო წყაროებს. წყაროს შეფასება ორი მიმართულებით არის საყურადღებო: რამდენად შეესაბამება საკვლევ საკითხს წყარო შინაარსობრივად და რამდენად სანდოა იგი (იხ. გამოსახულება 12).



გამოსახულება 12: წყაროს შეფასება

4.1. წყაროს მოძიების სტრატეგიები

კვლევისთვის შესაფერისი წყაროები რომ მოვიპოვოთ, მათი ძიება უნდა იყოს მიზანმიმართული და დაგეგმილი. ვიდრე მოძიების სტრატეგიების განხორციელებას შეუდგებოდეთ, შემდეგ კითხვებს გაეცით პასუხი:

რას? რა? სად? როგორ?

რას ვეძებ? - **თემა:** საჭიროა კვლევის საკითხის გამოკვეთა და ძიების მიზნების დადგენა

რა მჭირდება? - **მასალა:** გამოქვეყნებული ლიტერატურის სახეობების დადგენა, მათი გამოქვეყნების დროსა და ადგილზე ყურადღების გამახვილება

სად ვეძებ? - **ძიების არეალი:** საძიებო სივრცის განსაზღვრა: კატალოგები, მონაცემთა ბაზები, სამეცნიერო ელექტრონული ბაზები

როგორ ვეძებ? - **მეთოდები:** ძიების სტრატეგიის გაანალიზება და არჩევა, არსებული სტრატეგიებიდან რომელი იქნება დაგეგმილი ნაშრომისთვის მასალის მოძიების ყველაზე ეფექტური გზა (Hiernerth, Huber, Süßenbacher 2009, 76).

სად ვეძებო ინფორმაცია? როგორ ვარჩევთ საძიებო სიტყვას? საკვლევ თემასთან დაკავშირებული ცნებები და ტერმინები მნიშვნელოვანი დასაყრდენია სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების პროცესში. თემისთვის მოსამზადებელ საფეხურზე უკვე გაქვთ არჩეული სავარაუდო თემის მთავარი ცნებები, რომელთა სპექტრიც ძიების დროს გაფართოვდება და შეიძლება შეიცვალოს კიდევ. პირველი კითხვა შეიძლება იყოს - რით დავიწყო? როგორ ვიპოვნო საძიებო სიტყვები? ამისთვის ყველაზე მარტივი გზა არის *გონებრივი იერიში*, მაგალითად, თუ თქვენი შერჩეული სავარაუდო თემაა: *კომპიუტერული თამაშების ზეგავლენა მოზარდთა ქცევებზე*, გონებრივი იერიშის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს შემდეგი სიტყვები:

1. მოზარდი
2. ქცევა
3. კომპიუტერული თამაშები
4. სტრესი
5. ვირტუალური სივრცე

ჩამოთვლილი სიტყვების დახმარებით ელექტრონულ კატალოგებში მოძიებით წყაროებს, რომლებიც ახალ საძიებო სიტყვებს გიკარნახებთ. თუ ჩაწერთ *eprints-ის* (ილიაუნის საცავი) საძიებო ველში სიტყვას *მოზარდი*, ათეულობით სამეცნიერო ნაშრომს იხილავთ, შეგიძლიათ შეაერთოთ ორი სიტყვა *სტრესი მოზარდებში*, ამ შემთხვევაში მიკვლეულ ნაშრომთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდება. აუცილებლად უნდა გადაავლოთ თვალი სათაურებს და შეარჩიოთ საკვლევი თემის შესაბამისი ნაშრომი, მაგალითად, სოფიკო კუბლაშვილის ნაშრომი: *აგრესიული ქცევისა და სასკოლო შფოთვის¹⁷ კვლევა მოზარდებში*.

¹⁷ სასკოლო შფოთვა შფოთვის სპეციფიკურ სახეობას წარმოადგენს. იგი ვნებს მოსწავლის ცხოვრების ყველა სფეროს: სწავლას, სკოლისგარე ურთიერთობებს, ჯანმრთელობასა და

ხშირად აბსტრაქტიზაცია¹⁸ მიაკვლევთ ახალ, თემისთვის მნიშვნელოვან ცნებას, ტერმინს. კუბლაშვილის კვლევაში აბსტრაქტში ვხვდებით ცნებებს: *თვითაგრესია*, *ემოციური აგრესია*. გაითვალისწინეთ, რომ ამ ტიპის ინფორმაციის ძიება გეხმარებათ, უკეთესად განსაზღვროთ საკვლევი თემის კონტექსტი.

ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ:

ა) ბიბლიოთეკებში

ბ) ელექტრონულ კატალოგებში

ქვემოთ მოცემულია ილიას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი, ელექტრონული ბიბლიოთეკის, სამეცნიერო ბაზების, ინსტიტუციური საცავის, სასარგებლო ბმულების, ელექტრონული კატალოგის, დისერტაციებისა და სამაგისტრო ნაშრომების, სტუდენტთა და ილიას უნივერსიტეტის მეცნიერ-პროფესორთა კვლევები, ასევე საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლექსიკონები, რომლებიც გაგიმარტივებთ სამეცნიერო წყაროთა ძიების პროცესს (იხ. გამოსახულება 13)

ილიაუნის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი: http://library.iliauni.edu.ge/
ილიაუნის ბიბლიოთეკის ელ.ბიბლიოთეკა: http://library.iliauni.edu.ge/elibrary/
ილიაუნის ელექტრონული სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sametsniero-bazebi/
ილიაუნის ინსტიტუციური საცავი: http://eprints.iliauni.edu.ge/
ილიაუნის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე არსებული "სასარგებლო ბმულები": http://library.iliauni.edu.ge/elibrary/sasargeblo-bmulebi/
ილიას უნივერსიტეტის ელ.კატალოგი: http://iliauni.library.ac.ge/eg/opac/home
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელ.კატალოგი: http://www.nplg.gov.ge/ec/ka/changedb.html
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ონლაინ ლექსიკონები: http://www.nplg.gov.ge/geo/home
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა: http://www.nplg.gov.ge/geo/dlibrary2
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა და მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომები: http://eprints.iliauni.edu.ge/view/creators/
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული სადოქტორო ნაშრომები: http://library.iliauni.edu.ge/elibrary/teqsturi-satsavi/sadoqtoro-nashromebi/

ფსიქიკურ კეთილდღეობას. იგი ბავშვის სასკოლო დეზადაპტაციის ყველაზე გავრცელებული მიზეზია (ჯაფარიძე 2013).

¹⁸ აბსტრაქტი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის მოკლე შინაარსს, რომელიც მოიცავს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებულ ყველა ძირითად საკითხს. ამასთან, აბსტრაქტი დამოუკიდებელი ტექსტობრივი ერთეულია, რომელსაც აქვს თავისი შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა (ჩუბინიძე 2011, 56).

გამოსახულება 13: სასარგებლო ბმულები

გ) ინტერნეტში - რა თქმა უნდა, ინტერნეტის გამოყენება კვლევისთვის შესაძლებელია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნაშრომისთვის ემპირიული კვლევის¹⁹ შედეგებია საჭირო (სახალხო დამცველის ანგარიშები, საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის შედეგები მოსახლეობისთვის), თუმცა ინტერნეტის გამოყენების დროს სიფრთხილე აუცილებელია, რადგან მასში გვხვდება ბევრი არააკადემიური წყარო, ისეთები, როგორებიცაა:

- ვიკიპედია - განთავსებული ინფორმაციის სისწორე და ხარისხი ყოველთვის გადამოწმებული არ არის, ინფორმაციის ცვლილებაზე ხელი მიუწვდება მომხმარებელს
- ბლოგი - ხშირად მოიცავს სუბიექტურ შეხედულებებსა და ვარაუდებს, რაც ობიექტური კვლევისთვის დაუშვებელია
- ფორუმები - მოიცავს სუბიექტურ დისკუსიებსა და მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელთა სიზუსტის გადამოწმება შეუძლებელია
- არაობიექტური და ტენდეციური საიტები - მოიცავს რომელიმე იდეოლოგიის, პოლიტიკური ჯგუფის ან რელიგიის მიკერძოებულ შეხედულებებს

დ) სამეცნიერო ბაზებში - აერთიანებს სხვადასხვა სახის საინფორმაციო რესურსის ელექტრონულ ვერსიას, როგორებიცაა: ელექტრონული წიგნები, ჟურნალები, სამეცნიერო და საგაზეთო სტატიები, საკონფერენციო მასალები, კვლევის ანგარიშები, დისერტაციები, ციტირების მაჩვენებლები, ბიბლიოგრაფიული მონაცემები. ილიას უნივერსიტეტი 2018 წელს წვდომის უფლებას ფლობს შემდეგ სამეცნიერო ბაზებზე (<https://iliauni.edu.ge/iliauni/biblioteka/eleqtronuli-resursebi>):

- ScienceDirect
- Scopus
- Clarivate Analytics
- Journal Citation Report
- Taylor and Francis Online
- EBSCO
- LexisNexis Academic
- ProQuest Dissertations and Thesis
- Eprints


¹⁹ სიტყვა ემპირია (ძვ. ბერძნული empeiria) ნიშნავს გამოცდილებას. ემპირიულ კვლევას კი მეცნიერული მეთოდი, რომელიც მონაცემებსა და ცოდნას იკვლევს, აფასებს და ინტერპრეტაციას აკეთებს. სხვა სამეცნიერო მეთოდებისაგან იმით განსხვავდება, რომ ემპირიული წინადადებები გადამოწმებადია (Poscheschnik 2015).

მნიშვნელოვანია, ყურადღებით გაეცნოთ სამეცნიერო ბაზების აღწერილობას, გაერკვეთ, რა ტიპის ინფორმაციას აერთიენებს თითოეული ბაზა.


თუ სამეცნიერო ბაზა მულტიდისციპლინურია (მრავალპროფილიანი), შეგიძლიათ აირჩიოთ სასურველი მიმართულება (ვთქვათ, სოციალური მეცნიერებები). ინფორმაციის ძიებას გაგიმარტივდებათ, თუ საძიებო სიტყვის დახმარებით დაავიწროვებთ საძიებო ველს:

- მიუთითოთ თქვენთვის საჭირო ტექსტის ტიპი: აბსტრაქტი, ტექსტის სრული ვერსია
- გამოცემის სახეობა - რეფერირებადი ჟურნალი²⁰, დარგობრივი ჟურნალი, წიგნი, კონფერენციის მასალა, ბიოგრაფიები
- მასალების გამოცემის ხანგრძლივობა
- სასურველი ენა

თვალსაჩინოებისთვის შეგვიძლია ვნახოთ, როგორ ხდება მიმართულების არჩევა:



საძიებო ველი კი შეგიძლიათ ასე დაავიწროვოთ:



მუხრი

როგორ ეძებთ ინფორმაციას? ინფორმაციის ძიების ეფექტური მეთოდები

ინფორმაციის ძიების მეთოდთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია:

- **ბიბლიოგრაფიული კვალის გაყოლა, ე.წ. თოვლის გუნდის მეთოდი** - აქტუალურ სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობილი ძიება. დარგობრივი ნაშრომები და მათში დასახელებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა (ბიბლიოგრაფია) შეიძლება გახდეს ახალ წყაროთა მოძიების საუკეთესო გზა. თითოეული მომდევნო მოძიებული წყაროს ბიბლიოგრაფიის შესაბამისობა საკვლევ საკითხთან ამ მეთოდის ეფექტურობას ააშკარავებს.

აღნიშნული მეთოდის უარყოფით მხარედ მისი რეტროსპექციული (წარსულისაკენ მიმართული) ბუნება შეიძლება მივიჩნიოთ. თუ ბიბლიოგრაფიაში დასახელებული წყაროები მოძველებულია, მონაცემთა ბაზა მათი შემოწმების საუკეთესო გამოსავალია.

- **სისტემატიური ძიება** — ძიების მთავარ სამიზნედ დარგობრივ ჟურნალებთან ერთად შეიძლება იქცეს მონოგრაფიები, მრავალავტორიანი პუბლიკაციები, მონაცემთა ბაზები, გამომცემლობების ბროშურები, ჟურნალებისა და ახლადგამოქვეყნებული პუბლიკაციების რეცენზიები.

ზოგადად, მკვლევრები თავდაპირველად კრიტიკული ლიტერატურის მიზანდასახულ მოძიებას იწყებენ დარგობრივ ჟურნალებში, რომლებიც მათი საკვლევი თემის შესაბამისია. გასათვალისწინებელია ის, რომ აქტუალურ, ახალ გამოცემებთან ერთად საჭიროა შედარებით „მოძველებული“ (ბოლო 10 წლამდე) გამოცემების გადახედვა.

შეუძლებელია ყოველთვის ყველა სტატიის წაკითხვა და არც არის ამის საჭიროება. ხშირად უმთავრეს მითითებებს იძლევა:

- ნაშრომის სათაური
- აბსტრაქტი
- ნაშრომის დასკვნითი ნაწილი (შეჯამება და დისკუსია - Summary and discussion).

იმისთვის, რათა შეამოწმოთ, მოძიებული მასალა რამდენად არის შესაბამისობაში თქვენს საკვლევ პრობლემასთან, საჭიროა, ქვემოთ მოცემულ ცხრილში დასმულ კითხვებზე გქონდეთ პასუხები: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ აპირებთ საშინაო ნაშრომის დაწერას საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ. წყაროების მოძიებისას წააწყდებით შემდეგ ნაშრომს: როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს? დაბალანსების და მიტმასნების სტრატეგიები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელიც ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეფასებულია დასახელებული კრიტერიუმებისა და შეკითხვების საფუძველზე.

შეფასების კრიტერიუმები	ხარისხის შესაფასებელი შეკითხვები	მაგალითი
სათაური	არის კავშირი მოძიებული	როგორ ირჩევენ პატარა

	პუბლიკაციის სათაურსა და თქვენს სამეცნიერო ნაშრომის თემას შორის?	ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს? დაბალანსების და მიტმასნების სტრატეგიები სამხრეთ კავკასიის რეგიონში - შერჩეულ საკვლევ პრობლემასა და მოძიებულ წყაროს (დისერტაციას) შორის კავშირი აშკარაა: წყარო შეისწავლის პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ ქცევას, როგორ ახერხებენ პატარა ქვეყნები საგარეო საფრთხეების შეფასებას.
წარმომავლობა - ავტორის/მკვლევრის პროფესიული გამოცდილება	რომელი პროფესიის წარმომადგენელია მოძიებული წყაროს ავტორი? რითია დაკავებული? იგი მეცნიერი, პრაქტიკოსი, ჟურნალისტი თუ დილეტანტია?	გიორგი გვალია - სრული პროფესორი (პოლიტიკის მეცნიერება)
წყაროს გამოცემის თარიღი	როდის გამოქვეყნდა მოძიებული წყარო?	2013
პუბლიკაციაში დამუშავებული წყაროების /ემპირიული შედეგების სიძველე	პუბლიკაციაში წარმოდგენილი შედეგები ახალია თუ „მოძველებული“? სტატიის მკვლევარმა ხომ არ დაამუშავა „ყავლგასული“, ძველი მონაცემები?	წყაროში დამუშავებულია აქტუალური სამეცნიერო ნაშრომები, ემპირიული მონაცემები, ინტერვიუები
პუბლიკაციის სათაური - ტიპი - სამიზნე ჯგუფი	მოძიებულ წყაროს უფრო მეტად ვის მიაკუთვნებდით, მეცნიერებს თუ პრაქტიკოსებს? მოძიებული წყაროს სამიზნე ჯგუფში ვინ არიან - მეცნიერები თუ პრაქტიკოსები?	სამიზნე ჯგუფი მოიცავს მეცნიერებსა და პრაქტიკოსებსაც
გვერდების რაოდენობა	მკვლევარი თემას როგორ ამუშავებს - ზედაპირულად თუ სიღრმისეულად?	სიღრმისეულად (151) ²¹
დამუშავებული	სტატიის ძირითადი	199 წყარო

²¹ ცხადია, გვერდების რაოდენობა ყოველთვის ხარისხზე არ მეტყველებს და მნიშვნელოვანია მისი შინაარსი, გამოყენებულ წყაროთა ხარისხი და აკადემიური წესების დაცვა

წყაროების რაოდენობა	საფუძველი, ბაზისი რამდენი წყაროა?	
დამუშავებული წყაროების ბალანსი / თანაფარდობა / პროპორციულობა	მოძიებული პუბლიკაციების ავტორი მხოლოდ ერთი სახის წყაროებს ამუშავებს (მაგ. სახელმძღვანელოებს), თუ იყენებს ასევე დარგობრივი ჟურნალებიდან მოძიებული კვლევების შედეგებს?	წყაროში გამოყენებულია დარგში გამოქვეყნებული სტატიები, შედეგები, ინტერვიუები
დამუშავებული წყაროების წარმომავლობა	მკვლევარი მხოლოდ მშობლიური წრის (მშობლიურენოვანი) ავტორებს ამუშავებს თუ ასევე იყენებს რელევანტურ უცხოენოვან ლიტერატურას?	გამოყენებულია დიდი რაოდენობის ინგლისურენოვანი წყაროები (186) ქართულთან ერთად
ძირითადი / საკვანძო წყაროების გათვალისწინება	რამდენად დაამუშავა ავტორმა უმნიშვნელოვანესი წყაროები თავისი თემის ფარგლებში?	ყველა მნიშვნელოვანი წყარო დამუშავებულია (ამის დასადაგენად აუცილებელია ვიცოდეთ, თუ ვინ არის დარგში ავტორიტეტული/მნიშვნელოვანი ავტორები)
არსებითი/მნიშვნელოვანი ავტორების გათვალისწინება	რამდენად გაითვალისწინა ავტორმა მნიშვნელოვანი მკვლევრები თავისი დარგის მიმართულებით (ის ავტორები, რომლებიც განსაზღვრულ სფეროში ინტენსიურად იკვლევენ)?	გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი ავტორი, მაგალითად: გიანოდია, ალექსანდრე რონდელი, Jonathan Aves, Katherine Barbieri, Michael Barnett და სხვები (ისინი დარგის სპეციალისტები/მკვლევრები არიან)
ციტირებული/სააზროვნო მიმართულებების სპექტრი	მკვლევარს მხოლოდ განსაზღვრული „სკოლის“/სააზროვნო წრის ავტორების ნაშრომები აქვს გამოყენებული / ციტირებული?	ციტირებულია როგორც დარგის ავტორები, ასევე სხვა დისციპლინის მკვლევრები

გამოსახულება 13: წყაროს ხარისხის შესაფასებელი კითხვები და კრიტერიუმები

NB²² წყაროთა ძიების მეთოდების ეფექტიანობა და მისი მნიშვნელობა დამოკიდებულია ავტორის წინარეცოდნაზე, საკვლევ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის რაოდენობასა და სახეობებზე, ასევე კვლევის მიზნებზე.

4.2. წყაროს ტიპების მახასიათებლები და მათი გამოყენების შესაძლებლობები

მოძიებულ წყაროთა სისტემატიზაცია წყაროთა სახეობების მიხედვით იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ კორელაციაშია²³ საკვლევ თემა კვლევის სფეროსთან (ე.ი. რამდენად არსებობს მასზე სამეცნიერო წყაროები). გამოიყოფა წყაროს შემდეგი ტიპები: სახელმძღვანელო, დარგის ჟურნალი, კრებული, მონოგრაფია, დისერტაცია, ინტერვიუები, ენციკლოპედიები, გაზეთები, მოხსენებები.

ცხრილში მოცემულია დასახელებულ წყაროთა მახასიათებლები და წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობები კვლევით ნაშრომში.

წყაროს სახეობა	ტიპური მახასიათებლები	ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობა	მაგალითი
ზოგადი სახელმძღვანელო	მთავარი თემის ფართო მიმოხილვა. მასში დამუშავებული წყაროები შეიძლება შედარებით მოძველებული იყოს, თუმცა ბიბლიოგრაფიული კვალის ²⁴ გაყოლისათვის მნიშვნელოვანია	დასახელებული თემებიდან საკვლევ თემის ამორჩევა	<i>ფიზიკის საფუძვლები</i>
დარგის სახელმძღვანელო	კვლევის კონკრეტული სფერო მიმოხილულია დარგის სპეციალისტების მიერ.	თემა შესაძლოა კონკრეტული სფეროდან შეირჩეს	<i>გარემოს დაცვითი განათლება სკოლებში</i>
სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალები / გაზეთები	გადმოგვცემენ უახლესი კვლევის შედეგებს. სამეცნიერო, აქტუალური,	შესაძლებელია კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სპეციფიკური	ISSN: 2162-6359 <i>International Journal of Economics & Management Sciences</i>

²² NB — please note — (ლათინური nota bene — შენიშვნა ასევე საინტერესო)

²³ უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით correlatio ურთიერთდამოკიდებულებას, შეფარდებას ნიშნავს

²⁴ (იხ. 4.1 წყაროს მოძიების სტრატეგიები)

	მაღალხარისხიანი, სხვა მკვლევართა მიერ რეფერირებული სტატიები	ცოდნის თავმოყრა, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე ემპირიულ მიგნებებს	https://www.omicsonline.org/economics-and-management-sciences.php
კრებული	მასში წარმოდგენილია სხვადასხვა ავტორთა მიერ განსხვავებული პერსპექტივებითა და მეთოდოლოგიური მიდგომებით დამუშავებული სადისკუსიო თემები.	შეიძლება გადაიხედოს კვლევის სხვადასხვა მიმართულება და გამოიკვეთოს დისციპლინის ერთი ასპექტი	<i>შესავალი თანამედროვე აზროვნებაში</i>
სამეცნიერო შრომები (მონოგრაფია, დისერტაცია, სამაგისტრო ნაშრომი)	თემა ყოველმხრივ არის შესწავლილი და საკვლევ საკითხთან დაკავშირებული კვლევის აქტუალურ მდგომარეობას წარმოაჩენს.	შესაძლოა კონკრეტულ თემაზე შეგროვდეს სპეციფიკური ცოდნა (თეორიული ცოდნა და ემპირიული მიგნებები)	დისერტაცია - როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს? დაბალანსების და მიტმასნების სტრატეგიები სამხრეთ კავკასიის რეგიონში (http://eprints.iliauni.edu.ge/865/1/South%20Caucasus.pdf)
ენციკლოპედია	ცნებათა მოკლე განმარტებები.	კვლევისთვის საკვანძო ცნებების მოძიება	1. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=14&t=dict&w1=%E1%83%9B 2. მითოლოგიური ლექსიკონი
მოხსენება	„ახალი ცოდნა“, რომელიც სადისკუსიოდ არის გამოტანილი - სპეციფიკური სფეროს მრავალმხრივი კვლევა	შესაძლოა შეგროვდეს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სპეციფიკური ცოდნა და შემდეგ განხორციელდეს მისი სიღრმისეული	<i>The differences in scientific cultures (scientific work) in Georgia and in Germany</i> 9th Conference of the European Association for Teaching Academic Writing in London

		შესწავლა	
ტელევიზია, ყოველკვირეული / დღიური გაზეთები	აქტუალური	აქტუალური, პრაქტიკული პრობლემების გამოკვეთა (მონაცემებზე დაყრდნობით) და მეცნიერულ კონტექსტში გადატანა	24 საათი
ინტერვიუები ექსპერტებთან	შინაარსი სუბიექტურია და მათი ვალიდურობა ძნელად გადამოწმებადი	გამოუქვეყნებელ ცოდნასთან ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა	საუბრები რელიგიაზე: გიორგი მაისურაძე 17 მაისის მოვლენების შესახებ http://www.tabula.ge/ge/tv/religion/107959-giorgi-maisuradze-17-maisi
ინტერნეტი	შინაარსი ხშირად რთულად შემოწმებადია ან საერთოდ შეუძლოა შემოწმებელი	შესაძლებელია საჯარო მონაცემთა მოპოვება, ასევე სამეცნიერო ელ.ბაზებისა და კატალოგების გამოყენება	შრომითი ურთიერთობები ქალთა დისკრიმინაციის შესახებ სპეციალური ანგარიში (სახალხო დამცველის ანგარიში) http://www.ombudsmen.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/specialuri-angarishi-shromit-urtiertobebshi-qalta-diskriminacis-shesaxeb.page ²⁵

გამოსახულება 14: წყაროს სახეობები, მათი მახასიათებლები და გამოყენების შესაძლებლობები

წყაროს მეცნიერულობის ხარისხი სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით ფასდება. მათ შორის მნიშვნელოვანია ობიექტურობა, შინაარსის სანდოობა, დამაჯერებლობა და სისწორე, წყაროს ავტორიტეტულობა, ორიგინალურობა, აღქმადობა. ჩამოთვლილი მახასიათებლები შესაძლებელია ოთხ მთავარ კრიტერიუმში გაერთიანდეს და ესენია: ავტორი, თემა, წყარო და შინაარსი.

²⁵ცხრილი დამუშავებულია შემდეგი წყაროს მიხედვით: Kornmeier, Martin. 2009. *Wissenschaftlich schreiben leicht gemacht. Für Bachelor, Master und Dissertation*. Haupt verlag Bern. Stuttgart.Wien.

ავტორი - სფეროს სპეციალისტის კომპეტენტურობა ბიბლიოგრაფიის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს. ხშირად ასეთ ავტორებს განეკუთვნებიან „კლასიკოსი ავტორები“ / მკვლევრები, რომლებმაც საკითხები პირველბა იკვლიეს. გზისგამკვალავი მკვლევრების შემდეგ კი ყურადღება მათზე უნდა გამახვილდეს, ვინც ცდილობს საკითხს ახალი ცოდნა შესძინონ და არ გაიმეორონ დარგის აღიარებული „კლასიკოსების“ ნააზრევნი (Preißner 2012, 71). ავტორის სანდოობის შესაფასებლად შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვები:

- რა ვიცი ავტორის შესახებ?
- აქვს მას აკადემიური ტიტული?
- მუშაობს თუ არა იგი სამეცნიერო დაწესებულებაში?
- საკვლევ თემასთან დაკავშირებით დასახელებულა თუ არა ავტორის სახელი?

თუ თქვენ წერთ თემას *ქალის მარგინალური როლი ნინო ხარატიშვილის რომანში „მერვე სიცოცხლე ბრილკასთვის“*, მაშინ კვლევისთვის სასარგებლო იქნება ლევან ცაგარლის საკონფერენციო მასალა: *ხელოვანი ქალები ტოტალიტარიზმში. უცხოთა ხატების დეკონსტრუქცია ნინო ხარატიშვილის რომანში „მერვე სიცოცხლე ბრილკასთვის“*. ავტორი სანდოა ამ შემთხვევაში, რადგან:

- დარგის სპეციალისტია (ლიტერატურათმცოდნეა)
- დოქტორის აკადემიური ტიტულის მატარებელია
- მუშაობს უნივერსიტეტში (პროფესორია) და კითხულობს ლექციებს ლიტერატურათმცოდნეობაში
- აქვს ციტირების ინდექსი (მისი რამდენიმე ნაშრომი ციტირებულია სხვა მკვლევრების მიერ)

თემა – ამ კრიტერიუმით განისაზღვრება, რამდენად შეესაბამება ინფორმაცია საკვლევ თემას და კვლევით კითხვებს; რამდენად გამოსადეგი იქნება ნაშრომისთვის მოძიებული ინფორმაციის გამოყენება. სათაურში, ქვესათაურებში ან ბიბლიოგრაფიაში უნდა ჩანდეს საკვანძო ცნებები, მაგალითად, თუ თქვენ წერთ თემას შემდეგ საკითხზე: *დეზინფორმაციის პროპაგანდა, როგორც საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების ინსტრუმენტი*, მაშინ მოძიებულ წყაროთა სათაურში, ბიბლიოგრაფიაში, ქვესათაურში ან აბსტრაქტში უნდა ჩანდეს შემდეგი ცნებები: *ჟურნალისტიკა, დეზინფორმაცია, იდეოლოგია, ტოტალიტარიზმი, პროპაგანდა, პრესა*.

წყარო – წყაროს შეფასებისთვის ყურადღება ექცევა:

- **სად არის გამოქვეყნებული ინფორმაცია** – ძირითადად მიჩნეულია, რომ სამეცნიერო მუშაობისას უმჯობესია დარგის სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების გამოყენება, რადგან მათში სამეცნიერო დისკუსიების უმნიშვნელოვანესი ნაწილია თავმოყრილი და აქტუალური, ხელმისაწვდომი ცოდნაა დოკუმენტირებული.
- **გამომცემელი** – წყაროს ანალიზის დროს გამომცემელი არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რადგან ორგანიზაცია, რომელიც ინფორმაციას აქვეყნებს, წყაროს

ხარისხზეცაა პასუხისმგებელი. მაღალხარისხიან გამოცემებში გამოქვეყნებამდე სტატია ანონიმურ რეცენზირებას გაივლის დარგის სპეციალისტებთან და მხოლოდ ამის შემდეგ ქვეყნდება. ამ ინფორმაციის გათვალისწინება ეხმარება ავტორს იმის განსაზღვრაში, რომ გამოცემაში მეთოდოლოგიურად და შინაარსობრივად გაუმართავი ნაშრომები გაცხრილულია.

- **ციტირების მაჩვენებელი** – სამეცნიერო სფეროებში ის მკვლევრები მიიჩნევა ყველაზე ღირებულად, რომელთა ციტირების მაჩვენებელი მაღალია. არსებობს ციტირების მონაცემთა ბაზები, რომლებშიც შესაძლებელია მონაცემთა შემოწმება. თანამედროვე ქართული რეალობისთვის ორი ყველაზე გავლენიანი ბაზაა ხელმისაწვდომი: Scopus, მასში გაერთიანებულია ციტირების მაჩვენებელი 1995 წლიდან დღემდე და Thomson Reuters-ის ფარგლებში Journal Citation Reports, რომელიც გვთავაზობს მსოფლიოს წამყვანი ჟურნალების სისტემურ, ობიექტურ და კრიტიკულ შეფასებას ციტირების მონაცემების საფუძველზე 2006 წლიდან დღემდე.

შინაარსი – წყაროს ფორმატი ხშირად მის სანდოობაზე მიაჩნდება. ყურადღება უნდა გამახვილდეს:

- **ბიბლიოგრაფიაზე** – წყაროს სანდოობა ექვს ბადებს, თუ გამოყენებული ინფორმაციის ნუსხა არ ერთვის ნაშრომს ტექსტის ბოლოს.
- **თეორიულ წანამძღვრებზე** – სამეცნიერო კვლევისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომელ თეორიულ წანამძღვრებზე დაყრდნობით ქმნის მკვლევარი ტექსტს.
- **დამოწმებულ წყაროებზე** – თუ ავტორი სერიოზულად ეკიდება წყაროთა დამუშავებას, აუცილებელად იქნება ნაშრომში წყაროები დამოწმებული. ისინი ინფორმაციის შემოწმების საშუალებას იძლევა და წყაროს ობიექტურობის ნიშანია.
- **საკვლეფ საკითხზე** – მოძიებულ ნაშრომში გამოკვეთილი უნდა იყოს კონკრეტული საკვლეფი საკითხი, რომელიც აქტუალურ და ღირებულ წყაროებზეა დამყარებული.
- **წყაროს სტრუქტურაზე** – მწყობრი აგებულება წყაროს ხარისხზე მიაჩნდება, რადგან სტრუქტურირებული ნაშრომი ინფორმაციის აღქმას ამარტივებს და, შესაბამისად, მკითხველისთვის ავტორის მოსაზრებები, არგუმენტები და თეორიული წანამძღვრები აშკარა ხდება, სახელდრობრ, მკაფიოდ აგებულ ნაშრომში ჩახედვისას უმაღლეს გეგმებათ შთაბეჭდილება იმაზე, რომელ მეთოდს იყენებს ავტორი, რა არის კვლევის მიზანი, რამდენადაა სამეცნიერო წყაროების მიმოხილვა საკვლეფი თემის შესაბამისი.

ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითში მოცემულია აბსტრაქტი ნინო ენუქიძის სადისერტაციო ნაშრომიდან *სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში*. აღნიშნული ნაშრომის ფორმატით გათვალისწინებულია ზემოთ დასახელებული შინაარსის მნიშვნელოვანი მახასიათებლები, სახელდობრ:

- ✓ ნაშრომს დართული აქვს ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავს დარგის მნიშვნელოვან გამოცემებს
- ✓ ტექსტში დამოწმებულია გამოყენებული წყაროები
- ✓ მკაფიოდაა გამოკვეთილი თემის საკვლევი პრობლემა და კვლევის მიზანი, ასევე კვლევის შედეგი
- ✓ წყაროში წარმოდგენილია ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი ყველა სტრუქტურული ერთეული / ნაწილი

აბსტრაქტი

სოციალური მედიის, როგორც ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ელემენტის გამოყენება საქართველოში არსებული კომპანიებისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. სოციალური მედიის კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც ცდილობენ ფართო აუდიტორიისთვის მარკეტინგული მესიჯის მიწოდებას მინიმალური დანახარჯით და ბრენდის პოზიციონირებას ბაზარზე. კვლევის ამოცანაა შეისწავლოს საქართველოში არსებული, სოციალურ მედია სივრცეში აქტიური კომპანიების ბრენდინგის პროცესი, მათი მარკეტინგული აქტივობის ინვესტირებიდან ამონაგების გაანგარიშება და იმ პარამეტრების იდენტიფიცირება, რომელთა საშუალებით კომპანია ახდენს ეფექტიანობის გაზომვას. ნაშრომი განიხილავს სოციალური მედიასივრცის გამოყენების ეფექტურ და არაეფექტურ პრეცედენტებს, ახდენს წარმატებისა თუ წარუმატებლობის ამომწურავ ანალიზს. კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული კომპანიებისთვის სოციალური მედიასივრცის ათვისების საუკეთესო მოდელის შემუშავება, სოციალური მედიამომხმარებლის ქცევიდან გამომდინარე ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ელემენტად გამოყენებისთვის მისაღები ფორმების განსაზღვრა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომი განიხილავს მსოფლიო და ადგილობრივ დონეზე სოციალური მარკეტინგული კამპანიების მაგალითებს, აღწერილია ეფექტიანობის გაზომვის ის პარამეტრები, რომელიც დაეხმარება კომპანიებს მარკეტინგული ინვესტირებიდან ამონაგების გაანგარიშებაში. ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში პირველ სოციალურ მედია კვლევას, ემყარება მსოფლიოში აპრობირებულ ანალიტიკურ მოდელს და იძლევა ზუსტ მონაცემებს კომპანიების მიერ გაწეული მარკეტინგული ძალისხმევის შედეგების შესაფასებლად. კვლევის ფარგლებში შემუშავებულია სოციალური მედია მარკეტინგის გამოყენების ეფექტური მოდელი საქართველოში არსებული მსხვილი ორგანიზაციებისა და მცირე ზომის სტარტაპებისთვის.


ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური, მედია, მარკეტინგი, პარამეტრი, ეფექტიანობა, ბიზნესი.

(ენუქიძე 2014)

ზემოთჩამოთვლილ წყაროთა მოძიებისა და შეფასების კრიტერიუმებით დიდწილად განისაზღვრება სამეცნიერო ნაშრომის ხარისხი და მათი გათვალისწინება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ავტორებს აკადემიური ნაშრომის შექმნის პროცესში.

4.3. პირველადი, მეორეული და მესამეხარისხოვანი წყაროები

პირველადი წყაროები – ყველა საკვლევი საგანი არის პირველადი წყარო. პირველადი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემები გამოიყენება კვლევაში ვარაუდის გასამყარებლად.



დედანი ნაწარმოებები:

- ლიტერატურული ტექსტები
- ვიზუალური კულტურის ობიექტები / სახვითი ხელოვნების ნიმუშები
- ფილმები, სცენარები
- მუსიკალური ნაწარმოებები, აუდიო-ჩანაწერები
- ქანდაკება

საგნები:

- მონეტები
- ინსტრუმენტები
- ტანსაცმელი

მონაცემები:

- სტატისტიკა
- ინტერვიუ
- ექსპერიმენტი
- სიტყვით გამოსვლა
- გამოკითხვის შედეგები

მეორეული წყაროები – კრიტიკული სამეცნიერო ტექსტები, რომლებიც პირველადი წყაროების შესწავლას ემსახურება და ძირითადად მკვლევრებს ეკუთვნის, მაგალითად, პოლიტიკის მეცნიერებებში – სტატია ამერიკის პრეზიდენტ ტრამპის გამოსვლაზე აშშ-ში მცხოვრები ემიგრანტებისათვის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ; ისტორიაში – 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის ანალიზი.

მეორეული წყაროები გვებმარებიან:

- შევადგროვოთ ცოდნა საკვლევი საკითხის შესახებ
- გავეცნოთ განსხვავებულ შეხედულებებს საკვლევი საგნის შესახებ
- ავირჩიოთ პირველად წყაროებზე დაკვირვების, ინტერპრეტაციის მიმართულება
- დავიცვათ აკადემიური ნაშრომის სტილი (თურაბიანი 2007, 46)

მეორეული წყაროები



- სტატიები
- წიგნები
- თემატური ენციკლოპედიები და ლექსიკონები
- დისერტაციები და მონოგრაფიები


NB ნუ გადმოიტანთ მეორეულ წყაროში დედანი ტექსტიდან დამოწმებულ ციტატას თქვენს ნაშრომში ისე, თითქოს იგი თავად გქონდეთ პირველწყაროდან მოძიებული!

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პირველად და მეორეულ წყაროთა დახარისხება დარგების მიხედვით. ამ ინფორმაციის გააზრება დაეხმარება დამწყებ მკვლევრებს ციტირებისა და კვლევის ჰიპოთეზის/საკვლევი კითხვების დასაბუთების პროცესში.

დარგები	პირველადი წყარო	მეორეული წყარო
მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება	ნოველები, პოემები, წერილები, ხელნაწერები, ავტობიოგრაფიები, ფილმები, დღიურები, სპექტაკლები, მხატვრული ტილოები, სკულპტურა, რეპროდუქცია, მუსიკალური ნაწარმოებები	სამეცნიერო ჟურნალები, მიმოხილვები, ბიოგრაფიები, კრიტიკული წიგნები ავტორსა და მის შემოქმედებაზე
პოლიტიკური მეცნიერებები, ისტორია	სიტყვით გამოსვლები, დეპარტამენტთა ანგარიშები, საპარლამენტო სხდომათა ჩანაწერები, ისტორიულ პირთა მიერ ხელმოწერილი / დაწერილი დოკუმენტები	საგაზეთო სტატიები, პოლიტიკური ჟურნალები და მასში გამოქვეყნებული სტატიები, ისტორიული წიგნები
სოციალური მეცნიერებები	გამოკითხვის შედეგები, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგების ანგარიშები, <i>case studies</i>	კვლევის შედეგების ანალიზი ანგარიშებსა და დოკუმენტებში, სტატიები ჟურნალებში, წიგნები
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ექსპერიმენტები, მეთოდები, მიგნებები, დაკვირვებები და აღმოჩენები, პირველადი ნიმუშები	აღმოჩენებისა და ექსპერიმენტების ანალიზი -ინტერპრეტაცია წიგნებსა და სამეცნიერო ჟურნალებში

ეკონომიკა	ბაზრის კვლევის შედეგები, მემორანდუმები, გამოგონებები, დიაგრამები, ცხრილები, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები	დისკუსიები ეკონომიკურ საკითხებზე დარგის ჟურნალებსა და გაზეთებში, წიგნები, სამთავრობო დოკუმენტები
განათლების მეცნიერებები	საპილოტე სწავლება და მისი შედეგები, დაკვირვებები სასწავლო პროცესზე, გამოკითხვები, ინტერვიუები, სტატისტიკური მონაცემები	საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებული ექსპერიმენტებისა და ახალი მიდგომების ანალიზი და შეფასება დარგობრივ ჟურნალებსა და წიგნებში ²⁶

მესამეხარისხოვანი წყარო – მესამეხარისხოვანი წყაროები მეორეულ წყაროებს ეფუძნება და ხშირად არ არის დარგის სპეციალისტის მიერ დაწერილი, თუმცა მათში წარმოდგენილია მრავალი თემის მოკლე განხილვა.



სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. პირველადი, მეორეული და მესამეხარისხოვანი წყაროების განსაზღვრა.

ა) იმსჯელეთ, რომელი წყაროები იქნება პირველადი, მეორეული და მესამეხარისხოვანი ნაშრომისთვის – *ეფემერული შთაბეჭდილება მზის ამოსვლისას კლოდ მონეს შემოქმედებაში?*

1. კლოდ მონე. 1872. პარიზი, მარმოტან-მონეს მუზეუმი

²⁶ ცხრილი გადამუშავებულია შემდეგი წყაროს მიხედვით: Laster, James D and James D.Laster, Jr. 2015. *Writing Research Papers: A Complete Guide*. Pearson, fifteenth Edition.

²⁷ დარგის სამეცნიერო ჟურნალები მეორეული წყაროებია.



2. პაპიაშვილი, იკოპ. 2013. *კლოდ მონე*. თბილისი: გაგრა
3. Laurence, Anholt. 2014. *Magical garden of Claude Monet*. American Library Association: Chicago
4. Wolf, Martin and Erik Partridge. 1951. *Dictionary of the arts*. New York: Philosophical Library
5. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი.
<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=14&t=dict&w1=%E1%83%9B>

ბ) იმსჯელეთ ნაშრომისთვის – ინტერტექსტობრივი მიმართებები ქართულსა და გერმანულ საოჯახო რომანებში – თომას მანის რომანის „ბუდენბროკები“ და ოთარ ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ მიხედვით – რომელი იქნება პირველადი და მეორეული წყაროები:

1. მანი, თომას. 1986. *ბუდენბროკები*. თბილისი.
2. ბაქრაძე, აკაკი. 1972. *ფიქრი და განსჯა*. თბილისი: მერანი
3. Ridley, Hugh. 1987. *Thomas Mann: Buddenbrooks*. Cambridge.
4. Ru, Yi-Ling. 1992. *The Family Novel: Toward a generic definition*. New York
5. Ryan Judith. *Buddenbrooks: between realism and aestheticism*. The Cambridge Companion to Thomas Mann, Cambridge University Press, 2004. 119-137
6. ჭილაძე, ოთარ. 1986. *ყოველმან ჩემმან მპოვნელმან*. თბილისი.

გ) იმსჯელეთ ნაშრომისთვის – ზემო იმერეთის მღვიმეები და ზედა პალეოლითელ ადამიანთა სამეურნეო საქმიანობა – რომელია პირველადი, მეორეული და მესამეხარისხოვანი წყაროები:

1. ორთვალა კლდე (ზემო იმერეთი)



2. Upper Paleolithic Hunting Behaviors in the Southern Caucasus. Current Anthropology. Vol. 47, Number1.
3. AdlerD,Bar-OzG.,VekuaA.,Tushabramishvili N. 2004: PaleolithicHunting Practices. Caucasus Environment. 2(7).
4. N. Boaretto E., Mercier N., Valladas H., Rink W. 2008: Dating the Demise: Neanderthal Extinction and the Establishment of Modern Humans in the South Caucasus. 2008. Journal of Human Evolution. V. 55 N.5. 1-17. A-267.
5. თუშაბრამიშვილი ნ, აღაპიშვილი თ, ბუხსიანიძე მ, ყვავიძე ე, მუსხელიშვილი ა, მონსელი მ, პლოდდო დ. 2009. რიონ-ყვირილას აუზის ძველი ქვის ხანის შემსწავლელი ექსპედიციის მიერ 2007 წ.ბონდის მღვიმეში ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგები. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. მოამბე. საბუნებისმეტყველო და პრეისტორიული სერია 1, თბილისი.
6. სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. 2006. ტ. I. თბილისი: ბაკმი.

სავარჯიშო 2. თემის სათაურისა და წყაროების შესაბამისობის / რელევანტურობის განსაზღვრა.

ა) ჩამოთვლილი წყაროებიდან შეარჩიეთ ნაშრომისათვის – *მართლმადიდებლური დისკურსის გავლენა ქართული იდენტობის ფორმირებაზე* – რელევანტური წყაროები:

1. ქებაძე, თადეოზ. 2012. *რელიგიადაკულტურა* . თბილისი: საქართველოსთავდაცვისსამინისტრო
2. ბანჩი, შარლოტ. 2003. *გენდერული თეორიების ათოლოგია: ქალის უფლებები*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
3. მაისურაძე,გიორგი.2013. *მართლმადიდებლურიეთიკადაარათავისუფლებისსული*. თბილისი: ბაკურსულაკაურისგამომცემლობა.

4. ხარაძე, ნინო. 2014. საშობაოეპისტოლისაქცენტები. *რადიოთავისუფლება*. თბილისი. <http://www.radiotavisupleba.ge/a/sashobao-epistole/25222774.html>
5. Thody, P.M.W. "The Influence of Genre on Ideology: The Case of the Family Novel." *Proceedings and Papers of the Sixteenth Congress of Australasian Universities', Language and Literature Association*. Held 21-27 August 1974. n.p., 1976.

ბ) ჩამოთვლილი წყაროებიდან შეარჩიეთ ნაშრომისათვის – *საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ეფექტები ჯანდაცვითი სერვისების უტილიზაციაზე საქართველოში* – რელევანტური წყაროები:


1. დე გუჟი, ოლიმპია. 2003. *ქალის უფლებების დეკლარაცია*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
2. კუკავა, მიხეილ. 2013. *საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა: პრობლემები და რეკომენდაციები*. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო.
3. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ (2012-2013 წლის).
4. "ალდაგი". ქონების დაზღვევა და მისი სახეები. 2014 წლის მაისი-ივნისი ოფიციალური ვებგვერდი: <http://www.aldagibci.ge/index.php?m=27>
5. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. ჯანმრთელობის დაცვა. სტატისტიკური ცნობარი 2012. საქართველო. თბილისი 2013.

გ) ჩამოთვლილი წყაროებიდან შეარჩიეთ ნაშრომისათვის – *მესამე გვაროსნული ლაშქრობის ზეგავლენა საქართველოზე „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე* – რელევანტური წყაროები:


1. თენგიზ ვერულავა. „ფრიდრიხ ჰაიეკის გზა ბატონყმობისაკენ თანამედროვეობის ჭრილში“. *ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა*. N 2. 2015
2. თევზაძე, გიგი. 2014. "ვ?": ბოლოსდაბოლოს, რა არის ეს "ვეფხისტყაოსანი"? <http://eprints.iliauni.edu.ge/1323/>
3. თინიკაშვილი, დავით. 2015. *ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში*. ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. Гуревич, Арон. 1990. *Одиссей. Человек в истории: Личность и общество*. Москва: Наука.
5. Wolk, Anthony. 1990. Challenge the Boundaries: An Overview of Science Fiction and Fantasy. *The English Journal*, Vol. 79, No. 3 (Mar., 1990), pp. 26-31.

სავარჯიშო 3. წყაროს შეფასება


ქვემოთ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინეთ თითოეული წყაროს სანდოობის ხარისხი



1. ავტორი: პიტერ კ. ლინდერტი
გამომცემელი: სიახლე
გამოცემის წელი: 2011
ქალაქი: თბილისი



2. ავტორი: გელა გამყრელიძე, მარინე ფირცხალავა, გურამ ყიფიანი
წელი: 2005
ISBN: 99940-11-40-5
გამომცემლობა: არტანუჯი
გამოცემის ადგილი: თბილისი



3. ავტორი: ამერიკისიურისტთაასოციაცია
წელი: 2015
ISBN: 978-9941-25-161-0
4. <https://www.mshoblebi.ge/fsiqologia.html>
5. Aprasidze, David and Srioky, David . 2011. *Guns, roses and democratization: Huntington's secret admirer in the Caucasus*. Democratization, 18 (6). pp. 1227-1245. ISSN 1351-0347
6. <http://factcheck.ge/article/73-saqarthvelos-mkvidri-mosakhleobis-umushevaria/>



7. ავტორი: Gela Gamkrelidze
წელი: 2012
ISBN: 978-9941-0-4565-3
გამომცემლობა: OTAR LORDKIPANIDZE CENTRE OF ARCHAEOLOGY OF GEORGIAN NATIONAL MUSEUM
გამოცემის ადგილი: თბილისი

სავარჯიშო 4: ინდივიდუალური სამუშაო: ინდივიდუალური საკვლევი თემისთვის მეორეულ წყაროთა მოძიება და შეფასება.

მოიძიეთ ორი წყარო თქვენს ინდივიდუალურ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით და შეაფასეთ ცხრილი შეფასების შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმები	ხარისხის შესაფასებელი კითხვები	შეფასება მაგალითის საფუძველზე
სათაური	არის კავშირი მოძიებული პუბლიკაციის სათაურსა და თქვენი სამეცნიერო ნაშრომის თემას შორის?	
წარმომავლობა ავტორის / მკვლევრის პროფესიული გამოცდილება	მოძიებული წყაროს ავტორი რა პროფესიის წარმომადგენელია? რითია დაკავებული? არის იგი მეცნიერი, პრაქტიკოსი, ჟურნალისტი თუ დილექტანტი?	
წყაროს გამოცემის თარიღი	როდის გამოქვეყნდა მოძიებული წყარო?	
პუბლიკაციაში დამუშავებული წყაროების / ემპირიული შედეგების სიმრავლე	პუბლიკაციაში წარმოდგენილი შედეგები ახალია თუ „მომკვლევებელი“? სტატიის მკვლევარმა „ყავლგასული“, ძველი მონაცემები ხომ არ დაამუშავა?	
გვერდების რაოდენობა	მკვლევარი თემას როგორ ამუშავებს - ზედაპირულად თუ სიღრმისეულად?	
დამუშავებული წყაროების რაოდენობა	სტატიის ძირითადი საფუძველი, ბაზისი რამდენი წყაროა?	
დამუშავებული წყაროების ბალანსი / თანაფარდობა / პროპორციულობა	მოძიებული პუბლიკაციების ავტორი მხოლოდ ერთი სახის წყაროებს ამუშავებს (მაგ. სახელმძღვანელოებს), თუ იყენებს ასევე დარგობრივი ჟურნალებიდან მოძიებული კვლევების შედეგებს?	
დამუშავებული წყაროების წარმომავლობა	მკვლევარს მხოლოდ განსაზღვრული „სკოლის“/სააზროვნო წრის ავტორების ნაშრომები აქვს გამოყენებული / ციტირებული?	

შემაჯამებელი ტესტი: სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება

აირჩიეთ და შემოხაზეთ მხოლოდ ერთი მართებული პასუხი.

1. რატომ არის მნიშვნელოვანი მოძიებული წყაროს კრიტიკული შეფასება კვლევითი ნაშრომის შექმნისას?
 - ა) რათა გადმოვცეთ წყაროს შინაარსი მოკლედ
 - ბ) რადგან კვლევითი ნაშრომის არგუმენტები და შეხედულებები მოძიებული წყაროებით მყარდება
 - გ) რათა შევძლოთ რეცენზიის დაწერა კრიტიკულ ტექსტზე
2. საძიებო სიტყვა გეხმარებათ:
 - ა) კვლევის საკითხთან დაკავშირებული წყაროების ძიებაში
 - ბ) ტერმინების განმარტებაში
 - გ) ნაშრომის სათაურის ფორმულირებაში
3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის სანდო წყარო?
 - ა) სამეცნიერო ბაზები
 - ბ) ბიბლიოთეკა
 - გ) ფორუმები
4. ინფორმაციის მოძიების დროს წყაროს წაკითხვამდე რომელ სტრუქტურულ ერთეულებს უნდა მიაქციოთ ყურადღება?
 - ა) ბიბლიოგრაფიასა და ლიტერატურის მიმოხილვას
 - ბ) სათაურს, აბსტრაქტსა და დასკვნას
 - გ) თავფურცელსა და ლიტერატურის მიმოხილვას
5. დარგის სახელმძღვანელოს მახასიათებელია:
 - ა) კვლევის კონკრეტული სფერო მიმოხილულია დარგის სპეციალისტების მიერ
 - ბ) მთავარი თემის ფართო ანალიზია გადმოცემული
 - გ) ცნებათა მოკლე განმარტებებია გადმოცემული
6. წყაროს ხარისხის შესაფასებელი კრიტერიუმებია:
 - ა) შესავალი, ავტორი და დასკვნა
 - ბ) ავტორი, თემა, წყარო, შინაარსი
 - გ) შინაარსი, სარჩევი და ქვესათაური
7. რატომ არის გამომცემელი მნიშვნელოვანი წყაროს ხარისხის განსაზღვრისას?
 - ა) გამომცემლობა ცვლის გამოსაცემი წყაროს შინაარსს
 - ბ) გამომცემლობა გამოსაქვეყნებელ მასალას ანონიმურ რეცენზენტებთან გზავნის, რომლებიც დარგის სპეციალისტები არიან

გ) გამომცემლობა აქვეყნებს მხოლოდ დარგში აღიარებული მკვლევრების სტატიებს

8. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს პირველადი წყარო?

ა) სკულპტურა

ბ) თემატური ენციკლოპედია

გ) ზოგადი ენციკლოპედია

9. ჩამოთვლილთაგან რომელია მესამეხარისხის წყარო?

ა) თემატური ენციკლოპედიები

ბ) ლექსიკონები

გ) ფილმები

10. პოლიტიკურ მეცნიერებებში რომელი მათგანი შეიძლება იყოს პირველადი წყარო?

ა) საპილოტე სწავლება და მისი დაკვირვებები

ბ) კვლევის შედეგების ანალიზი

გ) საპარლამენტო სხდომათა ჩანაწერები

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

ეკო, უმბერტო. 2014. როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი. მათარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე.

თურაბიანი, ქეთ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/04/sakhelmdzghvanelo-repheratebis-thezisebis-da-disertatsiebis-avtorebisathvis-qeith-l-thurabiani.pdf>

გამოყენებული ლიტერატურა გერმანულ ენაზე:

Dahinden Urs, Sturzenegger, Sabina und Alessia C. Neuron. 2014. *Wissenschaftliches Arbeiten in der Kommunikationswissenschaft*. Bern: Haupt.

Franck, Norbert und Joachim Stary. 2013. *Die Technik wissenschaftlichen Arbeitens: Eine praktische Anleitung*. 17. Aufl. Berlin: Schöningh.

Hiennerth, Claudia, Huber, Beate und Daniela Süssenbacher. 2009. *Wissenschaftliches Arbeiten kompakt. Bachelor- und Masterarbeit erfolgreich erstellen*. Wien: Linde.

Kornmeier, Martin. 2009. *Wissenschaftlich schreiben leicht gemacht. Für bachelor, Master und Dissertation*. Haupt Verlag Bern. Stuttgart. Wien.

Preißner, Andreas. 2012. *Wissenschaftliches Arbeiten. Internet nutzen – Text erstellen – Überblick behalten*. Berlin: De Gruyter.

Rost, Friedrich. 2012. *Lern- und Arbeitstechniken für das Studium*. 7. Auflage. Berlin: Springer.

Theisen, Manuel Rene. 2013. *Wissenschaftliches Arbeiten. Erfolgreich bei Bachelor- und Masterarbeit*. München: Franz Vahlen Verlag.

გამოყენებული ლიტერატურა ინგლიზურ ენაზე:

Laster, James D and James D. Laster, Jr. 2015. *Writing Research Papers: A Complete Guide*. Pearson, fifteenth Edition.

ნიმუშებად გამოყენებული მასალა:

გვალია, გიორგი. 2013. როგორ ირჩევენ პატარა ქვეყნები სტრატეგიულ მოკავშირეებს? დაბალანსების და მიტმასნების სტრატეგიები სამხრეთ კავკასიის რეგიონში. სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1465.pdf> (3.03.2018)

ენუქიძე, ნინო. 2014. სოციალური მედიის როლი ქართული კომპანიების ბრენდინგის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/13/13515.pdf> (5.03.2018)

თავი 5. წყაროს კითხვა და დამუშავება (სალომე პატარიძე)

მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს:

- რა არის კითხვის სტრატეგიები და როგორ გამოვიყენოთ ისინი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისას?
- როგორ ვიკითხო სწრაფად და ეფექტიანად?
- როგორ განვსაზღვროთ საკვლევი თემისთვის წყაროთა მნიშვნელობა და შესაბამისობა?
- როგორ დავაკონსპექტო წყაროები ისე, რომ მათთან ხელმეორედ მიბრუნება არ დამჭირდეს?

მეცნიერებაში მნიშვნელოვანია არსებული ინფორმაციის გაცვლა: მკვლევარმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რა არის გამოკვლეული, შესწავლილი იმ სფეროში, რომელშიც მუშაობს, როგორია კვლევის უკვე არსებული შედეგები. მართალია, ინფორმაციის გაცვლა მეცნიერებაში გარკვეულწილად დამოკიდებულია სამეცნიერო ლიტერატურაზე, თუმცა სამეცნიერო ტექსტებთან მისასვლელ გზაზე გვხვდება უამრავი დაბრკოლება, როგორებიცაა: რითი დავიწყო? სად მოვძებნო სამეცნიერო ლიტერატურა? როდის შევწყვიტო ძიების პროცესი? ყველაზე რთული — როგორ დავამუშაო სამეცნიერო ლიტერატურა? თუ ისწავლით მიზნამდე მისასვლელ გზებს, სამეცნიერო წყაროების კითხვის პროცესი „ტანჯვად“ აღარ მოგეჩვენებათ.

კითხვის პროცესი არის საკითხის შესწავლის მთავარი ნაწილი, რადგან:

- სამეცნიერო მუშაობა დაგროვებითი (აკუმულაციური) პროცესია — ახალი ცოდნა დაშენებულია მანამდე არსებულ ძველ ცოდნაზე. ამ დაგროვებითი პროცესის უწყვეტობისთვის მკვლევარი/ავტორი უნდა ეცნობოდეს საკვლევ თემასთან დაკავშირებული კვლევის სფეროში არსებულ ცოდნას.
- სამეცნიერო მუშაობა ინოვაციური პროცესია — კითხვის პროცესი ცოდნის რუკას ქმნის, რომელზეც ნაცნობ ადგილებთან ერთად გზადაგზა ჩნდება ახალი, უცნობი „თეთრი ლაქები“, რომლებიც საფუძვლად დაედება ახალ ცოდნას, სწორედ ამის გამოა კითხვა წერისთვის უმნიშვნელოვანესი მოსამზადებელი საფეხური. კითხვა მიზანმიმართული აქტივობაა, რაც გამოიხატება იმაში, რომ უნდა იკითხო ეფექტიანად და სწორად, ამისთვის კი შემდეგი ტიპის კითხვის სტრატეგიებს გამოყოფენ:
 1. **კურსორული / თვალის გადავლებით კითხვა** — საკვლევი თემის შესაბამისი ლიტერატურის კითხვა
 2. **სელექციური / შერჩევითი კითხვა** — საკვლევ თემასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციის მოძიება ტექსტში
 3. **შემეცნებითი კითხვა** — შინაარსის სრულყოფილად გაგება და გადმოცემა (Dahinden, Sturzeneger, Neuron 2014, 114)

ზემოთ ჩამოთვლილი კითხვის სტრატეგიები ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს და ერთი მეორის მოსამზადებელი ეტაპია, თუმცა შეიძლება გარკვეული წყაროს შემთხვევაში დასახელებული სტრატეგიებიდან მხოლოდ ერთი ან ორი დაგჭირდეთ, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ, თუ წყარო მნიშვნელოვანია თქვენი კვლევისთვის, კითხვის სტრატეგიების ეტაპები ერთმანეთს მოსდევს.

5.1. კითხვის სტრატეგიები

5.1.1. კურსორული/თვალის გადავლებით კითხვა

სამეცნიერო ლიტერატურის კურსორული (სწრაფი) კითხვისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რამდენად არის ტექსტი საკვლევი თემის შესაბამისი (რელევანტური). კურსორული კითხვის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს არა მთლიან ტექსტზე, არამედ მხოლოდ ნაწილებზე, რომლებსაც ინტენსიურად ეცნობით, თუმცა მანამდე გასათვალისწინებელია საკვლევი ტექსტის შემდეგი ელემენტები:

- ავტორი
- სათაური
- სარჩევი
- აბსტრაქტი
- დასკვნა

ქვემოთ მოცემული ცხრილი ყურადღებას გაგამახვილებინებთ მოძიებული კრიტიკული ტექსტის იმ სტრუქტურულ ელემენტებზე, რომლებიც ინფორმაციას მოგცემთ წყაროს შინაარსსა და მასში წამოჭრილ საკვლევ საკითხზე, ასევე მოახერხებთ შეაფასოთ წყაროს სანდოობა და აკადემიური გამართულობა.

კითხვის მეთოდი	სტრუქტურული ერთეული
გადათვალიერება	ქვეთავები და მათი დასაწყისი წინასიტყვაობა, შესავალი ცხრილები, დიაგრამები
ყურადღების გამახვილება შედეგებზე	ავტორი, სათაური, ქვესათაური გამომცემლობა გამოცემის წელი (აქტუალურია?) ბიბლიოგრაფია (აქტუალურია?) სარჩევი
დეტალური წაკითხვა	აბსტრაქტი, დასკვნა საკვანძო სიტყვები

გამოსახულება 15: კურსორული კითხვის სტრატეგია

კურსორული კითხვის პროცესში წყაროებს უნდა დაუსვათ შინაარსობრივი (ობიექტური) და სუბიექტურ-სიტუაციური (ტექსტის მკითხველზე მიმართული) კითხვები. შინაარსობრივი და სუბიექტურ-სიტუაციური კითხვები უნივერსალურია ნებისმიერი კრიტიკული ტექსტის დამუშავების დროს.

კითხვის სახეობა	კითხვები
-----------------	----------

უნივერსალური კითხვები	• რა არის ტექსტის თემა? • რომელი თეორიებია გამოყენებული ტექსტში? • რომელი (ემპირიული) მეთოდებია გამოყენებული? • რა არის კვლევის შედეგი? • პირველადია თუ მეორადი წყარო? • რამდენად მეცნიერულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს ტექსტი? (სად გამოიცა / დაიბეჭდა, ვინ არის ავტორი, რამდენად დაცულია წყაროში აკადემიური წესები, დართული აქვს თუ არა წყაროს ბიბლიოგრაფია, სტრუქტურულად გამართულია თუ არა ტექსტი)
სუბიექტურ-სიტუაციური კითხვები	• რამდენად იკითხება და გასაგებია ტექსტი ჩემთვის? • რამდენად საინტერესოა ტექსტი? • არის თუ არა იგი რელევანტური ჩემი საკვლევი თემისთვის?²⁸

გამოსახულება 16: კითხვის სახეობები: შინაარსობრივი და სუბიექტურ-სიტუაციური კითხვები

5.1.2. სელექციური / შერჩევითი კითხვა

კურსორული კითხვის მომდევნო ნაბიჯი არის სელექციური კითხვა. სელექციური კითხვა თივის ზვინში ნემსის ძიებას ჰგავს, რადგან საჭიროა, მთლიან ტექსტში იპოვოთ მნიშვნელოვანი და სასარგებლო ინფორმაცია. წარმატებული სელექციური კითხვისთვის მნიშვნელოვანია:

- ცნებების განმარტება
- რაოდენობრივი მონაცემები
- სხვადასხვა ავტორის მსჯელობა სხვადასხვა სამეცნიერო წყაროში

სელექციური კითხვის დროს ცნებების განმარტება, რაოდენობრივ მონაცემებსა და წყაროებში დისკუსიებზე დაკვირვება შეგადლებინებთ, ამოირჩიოთ მოძიებული წყაროებიდან თქვენი თემისთვის შესაბამისი ინფორმაცია. იმისთვის კი, რომ საკვლევი საკითხისათვის საჭირო ინფორმაციას მიაკვლიოთ, შემდეგი მეთოდები შეგიძლიათ გამოიყენოთ:

1. წყაროში საკვანძო სიტყვებისა და წინადადებების გამოკვეთა (გამუქებული სიტყვები ან წინადადებები უფრო ხშირად სახელმძღვანელოებში გვხვდება, სამეცნიერო სტატიებში — ნაკლებად). იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ

²⁸ ცხრილი გადამუსავებულია შემდეგი წყაროს მიხედვით: Dahinden Urs, Sturzenegger, Sabina und Alessia C. Neuron. 2014. *Wissenschaftliches Arbeiten in der Kommunikationswissenschaft*. Bern: Haupt.

საკვანძო სიტყვები არჩეულ საკვლევ საკითხს მიესადაგება, შესაბამისი წყარო უნდა წაიკითხოთ, მაგალითად, თუ ნაშრომი ეხება ვალუტის კურსის გავლენას ბაზარზე, მაშინ ხელმოსაჭიდება ისეთი სიტყვები წყაროებიდან, როგორებიცაა: *ვალუტა, ეროვნული ბანკი, ვალუტის კურსი, სარეზერვო ფონდი*.

2. ყურადღება გამახვილება იმ მონაკვეთებზე, რომლებშიც ნახსენებია შემდეგი სიტყვები:

- „**შეჯამების სახით**“ — როგორც წესი, ამ სიტყვებს მოსდევს რამდენიმე გვერდის შეჯამება.
- „**შედარება**“ — ამ შემთხვევაში შესაძლებელია, სხვადასხვა ავტორის მოსაზრებები, თეორიები, მეთოდები ერთმანეთს იყოს შედარებული.
- „**კრიტიკა**“ — შეფასებული და გაანალიზებულია განსხვავებული მოსაზრებები, რაც ნაშრომში შეიძლება იქცეს ახლებური ანალიზის საფუძვლად (Preißner 2012, 124-126)

NB სელექციური / შერჩევითი კითხვის დასრულების შემდეგ აუცილებლად მოინიშნეთ საკვლევით თემისთვის მნიშვნელოვანი ყველა წყაროს ბიბლიოგრაფიული მონაცემი, URL (Uniform Resource Locator-Web address), თავი, ქვეთავი, რათა მომზადებული შეხვედრით შემეცნებითი კითხვის პროცესს.

5.1.3. შემეცნებითი კითხვა

კითხვის სტრატეგიებში უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს შემეცნებითი კითხვა. ამ ეტაპზე უნდა დამუშავდეს და გაანალიზდეს მთლიანი ტექსტი. შემეცნებითი კითხვის დროს ტექსტი ორი პერსპექტივით იკითხება:

შიგა პერსპექტივა - საკვლევ ტექსტი პირველი კონტაქტის დროს იკითხება შიგა პერსპექტივით, რომლის ფარგლებშიც მკვლევარი ეცნობა წყაროს ავტორის არგუმენტებს და მის პერსპექტივას ითვალისწინებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მკითხველის კრიტიკა ტექსტის ავტორის მოსაზრებებს უკავშირდება და ამის საფუძველზე ირკვევა, რამდენად თანხვედრაშია ერთმანეთთან ავტორისა და მკითხველის მოსაზრებები. მკვლევარს საშუალება ეძლევა, ჩამოიყალიბოს თავისი თანმიმდევრული მოსაზრებები და შეამოწმოს, რამდენად ღირებული (შემოწმებადი) არგუმენტები აქვს ავტორს წარმოდგენილი.

გარე პერსპექტივა - ტექსტს გარე პერსპექტივით მაშინ აკვირდება მკვლევარი, როდესაც უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისი შეხედულებები. იგი ერთმანეთს ადარებს ავტორისა და თავის არგუმენტებს იმისთვის, რათა გაარკვიოს, რამდენად თანხვედრაშია/წინააღმდეგობრივია საკვლევ თემასთან ავტორის მოსაზრებები, რამდენად აკლია მის მსჯელობას მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებზეც მკითხველი გაამახვილებდა ყურადღებას.

	შიგა პერსპექტივა / ავტორის პერსპექტივა	გარე პერსპექტივა / მკითხველის პერსპექტივა
ტექსტის მიმართ დასმული კითხვები	- რას ამბობს ავტორი? - რას ეხება ტექსტი?	- ეხება თუ არა ავტორი უშუალოდ თემას, კვლევაში დასმულ საკითხს? - რომელი მნიშვნელოვანი ასპექტები არ არის გათვალისწინებული?
ქმედება კითხვის პროცესში (მკითხველის აქტივობა)	ავტორის პერსპექტივასთან იდენტიფიკაცია	დისტანცია ავტორის პერსპექტივისგან
კრიტიკა	რით ასაბუთებს ავტორი მოსაზრებებს? (ავტორის ვარაუდები, მონაცემები, ლოგიკური თანმიმდევრულობა)	რომელი საწინააღმდეგო არგუმენტები და მტკიცებულებები არ არის დასახელებული?
დასკვნითი (საკვანძო) კითხვები	- არის თუ არა მონაცემები საკმარისი გამოთქმული ვარაუდების დასადასტურებლად? - რამდენად ამომწურავია არგუმენტაცია?	- ითვალისწინებს ტექსტი სხვა პოზიციებს? - რამდენად გვხვდება დისკუსია საკითხთან დაკავშირებით?²⁹

გამოსახულება 178: შიდა და გარე პერსპექტივით დასმული შეკითხვები

5.2. შემეცნებითი კითხვა და ანოტირება³⁰

შემეცნებითი კითხვა არის არა პასიური, არამედ აქტიური მუშაობა ტექსტზე, რაშიც იგულისხმება:

- მნიშვნელოვანი მოსაზრებების მონიშვნა
- ტექსტის ნაწილების ფუნქციების განსაზღვრა: კითხვების დასმა, განმარტება, მაგალითი, შედეგი.
- ტექსტის შეჯამება (მოკლედ გადმოცემა) საკვანძო სიტყვებით ან მოკლე წინადადებებით
- მკითხველის პოზიციიდან კომენტარების გაკეთება

ტექსტში ნიშნულების გაკეთება, რაც მოიცავს მნიშვნელოვანი მონაკვეთების, სიტყვების მონიშვნასა და გახაზვას, ველებზე პირობითი ნიშნების შექმნას, ხელს უწყობს დასამუშავებელ მასალაზე ფოკუსირებას. განსაკუთრებით შედეგიანია ეს მეთოდი, თუ

²⁹ ცხრილი გადამუშავებულია შემდეგი წყაროს მიხედვით: Dahinden Urs, Sturzenegger, Sabina und Alessia C. Neuron. 2014. *Wissenschaftliches Arbeiten in der Kommunikationswissenschaft*. Bern: Haupt. 111-129

³⁰ ლათინური სიტყვიდან *annotare* -შენიშვნა, გახაზვა (educalingo.com)

აპირებთ, წყაროს ხელმეორედ დაუბრუნდეთ და გამოიყენოთ კვლევისთვის / სწავლისთვის.

მკითხველის პოზიციიდან შეგიძლიათ შემდეგი პირობითი ნიშნები გამოიყენოთ, რათა ტექსტი სრულფასოვნად დაამუშაოთ:

II/I— მნიშვნელოვანია, ძალიან მნიშვნელოვანია

? — გაუგებარია

//— მსგავსი მოსაზრებებია...

↔ — საწინააღმდეგოა

→ — შედეგად შეიძლება

! — საყურადღებოა, მნიშვნელოვანია!

იმისთვის, რათა თქვენთვის კითხვის პროცესი ნაყოფიერი აღმოჩნდეს, გაითვალისწინეთ შემდეგი რვა რჩევა:

1. იპოვეთ ისეთი ადგილი წასაკითხად, სადაც ხმაური ხელს არ შეგიშლით.
2. კითხვის დროს პერიოდულად შეისვენეთ, მაგალითად ყოველი 20 წუთის შემდეგ.
3. თუ ვერ ახერხებთ დასამუშავებელ მასალაზე კონცენტრაციას, გაისეირნეთ და შემდეგ დაუბრუნდით კითხვას.
4. იკითხეთ დღის სინათლეზე, ბუნებრივი სინათლე უმჯობესია აღქმისთვის.
5. თუ გაგიჩნდათ კითხვა / კითხვები კითხვის პროცესში, მაშინვე ჩაინიშნეთ წყაროს ველზე ან თქვენს რვეულში.
6. ყურადღება გაამახვილეთ თითოეული პარაგრაფის პირველ და ბოლო წინადადებებზე, ასევე იმ სიტყვებზე, რომლებიც გამუქებული ან დახრილი შრიფტით არის დაბეჭდილი.
7. გამოიყენეთ წყაროს / წიგნის ტერმინოლოგიური სიტყვარი (glossary), რათა იპოვოთ უცხო სიტყვათა განმარტებანი.
8. გამოყავით დრო იმ მონაკვეთის ხელახლა წასაკითხად, რომელიც პირველ ჯერზე ვერ გაიგეთ Reading & Note-taking strategies for success: The Ohio State University <https://odi.osu.edu/assets/pdf/ODI%20scholars/Effective%20Reading%20and%20Note%20taking%20Strategies.%20Final2.pdf>

უშუალოდ წერის დაწყებამდე კი სასურველია, წყაროს კითხვის პროცესი შემდეგი კითხვებით დაასრულოთ:

- როგორ / რით მიესადაგება წინამდებარე ტექსტი უკვე / მანამდე დამუშავებულს? არის თუ არა წინააღმდეგობაში უკვე წაკითხულ წყაროებთან?
- რომელი განმარტებების, არგუმენტების, მტკიცებულებებისა და იდეების აღება იქნებოდა სასარგებლო / ღირებული?

- რომელი საკითხებით შეიძლება დაუკავშირდეს მოცემული წყარო დაგეგმილ სამეცნიერო ნაშრომს?
- კიდევ რომელი ტექსტები უნდა წაიკითხოთ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით?

თუ დარწმუნდებით, რომ მოძიებული წყარო საკვლევ თემასთან კავშირშია და გამოგადგებათ, დაასაბუთოთ საკვლევ კითხვები / ჰიპოთეზა, შეგიძლიათ შექმნათ კონსპექტ-ბარათი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც წყაროს ფორმალური — წყაროს ბიბლიოგრაფიული მონაცემი, URL, ასევე შინაარსობრივი მახასიათებლები — რეზიუმე, ციტატი, პირადი შენიშვნები, საკვანძო სიტყვები (იხ. კონსპექტ-ბარათის ორი სხვადასხვა ნიმუში).

კონსპექტ-ბარათის ნიმუში 1

წიგნის ბიბლიოგრაფიული მონაცემი: დიუი, ჯონ. 2010. <i>დემოკრატია და განათლება</i> . ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა: თბილისი
URL: http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/demok.png
რეზიუმე: ჯონ დიუი ქვეთავში <i>მიზნები განათლების სფეროში</i> განიხილავს კონტრასტს განათლების პროცესის შიგნით და გარეთ არსებულ მიზნებს შორის. მაშინ როდესაც სოციალური ურთიერთობები არ არის დაბალანსებული, სოც. ჯგუფების ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი მიზნები საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებულ თავისუფალი არჩევანიდან კი არ მომდინარეობს, არამედ გარედან არის ნაკარნახევი და, შესაბამისად, სხვის ინტერესს ემსახურება. საბოლოო მიზნის მიღწევა ავტორისთვის დაწყებული საქმის სრულყოფასთან არის დაკავშირებული. ფუტკრების ქმედებებს დიუი მაგალითად იშველიებს იმის საჩვენებლად, თუ როგორ მიიღწევა მიზანი: ფუტკრები მტვერს აგროვებენ, ამზადებენ სანთელს, მისგან კი ფიჭას აკეთებენ. აგებულ ფიჭაში დედოფალი ფუტკარი კვერცხებს დებს, დანარჩენი ფუტკრები კი საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებისათვის ზრუნავენ. ჩამოთვლილი აქტივობები ისეა აგებული, რომ თითოეული წინა ქმედება შემდეგი ქმედებისთვის მზადებაა, რაც წინაპირობაა საბოლოო მიზნის მისაღწევად. მოსწავლის შემთხვევაში ავტორი ყურადღებას სწავლასთან დაკავშირებულ შინაგან უწყვეტობაზე ამახვილებს, რადგან მასწავლებლის მიერ ნაკარნახევი და წყვეტილი ქმედებებით განათლების მიზანი ვერ განხორციელდება. საბოლოო მიზნის მისაღწევად კი ქმედებების შერჩევა და თანმიმდევრულობა არის მნიშვნელოვანი, რაც იმას ნიშნავს, რომ სწავლობ არსებულ პირობებსა და საკუთარ შესაძლებლობებს და შესაბამისად მოქმედებ.
ციტატი: „მოახდინო მოქმედების მიზნისა და გონივრული მოქმედების იდეტიფიცირება საკმარისია იმისათვის, რომ მისი ღირებულება და ფუნქცია გამოავლინო საკუთარ გამოცდილებაში“. (108)
საკვანძო სიტყვები: მიზანი, ქმედება, უწყვეტობა, შედეგი
პირადი დაკვირვება: საინტერესო იქნებოდა, გაანალიზებულიყო მოსწავლის შესაძლებლობებისა და მიზნების შესაბამისობის დადგენის გზები და საშუალებები ³¹

³¹ კონსპექტ-ბარათის ნიმუში გადამუშავებულია შემდეგი წყაროს მიხედვით: ეკო, უმბერტო. 2014. *როგორ დაეწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი*. მთარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე. 191-196

შესაძლებელია ასევე, წყარო შინაარსობრივად წარმოვადგინოთ შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

- სტატიის/წიგნის/კრებულის/დისერტაციის/მონოგრაფიის... სათაურია...
- უნდა გადმოიცეს წყაროს მიზანი, რაც შეიძლება ზუსტად - ტექსტის მიზანია...
- გამოიკვეთოს ტექსტის მთავარი საკითხი - მთავარი საკითხი, რომელსაც ავტორი/ავტორები განიხილავს/განიხილავენ
- ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, მონაცემი, დაკვირვება, რომლებიც დასკვნების გაკეთებაში დაეხმარა ავტორს - მთავარი ინფორმაცია წყაროში არის...
- მნიშვნელოვანი არგუმენტები და ანალიზი ტექსტში - მთავარი ინტერპრეტაციები და დასკვნებია...
- ყველა მნიშვნელოვანი ცნება და ტერმინი, რომლებიც ტექსტის აღსაქმელადაა საჭირო - მთავარი ცნებები და ტერმინებია...
- პოზიციის გადმოცემა, რომლის საფუძველზეც ჩამოაყალიბა ავტორმა ვარაუდი ან შეხედულება - ავტორის/ავტორთა მთავარი პოზიცია და ვარაუდებია...
- წყაროში გამოყენებულია შემდეგი მეთოდი / მეთოდები...
- წყაროში მოსაზრებების დასასაბუთებლად გამოყენებულია შემდეგი ავტორები...
- მოკლე აღწერა თეორიის / თეორიების - წყაროში გამოყენებულია შემდეგი თეორია/თეორიები... (Hienert, Huber, Süßenbacher 2009, 84)

კონსპექტ-ბარათის ნიმუში 2

სტატიის სათაური, ბიბლიოგრაფიული მონაცემი	ურჩუხიშვილი, გ. 2016. <i>სხეულის სოციოლოგია</i> . Heinrich Böll Stiftung (სამხ.კავკასია ფემინიზმი და გენდერული დემოკრატია) http://www.feminismboell.org/ka/2016/09/19/kartuli-sxeulissociologia (19.02.2018)
სტატიის მიზანი	ქალისა და კაცის სხეულების სოციოლოგიის კონტექსტში განხილვა და ანალიზი, ქართული (ქალი, კაცი) სხეულის კვლევა ისტორიულ-პოლიტიკურ-ეკონომიური ცვლილებების კვალობაზე
მთავარი საკითხი	როგორ აისახება სხეულებზე ისტორიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური ცვლილებები (ფოკუსი ქალისა და მამაკაცის სხეულებზე)
ფაქტი, დაკვირვება წყაროდან	სოციალური ტექნოლოგიების, სამომხმარებლო კულტურის ზრდა (პლასტიკური ქირურგია, ფიტნესი, დიეტა, მოდისა და სილამაზის კომერციალიზაცია) აჩვენებს, როგორ იქცნენ სხეულები სამიზნედ და როგორ ფორმირდება სხეულებრივი გამოცდილება სოციალურ გამოცდილებად. სოციალურ ქსელში პროფილის სურათის შერჩევა და მისი დამუშავება ადამიანთა ცხოვრებაში სხეულის მნიშვნელობას და როლს უსვამს ხაზს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველი მამაკაცები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ. სექსუალური ენერგია, რომელიც მოძმე რესპუბლიკელი ქალებისკენ იყო მიმართული, ქართველ ქალებზე უნდა გადმონაცვლებულიყო, რამაც

	ქართველი ქალების გასექსუალურება მოითხოვს.
ინტერპრეტაციები და დაკვირვებები	90-იან წლებში ქართველმა ქალებმა გამოიჩინეს მოქნილობა, ოჯახების რჩენა საკუთარ თავზე აიღეს და ამით „კარგი ქალის“ ახალი გაგება გაჩნდა, რომლის მიხედვითაც, ქართველი ქალი უნდა იყოს ლამაზი, პატიოსანი, ზრდიდეს შვილებს და თან მუშაობდეს. მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები საქართველოსაც შეეხო - მედიასივრცეში გამოჩნდა თავის თავზე ორიენტირებული სექსუალური სხეულები „სხვებისთვის“, ჰომოსექსუალი, ტრანსგენდერი სხეულების გამოჩენას მოჰყვა ვნებათაღელვა, რომლის მთავარი მიზანიც იმის გარკვევა იყო, როგორი უნდა იყოს ქართველი კაცის/ქალის/ბავშვის სხეული.
ცნებები, ტერმინები	სხეულის სოციოლოგია, ჰომო / ბი / ტრანს / ქვიარ / სხეულები, სხეულის სტიგმატიზაცია ³² , ჰედონისტური სხეული
თეორია	სხეულის სოციოლოგია, რომელიც იკვლევს, როგორ და რა გზით ზემოქმედებს სოციალური გავლენები სხეულებზე

³² ადამიანის დისკრიმინაცია ან პიროვნული უკმაყოფილება მისი უნიკალური თავისებურებით, რომლითაც იგი განსხვავდება სოციალური გარემოსგან.

სავარჯიშოები

სავარჯიშო 1. კონსპექტ-ბარათის შედგენა

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული მონაკვეთი ჯოვანი ჯენტის *ფაშიზმის დოქტრინიდან* და შეადგინეთ კონსპექტ-ბარათი ცხრილში მოცემული პუნქტების გათვალისწინებით:

ფაშისტური კონცეფცია ანტიინდივიდუალისტურია და სახელმწიფოს დაცვას ემსახურება; ინდივიდის დასაცავად იმ ზომით გამოდის, რამდენადაც ეს უკანასკნელი სახელმწიფოს, ადამიანის ისტორიულ არსებობაში მოცემულ უნივერსალურ ცნობიერებასა და ნებას ემთხვევა. ეს ეწინააღმდეგება კლასიკური ლიბერალიზმს, რომელიც აბსოლუტიზმისათვის პასუხის გაცემის საჭიროებიდან ამოიზარდა და რომელმაც თავისი ისტორიული ფუნქცია იქ ამოწურა, როცა სახელმწიფო სახალხო ცნობიერებისა და ნების გამომხატველად გადაიქცა. ლიბერალიზმი ცალკეული ინდივიდის ინტერესის სასარგებლოდ უარყოფდა სახელმწიფოს; ფაშიზმი კი კვლავ განამტკიცებს სახელმწიფოს, როგორც ინდივიდის ჭეშმარიტ სინამდვილეს. და თუკი თავისუფლება ნამდვილი ადამიანისთვის უნდა იყოს და არა იმ აბსტრაქტული თოჯინისა, რომელიც ინდივიდუალისტური ლიბერალიზმის აზროვნების ცენტრში იდგა, ფაშიზმი თავისუფლების დაცვას ემსახურება. ის იმ ერთადერთ თავისუფლებას იცავს, რომელიც სერიოზულად შეიძლება იქნეს აღქმული: თავისუფლება სახელმწიფოსი, და ინდივიდისა სახელმწიფოში. მაშასადამე, ფაშისტისათვის ყველაფერი სახელმწიფოშია მოქცეული, მის მიღმა კი არაფერი ადამიანური და სულიერი არ არსებობს და, მით უმეტეს, არ აქვს ღირებულება. ამ აზრით ფაშიზმი ტოტალიტარულია, ფაშისტური სახელმწიფო კი, როგორც ყოველი ღირებულების სინთეზი და ერთიანობა, ხალხის მთლიან ცხოვრებას განმარტავს, ავითარებს და ამოძრავებს.

სახელმწიფოს მიღმა არ არსებობენ არც ინდივიდები, არც ჯგუფები (პოლიტიკური პარტიები, ასოციაციები, პროფკავშირები, კლასები). ამიტომაც უპირისპირდება ფაშიზმი სოციალიზმს, რომელსაც ისტორიული მოძრაობა კლასთა შორის ბრძოლაზე დაჰყავს და იმ სახელმწიფო ერთიანობას უგულვებელყოფს, რომელიც კლასებს ერთიან ეკონომიკურ და მორალურ სინამდვილედ ადუღაბებს. იმავე მიზეზით უარყოფს ის პროფკავშირებსაც. ფაშიზმს სურს წარმმართველი სახელმწიფოს ორბიტიდან გამოუსვლელად აღიაროს ის ნამდვილი საჭიროებები, რომლებმაც სოციალისტური და პროფკავშირული მოძრაობა დაბადა, და სახელმწიფოს ერთიანობად შერიგებულ ინტერესთა კორპორატიულ სისტემაში მიუჩენს მათ ადგილს (*ფაშიზმის თეორიები, დოქტრინა და კრიტიკა*. შემდგენელები: ელენე ლადარია, გიორგი მაისურაძე, ლუკა ნახუცრიშვილი, 145-146)

• წყაროს ბიბლიოგრაფიული მონაცემი სრულად
• წყაროს რეზიუმე
• საკვანძო სიტყვები
• ციტატი წყაროდან

საკუთარი მოსაზრებები და დაკვირვებები

სავარჯიშო 2. ჯგუფური დისკუსია

წარმოიდგინეთ, რომ წერთ სამეცნიერო ნაშრომს თემაზე — განათლების როლი დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში. წაიკითხეთ მონაკვეთი ლევან ცაგარლის მოხსენებიდან *ზომბირებასა და ემანსიპაციას შორის — განათლების სისტემის ზოგიერთი თავისებურება თანამედროვე საქართველოში (საჯარო დისკუსია თემაზე: განათლების პოლიტიკა — ემანსიპაცია თუ ინდოქტრინაცია?* (ქუთაისი, 18.11.2012), გააკეთეთ კომენტარები ტექსტზე პირობითი ნიშნების გამოყენებით და იმსჯელეთ შემდეგი შეკითხვების მიხედვით:

- რას ამბობს ავტორი? რას ეხება ტექსტი?
- ეხება თუ არა ავტორი უშუალოდ თემას, საინტერესო პრობლემას? რომელი მნიშვნელოვანი ასპექტები არ არის გათვალისწინებული?
- რომელი საწინააღმდეგო არგუმენტები და მტკიცებულებები არ არის დასახელებული?
- რით ასაბუთებს ავტორი მოსაზრებებს?

ქართული საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პრაქტიკა

საკმარისია, ზედაპირულად დავაკვირდეთ ნებისმიერი საშუალო სკოლის ყოველდღიურობას, რათა შევამჩნიოთ, რომ მოსწავლეს სკოლაში სწავლის განმავლობაში პრაქტიკულად არ უწევს არც ერთი სერიოზული არჩევის გაკეთება, რომლის შედეგებზეც მას თავად მოუწევდა პასუხისმგებლობის აღება: იგი არ ირჩევს თემებს ესეებისთვის, არ ახორციელებს დამოუკიდებელ პროექტებს, არ ირჩევს საგნებს, არ ირჩევს შესასწავლ უცხო ენას. თუმცა არჩევანის არარსებობა არ არის ჩვენი მოზარდების ერთადერთი პრობლემა. თუ გავესაუბრებით მათ და ვკითხავთ, რატომ აკეთებენ ამა-თუ-იმ დავალებას, ან რაში გამოადგებათ ამა-თუ-იმ საგნის ფარგლებში შეძენილი ცოდნა, უმეტესად ძალზე შემამფოთებელ პასუხებს მოვისმენთ: მათ არ იციან, რისთვის სწავლობენ. შედეგად, მოსწავლეებს არ სურთ იმ ყველაფრის კეთება, რისი კეთებაც უწევთ სკოლაში და სკოლისთვის. სწავლა მათთვის იძულებითი, გაუგებარი და უსიამოვნო პროცესია.

სასკოლო განათლების ამ ერთი შეხედვით, შეუმჩნეველი, მაგრამ სოციალურად მაინც საგრძნობი ხარვეზის შედეგად სკოლის დამთავრების მომენტისთვის მოსწავლეების უმრავლესობა მოქალაქეობრივად უმწიფარია: მათ არ აქვთ უნარი, დამოუკიდებლად იცხოვრონ, დამოუკიდებლად დაისახონ მიზნები, კრიტიკულად შეაფასონ მოვლენები და ადამიანები, თავად აგონ პასუხი თავიანთ ქმედებებზე, აირჩიონ სპეციალობა საკუთარი ინტერესებისა და მონაცემების შესაბამისად და ა.შ. ეს განსაკუთრებით მწვავედ იჩენს ხოლმე თავს, როდესაც სრულიად ავტორიტარული სასკოლო სისტემიდან აბიტურიენტი ხვდება შედარებით უფრო ლიბერალურ უსდ-ში, სადაც მას სწავლის პირველივე წელს უწევს კურსების არჩევა. როგორც წესი, ისინი ძალიან იბნევიან: მათ

აშინებთ არჩევანი და ეს ხდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არ ჰყოფნით ზოგადი განათლება კურსის სახელწოდების საფუძველზე ამ უკანასკნელის შინაარსის გასარკვევად, არამედ იმის გამოც, რომ თავად არჩევნის ფენომენი მათთვის უცხოა. აქამდე ხომ მშობლები, მასწავლებლები, დამრიგებლები, დირექტორები და სხვა უფროსები წყვეტდნენ ყველაფერს მათ მაგივრად. ჩემი დიაგნოზის დასადასტურებლად ასევე გამოდგება დაკვირვება პირველი წლის სტუდენტებზე სასწავლო წლის დაწყების წინ: მათი დიდი ნაწილი მშობლებთან ერთად დადის უნივერსიტეტში ადმინისტრაციული საკითხების გასარკვევად.

ამგვარ სტუდენტს არასდროს არ მოუვა აზრად, რომ არსებობს ცოდნის მიღების ალტერნატიული გზები, როგორებიცაა თუნდაც მედიები. მედიები მისთვის დარჩება გართობისა და კომუნიკაციის საშუალებად და არა ინფორმაციისა და ცოდნის მოპოვების საშუალებად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათ არ იციან, როგორ ისარგებლონ არსებული ინფორმაციული თავისუფლებით, რადგან არ გააჩნიათ შესაბამისი მოტივაცია და ღირებულებები. ამრიგად, კითხვა — საჭიროა თუ არა სისტემა ცოდნის მოსაპოვებლად? — ძალზე ნაადრევია არსებულ ვითარებაში: იმის გათვალისწინებით, რომ განათლების სუბიექტებს ამჟამად არ აქვთ დამოუკიდებლად სწავლის უნარი, ამგვარი სისტემის არსებობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ასევე, ძალზე მწირია იმის ალბათობა, რომ ამგვარი სტუდენტი წარმატებული იქნება. წარმატებულად მე მიმაჩნია ის მოქალაქეები, რომლებმაც მოახერხეს ეპოვნათ ისეთი პროფესია, რომელშიც ყველაზე უკეთ შეუძლიათ საკუთარი მონაცემებისა და უნარების რეალიზაცია. ამის წინაპირობა კი ერთგვარი შინაგანი თავისუფლებაა, რომელიც გაძლევს ინდივიდს შესაძლებლობას, არ აყვე დინებას, არ აირჩიოს ის სპეციალობა, რომელიც ბრბოს მიაჩნია პერსპექტივულად, არამედ აირჩიოს ის, რისი კეთებაც ნამდვილად გინდა და შეგიძლია სხვებზე უკეთესად. ამ თავისუფლების მოსაპოვებლად კი საჭიროა სწორედ ის დამოუკიდებლობა და გაცნობიერებულობა, რომელსაც ზემოთ საკმაოდ ვრცელი მსჯელობა დაგუთმეთ.

ამრიგად, სასკოლო განათლების სისტემა მოცემულ ეტაპზე იმდენად რეპრესიულად მოქმედებს მოსწავლის აზროვნებაზე, რომ მისი როგორც ინდივიდის ემანსიპაცია საუნივერსიტეტო განათლების საფეხურზეც ძალზე რთულდება. მართალია, განათლების სისტემის ოფიციალური მიზანი „თავისუფალი პიროვნების“ აღზრდაა, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად არ არის საკმარისი შესაბამისი დოკუმენტაციის ფორმალური გამართულობა. იმის გამო, რომ თავად განათლების სუბიექტებს — მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მათ უმრავლესობას საერთოდ არ აქვს გააზრებული თავიანთი მიზანი, ის, რასაც ისინი სწავლის შედეგად იძენენ, უფრო მშრალი ფაქტების განუსჯელი ერთობლიობაა (ინდოქტრინაცია), ვიდრე ამ უკანასკნელთა კრიტიკულად შეფასებისა და ახალი ცოდნის შექმნის უნარი. ამ ყველაფრის შედეგი კი მოქალაქეობრივად უმწიფარი, შეუძმდგარი საზოგადოებაა, რომელიც თავისი ინფანტილურობით ოქლოსს უფრო წააგავს, ვიდრე დემოსს.

გამოსავალი

რეფორმის შედეგად საქართველოში განათლების სისტემამ განვლო ფორმალიზაციისა და რეგლამენტაციის გარდაუვალი და აუცილებელი საფეხური. ამჟამად, ყველა ნორმატიური დოკუმენტი მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, სისტემის მექანიზმი აწყობილია, მოქმედი პრინციპები მიახლოებულია დასავლურ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ სტანდარტებთან და ა.შ. ვფიქრობ, დროა, ამ ფორმალური ასპექტებიდან გადავიდეთ არანაკლებ (თუ არა მეტად) მნიშვნელოვან შინაარსობრივ საკითხებზე. ამისთვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრები (მოცემულ შემთხვევაში, მასწავლებლები), რომელთა რაოდენობაც ქვეყანაში უკიდურესად მცირეა. ჩვენ უკვე ვნახეთ, რაოდენ სავალალო შედეგებით დასრულდა

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები. მათი შედეგები ააშკარავებს იმას, რომ ტრეინინგებითა და გადამზადების კურსებით საგანმანათლებლო სივრცის ძირეულად შეცვლა შეუძლებელია. ამასთან, სრულიად უტოპიური იქნება, ვივარაუდოთ, რომ მასწავლებელი, რომელიც მთელი თავისი კარიერის განმავლობაში მოსწავლეს უუფლებო ობიექტად მიიჩნევდა, რაიმე ტრეინინგის შედეგად რადიკალურად გარდაიქმნება და მოსწავლეს მოაზროვნე ინდივიდად აღიქვამს. მაგრამ ახალი კადრები არსად ჩანს, მასწავლებლის პროფესია უკიდურესად არაპოპულარულია, რაც ანაზღაურების სიმცირითაა განპირობებული. ამრიგად, პირველი ნაბიჯი, რომელიც განხორციელებული რეფორმების შემდეგ უნდა გადაიდგას, ჩემი აზრით, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციაა.

მეორე გამოსავალი იქნებოდა ძალიან მარტივი ინსტრუქცია, რომ ყველა სკოლამ საბაზო და საშუალო საფეხურებზე დაამკვიდროს არჩევითი საგნების სისტემა, რაც გაზრდის მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხს. და ბოლოს, თუ სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, როგორი იქნება საზოგადოებრივი ცნობიერება მომავალში, მან განათლების სფეროს უნდა მიანიჭოს უპირატესობა ყველა სხვა სფეროს წინაშე და ქვეყნის ბიუჯეტის შესაბამისი პრიორიტეტების მიხედვით უნდა გაანაწილოს.

სავარჯიშო 3. ტექსტის ანოტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ამონარიდი თენგიზ ვერულავას სტატიიდან *ფრიდრიხ ჰაიეკის „გზა ბატონყმობისაკენ“ თანამედროვეობის ჭრილში* (სამეცნიერო ჟურნალი „ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა“ N 2. 2015) და მონიშნეთ მნიშვნელოვანი მოსაზრებები, გაუგებარი ადგილები, დაუსვით კითხვები ტექსტს და შეაჯამეთ საყურადღებო მონაკვეთი / მონაკვეთები. ტექსტის დამუშავებისას გამოიყენეთ შემდეგი პირობითი ნიშნები კომენტარებისათვის:

II/I— მნიშვნელოვანია, ძალიან მნიშვნელოვანია

? — გაუგებარია

//— მსგავსი მოსაზრებებია...

↔ — საწინააღმდეგოა

→ — შედეგად შეიძლება

! — საყურადღებოა, მნიშვნელოვანია!

გზა ბატონყმობისაკენ

ფრიდრიხ ჰაიეკის „გზა ბატონყმობისაკენ“ ითვლება კლასიკური ლიბერალიზმის ფუნდამენტურ შრომად. წიგნი გამოსვლისთანავე ბესტსელერი გახდა. იგი შემდგომში მრავალჯერ გამოიცა და ითარგმნა თითქმის ოც ენაზე. წიგნი თვით ფაშისტურ გერმანიაშიც და საბჭოთა კავშირშიც გავრცელდა თვითგამოცემების და ხელნაწერების სახით.

წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიო პოლიტიკაზე. 1948 წელს ლუდვიგ ერჰარდმა ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით გერმანიაში ლიბერალური რეფორმები განახორციელა, რომელსაც ეკონომისტები გერმანულ ეკონომიკურ სასწაულს უწოდებენ. ჰაიეკის მომდგრება აშშ-ში რონალდ რეიგანის და ბრიტანეთში მარგარეტ ტეტჩერის ეკონომიკური პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძველი გახდა. წიგნმა გავლენა იქონია არამარტო ეკონომიკურ პოლიტიკაზე, უდავოა მისი როლი ჯორჯ ორუელის ნაწარმოებზე „1984 წელი“.

თავად ჰაიეკი, მოგვიანებით, 1974 იგი წერდა: „მიუხედავად ასეთი მოულოდნელი წარმატებისა, დიდი ხნის განმავლობაში თავს სულ არ ვთვლიდი ბედნიერად ამის გამო. ჩემი თავი უფრო აპოლოგეტად ვიგრძენი და ოცი წელი არც გადამიკითხავს. აღმფოთებული ვიყავი, რომ ამ პამფლეტით უფრო ცნობილი გავხდი, ვიდრე ჩემი სამეცნიერო ნაშრომებით“ (Hayek. 1983).

წიგნს დადებითად გამოეხმაურნენ ისეთი მეცნიერები და მოაზროვნეები, როგორებიცაა: ჯ. კეინსი, ი. შუმპეტერი, კ. იასპერსი, კ. პოპერი, მ. პოლანი, ლ. ფონ მიხესი, ბ. რასელი, ჯ. ორუელი.

არის წიგნები, რომელთა მნიშვნელობას აღიარებენ ისინიც, რომელნიც არ იზიარებენ ავტორის თვალსაზრისს. კლასიკური ლიბერალური მსოფლმხედველობის ისეთმა მოწინააღმდეგემაც კი როგორიც ჯონ მეინარდ კეინზია, მაღალი შეფასება მისცა ჰაიეკის ნაშრომს. 1944 წელს კეინსმა ჰაიეკის ახლადგამოსულ წიგნს ასეთი სიტყვები წააწერა: „ჩემი აზრით, ეს ბრწყინვალე წიგნია, და ყველა ჩვენთაგანს გააჩნია საფუძველი, გამოვხატოთ უდიდესი პატივისცემა თქვენდამი, რადგან თქვენ ძალიან კარგად გამოთქვით ის, რაც აუცილებელია რომ ითქვას... მე მორალურად და ფილოსოფიური თვალსაზრისით გეთანხმებით თქვენ, არსებითად, ყველაფრით; და რა მხოლოდ გეთანხმებით, არამედ ღრმად გეთანხმებით“ (Hazlett T. W . 1992).

ჯორჯ ორუელი წიგნს გამოეხმაურა როგორც მოწონებით, ასევე კრიტიკით. მისი თქმით: „ჰაიეკის ნაშრომის ნეგატიურ ნაწილში სიმართლის დიდი წილია... კოლექტივიზმი არსებითად არ არის დემოკრატიული, თუმცა, ტირანულ უმცირესობებსაც შეიძლება ისეთი უფლებამოსილებები მიეცეთ, რაც ესპანელ ინკვიზიტორებსაც კი არასოდეს უოცნებიათ... ამასთან, „თავისუფალი“ კონკურენციის დაბრუნება ნიშნავს ხალხის დიდი მასის უფრო უარეს ტირანიას, რადგან იგი უფრო უპასუხისმგებლოა, ვიდრე სახელმწიფო“ (Orwell. 2000).

ნაწარმოებს უარყოფითად შეხვდნენ კეინზიანელები, აკადემიური ისტებლიშმენტი, პროგრესული ლიბერალები, ი. ბერლინი, საბჭოთა ეკონომისტები.

ერთ-ერთმა კეინზიანელმა იგი შეადარა „ერთ იმ დინოზავრს, რომელიც წინააღმდეგ ბუნებრივი შერჩევისა ზოგჯერ შემთხვევით თუ გამოჩნდება დღის სინათლეზე“ (Hayek.. 1976). ამერიკული და ინგლისური აკადემიური წრეები იმ პერიოდში გატაცებული იყვნენ საბჭოთა ქვეყნის ახალი ადამიანის იდეებით. იდეალისტები საბჭოთა კავშირს უყურებდნენ, როგორც ქვეყანას, სადაც იბადება ახალი ცივილიზაცია. მათ მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის, უმუშევრობის ზრდის შედეგად განპირობებულმა იმედგაცრუებამ. მათ არ ჰქონდათ სწორი ინფორმაცია თუ რა ხდებოდა რკინის ფარდის აქეთ და ახდენდნენ საბჭოთა სისტემის იდეალიზებას. კეინზიანელობა გარკვეულწილად წარმოადგენდა ამ იდეების გამოხატვას. თავად კეინზი საბჭოთა კავშირში სტუმრობისას დადებითად გამოეხმაურა საბჭოთა დაგეგმვის გამოცდილებას (Keynes. 1982).

საბჭოთა ეკონომისტი ა. რუმინცევი წერდა: „ჰაიეკი - სოციალიზმის და დემოკრატიის მოძულე მტერია. მის ნააზრევს დაგეგმვის შესახებ არ აქვს არანაირი სამეცნიერო საფუძვლები და ცილისწამების ხასიათს ატარებს“.

წიგნის შექმნაზე გავლენა იქონია 1922 წელს გამოსულმა ლუდვიგ ფონ მიზესის წიგნმა „სოციალიზმი“. ჰაიეკი წერდა: ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ „სამყარო არასოდეს ყოფილა ისეთი, როგორც უწინ“ (Hayek. 1983). მიზესმა ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში დაასაბუთა, რომ ნებისმიერი სოციალისტური ეკონომიკური მოდელი განუხორციელებელია, რადგან იგი არ ეყრდნობა საბაზრო პრინციპებს.

„გზა ბატონყმობისაკენ“ გამოქვეყნდა 1944 წელს. წიგნის სათაური „გზა ბატონყმობისაკენ“ შთაგონებულია ა. ტოკვილის სიტყვიდან „ახალი ბატონყმობა“. იგი მოიცავს წინასიტყვაობას, შესავალს და 16 თავს. „გზა ბატონყმობისაკენ“ იყო ჰაიეკის პასუხი მეორე მსოფლიო ომზე და ტოტალიტარული აგრესიული დიქტატურის ზრდაზე. 1943 წლის დეკემბერში დათარიღებულ წიგნის წინასიტყვაობაში, ჰაიეკი აღნიშნავდა, რომ ეს იყო „პოლიტიკური წიგნი“ და მისი მოვალეობა იყო დაეწერა იგი (Hayek 2001). (ვერულავა 2015, 5-7)

სავარჯიშო 4. სამეცნიერო წყაროს დამუშავება კითხვის სამი სტრატეგიის გამოყენებით

გაეცანით ამონარიდს (იხ. მოცემული სავარჯიშოს ბოლოს) ემზარ ჯგერენაიას სტატიიდან *კულტურული პარადიგმის ცვლა, ანუ მეტაფორულ-მენტალური შემოტრიალება XIX საუკუნის მეორე ნახევარში* და ქვემოთ, ცხრილში მოცემული მითითებებისა და კითხვების მიხედვით დაამუშავეთ ტექსტი:

კითხვის მიზანი და სტრატეგია	კითხვის ტექნიკა
კურსორული კითხვა - ორიენტირებისთვის კითხვა	წაკითხვით მხოლოდ წყაროს სათაური და გაეცით პასუხები შემდეგ კითხვებს: - რას ელით ტექსტის სათაურის გათვალისწინებით? - რა წინარეცოდნა ამოგიტივტივდათ სათაურთან / თემასთან დაკავშირებით?
სელექციური კითხვა - საკვლევ საკითხთან მისადაგებული კითხვა	- მოინიშნეთ საკვანძო სიტყვები - მოინიშნეთ მნიშვნელოვანი ადგილები ტექსტში და გააკეთეთ შენიშვნები
შემეცნებითი კითხვა - სხვადასხვა კითხვის სტრატეგიის გაერთიანება	წაკითხვის წინ: - გაააქტიურეთ წინარე ცოდნა - გამოთქვით ვარაუდები ტექსტის შინაარსის შესახებ - დაუსვით კითხვები ტექსტს კითხვის პროცესში: - შეადგინეთ საკვანძო სიტყვების ჩამონათვალი - გაუგებარი ადგილები ფერადი მარკერით

	მონიშნეთ წაკითხვის შემდეგ: ▪ დაწერეთ წყაროს მოკლე შეჯამება საკვანძო სიტყვებისა და ტექსტის გამოყენებით ▪ ვიზუალურად გადაიტანეთ შეჯამება ფურცელზე (კონსპექტ-ბარათი, აზრობრივი რუკა) ▪ ბოლოს დაუსვით შემდეგი კითხვები საკუთარ თავს: ▪ დადასტურდა ვარაუდები წყაროს შინაარსთან დაკავშირებით? ▪ წყაროს წაკითხვის წინ დასმულ კითხვებს გაეცა პასუხები?
--	--

ილია ჭავჭავაძე: ისტორიის და ხელისუფლების ფეოდალური კონცეფციის დეკონსტრუქცია: პარადიგმის შეცვლა

ემზარ ჯგერენაია

კულტურული პარადიგმის ცვლილება XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება და, პირველ რიგში, ეს ცვლილება გულისხმობს ხელისუფლების ბუნებისა და წარმომავლობის სრულებით ახლებურ, ჩვენი კულტურისათვის აქამდე უცნობ, გააზრებას; "რელიგიური საზოგადოების," "სამოქალაქო საზოგადოებად/ერად" ტრანსფორმაციისათვის აუცილებელი კონცეპტების გამოგონებას, ანუ ნაციონალიზმის თეორიულ გაფორმებას. აღსანიშნავია ი. ჭავჭავაძის მიერ ტრანსფორმატორულ აქტივობაში ფილოლოგიის სოციალური ფუნქციის გააზრება. ერთი მხრივ, ფილოლოგიის ამოცანების გადააზრება (რაც მკაფიოდ თეორეტიზებული არ არის, მაგრამ იმპლიციტურად მის სტატიაში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კოზლოვიდამ „შეშლილის“ თარგმანზედ“ არის მოცემული), ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების წარმომავლობისა და ლეგიტიმაციის ახლებური გაგება („ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“), პრაქტიკულად ევროპული „რეფორმაციის“ ფუნქციურ ეკვივალენტს წარმოაგენს ჩვენი კულტურისათვის. ამიტომ ილია კიდევაც არის „ქართველი ლუთერი,“ „ქართველი პროტესტანტი,“ ადამიანი, რომელმაც ქართული კულტურა სხვა ფანჯარაში გაახედა.

განმანათლებლობის შემდგომი ეპოქა, ნაციონალიზმის იდეოლოგია, ფილოლოგიის სრულებით ახალი ამოცანების წინაშე აყენებს. ნაციონალიზმის ეპოქაში ფილოლოგია და ფილოლოგობა არ არის მხოლოდ ტექსტის კომენტარი, ნაბეჭდი ტექსტის „ცარიელი ველების შევსება“^[33] და ტექსტების შეგროვება, ხოლო მწერალი და მწერლობა „მაღალი შტილით“ უბრალოდ „ამბის“ მთხრობელი. ფილოლოგი და მწერალი, ფილოლოგია და მწერლობა ერთ ეროვნულ ინტერესსაა დაქვემდებარებული: გადაარჩიოს, დაახარისხოს, შეაფასოს ესა თუ ის ნაწარმოები ერთი პოზიციიდან: რამდენად მნიშვნელოვანია ეს ნაწარმოები ერისთვის და რას მოუტანს ის ერს, მის სხეულს. ნაციის სხეულზე ზრუნვა (ბიოპოლიტიკა და ეკონომიკური პოლიტიკა: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად..“ „ოთარაანთ ქვრივი“-ხუთი ქისის ეკონომიკა, „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“) ფილოლოგიის და მწერლობას ერთ ამოცანას უსახავს მიზნად: რაც შეიძლება ღრმად შეადწიოს სოციალურ ქსოვილში, შევიდეს ყველაზე „ბნელ,“ „გაუნათ(ლ)ებელ“ ტერიტორიებში, რათა თითოეული ადამიანი „დიდი სხეულის“- ერის- მსახურებას დაუქვემდებაროს („ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა დღეს მე ვის რა ვარგე“). ამისათვის ენა უნდა „გამარტივდეს“, „გახალხურდეს“, რათა ის ნებისმიერი ადამიანისათვის ადვილად ასათვისებელი გახდეს (ანბანის რეფორმა). ამ ენით კი ერთიანი ნაციონალური სხეულისადმი კუთვნილების შეგნება და მეხსიერება უნდა კონსტრუირდეს („ოსმალოს საქართველო“). აქედან ფილოლოგს და მწერალს გარკვეული მისია აკისრია: მწერალი „ამბის“ მთხრობელიდან, ნაციის

ზნეობრივ ზედამხედველად გადაიქცევა; მისი მეხსიერების კონსტრუქტორი ხდება; მწერლობა და ფილოლოგია - ერის ცენტრში საგუშაგო კოშკად-პანოპტიკონიად- აღიმართება.

ფეოდალური მემკვიდრეობა ნაციონალიზმის ეპოქაში როდი ქრება. პირიქით, ის „გადაიწერება“, ნაციონალური ისტორიის ინტეგრალურ შემადგენლად იქცევა. ხდება ფეოდალური მემკვიდრეობის ნაციონალისტური მითვისება (ფეოდალური ისტორიის ეროვნულ ისტორიად წარმოდგენა) და ამ პროცესში არალიტერატურული ტექსტი ლიტერატურად გადაიქცევა: ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები მხატვრული ლიტერატურის, (fiction) „გამონაგონის“ სემანტიკას შეიძენს. ნაციონალიზმი მას ნაციონალურ ლიტერატურად გადააქცევს. არა მხოლოდ ფილოლოგია, არამედ ისტორიაც იცვლის თავის დანიშნულებას, რადგან ისტორიის სუბიექტს განმანათლებლობისა და ნაციონალიზმის იდეოლოგიის თანახმად, უფლებამოსილი ინდივიდების ერთობლიობას - ხალხი - წარმოადგენს. ი. ჭავჭავაძე ამ აზრს ასე გამოხატავს: „ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული.“^[34] სწორედ ამ ფრაზით ი. ჭავჭავაძე შორდება ფეოდალურ ისტორიას. აქ სიტყვები „მონაწილეობა“ და „ხალხი“ შემთხვევითი არ არის, რადგან ერის ისტორია ყველა ინდივიდის (ხალხის) მონაწილეობით იქმნება, ეს სიტყვა დემოკრატიისათვის ცენტრალურია. ისტორია არ არის მეფეთა ისტორია, ისტორია - ეს ხალხის ისტორიაა, საიდანაც ერთი დასკვნა გამოდის: ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყარო არის ხალხი და არა ეკლესია.

მეფე „რჩეულია ამ სიტყვის ორმაგი სემანტიკით: ის ოდესღაც ხალხმა „აირჩია“ და და ამავე დროს თავის ხალხში „გამორჩეულიც“ არის. ამ აზრით, სამეფო ხელისუფლება, მეფე არის ხალხის რეპრეზენტატორი, ილია ამ მოსაზრებას ალბათ არ უგულვებელყოფდა. მაგრამ ილია ცდილობს შეცვალოს „რჩეულობის“ ეს კონცეფცია და რეპრეზენტაციის ფუნქცია მეფეს კი არ დააკისროს, არამედ ხალხს, როგორც ისტორიის შემოქმედს, ისტორიის სუბიექტს, სადაც მეფე არ არის ღვთაებრივი ნების გამტარებელი, არამედ ხალხის ნების მორჩილი. ასეთი მეფე პრაქტიკულად პარლამენტია, რომელსაც მოსავს არა ღვთაებრივი, არამედ ხალხის ნების შარავანდედი. მაგრამ ილიას არ შეუძლია ფეოდალური ისტორიის სრული „გადაგდება“, რადგან ქართველებს ჯერ კიდევ არ აქვთ „სამოქალაქო ისტორია“, რადგან საქართველოს არ გაუვლია განმანათლებლობისა და ფრანგული რევოლუციების მსგავსი კატაკლიზმები, რადგან საქართველოს არ ყავს „სამოქალაქო გმირები“, „გავროში“ ჯერ არ დაბადებულა, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი არის ფეოდალური მემკვიდრეობის ახლებური გადააზრება, მისი გადაწერა, მაგრამ არა სრული ელიმინაცია. ამიტომაც XIX საუკუნის ქართულ ნაციონალიზმს ფეოდალიზმის ჩრდილი ეცემა: ფეოდალური ისტორია, რომლის ცენტრში მბრუნდებოდა მეფე დგას, ნაციონალურ ისტორიად, ანუ „ხალხის/ერის ისტორიად“ სუბლიმირდება. ი.ჭავჭავაძე ფეოდალურ ისტორიას ნაციონალისტურ ისტორიად გარდაქმნის.^[35]

ხალხის/ერის ისტორია, ყველა ადამიანის ისტორიაში მონაწილეობით იქმნება და ასე შექმნილი ისტორიის ათვისება ცალკეულ ინდივიდს დიდი ერთობის ორგანულ ნაწილად აქცევს. ინდივიდს ერთიანი ნაციონალური სხეულისადმი კუთვნილების განცდას კი ყველაზე მეტად ერთიანი ისტორიის მეხსიერება აძლევს. საერთო ისტორიული მეხსიერება თითოეული ინდივიდის მონაწილეობით უნდა შეიქმნას, ხოლო შემდეგ ეს მეხსიერება კვლავ ხალხში უნდა დაბრუნდეს.

ამიტომ საერთო-ეროვნული მეხსიერების კონცეპტი ი. ჭავჭავაძის ყველა სხვა კონცეპტს იმორჩილებს. „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძვე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალავს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული - ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, - მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალავს, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა

ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.”^[36]

საინტერესოა, რომ ილია საუბრობს ერთიან ეროვნულ მეხსიერებაზე, ერთიან ისტორიაზე, მაგრამ იმ მომენტში, როცა ილია ამ სტრიქონებს წერს, არც ერი (ერი-სახელმწიფოს აზრით) არსებობს, არც ერთიანი ნაციონალური მეხსიერება და ერთიანი ისტორია. ილია დემიურგივით ერთსა და იმავე დროს საუბრობს მათზე და ამ საუბრით ქმნის ერისა და ერთიანი ეროვნული მეხსიერების რეალობას. სულაც არ არის შემთხვევით მისი გაცემა, როცა სამეგრელოში ჩასული ილია ამბობს: “სამეგრელოში ჩავედი, საქართველო კი ვნახეო.”^[37]

არც „ენას“, არც „სარწმუნოებას“, არც „მამულს“ თავისთავად დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება: ენა საერთო ისტორიული მეხსიერების გარეშე უზრალოდ კომუნიკაციის ინსტრუმენტია, ტერიტორია მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე, ხოლო სარწმუნოება არადამაჯერებელი კრედო. ისინი მნიშვნელობენ მხოლოდ საერთო ეროვნული/საერთო-სახალხო ისტორიის მეხსიერების პირობებში. ენაც, სარწმუნოებაც მხოლოდ ერთიანი ნაციონალური ნარატივის შექმნის, მეხსიერების შენახვის და გადაცემის კონტექსტშია მნიშვნელოვანი.

ჯერ კიდევ „ყვარლის მთების“ (1857) პერიოდის ილიამ უკვე იცის მეხსიერების კონცეპტის მნიშვნელობა. ყვარლის მთა მხოლოდ გეოლოგიური წარმონაქმნი და ლანდშაფტის ნაწილი კი არ არის, არამედ ნარატივებით დაფარული სამშობლოს მეტონიმური წარმოდგენაა. ენამ ერთიანი ისტორიის მეხსიერების მედიაცია უნდა მოახდინოს; მამული წარმოსახვით რუკაში უნად გაფორმდეს, სარწმუნოებამ იდენტობის უზრუნველყოფის ფუნქცია უნდა შეასრულოს. აქედან ცხადია, რომ ეს სამი ელემენტი: მამული, ენა სარწმუნოება მხოლოდ ერთიანი ისტორიის მეხსიერების კონტექსტში იძენს მნიშვნელობას:

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვების არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“^[38]

„ხალხის“ განმანათლებლური კონცეპტის შემოტანამ სხვა ეფექტებიც მოიტანა. გაჩნდა ახალი ადამიანის - ეკონომიკური ადამიანის - გაგება. პირველად ქართულ კულტურაში სწორედ ილია - ერის, ხალხის, ეროვნული მეხსიერების, ისტორიის ცნების გავლით - გზას უხსნის Homo economicus - ეკონომიკურ ადამიანს. სწორედ ეს ცნება გააღებს კარებს ახალი პერსონაჟისათვის, რომელიც მასთან ოთარაანთ ქვრივია, ხოლო სხვა მწერალთან - ბახვა ფულავა ან სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. ეს კონცეპტი თვით მწერალსაც მიემართება: მწერალი თავისი ნაწერით, თავისი „საქონლით“ ბაზარზე გამოჩნდება და თავისი შრომის პროდუქტის ეკონომიკური ეფექტისათვის თვალთვალი მოუწევს. ლიტერატურული ქმნილება და თვით მწერალი წაგება - მოგების ეკონომიკურ კატეგორიად იქცევა. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ არ არის ილიასათვის საქართველო „ტამარი“ ანუ კონტემპლაციის, ხოტბის შესხმის, კვაზირელიგიური დრამატურგიის ადგილი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, „სახელოსნო“, რაც თანამედროვე ენაზე ნიშნავს ტექნოლოგიებს. ილია ცდილობს ლიტერატურაზე ორიენტირებული ერის (ლიტერატურაცენტრისტული კულტურის) „ტექნოლოგიურ-ტექნიკურ ერად“ (ხელოსნობის და ვაჭრობის მცონდე) ტრანსფორმაციას: „ტყულიად-კი არა სთქვა ტურგენევმა, რომ ეს ქვეყანა ტამარი - კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდეს“.^[39]

როგორც აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე ლაპარაკობს „მოქალაქეზე“ და „ერზე“, მაგრამ არც ერთი და არც მეორე როგორც რუსეთის იმპერიაში, ასევე საქართველოში ჯერ რეალურად დაბადებული არ არის. ეს ცნებები მხოლოდ აზრობრივად, ინტელიგიბელურად (ლოგოსში) არსებობს, ის მხოლოდ ევროპული იდეური ინტერვენციაა და მთელი ტრაგედია ილიას მოღვაწეობისა სწორედ ეს არის: მას ესმის ეს ევროპული ცნებები: „მოქალაქე“, „ეკონომიკური ადამიანი“, „ერის“ ევროპული კონცეპტები, მაგრამ საზოგადოებას, მის წევრს „ქვეშევრდომს“, რომელიც ჯერ კიდევ ფეოდალურ სოციალურ სტრუქტურაშია მოქცეული, ეს არ ესმის. ფრაზაში „ამდენ ხალხში კაცი არ არის“ - „კაცი“ არა მხოლოდ ცალკე აღებულ ინდივიდს აღნიშნავს, არამედ სოციალურ ფენასაც, რომელსაც ილია მიმართავს. მაგრამ არც „მოქალაქე“, არც „ეკონომიკური ადამიანი“, არც „ნაცია“ ჯერ არ არსებობს. ის მხოლოდ ილიას ლოგოსშია. აქედან გასაგებია, რას უჩივის ილია, როცა

წერს: „მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,/ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,/რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,/ რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავეუზიარო!“ (1861).

ი. ჭავჭავაძემ გზა გაუხსნა განმანათლებლურ დისკურსს და საზოგადოებას ამ დისკურსზე აღმოცენებული პრაქტიკებით ცხოვრებისაკენ მოუწოდა, მაგრამ ისე როგორც მ. ლუთერს ვერ წარმოედგინა, თუ რა "გვერდითი ეფექტი," "გაუთვალისწინებელი შედეგი" მოჰყვებოდა მის საქმიანობას, ასევე ილიასაც არ შეეძლო დაენახა განმანათლებლური იდეების შედეგები არა მხოლოდ ქვეყნისათვის, არამედ პირადად მისთვისაც.

განმანათლებლობა ამბივალენტობით ხასიათდება. ეს ყველაზე მკაფიოდ მის მიერ ბიძგმიცემულ პოლიტიკურ ფენომენებში ვლინდება: გერმანული ნაციზმი და რუსული კომუნიზმი, ისევე როგორც დასავლური წარმომადგენლობითი დემოკრატია, განმანათლებლობის პროდუქტებია. მართალია, ი. ჭავჭავაძემ თავისი კონცეპტებით („ხალხი," „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს", „ერთობა ისტორიისა," ანუ საერთო ეროვნული მეხსიერება, როგორც ნაციონალური იდენტობის მთავარი უზრუნველმყოფი და ა.შ.) და საქმიანობით (საადგილმამულო ბანკი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება) ახალ ევროპულ განმანათლებლურ იდეებს გაუხსნა გზა ქართულ კულტურაში, მაგრამ ამავე განმანათლებლობამ ასევე კარები გაუღო განმანათლებლობის სხვა პროდუქტს - სოციალ-დემოკრაციას, რომლის მიერ გასროლილმა ტყვიამ (გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის თანახმად) მას სიცოცხლე მოუსწრაფა. მაგრამ ილიას გიგანტურ ფიგურას ჩვენს XXI საუკუნეში ახალი ტრასფორმაცია ელოდებოდა: მისი ერთი ნაწილი ეკლესიამ „მიითვისა“(ილია მართალი), ხოლო მეორე ნაწილი ქართული ლიბერალიზმის ქვაკუთხედად მოგვევლინა.

თუ კულტურული პარადიგმის შეცვლაში ვიგულისხმებთ ტრადიციის რღვევას, ანუ „რელიგიური საზოგადოების“ „სამოქალაქო საზოგადოებაში“ გადასვლას („მოქალაქე“ „ქვეშევრდომის“ ნაცვლად, ერთიანი ნაციონალური მეხსიერება, ნაცვლად ფეოდალური-მეფეების ისტორია-მეხსიერებისა) და ფეოდალური ისტორიის ნაციონალურ ისტორიად ტრანსფორმაციას, ავტონომიური ინდივიდის ერთობისაგან შემდგარ ეროვნულ სახელმწიფოს (ერი-სახელმწიფოს), შეიძლება ვთქვათ, რომ ი. ჭავჭავაძე (ცხადია, თერგდალეულებთან ერთად) გვევლინება პიროვნებად, რომელმაც ქართული კულტურული პარადიგმა შემოატრიალა: თეორიულად გაიაზრა და ქართულ კულტურაში ნარატიულად გააფორმა განმანათლებლური იდეები და ამით ქართულ საზოგადოებას ახალი ჰორიზონტის დანახვის შესაძლებლობა მისცა, რომელიც ჩვენს XXI საუკუნეში ისხამს ხორცს.

კულტურული პარადიგმის ცვლა/ტრადიციის წყვეტა აშკარად თვალშისაცემია არა მხოლოდ პოლიტიკურ თეოლოგიაში, არამედ ქართული კულტურისათვის აქამდე უცნობ სიკვდილისადმი დამოკიდებულების გაჩენაში. სიკვდილისადმი ეს ახალი დამოკიდებულება ასევე განმანათლებლობის პროდუქტია და აქაც ილიას ფიგურა განმსაზღვრელია.

(სტატიის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ბმულის დახმარებით: <http://ekonomikurikonceptebi.blogspot.com/2016/05/xix.html>)

სავარჯიშო 5. მეორეული წყაროს კონსპექტ-ბარათი

მოიძიეთ მეორეული წყარო თქვენს ინდივიდუალურ თემასთან დაკავშირებით. შერჩეულ წყაროს დაუსვით სავარჯიშო 2-ში დასახელებული შეკითხვები და შეადგინეთ წყაროს კონსპექტ-ბარათი ნიმუში 2-ის მიხედვით (იხ. კონსექტ-ბარათის ნიმუში 2)

შემაჯამებელი ტესტი: წყაროს კითხვა და დამუშავება

აირჩიეთ და შემოხაზეთ მხოლოდ ერთი მართებული პასუხი.

1. სამეცნიერო მუშაობისას კვლევისთვის მნიშვნელოვანია გაეცნოთ:

- ა) მხოლოდ უახლეს გამოცემებს
- ბ) კვლევის დარგში არსებულ ცოდნას
- გ) მხოლოდ ძველ გამოცემებს

2. კურსორული კითხვის დროს ირკვევა:

- ა) წყაროს შესაბამისობა საკვლევ თემასთან
- ბ) წყაროს აკადემიური გამართულობა
- გ) წყაროს ავტორის ვინაობა

3. კურსორული კითხვის დროს აუცილებელია დეტალურად წაიკითხოთ:

- ა) სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა
- ბ) კვლევის მდგომარეობა
- გ) აბსტრაქტი, დასკვნა და საკვანძო სიტყვები

4. კურსორული კითხვის დროს წყაროს უნდა დაუსვათ შემდეგი ტიპის კითხვები:

- ა) საკვლევი კითხვები
- ბ) ზოგადი კითხვები საკვლევი სფეროს შესახებ
- გ) შინაარსობრივი და სუბიექტური კითხვები

5. სელექციური კითხვის დროს უნდა განვსაზღვროთ:

- ა) წყაროს შესაბამისობა ჩვენს საკვლევ თემასთან
- ბ) წყაროში უნდო მოვებნოთ კვლევისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია
- გ) უნდა დავწეროთ კვლევის დასკვნითი ნაწილი

6. სელექციური კითხვის დასრულების შემდეგ აუცილებლად ინიშნავთ:

- ა) წყაროს სათაურს
- ბ) წყაროს ბიბლიოგრაფიას სრულად
- გ) წყაროს ავტორს

7. შემეცნებითი კითხვის დროს ტექსტი უნდა წაიკითხოთ:

- ა) ზედაპირულად, რათა გაიგოთ შინაარსი
- ბ) შიგა და გარე პერსპექტივით
- გ) მხოლოდ შიგა პერსპექტივით - წყაროს ავტორის არგუმენტების გათვალისწინებით

8. ანოტირების პროცესში იგულისხმება:

ა) დასამუსავებელ ტექსტში ნიშნულების გაკეთება

ბ) კვლევითი ნაშრომის ანოტაციის შექმნა

გ) კვლევითი ნაშრომის სათაურის ფორმულირება

9. სრულყოფილი კონსპექტ-ბარათის შექმნა შესაძლებელია:

ა) შემეცნებითი კითხვის შემდეგ

ბ) კურსორული კითხვის შემდეგ

გ) სელექციური კითხვის შემდეგ

10. კონსპექტ-ბარათში წყაროში გადმოცემულ ინფორმაციასთან და ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად სასურველია ასახული იყოს:

ა) პირადი დაკვირვებები დამუშავებულ ტექსტთან დაკავშირებით

ბ) წყაროში გამოყენებული ყველა ბიბლიოგრაფიული მონაცემი

გ) წყაროს ავტორის პირად ბლოგზე განთავსებული მოსაზრებები

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

ეკო, უმბერტო. 2014. როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი. მათარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე.

ვერულავა, თენგიზ. 2015. ფრიდრიხ ჰაიეკის „გზა ბატონყმობისაკენ“ თანამედროვეობის ჭრილში. სამეცნიერო ჟურნალი *ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა* N 2. 2015 <http://eprints.iliauni.edu.ge/3086/> (17.02.2018)

ლადარია, ელენე, გიორგი მაისურაძე, ლუკა ნახუცრიშვილი (შემდგ.). 2016. *ფაშიზმის თეორიები დოქტრინა და კრიტიკა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ურჩუხიშვილი, გიორგი. 2016. *სხეულის სოციოლოგია*. Heinrich Böll Stiftung (სამხ.კავკასია ფემინიზმი და გენდერული დემოკრატია) <http://www.feminismboell.org/ka/2016/09/19/kartuli-sxeulissociologia> (15.02.2018)

ცაგარელი, ლევან. 2012. *ზომბირებასა და ემანსიპაციას შორის — განათლების სისტემის ზოგიერთი თავისებურება თანამედროვე საქართველოში* (საჯარო დისკუსია თემაზე: განათლების პოლიტიკა — ემანსიპაცია თუ ინდოქტრინაცია? ქუთაისი, 18.11.2012) <http://eprints.iliauni.edu.ge/1803/> (16.02.2018)

ჯგერენაია, ემზარ. 2016. კულტურული პარადიგმის ცვლა, ანუ მეტაფორულ მენტალური შემოტრიალება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. *ლიტემისია* (5 მაისი). <http://ekonomikurikonceptebi.blogspot.com/2016/05/xix.html> (20.07.2018)

გამოყენებული ლიტერატურა გერმანულ ენაზე:

Dahinden Urs, Sturzenegger, Sabina und Alessia C. Neuron. 2014. *Wissenschaftliches Arbeiten in der Kommunikationswissenschaft*. Bern: Haupt.

Franck, Norbert und Joachim Stary. 2013. *Die Technik wissenschaftlichen Arbeitens: Eine praktische Anleitung*. 17. Aufl. Berlin: Schöningh.

Hiennerth, Claudia, Huber, Beate und Daniela Süssenbacher. 2009. *Wissenschaftliches Arbeiten kompakt. Bachelor- und Masterarbeit erfolgreich erstellen*. Wien: Linde.

Kornmeier, Martin. 2009. *Wissenschaftlich schreiben leicht gemacht. Für bachelor, Master und Dissertation*. Haupt Verlag Bern. Stuttgart. Wien.

Preißner, Andreas. 2012. *Wissenschaftliches Arbeiten. Internet nutzen – Text erstellen – Überblick behalten*. Berlin: De Gruyter.

Rost, Friedrich. 2012. *Lern- und Arbeitstechniken für das Studium*. 7. Auflage. Berlin: Springer.

Theisen, Manuel Rene. 2013. *Wissenschaftliches Arbeiten. Erfolgreich bei Bachelor- und Masterarbeit*. München: Franz Vahlen Verlag.

თავი 6. არგუმენტაცია და მსჯელობა (თინათინ ქავთარაძე)

მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ შეკითხვებს:

1. როგორ ავაგო არგუმენტი?
2. როგორ წარმოვადგინო არგუმენტი?
3. როგორ წარვმართო არგუმენტირებული მსჯელობა?
4. რა გამოდგება მტკიცებულებად კვლევის არგუმენტის წარმოდგენისას?

ნებისმიერი დებულების დასამტკიცებლად საჭიროა არგუმენტი. საშინაო ნაშრომში ჩვენი საწყისი დებულების მართებულობის დასადასტურებლად ჯერ ვარაუდების ჩამოყალიბება, შემდეგ კი არგუმენტებით ამ ვარაუდების გამყარებაა საჭირო.

6.1. როგორ ავაგო არგუმენტაცია?

უწინარესად, ვუპასუხოთ კითხვას: ვინ არის კარგი მკითხველი? - კარგი მკითხველი, მოდარაჯე, ჩასაფრებული მკითხველია, რომელიც ყოველთვის უსვამს კითხვებს ტექსტს. თქვენს საშინაო ნაშრომსაც მკითხველი კრიტიკული თვალთ შეხედავს და ეს უნდა გახსოვდეთ. ამრიგად, იფიქრეთ იმაზე, როგორ პასუხებს გაცემდით შეკითხვებს, რომლებიც შეიძლება მკითხველმა დაუსვას ნაშრომს:

- რა არის დებულება?
- რა ვარაუდი ამყარებს მას?
- რა არგუმენტებით შეგიძლიათ გაამყაროთ ვარაუდი?
- განიხილავთ ალტერნატიულ თვალსაზრისს? /სცემთ თუ არა პასუხს კონტრარგუმენტებს?

საჭიროა, მოვამზადოთ პასუხები აღნიშნულ კითხვებზე.

განავითარეთ არგუმენტი: ნებისმიერ საკვლევ საკითხზე დიდი მასალა (წყარო) არსებობს და შესაბამისად, მრავალი არგუმენტიცა და კონტრარგუმენტიც. ამოარჩიეთ სანდო წყაროები. შემდეგ, დააჯგუფეთ არგუმენტები, რომლებიც ამყარებს თქვენს ვარაუდს. გადახედეთ, რამდენად დამაჯერებელია ისინი და შემდეგ წარმოადგინეთ.

დაჯგუფება იმ არგუმენტებისა, რომლებითაც მყარდება თქვენი ვარაუდი: აღნიშნული საჭიროა იმისთვის, რათა არ დაიბნეთ მას შემდეგ, რაც წყაროებს გაეცნობით. თქვენ ვერ შეძლებთ ყველაფრის დეტალურად დამახსოვრებას, რაც წაიკითხეთ, ამრიგად, საჭიროა ჩანაწერების წარმოება და ეს მნიშვნელოვანია წყაროების სისტემატიზაციისთვის. წყაროების სისტემაში მოქცევა კი გვეხმარება, მოვძებნოთ არგუმენტები ჩვენი დებულებებისთვის.

ქვემოთ მოყვანილია მაგალითები, როგორაა შესაძლებელი არგუმენტის წარმოდგენა:

როგორ?	მაგალითი
ეფექტურად გამოიყენეთ	- მკვლევარი X-ის მიგნებები აჩვენებს...

ენობრივი კომპეტენციები.	- არგუმენტის სისუსტე ისაა, რომ... - კვლევა გვთავაზობს...
გამოიყენეთ შემაჯამებელი წინადადებები აზრის ბოლოს.	- ამრიგად, კვლევაში ჩამოყალიბებული მტკიცებულებების მიხედვით, ... - ზემოჩამოთვლილი კვლევებით დასტურდება, რომ....

გამოსახულება 18: არგუმენტების წარმოდგენის მაგალითები

6.2. როგორ წარმოვადგინო არგუმენტი?

რჩევა N1: თუ თქვენ გჭირდებათ, გასცეთ პასუხი რაიმე კონკრეტულ შეკითხვაზე, უნდა დაეყრდნოთ ფაქტებს, კვლევებს, რომლებითაც დასტურდება თქვენი მოსაზრება.

რჩევა N2: შეაჯამეთ თქვენი ნაშრომის მთავარი სათქმელი და ეცადეთ მის დადასტურებას არგუმენტებით.

რჩევა N3: შეიმუშავეთ სტრატეგია, რომელიც დაგეხმარებათ, განავითაროთ თქვენი დებულება და წარმოადგინოთ არგუმენტი. მაგალითად:

1. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მკითხველს მიაჩნდა.... კვლევებით საპირისპირო წარმოჩნდება...
2. ფენომენი X არის შედეგი.... ხოლო ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითი....

დაიმახსოვრეთ, რომ თქვენი დებულების დადასტურება მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ, მოერიდეთ ბუნდოვანი წინადადებების ჩამოყალიბებას საშინაო ნაშრომში. მაგალითად: *ელეონორ რუზველტი კარგი პირველი ლედი იყო.* რას ნიშნავს *კარგი*? ჯობია, პირდაპირ არგუმენტი ჩავრთოთ იმის დასადასტურებლად, რომ *ელეონორ რუზველტი მართლაც ღირსეული პირველი ლედი იყო.* მაგალითად: *როდესაც პირველი ლედი იყო, ელეონორ რუზველტმა თავი გამოიჩინა თავისი აქტიური მოღვაწეობით დემოკრატიულ პარტიაში.* აქ აღარ დაგისვამთ მკითხველი კითხვას - რატომ?

ყოველთვის იფიქრეთ მკითხველზე:

ააგეთ თქვენი მსჯელობა იმის მიხედვით, რა კითხვებს დაუსვამდა მკითხველი ტექსტს? კარგი მკითხველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩასაფრებული მკითხველია, რომელიც მუდმივად სვამს კითხვებს:

1. მერე რა, რომ ასეა?
2. როგორ ამტკიცებს ამას ავტორი?
3. მყარია ავტორის არგუმენტები?

ამრიგად, არ დაწეროთ გაუგებარი წინადადებები, რომლებიც ამგვარი კითხვების დასმას განაპირობებს. აკადემიური ნაშრომი უნდა გამოირჩეოდეს ზედმიწვნითი სიზუსტით და არცერთი სიტყვა არ უნდა იყოს ფუჭად, გაუაზრებლად დაწერილი. თუ ასე მოხდა, ეს დააბნევს თქვენს მკითხველს და იგი აღარ გამოიყენებს თქვენს ნაშრომს. აკადემიური ნაშრომის და სამეცნიერო კვლევის დანიშნულება კი ახალი ცოდნის გავრცელებაა.

მნიშვნელოვანია, რომ არგუმენტი, რომლითაც ყველაზე მეტად დასტურდება თქვენი დებულება, ეყრდნობოდეს სანდო წყაროებს. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ თქვენი


დებულების საუკეთესო დამცველი ხართ. თქვენი მსაჯი (მკითხველი) ელის, რომ თქვენ ადვოკატის მსგავსად წარმოადგენთ მყარ მტკიცებულებებს თქვენი დებულების დასადასტურებლად. სად შეიძლება მოვიძიოთ წყაროები არგუმენტებისათვის?

პირველადი წყაროები: ავტორის ორიგინალური ნაშრომები (ამის შესახებ, იხ. თავი 4)

მეორადი წყაროები: სამეცნიერო კვლევები, ნაშრომები (ამის შესახებ იხ. თავი 4)

6.3. როგორ წარვმართო არგუმენტირებული მსჯელობა?

მსჯელობის წარმართვისთვის საჭიროა, დააღწიოთ თქვენი დებულებები და მათი დამადასტურებელი არგუმენტები სიმძლიერის მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ არგუმენტები ისე წარმოადგინოთ, რომ მკითხველი დაარწმუნოთ თქვენი დებულების მართებულობაში, ამისთვის გთავაზობთ ცხრილს, რომლითაც გამოაშკარავდება, რა იგულისხმება არგუმენტების დალაგებაში, და ამრიგად, გასაგები გახდება ისიც, როგორ წარვმართოთ მსჯელობა.




გამოსახულება 19: არგუმენტების დალაგება

6.4. რა გამოდგება მტკიცებულებად არგუმენტაციის განსავითარებლად?

ქვემოთ მოცემულია დებულება და დასკვნები. თქვენ უნდა შეძლოთ, გაარჩიოთ ერთმანეთისგან მყარი და სუსტი არგუმენტები. აკადემიური ნაშრომი სიზუსტეს მოითხოვს, ამრიგად, მნიშვნელოვანია, სწორად გადაწყვიტოთ, რა გამოდგება კვლევის არგუმენტად და რა - არა.

მაგალითი:

დებულება: ჩვენმა რელიგიურმა ლიდერმა ეს ადამიანი სამშობლოსთვის გაწეული ღვაწლისთვის დააჯილდოვა. **დასკვნა:** ამრიგად, აღნიშნული პირი ნამდვილად იმსახურებდა ამას.



გამოსახულება 20: არგუმენტაციის განვითარება

განვიხილოთ თითოეული არგუმენტი:

ა) ვეთანხმები, რადგან რელიგიურმა ლიდერმა ასე გადაწყვიტა, ის კი წმინდა ადამიანია.
არგუმენტი: რელიგიური ლიდერი წმინდა ადამიანია.

რა განსაზღვრავს სიწმინდეს? სიწმინდე მეცნიერულად გაზომვადი არ არის. ამრიგად, აღნიშნული არგუმენტი მტკიცებულებად ვერ გამოდგება.

ბ) არ ვეთანხმები, რადგან არ ვიცით რა ღვაწლისთვის დაჯილდოვდა აღნიშნული პირი.
(ინფორმაცია არასაკმარისია მსგავსი დასკვნის გასაკეთებლად.) არგუმენტი: არ ვიცით იმის ღვაწლი, ვინც დაჯილდოვდა.

როგორ უნდა მოვიქცეთ, ვიდრე დასკვნას გავაკეთებდეთ? ინფორმაციის / წყაროების მოძიება აუცილებელია დასკვნის გასაკეთებლად. დებულების არგუმენტს არ შეიძლება შეუმოწმებელ ინფორმაცია ედოს საფუძვლად. **მტკიცებულებად მხოლოდ ის არგუმენტი გამოდგება, რომელიც კონკრეტულ წყაროებზე დაყრდნობით წარმართულ არგუმენტებზე მსჯელობას ეყრდნობა.**

სავარჯიშოები

სავარჯიშო #1: ეთანხმებით თუ არა?

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დებულებები და დასკვნები. ეთანხმებით თუ არა? პასუხი არგუმენტით დაასაბუთეთ.

- ჩვენმა რელიგიურმა ლიდერმა ეს ადამიანი სამშობლოსათვის გაწეული ღვაწლისათვის დააჯილდოვა. ამრიგად, აღნიშნული პირი ნამდვილად იმსახურებდა ამას.
- ჩვენ მე-9 კლასებში ჩავატარეთ ტესტი და წელს გაცილებით უკეთესი შედეგი გვაქვს, ვიდრე შარშან. საშუალო სკოლებში ცოდნის დონემ აიწია.
- საქართველოს ზოგი საშუალო სკოლის დირექტორმა დაუშვა მოსწავლეთათვის მოსაწევი ადგილები სკოლის შენობაში. იმ სამ საშუალო სკოლაში, სადაც ადმინისტრაციამ ეს კანონი შემოიტანა, საგრძნობლად შემცირდა მწველ მოსწავლეთა რაოდენობა. ყველა სკოლამ უნდა დაუშვას მოსაწევი ადგილები სკოლაში.

სავარჯიშო #2: არგუმენტით დასაბუთება

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დებულებები და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი არგუმენტით დაასაბუთეთ:

- სხვაპლანეტაზე ჩვენზე კარგი ცხოვრება უნდა იყოს.
 - ვეთანხმები — რატომ? (პასუხი დაასაბუთეთ)
 - არ ვეთანხმები — რატომ? (პასუხი დაასაბუთეთ)
- მე მათხოვარს არ დავეხმარები, რადგან ის გაზარმაცდება და ჩათვლის, რომ ყველა ვალდებულია დაეხმაროს.
 - ვეთანხმები — რატომ? (პასუხი დაასაბუთეთ)
 - არ ვეთანხმები — რატომ? (პასუხი დაასაბუთეთ)
- ეს ქალი დამნაშავეა, მაგრამ ამის გამო ქვა არ უნდა ვესროლო.
 - ვეთანხმები — რატომ? (პასუხი დაასაბუთეთ)
 - არ ვეთანხმები — რატომ? (პასუხი დაასაბუთეთ)
- არ ვამართლებ ძალადობას, ომს და ამიტომ არ ვიბრძოლებ ჩემი ქვეყნის დასაცავად.
 - ვეთანხმები — რატომ? (პასუხი დაასაბუთეთ)
 - არ ვეთანხმები — რატომ? (პასუხი დაასაბუთეთ)

სავარჯიშო #3: ვარაუდის მართებულობა და მტკიცებულების სანდოობა

გაიაზრეთ მოცემული დებულება/მოსაზრება, ვარაუდი/სავარაუდო არგუმენტი, მტკიცებულება. განსაზღვრეთ ვარაუდის მართებულობა და სიზუსტე დებულების გათვალისწინებით და იმსჯელეთ მტკიცებულების სანდოობაზე.

დებულება: რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევას ჰქონდა მნიშვნელოვანი ფუნქცია.

ვარაუდი: რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა გადაწყდა მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერების მიზნით.

მტკიცებულება: ენრიკო გაბიძაშვილი მიიჩნევს, რომ რუის-ურბნისის კრებას მეფის ცენტრალიზებული ძალაუფლების გაძლიერების გარდა უნდა გამოედევნა ეკლესიიდან

უღირსი სასულიერო პირები და შეექმნა ის კანონმდებლობა, რომელსაც ყველა დაემორჩილებოდა.

სავარჯიშო #4: დებულების დასაბუთება

მოცემულ სავარჯიშოში მოცემულია დებულება/მოსაზრება, რომელიც ითხოვს დასაბუთებას. დაასაბუთეთ დებულება. დაწერეთ მტკიცებულებები.

დებულება/მოსაზრება N1: ქალაქში მეტი ხე უნდა დავრგოთ.

დებულება/მოსაზრება N2: საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა უნდა აიკრძალოს.

დებულება/მოსაზრება N3: ოჯახური ძალადობა ბავშვებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს.

სავარჯიშო #5: არგუმენტების და კონტრარგუმენტები

დაუსვით ერთმანეთს ქვემოთ მოცემული კითხვები და წარმოადგინეთ დებულება/მოსაზრება თავისი არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით. იმუშავეთ წყვილში.

<i>ქალაქში ავტომობილების სიმრავლე პრობლემაა? რატომ?</i>	კი ჩამოაყალიბეთ დებულება და შესაბამისი არგუმენტი, რომლითაც დასტურდება ეს მოსაზრება	არა ჩამოაყალიბეთ დებულება და შესაბამისი არგუმენტი, რომელიც უარყოფს ამ მოსაზრებას
<i>სკოლებში საჭიროა მანდატურების სამსახური? რატომ?</i>	კი ჩამოაყალიბეთ დებულება და შესაბამისი არგუმენტი, რომლითაც დასტურდება ეს მოსაზრება	არა ჩამოაყალიბეთ დებულება და შესაბამისი არგუმენტი, რომელიც უარყოფს ამ მოსაზრებას

სავარჯიშო #6

ქვემოთ მოცემულია მოსაზრება, რომელიც ითხოვს განმტკიცებას, ასევე წარმოდგენილია არგუმენტი. გაარკვეით, რომელი აზრი ითხოვს განმტკიცებას, იმსჯელეთ იმ ლოგიკური კავშირის შესახებ, რომელიც არგუმენტსა და გამოთქმულ აზრს აკავშირებს და იმსჯელეთ, რაში მდგომარეობს არგუმენტის სისუსტე.

ა) ხალხი უპირატესობას უცხოურ მანქანებს ანიჭებს, ამის გამო მანქანის იმპორტზე აუცილებელია ფასის გაზრდა, რათა ეროვნული მანქანათმშენებლობა განვითარდეს.

აზრი, რომელიც ითხოვს განმტკიცებას:

არგუმენტი/დამამტკიცებელი წინადადება:

ლოგიკური კავშირი:

არგუმენტის სისუსტე:

ბ) იმ საჯარო დაწესებულებებში, სადაც მოწვევა აკრძალეს, მწევრელთა რიცხვმა იკლო. მამასადამე, ყველა საჯარო, თუ კერძო დაწესებულებაში აუცილებელია მოწვევის აკრძალვა.

აზრი, რომელიც ითხოვს განმტკიცებას:

არგუმენტი/დამამტკიცებელი წინადადება:

ლოგიკური კავშირი:

არგუმენტის სისუსტე:

სავარჯიშო #7

განიხილეთ ქვემოთ მოცემული ნაწყვეტი სტატიიდან. შეაფასეთ არგუმენტების სიზუსტე და მართებულობა გამოთქმულ მოსაზრებებთან/დებულებებთან მიმართებაში. იმსჯელეთ, რა ტიპის არგუმენტებით ცდილობს ავტორი განამტკიცოს მოსაზრებები.

N7.1

„ვ?“: ბოლოს და ბოლოს რა არის ეს ვეფხისტყაოსანი.

„ვეფხისტყაოსანი“ უცნაურად სეკულარული ეპოსია: ძალიან რეალისტურია. უფრო ქრონიკებს ჰგავს, ვიდრე სარაინდო რომანს. თუმცა, ფორმაც, გადმოცემის წესიც და პესონაჟებიც სარაინდო/ზღაპრულია: უცხო ქვეყნები, უცხო მეფეები, უცხო მხარეები. თუმცა, ამ ფორმის მიუხედავად, მასში არ არსებობს არც ერთი მაგიური ნივთი, სასმელი, ქმედება, ჯადოქარი. ყველა ფენომენი, სიტყვიერად აღწერილი როგორც საოცრება, მოგვიანებით აღიწერება, როგორც დახელოვნების შედეგი; ხოლო ყველა ნივთი, თავდაპირველად მოხსენიებული როგორც ჯადოსნური, შემდეგ ზუსტდება როგორც ოსტატური ნაკეთობა. მაგალითად, გრძნეულ ქაჯთა ხსენებისას სწრაფი დეკონსტრუქციაც ხდება - ავტორი ამბობს, რომ ქაჯები, უბრალოდ, განსწავლული და დახელოვნებული ადამიანები არიან. ასეთ სარაინდო რომანს შუა საუკუნეები არ იცნობს: ისტორიულ ეპოსებსაც კი წინ უძღვის მითოლოგიური გარემო; ხშირად ისტორიული თხზულებებიც/ეპოსებიც არ არის თავისუფალი სასწაულებისაგან და ჯადოსნობებისაგან.

ყოველივე ამის ფონზე, „ვ“ სრულიად გამორჩეული ტექსტი უნდა ყოფილიყო შუა საუკუნეების ნარატიული კულტურის ფონზე და, ალბათ, ისეთივე ზეგავლენა უნდა მოეხდინა მკითხველზე, როგორც „ჰარი პოტერმა“ მოახდინა, ოღონდ პირიქით: თუკი როულინგმა ყველას დაანახა, რომ ჩვენს რუტინულ სამყაროს დამატებული ფანტაზია საოცარ შედეგებს იძლევა, „ვ“-ს ავტორმა ყველას აჩვენა, რომ რუტინულ სასწაულებს

მოშორებული ცხოვრებაც ისევე საინტერესოა და რომ ყველა შეიძლება გახდეს მის ნარატივებში აღწერილი ამბების წევრი.

2. სასულიერო პირების არარსებობა:

ვეფხისტყაოსანში ისეთი პერსონაჟიც კი არ არსებობს, რომლებიც მიახლოებით მაინც მოაგონებდა მკითხველს სასულიერო პირს; მხოლოდ ერთი ადგილია, სადაც ნახსენებია „მუყრნი და მულიმნი“ (სტრ. 351), და ისიც სეკულარული კონტექსტში, შესაბამისი, დამცინავი კომენტარით. მეტიც, არ არსებობს არც ერთი „ბრძენი მოხუცი“, რომელმაც ოდნავ მაინც შეიძლება მოგვაგონოს სასულიერო პირი. სრულიად შესაძლებელია, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ამიტომაც იყო საუკუნეების განმავლობაში ეკლესიის მხრიდან დევნის ობიექტი და, ალბათ, ამითვე აიხსნება მისი უზომო პოპულარობა საქართველოს ტერიტორიაზე: შესაძლებელია, ამ მხრივ, „ვ“ ჩვენთვის უცნობი პოლიტიკური სეკულარული მოძრაობის ანარეკლია, რომელიც ჰყვება, რომ შეიძლება არსებობდეს

გარემო სასულიერო პირების გარეშე, სადაც ადამიანი, ავთანდილივით, პირდაპირ მიმართავს ღმერთს. ამ მხრივ, „ვ“ სეკულარიზმის მანიფესტია.

3. ყველა ნარატივი და ფაბულა, რომელიც არსებობს შუა საუკუნეების (და არა მარტო) სამყაროში, აღწერილია და ძირითადი ფაბულის ნაწილია; შედეგად, „ვეფხისტყაოსანი“ არის არის არა პერსონაჟების ურთიერთობა, არამედ ამბებისა და სიუჟეტებისა:

შესაძლებელია ოთხი ურთიერთგადამკვეთი სიუჟეტი გამოვყოთ:

I. ცენტრალურ ევროპული ამბავი [დასავლური სარაინდო რომანი]: რაინდი სატრფოს დავალების შესასრულებლად მიდის. დავალების შესრულების სანაცვლოდ სატრფოს ხელი უნდა მიიღოს - ავთანდილის ამბავი;

II. სპარსული ამბავი [შაჰ ნამეს მსგავსი]: გმირს, ტახტის რეალურ მემკვირდეს, ინტრიგების გამო საკუთარი ქვეყნიდან გადახვეწა უწევს. მას სატრფოს ართმევენ და შორეულ ციხეში მალავენ - ტარიელის ამბავი;

III. სამხრეთ ევროპული [ფრივოლური] ამბავი: გმირი მოგზაურობისას მოხვდება ვაჭრების ქალაქში, სადაც სასიყვარულო კავშირს გააბამს მმართველის ცოლთან, რაც საკუთარი მიზნების აღსრულებაში დაეხმარება - ავთანდილის და ფატმანის ამბავი;

IV. ინდური ამბავი [რამა და ხანუმანი]: გმირები მოგზაურობისას ხვდებიან მეომარს, რომელსაც ისინი დაეხმარებიან და რომელიც, მოგვიანებით, მათ დაეხმარება მიზნის მიღწევაში - ფრიდონის ამბავი.

4. გამოყენებულია ყველა სიმბოლო, ხატი და ოპოზიცია, რომელიც გამოიყენებოდა შუა საუკუნეების ინტელექტუალების მიერ:

მაგალითად, მუდმივად მიმდინარეობს ორი ქალაქის (ქვეყნის) დაპირისპირება: ინდოეთი/არაბეთი, ინდოეთი/ხატაეთი, არაბეთი/მულრაზანზარი, ინდოეთი/ქაჯეთი.

აღსანიშნავია ერთ-ერთი თავი, სადაც გმირის (ავთანდილის) მონოლოგში ყველა მნათობი - იმდორინდელი ეზოტერიული და მისტიკური სიმბოლოებია მოხსენიებული.

განსაკუთრებით საყურადღებოა ეპოსის ბოლო ნაწილი, სადაც ყველა წინამდებობა დაძლეულია და ჰარმონია მყარდება - აქ ქრისტიანული სასუფეველის რელიგიური ნარატივი და სიმბოლოებია გამოყენებული.

ვფიქრობ, ამ ოთხი ნიშნის ჩამოთვლის შემდეგ ცხადია, თუ რატომ იზიდავს აქამდე ქართველ მკითხველებს თუ ავტორებს „ვ“: ეს ოთხი ნიშანი ტექსტს არა მარტო შუა საუკუნეების ლიტერატურაში გამოარჩევს, არამედ ჯერაც თანამედროვე ლიტერატურად ტოვებს:

1. სათავგადასავლო რომანი ჯადოქრობის და ჯადოსნობის გარეშე;

2. პრინციპულად სეკულარული სამყარო, ადამიანის პირდაპირი კავშირი ღმერთთან, ყოველგვარი მედიატორების გარეშე;

3. სხვადასხვა მხარეების (ქვეყნების, ლიტერატურის) ნარატივების კრებული, რომელთა გადაკვეთის წერტილშიც წარმოიშობა ფაბულა;

4. მაქსიმალურად ბევრი სხვადასხვა კონფესიისა და მოძღვრების სიმბოლოს და ხატის გამოყენება, რომელიც ყველანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და, საბოლოოდ, შეიძლება გავიგოთ, როგორც ირონია მკითხველის, ტექსტის და საკუთარი თავის მიმართ.

და ბოლოს, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუკი ეს ყველაფერი ასეა და ზედაპირზეა, რატომ არ არის ეს ცხადი უცხოელი და ქართველი მკვლევარებისთვის?

პასუხი, ვფიქრობ, მარტივია: „ვეფხისტყაოსანი“ არასოდეს მოხვედრილა შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის სერიოზული მკვლევარის თვალთახედვის არეში. ხოლო რაც შეეხება განათლებულ არასპეციალიტებს: თანამედროვე (modern) მკითხველისათვის რაინდები, ნადირობა, მიჯნურობა, სიყვარული, ცხენდაცხენ და საზღვაო ბრძოლები იმდენად არის რომანტიკით და ზღაპრულობით მოცული, რომ „ვ“ განწირულია, იყოს აღქმული როგორც ჩვეულებრივი ზღაპრული სარაინდო რომანი. (თევზაძე 2013)

თევზაძე, გივი. 2013 „ვ?“. *ბოლოს და ბოლოს რა არის ეს კვებისტყაოსანი*. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.

#7.2

ქართული კულტურა მოდერნიზაციის პრობლემასთან მიმართებაში

როდესაც მცირე კულტურების მოდერნიზაციის საკითხს ვეხებით, დგება ტრადიციის კატეგორიის გამოყენების აუცილებლობა, რადგან, უმეტეს შემთხვევაში მცირე კულტურების მოდერნიზაცია განიხილება როგორც ამ კულტურათა ტრადიციის დაკნინების ხარჯზე განხორციელებული პროცესი, რაც ამ კულტურათა თავისთავადობის დაკარგვას უტოლდება.

მოდერნიზაციამ `ანტიტრადიციული ხასიათი, ალბათ, არადასავლური კულტურების მოდერნიზაციის გაანალიზების შედეგად მიიღო, რადგან ამ საზოგადოებათა მოდერნიზაცია, უმეტესად ადგილობრივი ტრადიციების დათრგუნვის ხარჯზე ხდებოდა. დასავლურ საზოგადოების კონსტექსტში კი მოდერნიზაცია სწორედ დასავლური ტრადიციის გაგრძელებასა და განვითარებას ნიშნავს. რაც არ უნდა დიდი იყოს კონტრასტი `ტრადიციულსა~ და `თანამედროვე~ საზოგადოებებს შორის, წარმატებული მოდერნიზაცია შეიძლება მოხდეს ტრადიციული რეგულაციის ზოგიერთ ელემენტზე დაყრდნობით. ეს იმას ნიშნავს, რომ `თანამედროვე~ საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული შესაბამისი ტრადიციული წინაპირობების არსებობაზე, თანამედროვე სისტემაში მათ ჩართვაზე და გამოყენებაზე.

ამიტომ აუცილებელია:

1. გადაიხედოს ტრადიციისა და ცვალებადობის თანაფარდობა, ჩატარდეს მოცემული ტრადიციული საზოგადოების იმ ძალთა/ფაქტორების ანალიზი, რომლებიც ხელს უწყობენ ცვლილებების პროცესს და იმათიც, რომლებიც აბრკოლებენ მას. შესაბამისად უნდა გაანალიზდეს ამ ფაქტორთა ადგილი რეგულაციის ზოგად სტრუქტურულ და კულტურულ სისტემაში;
2. გამოვლინდეს განსხვავება იმ ცვლილებებს შორის, რომლებიც ახასიათებს/თან ახლავს თავად ტრადიციულ წესრიგს და რომლებიც სცილდებიან ამ ფარგლებს და იწვევენ საზოგადოების განახლებას;
3. გამოვლინდეს განსხვავება იმ ცვლილებებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების შემდგომ განვითარებას და რომლებიც ამ უნარს ძირს უთხრიან;
4. გამოვლინდეს ტრადიციულ სისტემაზე თანამედროვე ცვლილებების ზემოქმედების ზოგადი ხასიათი;
5. განისაზღვროს, რამდენად შეუძლია საზოგადოებას გამოიმუშაოს თავის საკუთარ მემკვიდრეობაში უნარი გადაჭრას ეს პრობლემები; ან მიაღწიოს ამას ახალ პირობებთან ადაპტაციით თავისი ცენტრალური ინსტიტუტებისა და ფასეულობით-აზრობრივ სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე (ან მათი ტრანსფორმაციით) (S.N. Eisenshtadt).

ქართული კულტურა მოდერნიზაციის პრობლემასთან მიმართებაში ამ ლექციებზე შევეცდებით კურსის მანძილზე მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის საფუძველზე მოვახდინოთ ქართული კულტურის ტიპოლოგიური (ტრადიციული თუ ინოვაციური, ინდივიდუალისტური თუ კოლექტივისტური) რაობის განსაზღვრა; ასევე ქართული კულტურის კონტექსტში თავს მოვუყრიტ მიღებულ ცოდნას კულტურაში ტრადიციისა და მოდერნიზაციის ურთიერთქმედების/პროპორციის შესახებ; მოდერნიზაციასთან მიმართებაში ქართული კულტურის თავისებურებების გაანალიზებას წინა (VIII) თემაში მოტანილი ხუთი პუნქტის საფუძველზე. ვეცდებით გავარკვიოთ ქართული საზოგადოების მოდერნიზებულობის ხარისხი. ამისათვის, კურსის ინტერესებიდან გამომდინარე, მიმოვიხილავთ უკანასკნელი ორი საუკუნის საქართველოს ისტორიას; ვისაუბრებთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე ქართულ კულტურაში მომხდარ (ან მოსალოდნელ) ცვლილებებზე. აქედან გამომდინარე, დავსახავთ ქართული კულტურის განვითარების შესაძლო ვარიანტებს.

წერეთელი, ივანე და ქეთევან კაკიტელაშვილი, *”მცირე კულტურები” და მოდერნიზაციის პრობლემა*. <https://burusi.wordpress.com/2011/08/10/modernization/> (29.06.2018)

შემაჯამებელი ტესტი: არგუმენტაცია და მსჯელობა

გაეცით პასუხი შემდეგ ღია კითხვებს:

- რა არის არგუმენტი?
- რისთვის არის საჭირო არგუმენტი?
- როგორი არ შეიძლება იყოს კვლევის არგუმენტი?
- რა გამოდგება მტკიცებულებად არგუმენტის ჩამოყალიბებისას?
- რა საჭიროა არგუმენტების დალაგება სიმლიერის მიხედვით?
- რით განისაზღვრება არგუმენტის სისუსტე?
- რას უნდა ეფუძნებოდეს არგუმენტი, რათა მკითხველმა ის მყარ მტკიცებულებად მიიჩნიოს?

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

ევო, უმბერტო. 2014. *როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი*. მთარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე.

თურაბიანი, ქეთი ლ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტისა და მკვლევრებისათვის. ჩიკაგო: ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.
<http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sakhelmdzghvanelo-repheratebis-thezisebis-da-disertatsiebis-avtorebisathvis-qeith-l.-thurabiani.pdf> (12.12.2017).

ჩუბინიძე, ნინო (რედ.). 2011. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის*. თბილისი. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (12.12.2017).

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Silverman, D. 2004. *Doing Qualitative Research: A Practical Handbook*, Second Edition. London: SAGE

Thody, A. 2006. *Writing and Presenting Reaserch*. London: SAGE.

Mary, F. 2010. *Essential skills for academic writing*. New Yourk: Pearson Education

თავი 7: წყაროების გამოყენება და დამოწმება (ნათია ქასრაშვილი)

მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს:





- რა არის პლაგიატი და როგორ უნდა აირიდოთ იგი თავიდან?
- რატომ და როდის უნდა გამოიყენოთ სხვა ტექსტი აკადემიურ ნაშრომზე მუშაობისას?
- როგორ და რა შემთხვევაში მოგყავთ ციტატა, აკეთებთ პარაფრაზს, რეზიუმეს ან მინიშნებას?
- როგორ უნდა მიუთითოთ / დაამოწმოთ წყარო ტექსტის შიგნით და ბიბლიოგრაფიაში?
- რა არის სქოლიოს დანიშნულება?

სამეცნიერო ნაშრომში დასაბუთების გარეშე თქვენი აზრის გამოთქმა არაა მიზანშეწონილი. შეიძლება ბევრი რამ მოუყვეთ მკითხველს, მაგრამ თუ მისი დარწმუნება გასურთ იმაში, რომ თქვენს მსჯელობას რეალური საფუძველი აქვს, საჭიროა მოიყვანოთ სარწმუნო ფაქტები და დაიმოწმოთ სანდო წყაროები. როგორც ნაშრომის წინამორბედ თავებში არაერთხელ აღინიშნა, ნებისმიერი უცხო თვალსაზრისის (რომელიც თქვენ სხვა წყაროდან ამოიწერეთ) შემოწმების შესაძლებლობა ნაშრომის მეცნიერულობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი კრიტერიუმია. თუ საქმე ეხება საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებას, როგორცაა „დედამიწა მრგვალია“ ან „საქართველოში სკოლაში სიარული სავალდებულოა“, დამოწმება საჭირო არ არის. სამაგიეროდ, ისეთი აღწერითი გამონათქვამები, როგორებიცაა, მაგალითად, „დღევანდელი მოსწავლეები უფრო ცოტას კითხულობენ, ვიდრე წინა თაობის მოსწავლეები“, საჭიროა, დაამოწმოთ სტატისტიკური მონაცემებით ან სხვა გამოკვლევებით. უკვე არსებული ცოდნის დამუშავება და შემდეგ მისი ნაშრომში ასახვა აკადემიური მუშაობის შემდეგი ტექნიკების საშუალებითაა შესაძლებელი: ციტირება, პარაფრაზირება, რეზიუმირება, მინიშნება და წყაროს დამოწმება.

7.1. პლაგიატი, მისი ფორმები და თავიდან აცილების გზები

სამეცნიერო საქმიანობა, კვლევა-ძიება სოციალური პროცესია. ამ პროცესში გამოყენებული ყველა სამეცნიერო ტექსტის დამოწმება სხვისი ცოდნის აღიარების, მაღლიერების გამოხატულება და იმის წარმოჩენაა, რომ ამ სივრცეში ადამიანები (ავტორები, მკვლევრები) ერთმანეთისთვის მუშაობენ და ერთმანეთისგან სწავლობენ (Sesink 2003, 146). ის, ვინც წესებს არღვევს და სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას თავისად ასაღებს, პლაგიატორად მიიჩნევა, მისი ნაშრომი კი — პლაგიატად. პლაგიატი განიმარტება როგორც „გონებრივ-შემოქმედებითი ნამოღვაწარის ქურდობა“ (აფრიდონიძე 2007, 33). ამრიგად, პლაგიატად კვალიფიცირდება ნებისმიერი მასალა, ინტელექტუალური პროდუქტი, რომელიც თქვენ არ შეგიქმნიათ და სათანადო დამოწმების გარეშე გამოიყენეთ თქვენს ნაშრომში.

სამეცნიერო სივრცეში განარჩევენ პლაგიატის სხვადასხვა ფორმას. Turnitin³³-ის გუნდმა გამოყო პლაგიატის ყველაზე გავრცელებული შემთხვევების ათი ტიპი. მოცემული სქემა დაგეხმარებათ, ყურადღება მიაქციოთ პლაგიატის იმ ფორმებს, რომლებსაც სტუდენტები (და არა მხოლოდ) ნებით ან უნებლიედ ჩადიან და გაითვალისწინოთ ისინი.

მსგავსების სიმძიმე			გამოყენების სიხშირე
# 1		კლონი ნაშრომი, რომელშიც სხვისი ტექსტი, სიტყვა-სიტყვითაა გამოყენებული და წარმოდგენილია როგორც საკუთარი	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
# 2		CTRL-C ნაშრომი, რომელშიც ცვლილების გარეშე ერთი წყაროდან ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილებია გადმოტანილი	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
# 3		CTRL-F ნაშრომი, სადაც საკვანძო სიტყვები და ფრაზებია შეცვლილი, მაგრამ შენარჩუნებულია წყაროს არსებითი შინაარსი	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
# 4		ხელახალი არანჭიდრება ნაშრომი, სადაც მრავალი წყაროდან გაკეთებული პარაფრაზებია ერთმანეთთან შორგებული	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
# 5		გადამუშავება ნაშრომი, რომელშიც ავტორის წინა ნაშრომიდან დიდი ნაწილია გამოყენებული ციტირების გარეშე	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
# 6		პიბრიდი ნაშრომი, რომელშიც იდეალურად ციტირებული წყაროებია კომბინირებული ციტირების გარეშე გადმოწერილ მონაკვეთებთან ერთად	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
# 7		მოზაიკა ნაშრომი, სადაც შერეულია მრავალი წყაროდან გადმოწერილი მასალა	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
# 8		404 Error ნაშრომი მოიცავს წყაროების შესახებ არარსებული ან არასწორი ინფორმაციის შემცველ ციტატებს	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
# 9		RSS Feed ნაშრომი, რომელშიც წყაროები სათანადოდ არის მითითებული, თუმცა თითქმის არ შეიცავს ორიგინალურ ნამუშევარს	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10
# 10		ხელახალი გამოქვეყნება ნაშრომი, რომელშიც წყარო სათანადოდ არის მითითებული, მაგრამ ძალიან ახლოსაა ორიგინალის ტექსტთან და/ან სტრუქტურასთან.	 0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

გამოსახულება 2221: პლაგიატის ფორმები³⁴

ზემოაღნიშნულის გარდა, არსებობს პლაგიატის სხვა შემთხვევებიც, მაგალითად:

პლაგიატური თარგმანი: თარგმნილია უცხოენოვანი ტექსტები და არ არის დამოწმებული;

მაგიერმწერის (ინგ. Ghostwriter) დახმარება: სხვისთვის თანხის გადახდა ნაშრომის დაწერის სანაცვლოდ.

პლაგიატისგან თავის დაცვა:

- ყოველთვის მკაფიოდ გამოყავით სხვა წყაროდან მოყვანილი ციტატები და იდეები
- არასოდეს გააკეთოთ ტექსტთან მიახლოებული პარაფრაზი (როგორც

³³ Turnitin - პლაგიატის გამომვლენი პროგრამა, რომელიც 1998 წლიდან არსებობს და მსოფლიოს 15000-ზე მეტ დაწესებულებას ემსახურება. მათ შორის არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიც.

³⁴ პოსტერი მომზადდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრის მიერ სტუდენტური კონფერენციისთვის თემაზე: *პლაგიატი და მისი გამოვლინების ათი შემთხვევა აკადემიურ ნაშრომში*, რომელიც 2018 წლის 9 ივლისს ჩატარდა ამავე უნივერსიტეტში.

წესი, პარაფრაზირებისას, ორიგინალი ტექსტის 90% პროცენტს წერთ თქვენი სიტყვებით)

- სათანადო წესების დაცვით და ზუსტად დაამოწმეთ გამოყენებული წყაროები
- არასოდეს გამოიყენოთ ინტერნეტში განთავსებული მასალა მითითების გარეშე. მიუხედავად იმისა, მასალა ღიაა, საჯაროდ ხელმისაწვდომია თუ არა, თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ წყარო (შდრ. ჩუბინიძე 2011, 107; Hacker and Sommers 2015, 234).

7.2. წყაროს ტექსტში ჩართვა: ციტატა, პარაფრაზი, რეზიუმე, მინიშნება

ციტატა არის თქვენს ნაშრომში რომელიმე სხვა ტექსტიდან სიტყვასიტყვით, უცვლელად გადმოტანილი მონაკვეთი. თუმცა, ციტირებას ექვემდებარება არა მხოლოდ ტექსტობრივი მასალა, არამედ სხვა ადამიანის მიერ შექმნილი ნებისმიერი ინტელექტუალური პროდუქტი — სურათები, მუსიკალური ნაწარმოებები და ა.შ.

ციტატებით შეგიძლიათ:

- ა) გაამყაროთ თქვენი მოსაზრებები დამამტკიცებელი ფაქტების ჩვენებით,
- ბ) გამოიყენოთ დედნის დარგობრივი ლექსიკა, ენობრივი სტილი
- გ) მოიყვანოთ საწინააღმდეგო თვალსაზრისი ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით ან/და,
- დ) შექმნათ საფუძველი შემდგომი მსჯელობისთვის (შდრ. Hacker and Sommers 2015, 233; Osten and Reinking 2011, 374; ჩუბინიძე 2011, 109-10).

ციტირებისას, მნიშვნელოვანია, შემდეგი წესების გათვალისწინება და დაცვა:

ციტირება აკადემიური / სანდო წყაროდან: ციტატები უნდა შეარჩიოთ სიფრთხილით, რადგან რელევანტური და სანდო წყაროდან ციტირება თქვენი ნაშრომის ღირებულებას განსაზღვრავს, ნაშრომს ხარისხსა და დამაჯერებლობას სძენს და ამასთანავე, ავტორის მაღალ პროფესიონალიზმზე მიანიშნებს. „მკითხელი აფასებს კვლევას იმდენად, რამდენადაც ენდობა მასში მოყვანილ წყაროებს“ (თურაბიანი 2007, 111).

ციტატების რაოდენობა ტექსტში: სამეცნიერო ნაშრომი თქვენი სიტყვებით უნდა დაწეროს, ციტატები კი მხოლოდ მაშინ ჩართოთ ტექსტში, თუ მსჯელობის სხვაგვარად განვითარება გარდაუვალია (Voss 2017, 112). სხვათა ნააზრევს დიდი რაოდენობით და სიტყვასიტყვით გადმოწერა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ავტორს გაუჭირდა თავისი მოსაზრებების გადმოცემა და მარტივი გზა იპოვა ნაშრომის დასაწერად. ბევრი ციტატა მხოლოდ აზიანებს ნაშრომს.

ბრჭყალები: სხვადასხვაენოვანი ციტატების მოყვანისას ბრჭყალების ფორმატი განსხვავებულია. ქართული და გერმანულენოვანი წყაროების ციტირებისას გამოიყენება ორმაგი ბრჭყალები ამგვარი სახით „...“, ინგლისურენოვანი ციტატებისთვის — „...“, ხოლო ფრანგულენოვანი ტექსტების შემთხვევაში — კუთხოვანი ბრჭყალები «...».

მოკლე ციტატა: მოკლეა ციტატა, რომელიც არ აღემატება ოთხ სტრიქონს. იგი ჩვეულებრივ, განთავსებულია ძირითად ტექსტში და იწერება ბრჭყალებით.

გრძელი ციტატა: ოთხ სტრიქონზე მეტია და ბრჭყალების გარეშე იწერება. თვალსაჩინოებისთვის ძირითად ტექსტს გამოეყოფა ქვემოთ და ზემოთ თითო ხაზით, კიდევები შეწყულია თითო სანტიმეტრით, მცირდება შრიფტის ზომა (11) და სტრიქონებს შორის ინტერვალი (1,15).

ფრაგმენტული ციტატა: იმისათვის, რათა მოყვანილი ციტატა ლოგიკურად გადაებას თქვენს მოსაზრებებს, დასაშვებია, ციტატის შეცვლა, ოღონდ ისე, რომ ამით არ შეიცვალოს მისი შინაარსი. თუ ციტატაში გჭირდებათ სიტყვის ან წინადადების გამოტოვება, გამოტოვებულ მონაკვეთს აღნიშნავთ კვადრატული ფრჩხილებით — [...]. თუ ციტატაში რამეს ჩამატება გასურთ (შეიძლება დაგჭირდეთ ტერმინის ან გარკვეული ფაქტის განმარტება), უნდა აღნიშნოთ [კვადრატული] ფრჩხილებით. ფრჩხილებში მოთავსდება თქვენი კომენტარი ან განმარტება.

ციტატა ციტატაში: თუ მოგყავთ სხვა წყაროში ციტირებული ციტატა, სვამთ ერთმაგ, მარტივ ბრჭყალებში, ე.წ. აპოსტროფებში (‘...’, ‘...’, >...). თუმცა სასურველია, რომ ციტატები ყოველთვის დედნიდან მოიყვანოთ. ვინც ე.წ. „მეორად“ ციტატებს იყენებს, საფრთხის წინაშე დგება და შეიძლება არასწორად დამოწმებული ციტატა გადმოიწეროს (Sesink 2003, 149).

უცხოენოვანი ციტატა: უცხოენოვან სამეცნიერო წყაროებზე მუშაობისას სასურველი ციტატები ძირითად ტექსტში ორიგინალის ენაზე უნდა მოიყვანოთ. ციტატის თარგმანი კი მთარგმნელის მონაცემებთან ერთად განთავსდება სქოლიოში. თუ თარგმანი თქვენია, მიუთითეთ თქვენი მონაცემები. მაგ.: (აქ და ქვემოთ თარგმანი ჩვენია — ნ.ქ.). თუ ტექსტს კონკრეტული მთარგმნელი ჰყავს, მიუთითეთ მაგალითად ასე: (ივანე მაჩაბელის თარგმანი); გაითვალისწინეთ, რომ მთარგმნელის მონაცემებს უთითებთ მხოლოდ ერთხელ, პირველ თარგმანთან.

შეცდომა ციტატაში: თუ ციტატისთვის შერჩეულ მონაკვეთში ბეჭდურ ან ფაქტობრივ შეცდომას აღმოაჩენთ, გადმოიწერეთ უცვლელად, ხოლო შეცდომის გასწვრივ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ლათინური მინიშნებით [sic!] მიუთითეთ ამ შეცდომაზე³⁵.

ციტატის დამოწმება: ყველა ციტატას სჭირდება დამოწმება წყაროს ტექსტში ჩართული ან სქოლიოში მითითების ფორმატით. წყაროს დამოწმების შესახებ დაწვრილებით იხ. ქვეთავი 7.3.

ციტატის ჩართვა მსჯელობაში: ციტატა შეგიძლიათ თქვენს თხრობაში ორი სახით წარმოადგინოთ: ა) დამოუკიდებელი წინადადების, ნაწყვეტის სახით, რომელსაც ციტატის თავში ან ბოლოს წაუძმღვარებთ თქვენს განმარტებით მსჯელობას ან ბ) თქვენს მსჯელობაში ჩართოთ იგი (ჩუბინიძე 2011, 110).

თხრობაში ციტატის ჩართვისას დამხმარე ენობრივი საშუალებები:

³⁵ sic — ქართ. „ასე“, მომდინარეობს ლათინური ფრაზიდან sic erat scriptum, რაც ნიშნავს: „ნამდვილად ასე ეწერა“.

- X-ის სიტყვებით თუ ვიტყვით: „...“
- როგორც ისტორიკოსი X აღნიშნავს: „...“
- როგორც X და მისი თანამოაზრეები მიუთითებენ „...“
- მეგობრის მიმართ მიწერილ წერილში იგი წერს, რომ „...“
- „...“, ვარაუდობს X.
- „...“, წერს X, „...“
- ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს X: „...“
- ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი ციტატა: „...“

პარაფრაზი არაპირდაპირი ციტატაა. მასში იგულისხმება სხვა ტექსტების მონაკვეთების გადმოცემა თქვენი სიტყვებით. ამ შემთხვევაში, წინადადების წყობა (და არა შინაარსი!) იცვლება და სიტყვათა უმეტესობა სინონიმებით ნაცვლდება. გადმოცემული შინაარსი ბრჭყალების გარეშე იწერება. პარაფრაზირებისას არ უნდა დაამახინჯოთ ის ადგილი უცხო ტექსტიდან, რომლის პარაფრაზირებასაც ახორციელებთ; არ დაუკარგოთ მას მთავარი აზრი და არ დაშორდეთ ავტორის ძირითად იდეებს. პარაფრაზირების დასრულების შემდეგ მონაკვეთი ისევ უნდა დაამოწმოს, როგორც ციტატას ამოწმებით და მას თქვენეული შეფასებაც დაურთოთ: დაეთანხმოთ ავტორს, გააკრიტიკოთ მისი არგუმენტები, ან ახსნათ ავტორის პოზიცია და დაუკავშიროთ იგი თქვენს იდეებსა და მოსაზრებებს.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისას ტექსტის ვრცელი მონაკვეთების თქვენი სიტყვებით გადმოცემა-შეჯამებას **რეზიუმირება** ეწოდება. პარაფრაზისგან განსხვავებით, ამგვარი შეჯამება მაქსიმალურად მოკლე უნდა იყოს და შემდეგ კითხვებს პასუხობდეს:

- ვინ დაწერა / შექმნა ტექსტი?
- სად დაიბეჭდა / გამოიცა იგი?
- რისი გამოკვლევა / დადგენა სურს ავტორს?
- როგორ არის აგებული ტექსტი?
- როგორ წარმართა კვლევა?
- რა გამოიკვეთა ჩატარებული კვლევის საფუძველზე? (Pyerin 2003, 89)

სამეცნიერო ნაშრომებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტორი თავისი მსჯელობის ასაგებად დიდწილად ერთ კონკრეტულ ტექსტს ეყრდნობა. ამგვარი მიმართება, შეიძლება, გამოიხატოს ტერმინით *passim*³⁶: (ავტორის გვარი წელი *passim*). თუ რომელიმე წიგნიდან ერთი მონაკვეთი ან თავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაშრომისთვის, შეგიძლიათ გვერდის მითითებაც: (ავტორის გვარი წელი *passim* გვერდის ნომერი).

³⁶ ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ყველგან“, „გამონაკლისის გარეშე“, „აქაც და იქაც“.

სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისას შეგხვდებათ თქვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ისეთი წყაროებიც, რომელთა მონაკვეთების ციტირება, პარაფრაზირება ან რეზიუმირება მიზანშეწონილად არ მიგაჩნიათ, თუმცა ისურვებთ, რომ მკითხველს მიანიშნოთ მათზე. ამგვარად წარმოაჩენთ, რომ „იცნობთ ამ წყაროებს, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ რთავთ მათში შესულ მოსაზრებებს ან ციტატებს თქვენს ნაშრომში“ (ჩუბინიძე 2011, 110).

მინიშნების საშუალებით შეგიძლიათ აჩვენოთ, რომ

- ა) სხვა ავტორები თქვენს პოზიციას იზიარებენ,
- ბ) სხვა ავტორებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ,
- გ) სხვა ავტორებმა შეაჯამეს ის საკითხი, რაც თქვენ ნაშრომში ახსენეთ ან/და
- დ) სხვა ავტორებთან თქვენ მიერ უკვე განხილულ საკითხზე დამატებითი ინფორმაცია მოიპოვება (Pyerin 2003, 90).

მინიშნებას ამოწმებთ შემდეგნაირად: (იხ. ავტორის გვარი წელი, გვერდ(ებ)ი) ან (შდრ. ავტორის გვარი წელი, გვერდ(ებ)ი)³⁷.

სხვა მკვლევართა პოზიციების წარმოდგენისას თქვენს პოზიციას განამტკიცებთ და ამგვარად, ებმებით დარგობრივ დისკუსიაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, სპეციფიკური ენობრივი საშუალებებით ცხადჰყოთ, ვისია მსჯელობა: როდის გადმოსცემთ თქვენს მოსაზრებებს და როდის — სხვისას.

სხვათა აზრის ციტირების, პარაფრაზირების, რეზიუმირების ან მინიშნებისას შეგიძლიათ შემდეგი ზმნებისა და ფრაზების გამოყენება:

³⁷ სიტყვათშემოკლება „შდრ.“ ნიშნავს „შეადარე“-ს. ხოლო „იხ.“ – „იხილე“-ს.

აანალიზებს	ახასიათებს	კამათობს	აქცევს ყურადღებას
აბათილებს	გამოყოფს	მიაჩნია	ამყარებს მოსაზრებას
ავლენს	განსაზღვრავს	მიანიშნებს	აკეთებს აქცენტს
ადარებს	განმარტავს	მიიჩნევს	ამტკიცებს საწინააღმდეგოს
ადასტურებს	განიხილავს	მიმოიხილავს	ანიჭებს მნიშვნელობას /
ადგენს	განასხვავებს	მიუთითებს	უპირატესობას
აკვირდება	გვარწმუნებს	მსჯელობს	აფასებს დადებითად /
აკრიტიკებს	გვთავაზობს	სჯერა	უარყოფითად
ამტკიცებს	გულისხმობს	შეისწავლის	აყალიბებს აზრს
ასკვნის	ეწინააღმდეგება	შენიშნავს	აყენებს ეჭვქვეშ
აჯამებს	ეთანხმება	წარმოადგენს	გამოაქვს დასკვნა
ალიარებს	ეყრდნობა	წარმოაჩენს	გამოთქვამს ვარაუდს / აზრს
აღნიშნავს	ეფუძნება	წერს	განამტკიცებს მოსაზრებას
აღწერს	ეხმაურება	უარყოფს	გვთავაზობს
ასახელებს	ვარაუდობს	უწოდებს	ინტერპრეტაციას
ასახავს	დასძენს	ფიქრობს	იცავს მოსაზრებას
ასაბუთებს	თვლის	ხსნის	იძლევა რეკომენდაციას
აჩვენებს	იკვლევს	აბათილებს მოსაზრებას	მოჰყავს არგუმენტ(ებ)ი /
აყალიბებს	იყენებს	ავითარებს აზრს / იდეას	მაგალითები
აცხადებს	იმოწმებს	ავლებს პარალელს	მიდის დასკვნამდე
ახსენებს	ირწმუნება	ამახვილებს ყურადღებას	ტოვებს ყურადღების მიღმა
			უარყოფს მოსაზრებას
			უსვამს ხაზს

X - ის მიზანია ...

X - ისეული ანალიზით წარმოჩნდება ...

X - მიერ შემუშავებული სისტემის, სქემის, მეთოდის მიხედვით ...

ამა და ამ ავტორის აზრით, მისი თეორიის მიხედვით, შეხედულებით, მტკიცებით, ვარაუდით, გაგებით, ინტერპრეტაციით, მოსაზრებათა შესაბამისად ...

კონკრეტულ ტექსტზე ყურადღების გასამახვილებად, დაგეხმარებათ შემდეგი სასიგნალო ფრაზები:


- სტატიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს...
- დისერტაცია ასახავს / -ში ასახულია...
- ნაშრომის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ...
- კვლევა ეხება...
- შრომაში განხილულია...
- კვლევამ გამოავლინა, აჩვენა, ცხადჰყო...
- სტატიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ...
- ნაშრომი ეძღვნება X-ის შესწავლას.

7.3. წყაროების დამოწმება

სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობისას, იმის მიუხედავად, რა ტიპის წყაროს ამუშავებთ და რა ფორმით ჩართავთ მას ნაშრომში, საჭიროა წყაროს მითითება, ე.წ. დამოწმება. ეს უკანასკნელი კორექტულად და სათანადოდ წესების დაცვით უნდა შესრულდეს, რათა მკითხველმა შეძლოს მითითებული წყაროს გადამოწმება და თქვენ თავიდან აირიდოთ პლაგიატი. შესაბამისად, წყაროს უთითებთ მაშინ, როდესაც:

- მოგყავთ ციტატა
- სხვა ავტორთა იდეებს, მოსაზრებებს, დასკვნებს და ა.შ. გადმოსცემთ თქვენი სიტყვებით (აკეთებთ პარაფრაზს ან რეზიუმეს)
- მკითხველის ყურადღებას მიაპყრობთ წყაროებზე, რომლებიც შეესაბამება თქვენს მსჯელობას, არგუმენტებს (აკეთებთ მინიშნებას)
- იყენებთ სხვათა კვლევების სტატისტიკურ მონაცემებსა და ფაქტებს (ამ შემთხვევაში საჭიროა, მიუთითოთ უშუალოდ სტატისტიკური მონაცემების ავტორი და არა ის წყარო, რომელშიც ამ ინფორმაციას გაეცანით)
- იყენებთ ზეპირ გადმოცემებს, საჯარო გამოსვლებს, მუსიკალურ ნაწარმოებებს, ფოტო- და ვიდეო-მასალას, წერილებს და ა.შ.

წყარო მოწმდება როგორც ტექსტის შიგნით (ირჩევთ ტექსტში ჩართულ ე.წ. მოკლე დამოწმებას ან შენიშვნებში, სქოლიოში მითითების ფორმატს), ასევე ტექსტის გარეთ, ბიბლიოგრაფიაში.



გამოსახულება 22: წყაროს დამოწმების ფორმატი

წყაროების დამოწმების სხვადასხვა სტილი არსებობს, სახელდობრ, ჩიკაგოსა და ჰარვარდის სტილი, APA (American Psychological Association), MLA (Modern Language Association) და ა.შ. მეცნიერების ყველა დარგი, ყველა უნივერსიტეტი და ზოგჯერ, ერთი უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტი დამოწმების განსხვავებულ სტილს იყენებს. მაგალითად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზოგადად, მოქმედებს ილიას

სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი³⁸, თუმცა ამავე უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულება წყაროებს მიუთითებს ამერიკის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ დამკვიდრებული APA-ს სტილის მიხედვით. ამრიგად, ვიდრე ნაშრომის წერას შეუდგებით, სასურველია, გაარკვიოთ, წყაროს მითითების რომელ წესს ითხოვს თქვენი ფაკულტეტი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ან ლექტორი და შესაბამისი სტილის წესების დაცვით დაამოწმოთ ყველა ტიპის წყარო.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილით გათვალისწინებულია წყაროების ტექსტის შიგნით დამოწმების ორი, ტექსტში ჩართული და შენიშვნებში მითითების ფორმატი.

7.3.1. ტექსტში ჩართული მითითების ფორმატი

წყაროს **ტექსტში ჩართული მითითებისას** (ე.წ. მოკლე დამოწმება) კონკრეტულ ადგილზე ფრჩილებში უთითებთ მხოლოდ ავტორის გვარს, წყაროს გამოცემის წელსა და გვერდს, რომლიდანაც ციტატა მოყვანილი. წყაროს სრული მონაცემები კი ტექსტის გარეთ, ბიბლიოგრაფიაში უნდა აღნუსხოთ. ასე, მაგალითად:

■ **ტექსტში:**

ის აცხადებს, რომ „...“ (კუბლაშვილი 2017, 25)

■ **ბიბლიოგრაფიაში:**

კუბლაშვილი, კონსტანტინე. 2017. *ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: იურიდიული სახელმძღვანელო*. თბილისი: ფაუნტან ჯორჯია.

სამეცნიერო დისციპლინების უმეტესი ნაწილი (ძირითადად, საბუნებისმეტყველო და სოციალური მეცნიერებები), სწორედ ტექსტში ჩართულ დამოწმებას იყენებს, რადგან ეს უკანასკნელი ტექსტის კორპუსს არ ტვირთავს, არ ზრდის ნაშრომის მოცულობას და შესაბამისად, აადვილებს კითხვის პროცესს. ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშის გარდა, ხშირად გვხვდება წყაროს ტექსტში ჩართვის შემდეგი ფორმები:

ერთზე მეტი ნაშრომის მითითება ტექსტში:	მკვლევრები პარალელს ავლებენ ოსურსა და აფხაზურ ენებთან (მაღრაძე 2014; გეგეჭკორი და ქურდაძე 1987; სურგულაძე და სხვ. 2011)
--	---

მსჯელობაში ნახსენებია ავტორი:	თამარ მიქაძე დეტალურად აღწერს ქართული ენის თავისებურებებს (2007, 145-50). ამავე პერიოდში ბრუს ფრეიზერმა (1965) ახალი თეორია შექმნა.
--------------------------------------	--

³⁸ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი შემუშავდა ჩიკაგოს სტილზე დაყრდნობით. იხ. ჩუბინიძე, ნინო (რედ.). 2011. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის*. თბილისი. პირველი ელექტრონული გამოცემა. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (12.06.2018).

მსჯელობაში ნახსენებია ავტორი და ტექსტი:	ამის შესახებ გიორგი მუმლაძე წიგნში <i>არჩევნები და საარჩევნო სისტემა</i> მსჯელობს (90).
ნაშრომები ერთი და იმავე ავტორითა და გამოცემის თარიღით:	(ნოდია 2013ა, 23) (ნოდია 2013ბ, 104-106)
ავტორები ერთი და იმავე გვარით:	(მ. გიორგაძე 2016, 14) (ა. გიორგაძე 1998, 50)

7.3.2. შენიშვნებში მითითების ფორმატი

წყაროს შენიშვნებში მითითების ფორმატი, ე.წ. ტექსტქვეშა დამოწმება, მეტწილად ჰუმანიტარულ და ზოგიერთ სოციალურ მეცნიერებებში გვხვდება. ამ შემთხვევაში წყაროს მითითება ხდება წინადადების ბოლოს სქოლიოს ინდექსის დასმით და სათანადოდ დანომრილ შენიშვნებში, გვერდის ბოლოს, წყაროს სრული მონაცემების მითითებით. დამოწმების ამგვარი სისტემა, ერთი მხრივ, მოსახერხებელია, რადგან მკითხველს იქვე შეუძლია შეამოწმოს წყაროს სრული მონაცემები, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ინფორმაციის გამეორებას განაპირობებს: შენიშვნებში დამოწმებული წყაროები ნაშრომის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაშიც უნდა აღინუსხოს.

■ ტექსტში:

ის აცხადებს, რომ „...“¹

■ სქოლიოში:

¹ კონსტანტინე კუბლაშვილი, *ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: იურიდიული სახელმძღვანელო* (თბილისი: ფაუნტან ჯორჯია, 2017), 15.

■ ბიბლიოგრაფიაში:

კუბლაშვილი, კონსტანტინე. *ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: იურიდიული სახელმძღვანელო*. თბილისი: ფაუნტან ჯორჯია, 2017.

შენიშვნებში წყაროს დამოწმებისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ შემდეგი მითითებები:

- შენიშვნებში წყაროს პირველად დამოწმებისას უნდა მიუთითოთ წყაროს შესახებ სრული მონაცემები: ავტორი, სათაური, ინფორმაცია გამოცემის შესახებ და გვერდ(ებ)ის ნომერი.
- წყაროს ხელმეორედ გამოყენებისას იწერება მისი შემოკლებული მონაცემები: ავტორის გვარი, შემოკლებული სათაური, გვერდების ნომერი.

- იმავე გვერდზე წყაროს გამეორების შემთხვევაში (თუ დამოწმებული წყაროს შემდეგ სხვა ტექსტი არ არის მითითებული) სქოლიოში იწერება სიტყვა „იქვე“ ან ლათინური *ibidem*, შემოკლებით *ibid.* მაგალითად:


ტექსტში:	კუბლაშვილი აცხადებს, რომ „.....“ ¹
სქოლიოში წყაროს პირველად დამოწმებისას:	¹ კონსტანტინე კუბლაშვილი, <i>ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები: იურიდიული სახელმძღვანელო</i> (თბილისი: ფაუნტან ჯორჯია, 2017), 15.
გამოყენებული წყაროს ხელმოწერა მითითებისას:	⁵ კუბლაშვილი, <i>ადამიანის ძირითადი უფლებები</i> , 50.
წინამდებარე წყაროს გამეორებისას:	⁶ იქვე, 24.

7.3.3. ბიბლიოგრაფია


ბიბლიოგრაფია ბერძნული სიტყვაა და წიგნების აღწერას ნიშნავს. სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებად მიიჩნევა: „ლიტერატურა“, „გამოყენებული ლიტერატურა“, „ლიტერატურის ნუსხა“ და ა.შ. ბიბლიოგრაფიაში თავს იყრის ყველა ის წყარო, რომელიც გამოყენებულია ნაშრომში. გაითვალისწინეთ, რომ დაუშვებელია, მკითხველზე თქვენი ნაკითხობით კარგი შთაბეჭდილების შექმნის მიზნით ბიბლიოგრაფიაში ისეთი ტექსტები შეიტანოთ, რომლებიც არც კი გადაგიფურცლავთ.

ბიბლიოგრაფიაში წყაროს მითითების პრინციპი დამოკიდებულია იმაზე, რომელი ტიპის დამოწმებას აირჩევთ:

ა) თუ იყენებთ ტექსტში ჩართულ დამოწმებას, ბიბლიოგრაფიაში წყარო მიეთითება ამგვარად:



ბ) თუ წყაროს შენიშვნებში ამოწმებთ, ბიბლიოგრაფიაში წყაროს მითითების ნიმუში ამგვარია:



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილით ბიბლიოგრაფიის გამართვისას გაითვალისწინეთ შემდეგი წესები:

- ტექსტში დამოწმებული წყაროები უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიოგრაფიულ მუხლებს.
- ბიბლიოგრაფიაში აღნუსხული ლიტერატურა ლაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორთა გვარების მიხედვით.
- ბიბლიოგრაფიული მონაცემები არ ითარგმნება და წყარო მოწმდება დედნის ენაზე. მაგალითად, ინგლისურენოვან წყაროებს მიუთითებთ ინგლისურ ენაზე.
- წყაროების ჩამონათვალი არ ინომრება და არ უკეთდება „ბულეტები“.
- შეგიძლიათ წყაროები დაყოთ კატეგორიებად ფორმის მიხედვით (ხელნაწერი, საარქივო კოლექცია, ვიდეო ჩანაწერები და ა.შ.), რიგის მიხედვით (პირველწყარო, მეორეული წყარო, მესამეხარისხოვანი წყარო) და ენის მიხედვით (გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე, გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე, გამოყენებული ლიტერატურა რუსულ ენაზე და ა.შ.).

ბიბლიოგრაფიული მუხლები ლაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორის გვარის მიხედვით, არ ინომრება და არ უკეთდება ბულეტები

შეგიძლიათ დაასათაუროთ, როგორც ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

ბიბლიოგრაფია

თაკერი, ბენჯამინ. 2003. *პიროვნული თავისუფლება საზოგადოებისკენ*. რედ. ნიკოლოზ ჟვანია. მთარგმნ. თამარ კაცია. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კუბლაშვილი, კონსტანტინე. 2008. *ძირითადი უფლებები: იურიდიული სახელმძღვანელო*. მეორე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა ჯისიაი.

-----, 2017. *ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მუმლაძე, გიორგი. 2016. *არჩევნები და საარჩევნო სისტემა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შაიო, ანდრამ. 2003. *ხელისუფლების თვითშეზღუდვა: კონსტიტუციონალიზმის შესავალი*. რედ. მაია მენადარიშვილი. მთარგმნ. მარინა მასისურაძე. თბილისი: სეზანი.

ხათრიძე, ლელა. 2017. *არგუმენტები პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის სასარგებლოდ*. თბილისი: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება. <https://bit.ly/2HqMtME> (25.06.2018).

ერთი და იმავე ავტორის ნაშრომების შემთხვევაში ავტორის მონაცენებს აღარ იმეორებთ. წყვეტილი ხაზი აღნიშნავს, რომ ავტორი იგივეა, რაც ზემოთ.

პირველის გარდა ყველა სტრიქონი შეწყეულია მარჯვნივ 1.2 სმ-ით

ელექტრონულად მოპოვებულ ყველა წყაროს (იქნება ეს წიგნი, ელ. სტატია თუ ვებგვერდი) სრულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, უნდა მიუთითოთ ლინკი და ნახვის თარიღი.

სხვადასხვაგვარი წესი მოქმედებს სხვადასხვა ტიპის წყაროს დამოწმებისას. წყარო კი შეიძლება იყოს წიგნები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, დისერტაციები, ვებგვერდები, საკანონმდებლო ტექსტები და ა.შ. მათი მითითებისას ყურადღება უნდა მიაქციოთ ისეთ დეტალებს, როგორიცაა, ინფორმაციის თანმიმდევრულობა, სასვენი ნიშნების მართლწერა, შრიფტის დახრა და დაიცვათ ისინი მთელი ნაშრომის ფარგლებში. ქვემოთ მოცემულია ყველაზე გავრცელებული რესურსების **ტექსტში ჩართული და ბიბლიოგრაფიაში** მითითების მოდელები.

წიგნი	ტექსტში ჩართული და ბიბლიოგრაფიაში მითითების ნიმუში
ერთი ავტორი	(ავალიანი 2014, 16)
	ავალიანი, სერგი. 2014. <i>მეოცე საუკუნის ნატურფილოსოფია</i> . თბილისი: მერიდიანი.
ორი ავტორი	(როგავა და ბიბილეიშვილი 2011, 12)
	როგავა, მედეა და ლუბა ბიბილეიშვილი. 2011. <i>ფუნქციური წერა</i> . თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
სამი ავტორი	(Bomberg, Peterson and Stubb 2008, 69)
	Bomberg, Elizabeth, John Peterson and Alexander Stubb. 2008. <i>The European Union: How does it work?</i> Oxford: Oxford University Press.
ოთხი ან მეტი ავტორი	(Hall and et al. 1987, 100).
	Hall, Jacquelyn Dowd, James Leloudis, Robert Korstad, Mary Murphy, Lu Ann Jones and Christopher B. Daly. 1987. <i>Like a family: The making of a Southern cotton mill world</i> . Chapel Hill: University of North Carolina Press.
რედაქტორი ავტორთან ერთად	(Bonney 1995, 80)
	Bonney, Yves. 1995. <i>New and selected poems</i> . Ed. John Naughton and Anthony Rudolf. Chicago: University of Chicago Press.
რედაქტორი ავტორის ნაცვლად	(გურჩიანი 2010, 47)
	გურჩიანი, ქეთევან, რედ. 2010. <i>ისტორიის შესახებ</i> . თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თარგმნილი წიგნი	(სტიგლიცი 2012, 17)
	სტიგლიცი, ჯოზეფ. 2012. <i>გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება</i> . მთარგმნ. ლია ჯამბურია. თბილისი: საუნჯე.

ორგანიზაცია როგორც ავტორი	(World Health Organization 2003, 50)
	World Health Organization. 2003. <i>Organization of services for mental health</i> . Geneva: World Health Organization.
მრავალტომიანი ნაშრომის ცალკეული ტომი	(ბარნოვი 1964, 15)
	ბარნოვი, ვასილ. 1964. ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილები. ტ. 10, თხზულებათა სრული კრებული: 10 ტომად. თბილისი: ლიტერატურა და ხელოვნება.
ნაშრომი კრებულიდან	(Carr and Schuurman 1996, 59)
	Carr, Anne, and Douglas J. Schuurman. 1996. Religion and feminism: A reformist Christian analysis. In <i>Religion, feminism, and the family</i> , ed. Anne Carr and Mary Stewart Van leeuwen, 11-32. Louisville, KY: Westminster John Knox Press.
ინტერნეტში განთავსებული წიგნი	(თურაბიანი 2007, 105)
	თურაბიანი, ქეთი ლ. 2007. სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტისა და მკვლევრებისათვის. მთარგმნ. ანა ადამია და მარინე თავყელიშვილი. https://bit.ly/2z4DMSS (29.06.2018).
სტატია	
სამეცნიერო ჟურნალიდან სტატია	(Burns 2005, 84)
	Burns, Sarah. 2005. Ordering the artist's body: Thomas Eakins's acts of self-portrayal. <i>American Art</i> 19, no. 1 (Spring): 82-107.
ინტერნეტში გამოქვეყნებული სტატია	(Uzzi and Spiro 2005)
	Uzzi, Brian, and Jarrett Spiro. 2005. Collaboration and creativity: The small world problem. <i>American Journal of Sociology</i> 111, no. 2 (September). http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html (19.12.2015).
სტატია პოპულარული ჟურნალიდან	(Shapiro 2004, 16)
	Shapiro, Mark. 2004. New power for "Old Europe." <i>The Nation</i> , December 27.
სხვა რესურსები	

სადიპლომო ნაშრომი (ოდიკაპე 2014, 17)
ან დისერტაცია

ოდიკაპე, ელისო. 2014. *ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფცია და დისკურსი როგორც შემოქმედებითი აქტი*. დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ვებგვერდი (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 2018)

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. *კოპენჰაგენის პროცესი*. www.eqe.ge/geo/static/81/education-system/vocational-education/copenhagen-process (30.03.2018)

ბიბლია და სხვა წმინდა წიგნები
(1 Thess. 4:11, 5:2-5, 5:14)
(რომ. 2:14-16)

შენიშვნა: ბიბლიისა და სხვა წმინდა წიგნების ბიბლიოგრაფიაში მითითება საჭირო არ არის.

ქვემოთ მოცემულია ხშირად გამოყენებადი რესურსების შენიშვნებსა და ბიბლიოგრაფიაში მითითების ნიმუშები. გაითვალისწინეთ, რომ ამგვარი დამოწმება საჭიროა შენიშვნებში წყაროს პირველად მითითებისას.

წიგნი	შენიშვნებსა და ბიბლიოგრაფიაში მითითების ნიმუში
ერთი ავტორი	¹ სერგი ავალიანი, <i>მეოცე საუკუნის ნატურფილოსოფია</i> (თბილისი: მერიდიანი, 2014), 16. ავალიანი, სერგი. <i>მეოცე საუკუნის ნატურფილოსოფია</i> . თბილისი: მერიდიანი, 2014.
ორი ავტორი	² მედეა როგავა და ლუბა ბიბილეიშვილი, <i>ფუნქციური წერა</i> (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011), 12. როგავა, მედეა და ლუბა ბიბილეიშვილი. <i>ფუნქციური წერა</i> . თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
სამი ავტორი	³ Elizabeth Bomberg, John Peterson and Alexander Stubb, <i>The European Union: How does it work?</i> (Oxford: Oxford University Press, 2008), 69. Bomberg, Elizabeth, John Peterson and Alexander Stubb. <i>The European Union: How does it work?</i> Oxford: Oxford University Press, 2008.
ოთხი ან მეტი ავტორი	⁴ Jacquelyn Dowd Hall and et al., <i>Like a family: The making of a Southern cotton mill world</i> (Chapel Hill: University of North Carolina Press, 1987), 99. Hall, Jacquelyn Dowd, James Leloudis, Robert Korstad, Mary Murphy, Lu Ann Jones and Christopher B. Daly. <i>Like a family: The making of a</i>

	<i>Southern cotton mill world</i> . Chapel Hill: University of North Carolina Press, 1987.
რედაქტორი ავტორთან ერთად	⁵ Yves Bonnefoy, <i>New and selected poems</i> , ed. John Naughton and Anthony Rudolf (Chicago: University of Chicago Press, 1995), 80.
	Bonnefoy, Yves. <i>New and selected poems</i> . Ed. John Naughton and Anthony Rudolf. Chicago: University of Chicago Press, 1995.
რედაქტორი ავტორის ნაცვლად	⁶ ქეთევან გურჩიანი, რედ., <i>ისტორიის შესახებ</i> (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010), 47.
	გურჩიანი, ქეთევან, რედ. <i>ისტორიის შესახებ</i> . თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
თარგმნილი წიგნი	⁷ ჯოზეფ სტიგლიცი, <i>გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება</i> . მთარგმნ. ლია ჯამბურია (თბილისი: საუნჯე, 2012), 17.
	სტიგლიცი, ჯოზეფ. <i>გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება</i> . მთარგმნ. ლია ჯამბურია. თბილისი: საუნჯე, 2012.
ორგანიზაცია როგორც ავტორი	⁸ World Health Organization, <i>Organization of services for mental health</i> (Geneva: World Health Organization, 2003), 50.
	World Health Organization. <i>Organization of services for mental health</i> . Geneva: World Health Organization, 2003.
ნაშრომი კრებულიდან	⁹ Anne Carr and Douglas J. Schuurman, "Religion and feminism: A reformist Christian analysis. <i>In Religion, feminism, and the family</i> ", ed. Anne Carr and Mary Stewart Van leeuwen (Louisville, KY: Westminster John Knox Press, 1996), 11-32.
	Carr, Anne, and Douglas J. Schuurman. Religion and feminism: A reformist Christian analysis. <i>In Religion, feminism, and the family</i> , ed. Anne Carr and Mary Stewart Van leeuwen, 11-32. Louisville, KY: Westminster John Knox Press, 1996.
ინტერნეტში განთავსებული წიგნი	¹⁰ ანიტა ვულფოლკი, <i>განათლების ფსიქოლოგია</i> (თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009), 105. https://library.iliauni.edu.ge/ebooks/anita-vulpholki-ganathlebis-phsiqologia/ (30.03.2018).
	ვულფოლკი, ანიტა. <i>განათლების ფსიქოლოგია</i> . თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009. https://library.iliauni.edu.ge/ebooks/anita-vulpholki-ganathlebis-phsiqologia/ (30.03.2018)

სტატია

სამეცნიერო
ჟურნალიდან
სტატია

¹¹ Sarah Burns, „Ordering the artist’s body: Thomas Eakins’s acts of self-portrayal“, *American Art* 19, no. 1 (Spring 2005): 84.

Burns, Sarah. „Ordering the artist’s body: Thomas Eakins’s acts of self-portrayal“. *American Art* 19, no. 1 (Spring 2005): 82-107.

ინტერნეტში
გამოქვეყნებული
სტატია

¹² Brian Uzzi and Jarrett Spiro. “Collaboration and Creativity: The Small World Problem”. *American Journal of Sociology* 111, no. 2 (September 2005), <http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html> (19.12.2015).

Uzzi, Brian, and Jarrett Spiro. “Collaboration and Creativity: The Small World Problem.” *American Journal of Sociology* 111, no. 2 (September 2005). <http://www.journals.uchicago.edu/AJS/journal/issues/v111n2/090090/090090.html> (19.12.2015).

სტატია
პოპულარული
ჟურნალიდან

¹³ Mark Shapiro, “New Power for ‘Old Europe’”, *The Nation*, December 27, 2004, 12-13.

Shapiro, Mark. “New power for ‘Old Europe.’” *The Nation*, December 27, 2004.

სხვა რესურსები

სადიპლომო
ნაშრომი ან
დისერტაცია

¹⁴ ელისო ოდიკაძე, „ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფცია და დისკურსი როგორც შემოქმედებითი აქტი“ (დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014), 17.

ოდიკაძე, ელისო. „ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფცია და დისკურსი როგორც შემოქმედებითი აქტი“. დის., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.

ვებგვერდი

¹⁵ Evanston Public Library Board of Trustees, “Evanston Public Library Strategic Plan, 2000-2010: A Decade of Outreach,” Evanston Public Library, <http://www.epl.org/library/strategic-plan-00.html> (01.06.2005).

Evanston Public Library Board of Trustees. “Evanston Public Library Strategic Plan, 2000-2010: A Decade of Outreach.” Evanston Public Library. <http://www.epl.org/library/strategic-plan-00.html> (01.06.2005)

ბიბლია და სხვა
წმინდა წიგნები

¹⁶ Thess. 4:11, 5:2-5, 5:14.

¹⁷ რომ. 2:14-16.

შენიშვნა: ბიბლიისა და სხვა წმინდა წიგნების ბიბლიოგრაფიაში

7.4. სქოლიოს დამატებითი დანიშნულება

წყაროს დამოწმების გარდა სქოლიო გამოიყენება დამატებითი, მეორეხარისხოვანი ინფორმაციის მისათითებლად. ეს შეიძლება იყო ისეთი ინფორმაცია, რომელიც ორგანულად არ ჯდება ძირითად ტექსტში, მაგრამ გვებმარება, უფრო საფუძვლიანად გავიგოთ ავტორის მსჯელობა. ამგვარ ინფორმაციას განეკუთვნება: ტერმინების, ფორმულების განმარტება, დასახელებული პირების მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, ისტორიული საფუძვლები, დაწვრილებითი აღწერები, უცხო ენაზე ციტირებული ტექსტის თარგმანები და ა.შ. ამავე დროს, სქოლიო არ უნდა იქცეს თქვენი ცოდნის დემონსტრირების ადგილად, რომელშიც ყველაფერს წერო იმის მიუხედავად, რამდენად უკავშირდება იგი თქვენი ნაშრომის მთავარ საკვლევ საკითხს. მოვიყვანო სქოლიოს დანიშნულების რამდენიმე მაგალითს:

- **დასახელებული პირების მოკლე ბიოგრაფია:**

¹ უმბერტო ეკო (1932-2016) - ცნობილი იტალიელი მწერალი, ფილოსოფოსი, მედიათმცოდნე და სემიოტიკოსი, ავტორი გახმაურებული რომანისა *ვარდის სახელი*.

- **ტერმინების, დეფინიციების ახსნა-განმარტება:**

² ტრანსგრესია (გერმ. Transgression) გეოლოგიური ტერმინია და პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავს ზღვის შეტევას ხმელეთზე, ხმელეთის დატბორვას ზღვით, გადასვლას.

- **უცხო ენაზე ციტირებული წყაროს თარგმანი:**

ძირითად ტექსტში: ჟაკ დერიდას განმარტებით, „Deconstruction is an event that does not await the deliberation, consciousness, or organization of a subject, or even of modernity. It deconstructs it-self.“⁴

სქოლიოში: ³ დეკონსტრუქცია არ არის მოვლენა, რომელიც მოელის სუბიექტის ან თუნდაც მოდერნულობის შეფასებას, გაცნობიერებას ან ორგანიზაციას. ის ახდენს საკუთარი თავის დეკონსტრუქციას (აქ და ქვემოთ თარგმანი ჩვენია - ნ.ქ.).

- **მსჯელობის დაზუსტება:**

⁴ მოყვანილი მაგალითებით, სულაც არ გვსურს იმის თქმა, რომ სქოლიოთი სარგებლობა მხოლოდ ამგვარ შემთხვევებში შეიძლება. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, რისთვის გამოიყენება სქოლიო და როგორია მისი შედეგის წესი.

- **ავტორისეული შენიშვნა:**

⁵ ბუნებრივია, სამეცნიერო ნაშრომს სხვა სტრუქტურული ერთეულებიც შეიძლება დაურთოთ, როგორცაა მაღლობა, წინათქმა, შემოკლებათა განმარტებები და ა.შ., მაგრამ საკითხების კომპლექსურობის გამო ყურადღება გავამახვილოთ მხოლოდ სავალდებულო კომპონენტებზე.

- **თქვენი მოსაზრების გასამყარებლად სხვა დამატებითი წყაროს, ავტორის მითითება:**

⁶ ამ მიდგომასთან დაკავშირებით იხ. Jack Snyder. 1991. *Myth of Empire: Domestic Politics and International Ambition*. Ithaca. N.Y.: Cornell University Press, 20.

- ტექსტის შიგნით ურთიერთმიმართების ჩვენება / იმავე ნაშრომის ფარგლებში რომელიმე ნაწილზე, თავზე, გვერდზე მითითება:

⁷ მეცნიერულობის კრიტერიუმების შესახებ დაწვრილებით იხ. თავი 1.2.

⁸ იხ. გვ. 13.

⁹ შდრ. თავი 1.2.

შენიშვნა: გაითვალისწინეთ, რომ ტექსტის შიგნით ურთიერთმიმართების ჩვენება ძირითად ტექსტშიც შეიძლება. წინამდებარე სახელმძღვანელოც ამ წესს მიჰყვება სხვა თავებისა და ქვეთავების მითითებისას.

- ვალის გასტუმრება, აზრების / შთაგონების წყაროს მითითება:

¹⁰ მასალების მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით აკადემიური წერის ცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ მაია როგავას.

სქოლიო შეიძლება განთავსდეს ტექსტის ქვეშ, გვერდის ბოლოს (ინგ. Footnote) ან მთლიანი ტექსტის ბოლოს (ინგ. Endnote). ყოველთვის სჯობს შენიშვნების მითითება გვერდის ბოლოს თუ შენიშვნები დიდ ადგილს არ იკავებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სქოლიოს ინდექსი (მისათითებელი ნიშანი) დაისმის ყოველთვის ბრჭყალების, სიტყვის ან წინადადების შემდეგ და არ გამოიტოვება ცარიელი სივრცე მის წინ. დაუშვებელია სიტყვის ან წინადადების წინ სქოლიოს ინდექსის დასმა.

Word-ის დოკუმენტში სქოლიოს დაფორმატების ინსტრუქცია:

- დასვით კურსორი სიტყვის, წინადადების ან სასვენი ნიშნის შემდეგ და დააწკაპუნეთ References → Insert Footnote (დარწმუნდით, რომ იყენებთ არაბულ ნუმერაციას);
- ძირითად ტექსტში და პარალელურად გვერდის ბოლოს გაჩნდება სათანადო სქოლიოს ინდექსი, რომლის გასწვრივაც დაწერთ საჭირო ინფორმაციას;
- გამართეთ სქოლიო შემდეგი პარამეტრების მიხედვით: შრიფტის ზომა - 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი - 1; კიდეების მწყობრი განლაგებისთვის კი მონიშნეთ Justify Text.

სავარჯიშოები

1. ჯგუფური დისკუსია: პლაგიატი

- განმარტეთ სიტყვა „პლაგიატი“ და იმსჯელეთ, რა მიიჩნევა პლაგიატად სამეცნიერო სივრცეში?
- გაიხსენეთ პლაგიატურობის მაგალითები და განიხილეთ მათი მორალური, აკადემიური და სამართლებრივი ასპექტები.
- დასჯის რა მექანიზმები მოქმედებს პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში თქვენს სასწავლებელში?
- რა გსმენიათ პროგრამა Turnitin-ის შესახებ?

2. ინდივიდუალური სავარჯიშო: პლაგიატის ფორმები

იმსჯელეთ, ქვემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან რომელი შეფასდება პლაგიატად:

- ☐ 1. თქვენს ნაშრომში სხვა წყაროს ბიბლიოგრაფიის გამოყენება
- ☐ 2. სხვა ნაშრომის ფორმისა და სტრუქტურის მოდელის გამოყენება
- ☐ 3. ნაშრომში დარგის სპეციალისტის რჩევებისა და შენიშვნების გათვალისწინება
- ☐ 4. სხვისი ნაშრომის თქვენად წარმოჩენა
- ☐ 5. მაგიერმწერის დახმარება / ნაშრომის დაწერის სანაცვლოდ სხვისთვის თანხის გადახდა
- ☐ 6. წყაროს მითითების გარეშე სხვა ავტორის იდეების, მოსაზრებების გადმოცემა
- ☐ 7. ნაშრომის რედაქტირება მეზობლის, მეგობრის, ჯგუფელის ან ოჯახის წევრის მიერ
- ☐ 8. ნაშრომის რედაქტირება დარგის სპეციალისტის მიერ (და ამაში თანხის გადახდა)

3. ჯგუფური დისკუსია: ციტირება

როგორც თავორი იტყოდა, ცხოვრების სიმწლეუთა დაძლევის საფუძველი კარგი განათლებაა. – თავორის ამგვარად ციტირებით შეიძლება მეგობრების წრეში დისკუსიისას მოიწონოთ თავი. ციტირების ეს ფორმა კი სამეცნიერო ნაშრომისთვის მიუღებელია.

ა) იმსჯელეთ, რა შემთხვევაში არის დასაშვები აღნიშნული ციტატის გამოყენება სამეცნიერო ნაშრომში?

ბ) რატომ არის სამეცნიერო ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი სხვა ავტორების ციტირება და მათი დამოწმება?

4. წყვილური სავარჯიშო: წყაროს ტექსტში გამოყენება და დამოწმება

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ამონარიდი და უპასუხეთ კითხვებს:

მას შემდეგ, რაც ტექსტი გაჩნდა, წარმოიშვა გაგების პრობლემაც. იმისათვის, რათა გაგების პროცესი აღიწეროს, ლიტერატურის თეორიაში გამოიყენება ტერმინი ჰერმენევტიკა. „ეს ტერმინი [ჰერმენევტიკა] ნიშნავს ტექსტების გაგებისა და ინტერპრეტაციის [sic!] თეორიასა და პრაქტიკას“ (სურგულაძე 2008, 15).

როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ჰერმენევტიკა მე-18 საუკუნეში განვითარდა, თუმცა მისი ფორმირების ისტორია ისეთივე ძველია, როგორც თავად ლიტერატურის ისტორია. ბერძნულში ვხვდებით ტერმინს hermeneutische technē, რომელიც გაგების, გადათარგმნის ხელოვნებას ნიშნავდა (შდრ. Lübbe 2010, 200; Heugly 2013). ტექსტის ჰერმენევტიკული კვლევის საფუძვლები ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოსისა და ბიბლიური ტექსტების უძველეს ინტერპრეტაციებში იჩენს თავს. ირმა რატიანი ჰერმენევტიკას მოიაზრებს როგორც წმინდა ტექსტების „ახსნის“ შესაძლებლობას. „პირველ რიგში ბიბლია და შემდგომ ანტიკური ხანის ბერძნული და რომაული ნაწარმოებები პრივილეგირებულ ტექსტებად მიიჩნეოდა, რადგან ისინი მჭიდრო კავშირში იყვნენ ჭეშმარიტებასთან. [...] ამრიგად, ტექსტის ინტერპრეტაცია გადმოსცემდა ჭეშმარიტების გაგებას ღვთაებრივი და ადამიანური არსებობის შესახებ“ (რატიანი 2008, 108).

- ა) მონიშნეთ ტექსტში ციტირებული, პარაფრაზირებული და რეზიუმირებული მონაკვეთები. იმსჯელეთ, რა განასხვავებს ციტატას, პარაფრაზსა და რეზიუმეს ერთმანეთისგან?
- ბ) ტექსტში წყაროს დამოწმების რომელი ხერხია გამოყენებული? იცნობთ წყაროს დამოწმების სხვა ფორმას?
- გ) რა დატვირთვა აქვს გამოყენებულ შემოკლებებსა და ნიშნებს (მაგალითად, [...], [sic!], შდრ. და ა.შ.)?

5. ინდივიდუალური სავარჯიშო: ციტირების ტექნიკის შეფასება

ქვემოთ მოცემულია სამი ამონარიდი სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომიდან. წაიკითხეთ და შეაფასეთ, რამდენად არის დაცული მათში ციტირებისა და წყაროს დამოწმების ტექნიკა. იმსჯელეთ მათ ნაკლოვანებებზე და გაასწორეთ ხარვეზები.

- ა) როგორც ბარკერი აღნიშნავს, „ორგანიზაციული ქცევა საუკეთესოდ განისაზღვრება ქცევათა ნორმებით, რომლებიც დამკვიდრებულია იმ რთულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გარემოში, სადაც ხალხი მუდმივად ურთიერთქმედებს“ (ოუენსი, ვალესკი).
- ბ) „საყოველთაო თანასწორობა შეუძლებელია თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ არცერთი ადამიანი თავს არ მიიჩნევს სხვის თანასწორად“. „თანასწორობა განსაზღვრავს რა არის ჭეშმარიტი სიკეთესთან მიმართებაში, მაშინ, როცა როულზი მიიჩნევს, რომ ჭეშმარიტი კარგზე მაღლა დგას“ (სამართლის ფილოსოფია. გვ.97)

გ) აღსანიშნავია, რომ მთელ მსოფლიოში მცხოვრები 700 მილიონზე მეტი ქალი დაქორწინებულია არასრულწლოვან ასაკში.³⁹ სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში ქორწინება საქართველოშიც მწვავე პრობლემას წარმოადგენს. ხოლო ამ პრობლემის მთავარ გამოწვევას კი საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე და სერვისების არაეფექტური მიწოდება წარმოადგენს (ნანუაშვილი, 2016).

6. წყვილური სავარჯიშო: წყაროს დამოწმება

ქვემოთ მოცემულია მონაცემები სხვადასხვა ტიპის წყაროს საწყისი გვერდებიდან, რომლებზეც იპოვით საჭირო ინფორმაციას წყაროს ტექსტის შიგნით და ბიბლიოგრაფიაში დასამოწმებლად. ყურადღებით გაეცანით თითოეული პირობას და ნიმუშებზე დატანილ ინფორმაციას.

ა) მოცემულია **სტატია ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალიდან** „განათლების მეცნიერება და ფსიქოლოგია“, რომელიც განთავსებულია შემდეგ გვერდებზე: 68-77. როგორ დამოწმდება წყარო ტექსტსა და ბიბლიოგრაფიაში, თუ სტატიის 70-ე გვერდიდან მოგყავთ ციტატა?

GESJ: Education Science and Psychology 2017 | No.4(46)
ISSN 1512-1801

159.98

პიროვნების კონგრუენტული პროფესიული არჩევანის როლი სტუდენტთა აკადემიურ მიღწევებში

დოლიძე სოფიო
 ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბ) როგორ დამოწმდება მოცემული **წიგნი** ტექსტსა და ბიბლიოგრაფიაში, თუ თქვენს ნაშრომში ამ წყაროს 75-ე გვერდიდან მოგყავთ ციტატა?

მოდერნიზაცია
 აქტიური მოქალაქის სახელმძღვანელო

ავტორები:
 ანა ქეშელაშვილი
 თიკო ნაჭყებია
 გიგა პაიჭაძე
 სანდრო ასათიანი

რედაქტორი: ირმა რევიშვილი
დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
კონსულტანტები: ბერდია ნაცვლიშვილი, თამარ გელაშვილი


სახელმძღვანელო ვრცელდება უფასოდ.

სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია განთავსებულია სამოქალაქო განათლების პორტალზე: www.civics.ge


დაუშვებელია სახელმძღვანელოს ან მისი რომელიმე ნაწილის გამოყენება წყაროს მითითების გარეშე. © Project Harmony Inc., 2013, ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-0-4444-1

გ) თუ მოცემული სადისერტაციო ნაშრომის 102-ე გვერდიდან მოგყავთ ციტატა თქვენს ნაშრომში, როგორ დამოწმდება წყარო ტექსტსა და ბიბლიოგრაფიაში?



დ) თუ ამ კრებულის მხოლოდ მეოთხე თავის (Walter Benjamin - The task of the translator) რეზიუმე გააკეთეთ თქვენს ნაშრომში, როგორ დამოწმდება წყარო ტექსტსა და ბიბლიოგრაფიაში?



Pearson Education Limited
Edinburgh Gate
Harlow CM20 2JE
United Kingdom
Tel: +44 (0)1279 623623
Fax: +44 (0)1279 431059
Website: www.pearsoned.co.uk

First edition published 1988
Second edition published 2000
Third edition published 2008

© David Lodge 1988
Third edition selection and editorial material © David Lodge and Nigel Wood 2008

ISBN: 978-0-582-78454-3

British Library Cataloguing in Publication Data
A CIP catalogue record for this book can be obtained from the British Library

Library of Congress Cataloging in Publication Data
Modern criticism and theory : a reader / edited by David Lodge; revised and expanded by Nigel Wood. — 3rd ed.

p. cm.
Includes bibliographical references and index.
ISBN 978-0-582-78454-3 (pbk.)
1. Criticism—History—20th century. 2. Criticism—History—21st century.
3. Literature—History and criticism—Theory, etc. I. Lodge, David, 1935–
II. Wood, Nigel, 1953
PN94.M57 2008
801'.950904—dc22
2007044009

All rights reserved; no part of this publication may be reproduced, stored in a retrieval system, or transmitted in any form or by any means, electronic, mechanical, photocopying, recording, or otherwise without either the prior written permission of the Publishers or a licence permitting restricted copying in the United Kingdom issued by the Copyright Licensing Agency Ltd, Saffron House, 6-10 Kirby Street, London EC1N 8TS. This book may not be lent, resold, hired out or otherwise disposed of by way of trade in any form of binding or cover other than that in which it is published, without the prior consent of the Publishers.

10 9 8 7 6 5 4 3 2 1
12 11 10 09 08

Set by 35 in 9/12pt Linoletter
Printed in Malaysia (CTP-VVP)

The Publisher's policy is to use paper manufactured from sustainable forests.

Modern Criticism and Theory A Reader

Third Edition

Edited by
David Lodge
and
Nigel Wood

 **Routledge**
Taylor & Francis Group
LONDON AND NEW YORK

Contents

Contents arranged historically	v
Contents arranged thematically	viii
Acknowledgements	xiii
Foreword	xvii

Introduction	1
---------------------	---

CONTENTS ARRANGED HISTORICALLY

1 Karl Marx and Friedrich Engels	31
Preface, and The premisses of the materialist method, from <i>The German Ideology</i>	33
2 Ferdinand de Saussure	42
The object of study	43
3 Sigmund Freud	51
The premisses and technique of interpretation, and Manifest and latent elements, from <i>Introductory Lectures on Psychoanalysis</i>	53
4 Walter Benjamin	70
The task of the translator	72
5 Virginia Woolf	81
Chapter Two of <i>A Room of One's Own</i>	83
6 Simone de Beauvoir	93
Myth and reality, and Woman's situation and character, from <i>The Second Sex</i>	95
7 Frantz Fanon	125
The negro and language, from <i>Black Skin, White Masks</i>	127
8 Roman Jakobson	140
Linguistics and poetics	141
The metaphoric and metonymic poles	165
9 Bertolt Brecht	169
Study of the first scene of Shakespeare's <i>Coriolanus</i>	172
10 Jacques Lacan	184
The insistence of the letter in the unconscious	186

7. წყვილური სავარჯიშო: ბიბლიოგრაფიის შეფასება და წყაროების დამოწმება

ქვემოთ მოცემულია ნაწყვეტი ერთ-ერთი სამეცნიერო ნაშრომის ბიბლიოგრაფიიდან.

ა) იმსჯელეთ, რამდენად არის იგი შედგენილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით და გაასწორეთ ხარვეზები.

მინდაძე, ივა. 2005. ჯგუფის თვითმყოფადობა და კულტურული მეხსიერების ხატები, თბილისი: საარი.

ნინო სხირტლაძე. პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბება ქართულ კონტექსტში - რადენობრივი და თვისებრივი მიდგომა. სადისერტაციო ნაშრომი. ილიას სახელობის უნივერსიტეტი. თბილისი, 2015 წელი.

ნოღია, გია. (2009). *ქართული ეროვნული იდეის კომპონენტები, ზოგადი მონახაზი*, კრებულში: *ქართველი ერის დაბადება*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ. 116-138.

Stenseng F., Rise, J., & Kraft, P. (2012). Two dimensions of escapism: Self-suppression and Self-expansion. *Personality and Social Psychology Bulletin*. <https://bit.ly/2KHpiSK>

ბ) თუ მოგყავთ ციტატა ზემოთ ნახსენები წყაროებიდან, როგორ დაამოწმებდით თითოეულ მათგანს ტექსტში ჩართული / სქოლიოში დამოწმების ფორმატით? გვერდის ნომერი შეგიძლიათ გამოიგონოთ.

შემაჯამებელი ტესტი: წყაროების გამოყენება და დამოწმება

შემოხაზეთ სწორი პასუხი (დასაშვებია ერთზე მეტი მართებული პასუხის არსებობა).

1. როდის არ არის საჭირო წყაროს დამოწმება?

- ა) როცა საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებაზე მსჯელობთ
- ბ) როცა აკეთებთ პარაფრაზს
- გ) როცა მოგყავთ ციტატა
- დ) როცა აკეთებთ რეზიუმეს

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით ციტატა მოწმდება

- ა) ციტატის დასაწყისში
- ბ) მხოლოდ ციტატის ბოლოს ფრჩხილებში
- გ) ციტატის ბოლოს ფრჩხილებში ან სქოლიოში
- დ) მხოლოდ სქოლიოში

3. მოკლე ციტატა

- ა) არ აღემატება 4 სტრიქონს, გამოიყოფა ძირითადი ტექსტიდან და იწერება ბრჭყალების გარეშე
- ბ) არ აღემატება 4 სტრიქონს, ჩართულია მსჯელობაში და იწერება ბრჭყალებით
- გ) არ აღემატება 2 სტრიქონს, გამოიყოფა ძირითადი ტექსტიდან და იწერება ბრჭყალების გარეშე
- დ) არ აღემატება 2 სტრიქონს, ჩართულია მსჯელობაში და იწერება ბრჭყალებით

4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით ტექსტში ჩართული დამოწმებისას ფრჩხილებში ვუთითებთ

- ა) ავტორის გვარს და დაბადების წელს
- ბ) ავტორის გვარს და წყაროს გამოცემის წელს
- გ) ავტორის გვარს, წყაროს გამოცემის წელსა და გვერდს
- დ) ავტორის გვარს და გვერდს

5. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში იწერება

- ა) მხოლოდ პირველადი წყაროები
- ბ) მხოლოდ მეორეხარისხოვანი წყაროები
- გ) დამატებით წაკითხული მასალა, რომელიც ტექსტში არ გიხსენებიათ
- დ) მხოლოდ ტექსტში დამოწმებული წყაროები

6. რა შემთხვევაში არ გამოიყენება სქოლიო?

- ა) წყაროს დასამოწმებლად
- ბ) მსჯელობის დაზუსტებლად
- გ) ვიზუალური მასალის მისათითებლად
- დ) ვალის გასასტუმრებლად

7. წიგნის რომელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი არის გამართული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით?

- ა) ჩიტაშვილი მარინა. 1998. *ღირებულებათა სისტემა საქართველოში*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. გვ.: 205-220.
- ბ) ნანა ტონია. 2011. *ანტიკური ლიტერატურული ტრადიციები და თანამედროვეობა*. თბილისი: ლოგოსი.
- გ) თინიკაშვილი, დავითი და ზურაბ ჯაში. 2012. *მსოფლიოს რელიგიები: კონფუციანობა, დაოიზმი, ზოროასტრიზმი, სინტოიზმი*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- დ) პანფილოვი, ოლეგ. *ანტისაბჭოთა ისტორიები*. მთარგმნ. მიხეილ ანთაძე. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

8. ელექტრონული სტატიის რომელი ბიბლიოგრაფიული ჩანაწერია გამართული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით?

- ა) Fishes, Eddie. 2011. What practitioners consider to be the skills and behaviours of an effective people project manager. *International Journal of Project Management*. No 29 (December)
<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0263786310001316>
- ბ) Fishes, Eddie. 2011. *What practitioners consider to be the skills and behaviours of an effective people project manager. International Journal of Project Management*. No 29 (December).
<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0263786310001316>
(22.03.2018).
- გ) <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0263786310001316> (22.03.2018).
- დ) Fishes, Eddie. 2011. What practitioners consider to be the skills and behaviours of an effective people project manager. *International Journal of Project Management*. No 29, 994-1002. (December). <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0263786310001316> (22.03.2018).

9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით, რომელია ავტორის მონაცემების მართებული ჩანაწერი ბიბლიოგრაფიაში?

- ა) კორნელი კეკელიძე.
- ბ) კეკელიძე, კორნელი.
- გ) კ. კეკელიძე.

დ) კ. კ.

10. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით, რომელია წიგნის სათაურის მართებული ჩანაწერი ბიბლიოგრაფიაში?

ა) ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია

ბ) „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“

გ) „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“

დ) ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

- აფრიდონიძე, შუქია. 2007. *ჩვენი ენა ქართული*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.
- ეკო, უმბერტო. 2014. *როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი*. მთარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე.
- თურაბიანი, ქეთი ლ. 2007. *სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის*. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტისა და მკვლევებისათვის. მთარგმნ. ანა ადამია და მარინე თავყელიშვილი. <https://bit.ly/2z4DMSS> (29.06.2018).
- ჩუბინიძე, ნინო (რედ.). 2011. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო წიგნის, სტატიის, დისერტაციისა და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის*. თბილისი. პირველი ელექტრონული გამოცემა. <http://iliauni.edu.ge/uploads/other/0/947.pdf> (12.06.2018).

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

- Hacker, Diana and Nancy Sommers. 2015. *A Pocket Style Manual*. 7th ed. Bedford/ St. Martin's: Harvard University.
- Reinking, James A and Robert von der Osten. 2011. *Strategies for Successful Writing. A Rhetoric, Research Guide, Reader and Handbook*. 9th ed. Boston: Prentice Hall.

გამოყენებული ლიტერატურა გერმანულ ენაზე:

- Balzert, Helmut, Marion Schröder und Christian Schäfer. 2015. *Wissenschaftliches Arbeiten*. Dortmund: W3L.
- Esselborn-Krumbiegel, Helga. 2017. *Richtig wissenschaftlich schreiben*. Paderborn: Schöningh.
- Franck, Norbert und Joachim Stary. 2013. *Die Technik wissenschaftlichen Arbeitens*. 17. Auflage. Paderborn: Schöningh.
- Karmasin, Matthias und Rainer Ribing. 2017. *Die Gestaltung wissenschaftlicher Arbeiten*. 9. Auflage. Wien: Facultas.
- Kornmeier, Martin. 2009. *Wissenschaftlich schreiben leicht gemacht. Für Bachelor, Master und Dissertation*. 2. Auflage. Bern: Haupt.
- Oertner, Monika, Ilona St. John und Gabriele Thelen. 2004. *Wissenschaftlich Schreiben*. Paderborn: Wilhelm Fink.
- Pyerin, Brigitte. 2003. *Kreatives wissenschaftliches Schreiben*. Weinheim: Juventa.
- Rettig, Heike. 2017. *Wissenschaftliche Arbeiten schreiben*. Stuttgart: Metzler.

Sesink, Werner. 2003. *Einführung in das wissenschaftliche Arbeiten*. München: Oldenbourg.

Stickel-Wolf, Christine und Joachim Wolf. 2016. *Wissenschaftliches Arbeiten und Lerntechniken*. 8. Auflage. Wiesbaden: Springer.

Voss, Rüdiger. 2017. *Wissenschaftliches Arbeiten. ...leicht verständlich!* 5. Auflage. Konstanz: UVK.

თავი 8. სტილის საკითხები (თინათინ საბაური)

მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს:

- რა არის სტილი და რა სახის სტილები არსებობს?
- რით განსხვავდება სამეცნიერო და/ან აკადემიური სტილი სხვა ფუნქციური სტილებისგან?
- რა არის სამეცნიერო და/ან აკადემიური სტილის მახასიათებლები?
- როგორ გავითვალისწინოთ აკადემიური სტილის მახასიათებლები ინდივიდუალურ ნაშრომში?

სტილი არის ავრის გადმოსაცემად ენობრივი საშუალებების მიზანმიმართული შერჩევის შედეგი. კარგი ნაშრომის შესაქმნელად მნიშვნელოვანია ენობრივად გამართული და შინაარსობრივად გასაგები წინადადებები, აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია ნებისმიერი სახის ტექსტის სტილი დაიხვეწოს. არსებობს განსხვავებული ტიპის, დანიშნულების, ხასიათის ზეპირი ან წერილობითი ტექსტები. თითოეული სახეობის ტექსტს ჰყავს თავისი სამიზნე აუდიტორია, შესაბამისად, სტილის შერჩევისას ყოველთვის შემდეგი ასპექტებია გასათვალისწინებელი:

- ავტორის მიზანი
- ტექსტის დანიშნულება
- სამიზნე აუდიტორია

წერილობით მეტყველებაში გამოყოფენ შემდეგი ხუთი სახის სტილს:

- პუბლიცისტური
- ოფიციალურ-საქმიანი
- მხატვრული
- სასაუბრო
- სამეცნიერო

1. **პუბლიცისტური** - მისი მიზანი თანამედროვეობის აქტუალური თემების გაშუქება და, შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაა. პუბლიცისტური სტილისთვის დამახასიათებელია:

- სიახლოვე სასაუბრო სტილთან - მსჯელობა ადვილად აღსაქმელია:

ნიმუში 1. პუბლიცისტური:

მე რა

რა შეიცვალა 21 ე საუკუნეში?

აღარაა ქურდობა მოდაში, ქურდობა აღარაა მოდაში, ქურდობა აღარაა მოდაში.

და ჩვენ გვიხარია... უბრალოდ თუ მამაშენი სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობს, აკრძალული სიჩქარით შეგიძლია რბოლა, ზოგჯერ მართვის მოწმობის გარეშეც.

მისი კარგი ხელფასი შენი კარგი განათლების და კარგად დასაქმების პირდაპირპროპორციულია. რეკომენდატორების დიდი სიაც გარანტირებული გაქვს და ფართო გზაც კარიერისკენ.

ავად თუ გახდი, საზღვარგარეთ მკურნალობასაც დაგიფინანსებს რომელიმე სტრუქტურა სახელმწიფო ხარჯიდან, მაგრამ მაინც ჯანმრთელობა ჯობია. ჩვეულებრივი მოკვდავი ხარ და ექიმი დაგჭირდა? აფთიაქთან შეთანხმებულ ამლებს გინიშნავს ექიმი. სხვა აფთიაქში წახვალ? დაუფიქრებლად შეგიცვლის ფარმაცევტი რეცეფტს. მერე რა? (ამონაშვილი 2017).

- ავტორის პოზიციის ღია დაფიქსირება:

ნიმუში 2. პუბლიცისტური:

ევროპა ვართ თუ აზია?

”ჩვენი დასკვნა ასეთი იქნება: ქართული კულტურა და ქართული მენტალიტეტი არასოდეს ყოფილა და ალბათ არც არასოდეს იქნება წმინდად ევროპული ან წმინდად აზიური. ჩვენთვის არ არის უცხო ევროპული იდეალები, მაგრამ უცხოა ევროპული რაციონალიზმი და ტექნიციზმი. ჩვენთვის არ არის უცხო არმოსავლური კულტურული ფასეულობანი, მაგრამ უცხოა აღმოსავლური მისტიციზმი და ფანატიზმი. ამ უკიდურესობათაგან თავისუფალი ქართული სული დასავლურ და აღმოსავლურ ორიენტაციებს შორის მანევრირების კარგ უნარს ამჟღავნებს და, ვინ იცის, იქნებ იგი მართლაც გამოდგეს ევროპულ და აზიურ კულტურათა შემაერთებელ ხიდად“ (ბრეგაძე 2011) .

- ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანა:

მაგ.: *ბულინგი, ქაუჩინგი, თიმბილდინგი;*

- დამაჯერებელი მსჯელობა და მკითხველზე ემოციური ზემოქმედება:

ნიმუში 3. პუბლიცისტური:

რატომ ვართ ღარიბები?

„იმიტომ, რომ არ ვიცით სად რა სიმდიდრე დევს და საიდან რა ხერხით ამივიდოთ. ყველაფერი გვაქვს – სიმდიდრეც, ხალხიც გამრჯე ვართ. მაგრამ არ გვაქვს ერთი რამ. ეს არის ცოდნა. ცოდნის გარეშე ჩვენ ვერ მოვიპოვებთ სიმდიდრეს. ცოდნა არის სიმდიდრის მოპოვების ხერხი. როგორც ამბობენ: ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა. ზოგ ქვეყანაში ხალხს ცოდნა აქვს და ამ ცოდნით მცირე სიმდიდრეც კი საკმრისია კარგი ცხოვრებისათვის. ზოგ ქვეყანა კი ბევრი სიმდიდრე აქვს, მაგრამ ხალხს ცოდნა არ აქვს და არ იციან როგორ გამოიყენონ იგი.“ (ჭავჭავაძე 1986)

- კლიშეების, სტერეოტიპული ფრაზების გამოყენება:

მაგ.: *სისხლიანი ეპოქა, პოლიტიკური გვამი;*

- მიმართვა მკითხველის მისამართით:

ნიმუში 4. პუბლიცისტური:

„დღესდღეობით ევროპის კონტინენტის 48 ქვეყნიდან არცერთში არ არის სიკვდილით დასჯა. ამ ყველაფრის სათავე და საფუძველი კი ლიტერატურაა. ეს ამბავი ვიქტორ ჰიუგომ წამოიწყო, რომელმაც დაწერა “სიკვდილმისჯილის ერთი დღე”. შემდეგ სტენდალმა “წითელი და შავი” სიკვდილით დასჯაზე მსოფლიო სერიოზულად დააფიქრა, როცა გამოავლინა მექანიზმები, ვინ, რისთვის და ვის კლავს. ეს მექანიზმები ლიტერატურული იდეალის პიკზე აიყვანა კამიუმ. მის “უცხოში” ადამიანს კლავენ მხოლოდ იმიტომ, რომ დედა ისე არ დაიტირა, როგორც საზოგადოებას მოეწონებოდა. მკვდარი დედის პატრონი საყვარელ ქალთან ერთად ზღვაშიც შევიდა, ფილმსაც

უყურა. ხომ წარმოგიდგენიათ საზოგადოება როგორ გადიხიანდა?!“ (ბერძენიშვილი 2016)

- სიტყვათა მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენება:

მაგ.: *აბრეშუმის გზა, ეკონომიკური სივრცე;*

პუბლიცისტური სტილი აერთიანებს პრესის, ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტის, საჯარო გამოსვლების ენობრივ მახასიათებლებს (ვაშაკიძე 2016, 264-265).

2. **ოფიციალურ-საქმიანი** – უმეტეს შემთხვევაში წერილობითი სახით გვხვდება და მოიცავს საქმიანი ქაღალდების ენას. ოფიციალურ-საქმიანი სტილისთვის შემდეგი თავისებურებებია დამახასიათებელი:

- დარგობრივი ტერმინოლოგია:

ნიმუში 1. ოფიციალურ-საქმიანი:

კომბინირებული თერაპიის დროს გასათვალისწინებელია, რომ ციტრამონი „პ“ აძლიერებს სისხლის ანტიაგრეგატულ თვისებებს - აქვეითებს სისხლის შედედებას და თრომბოციტების აგრეგაციას.

არასასურველია პრეპარატის კომბინაცია ბარბიტურატებთან, რიფამპინთან, კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალებებთან და ალკოჰოლურ სასმელთან.

- აზრის ლაკონურობა:

ნიმუში 2. ოფიციალურ-საქმიანი:

1. შრომა თავისუფალია; 2. ადამიანის პატივი და ღირსება შეუავლია 3. თავდაცვით ომი ქვეყნის სუვერენული უფლებაა. (*საქართველოს კონსტიტუცია*)

- ნეიტრალური (არაემოციური) ენა:

ნიმუში 3. ოფიციალურ-საქმიანი:

„გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ინფორმაცია შემდეგი პროდუქციის ფასებსა და მოწოდების წესებზე. 2. ჩვენ დაინტერესებული ვართ სარეკლამო ბუკლეტის მიღებით ახალი მანქანების შესახებ. მოხარული ვიქნებით, თუ ამ მანქანებსა და გაყიდვის პირობებზე მოგვაწვდით დაწვრილებით ინფორმაციას. 3. თქვენს ასორტიმენტთან ჩვენი შემკვეთების გაცნობის მიზნით სასურველი იქნებოდა თქვენგან ილუსტრირებული კატალოგის მიღება. 6. ჩვენ გვჭირდება ტექნიკური დოკუმენტაცია კომპიუტერებზე. იმედი გვაქვს, რომ შესძლებთ ჩვენი თხოვნის შესრულებას მოკლე ვადებში“ (შუდრა 1996).

- აბრევიატურები:

ნიმუში 4. ოფიციალურ-საქმიანი:

საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (ნმეს) - შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სტრატეგია“ - შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად. სტრატეგიის განხორციელების მიზნით შემუშავებულია ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ნმესგ) - შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სამოქმედო გეგმა“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება Nr. 160, ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის შესახებ).

- ოფიციალური ტექსტის ფორმულირებისათვის საჭირო კლიშეები:

მაგ.: ვიზიარებ მოცემულ დებულებას; ჩემი აზრით, გამოთქმული თვალსაზრისი მისაღებია; ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები ნაკლებად არგუმენტირებულია/დამაჯერებელია.

- წინადადებათა მარტივი კონსტრუქციები;

ნიმუში 5. ოფიციალურ-საქმიანი:

უნივერსიტეტის ძირითადი მიზნებია:

1. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელება;
2. სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა;
3. პერსონალის პროფესიული განვითარება;
4. აკადემიური თავისუფლების დაცვა;
5. სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
6. ცოდნის გენერირება და გადაცემა, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;

- ზმნის მესამე პირის პასიური კონსტრუქციები (ვაშაკიძე 2016, 270):

ნიმუში 6. ოფიციალურ-საქმიანი:

„კორექტურის ნიშნები, დანართი 3.

ხელნაწერის კომპიუტერის ოპერატორთან (მბეჭდავ-მემანქანესთან) გადაცემისას საჭიროა მისი დამუშავება შემდეგი კორექტურის ნიშნების გამოყენებით:

1. ტექსტში გამოტოვებული ასოები ან სიტყვები გასაგებად იწერება და ფიგურული ფრჩხილით ჩაისმება სათანადო ადგილზე.
2. ასოებს შორის გამოტოვებული არეები ივსება შეერთების ნიშნით. დიდი ინტერვალები სიტყვებს შორის ივსება ჰორიზონტალური ხაზით რკალეზით.
3. შეცდომით მჭიდროდ დაბეჭდილი ასოების ან სიტყვების გაყოფა ხდება განცალკევების ნიშნით.
4. ზედმეტი სიტყვების ამოშლა ხდება ჰორიზონტალური ხაზით ხაზით. ზედმეტი ასოები იშლება შეერთების ნიშნებით.
5. შეცდომით ჩაწერილი სასვენი ნიშნების წაშლა ხდება, ტალღური ხაზებით.
6. ტექსტის ზედმეტი ნაწილის წაშლა ხდება დახრილი ხაზებით გადახაზვით. ტექსტის ზედმეტი ნაწილის წაშლა ხდება დახრილი ხაზებით გადახაზვით“ (შუღრა 1996).

3. **მხატვრული სტილი** – გადმოცემულია სინამდვილე მხატვრული ხერხების გამოყენებით (შედარება, მეტაფორა, სიმბოლო, გაპიროვნება, ეპითეტი, ჰიპერბოლა)

მხატვრული სტილისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- ნეოლოგიზმი – ახალ სიტყვათა წარმოქმნა:

მაგ: *თავდაზნექილი თავთავები, არაფერისად ეცვა; თვალის ფანქარი, ფულის გათეთრება; ვაუჩერი, სპონსორი;*

- მხატვრული ხერხების გამოყენება:

მაგ.: *ნახეს მზის შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა;*

ფერდობს ზევით ისლით გადახურული ქოხი მოჩანს, გადახრილია სიბერისგან. უხმოდ იხვეწება გამასვენეთო;

- ემოციურობა და გამომხატველობა:

ნიმუში 1. მხატვრული:

„გული

მოკვდა.

დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში” (ლორთქიფანიძე 1908).

- ინდივიდუალიზმი:

ნიმუში 2. მხატვრული:

და ქრისტე აღსდგა მაშინ ჩემს გულში

„აღდგომის წინა ღამე დადგა. არავინ მყავდა არც მოსალოცავი, არც სანახავი; არც გასახსენებლად მივეშურებოდი სადმე. გადავდიოდი ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე; ვშინჯავდი მტვერს; დიდხანს ვაცქერდებოდი ზოგიერთ გამვლელს; შევეყურებდი მოწმენდილს ცას და კლაკვნიტ მიმდინარე რიონს. უმიზნო ხეტიალმა მთაზე ამიყვანა. ძველებურადვე მოღუშული ბარგატის ტაძრის ნანგრევები გადამეღობა წინ. ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ლიტანიას შეუერთდა ლიტანია ქვეყნად და ცეცხლის წერტილები ორკეცად აციმციმდა. საზარი იყო ჯვარცმული ერის მხიარული ღალადისი ჯვარცმული ქრისტეს აღდგომის გამო. თვალი მოვარიდე“ (ლორთქიფანიძე 1910).

- გრამატიკული წესების, პუნქტუაციის უგულვებელყოფა

ნიმუში 3. მხატვრული:

ერთი თვეა არავის ურეკავს არავის უნიშნავს საქმიან შეხვედრას პაემანს. ყიდულობს ნაყინს ჭამს არავის ელოდება ქალი მიდი-მოდის შადრევანთან ნერვიულად (იათაშვილი 2016)

- განსხვავებულ სტილთა შერევა:

ნიმუში 4. მხატვრული:

ცხოვრებულმა ბაბუა ქუთარიმ, მამის სახელი არ მახსოვს, რისთვისაც ვიხდი ბოდიშს, სახლი იყიდა პოლკოვნიკ კობიევის ქვრივისაგან ქ. თბილისში, საქართველოს სსრ. ხანთაძის ქ. N 9. ომის დაწყებას აღარაფერი აკლდა, როცა ბაბუა ქუთარი გარდაიცვალა და ცხოვრებულმა მამაჩემმა სახლის ერთი მხარე, ექვსი ოთახი სათავსოებით, მიყიდა კულონბეგიშვილს, ვასო სერგოს ძეს. ნაწილი ამ თანხისა საწყალმა ნორმანმა წააგო ნარდში, ნაწილი ქუთარის დამარხვას, ნაწილი კი ჩვენ მოგვახმარა ომისა და საყოველთაო სიღატაკის დროს (ჭეიშვილი 1984).

ან

ნიმუში 5. მხატვრული:

„დიდად პატივცემულო ბატონო სვიმონ, უმორჩილესად გთხოვთ, გაეცნოთ განცხადებას თანდართული საქმისა და დოკუმენტების ასლებს, სათანადო შეხედულების შემთხვევებისა და ობიექტის ადგილობრივი დათვალიერების შემდგომ გთხოვთ, გააკეთოთ სათანადო დასკვნა პირების (იქნებ მე ვარ ასეთი) გამოვლენისა და პრესის საშუალებით სააშკარაოზე გამოშვებების მიზნით“ (ჭეიშვილი 1984)

4. **სასაუბრო სტილი** – აზრების გაზიარებას ემსახურება და მასში ერთიანდება ვერბალური და არავერბალური ენები. სასაუბრო სტილისთვის დამახასიათებელია:

- დაუსრულებელი წინადადებები:

ნიმუში 1. სასაუბრო:

- მოხვედი
- როგორც ხედავ.
- უკვე?
- არ მელოდი?
- გელოდი, მაგრამ....
- მოვედი, იმიტომ რომ, მინდოდა....
- ნუთუ?

- არავერბალური ენა:

მაგ: *ჟესტები, მიმიკა.*

- არაოფიციალურობა:

ნიმუში 2. სასაუბრო:

- ე, კაბურა, თუ ღმერთი გწამს, გამოდენე ეგ ხბორები აქეთკენ!
- რათა კაცო, აცადე რა იბალახონ! შენი რა მიდის, საჭმელი თუ სასმელი?

- დიალოგურობა:

ნიმუში 3. სასაუბრო:

- სიმონ! ეხლავ უნდა გავბრუნდეთ უკან...
- არ შემიძლია...
- მიზეზი?!
- მანქანა დადლილია...
- შენ გამოაცოცხლებ...
- მეც დადლილი ვარ...

- ემოციური ლექსიკური საშუალებები:

ნიმუში 4. სასაუბრო:

- თქვენთან წამოვალ, თქვენთან წამიყვანეთ, თუ შეიძლება, უთქვენოდ მოვკვდები! ნუ გამწირავთ, გემუდარებით!
- მე ვერ წაგიყვანთ, მე არაფერი მაბადია.
- სადაც დარჩებით, მეც იქ დარჩენის უფლება მიბოძეთ! მხოლოდ ამას გთხოვთ. შემიცოდეთ!
- მიმძიმს, მაგრამ უნდა დაგტოვოთ.

- სპონტანურობა და სიტუაციურობა:

ნიმუში 5. სასაუბრო

- გიორგი, რამდენი ხანია, რაც თხილამურებით სრიალებ?

- უფ, ბავშვობიდან. ბიძაჩემმა მასწავლა და საშობაო არდადეგებზე ერთად მივდიოდით ხოლმე გუდაურში სასრიალოდ.
- რა მაგარია! აუ, მეც ისე მინდა, გამომივიდეს! ასე მგონია, რომ ყველანაირ სტრესს ხსნის სრიალის პროცესი.
- კი, ესაა ნამდვილი რელაქსი. წარმოუდგენლად სასიამოვნო. მე სრიალის დროს ყველაფერი მავიწყდება და უბრალოდ ბედნიერი ვარ!

5. სამეცნიერო სტილი – სამეცნიერო სტილი განსხვავდება უკვე დასახელებული სხვადასხვა სტილისგან. სამეცნიერო ტექსტს აქვს განმასხვავებელი მახასიათებლები, რომლებიც ხშირად სტუდენტების მხრიდან „ტანჯვად“ აღიქმება, რადგან სამეცნიერო სტილი განსაზღვრული წესებისა და კრიტერიუმების დაცვას მოითხოვს. თავად სამეცნიერო სტილის ტექსტებს შორისაც არსებობს განსხვავებები, თუმცა მათ აერთიანებთ საერთო დამახასიათებელი ნიშნები და სტრუქტურა:

- სამეცნიერო ტექსტებში გამოიყენება სპეციფიკური, ნეიტრალური სტილი და მეტა-ენა. მეტა-ენა სამეცნიერო სივრცის კომუნიკაციის საშუალებაა:

ნიმუში 1. სამეცნიერო:

„ექსტრადიეგეზისის ორაზროვან სისტემურ სტატუსს შეესაბამება ფანტასტიკური ელემენტებით კიდევ უფრო მდიდარი ინტრადიეგეტური სამყარო. ინტრადიეგეზისი ხასიათდება მოთხრობა - ჩარჩოს ფიქტიური სამყაროს მსგავსი სემანტიკური ნიშან-თვისებებით. (ცაგარელი 2007).

- სამეცნიერო ტექსტებში ავტორი ობიექტური პოზიციიდან წერს. ავტორის პირადი აზრი შესაძლებელია გადმოიცეს, თუმცა ის ნათელ და ობიექტურ მსჯელობაზე უნდა იყოს დამყარებული. ობიექტურ მსჯელობაში იგულისხმება დარგში მნიშვნელოვან წყაროებზე, მეთოდებზე, თეორიებზე დამყარებული ანალიზი:

ნიმუში 2. სამეცნიერო:

„ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვეფხისტყაოსანი ჟანრობრივი თვალსაზრისით არის შუასაუკუნეების რაინდული რომანი (Romance), რომელიც ე.წ. „გარდამავალ დროში“ (გვიანდელი შუასაუკუნეები/რენესანსი) განახლებული კონსტრუქციის, გამომსახველობითი ფორმებისა თუ კონცეპტუალური პრინციპების კვალობაზე ჟანრის გრადაციის ახალ ეტაპად, მის მაღალგანვითარებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ. (ელბაქიძე, მაკა „ვეფხისტყაოსნის ჟანრის განსაზღვრისთვის 2008, სჯანი N.8. 2007)

ან

ნიმუში 3. სამეცნიერო:

„თანამედროვე სამყაროში ძნელია იპოვნო ისეთი ვითარება, სადაც აქტიური ლიტერატურის ხერხემალი კვლავ 9 საუკუნის წინ დაწერილი ტექსტია. აქ ქართული აღქმის მიზეზად, ქართველი მწერლების გაუნათლებლობას და პროვინციალიზმს ვერ დავასახელებთ: პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო ჩახედულია ქართველი მწერალი თანამედროვე ლიტერატურის ტექნიკებში და პროცესებში, მით უფრო მიმართავს „ვეფხისტყაოსანს, როგორც შემოქმედების წყაროს. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ ქართველი მკვლევრები, მე-19 საუკუნის ბოლოდან დღემდე,

ძალიან ნაყოფიერ ნიადაგს პოულობენ „ვეფხისტყაოსანში“ სხვადასხვა თეორიის თუ ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოძღვრების ნაკვალევის აღმოსაჩენად: აქაც, პროვინციალიზმი არ არის განმართლები: ამ მკვლევარების ნაწილი კარგად იცნობს და იცნობდა თანამედროვე აზორვნებას და მის გამოხატვებს“ (თევზაძე 2013).

სამეცნიერო ნაშრომებში ტერმინები და ცნებები უნდა იყოს განმარტებული. ამით ნათელი გახდება ტექსტის შინაარსი და დაკონკრეტდება გამოყენებული ცნებების მნიშვნელობა. მაგალითად, ცნება „მედიუმი“ თეატრმცოდნეობასა და ლიტერატურათმცოდნეობაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული.

- სამეცნიერო ტექსტებში აზრი ლაკონურად და ადვილად აღსაქმელად უნდა იყოს ჩამოყალიბებული:

ნიმუში 4. სამეცნიერო:

„ვეფხისტყაოსანი უცნაურად სეკულარული ეპოსია: ძალიან რეალისტურია. უფრო ქრონიკებს ჰგავს, ვიდრე სარაინდო რომანს. თუმცა, ფორმაც, გადმოცემის წესიც და პერსონაჟებიც სარაინდო/ზღაპრულია: უცხო ქვეყნები, უცხო მეფეები, უცხო მხარეები. თუმცა, ამ ფორმის მიუხედავად, მასში არ არსებობს არც ერთი მაგიური ნივთი, სასმელი, ქმედება, ჯადოქარი (თევზაძე 2013).

- სამეცნიერო ტექსტებში თემაზე მუშაობის პროცესში ახალი ტერმინების (ნეოლოგიზმების) წარმოშობა დასაშვებია, თუ უკვე არსებული ლექსიკა ვერ გადმოსცემს სათქმელს სრულფასოვნად:

ნიმუში 5. სამეცნიერო:

„ორ საუკუნეზე მეტია „ვეფხისტყაოსანი“ [ჯერ] ევროპის და [შემდეგ] მსოფლიოს შუა საუკუნეებით დაინტერესებულ ინტელექტუალთა თვალთახედვის არეალში მოექცა. მან მალევე მოიპოვა კონკრეტული - შუა საუკუნეების სარაინდო რომანის სტატუსი, რამაც ხაზი გაუსვა საქართველოს მიკუთვნებულობას იმდროინდელი შუა საუკუნეების ლიტერატურის [და, შესაბამისად, კულტურის] main-stream-ისთვის, თუმცა ის მაინც რჩება უცნაურ, ორმაგ ფენომენად: 1. არაქართულენოვანი მკითხველისათვის ის წარმოადგენს, მართალია, შუა საუკუნეების გლობალური კონტექსტის ნაწილს, მაგრამ მაინც ლოკალურ, მხოლოდ საქართველოსათვის მნიშვნელოვან სარაინდო რომანს, რომლის გეოგრაფიული და ისტორიული ადგილი სადღაც „შაჰ-ნამეს“ და „სიმღერა როლანდზე“ შორის არის განლაგებული“. 2. ქართველებისათვის, შუა საუკუნეების, კოლონიალური პოსტკოლონიალური, მოდერნული, პოსტმოდერნული და პოსტ-პოსტმოდერნული ლიტერატურის მიუხედავად, „ვეფხისტყაოსანი? ჯერ კიდევ რჩება ძირითად ტექსტად, რომლის ინტერტექსტუალური რეფერირება, ალუზია, დეკონსტრუქცია და რეკონსტრუქციაც მიმდინარეობს.“. (თევზაძე 2013).

NB ცნებები ზოგჯერ იცვლის მნიშვნელობას, შესაძლებელია, ისინი სხვა დარგში და სხვა კონტექსტში შეგხვდეს. ამის გამოა მნიშვნელოვანი, მათი გამოყენებისას დაზუსტდეს, ცნების რომელ გაგებას / დეფინიციას ემხრობით.

მაგ.: ატომიზებული მასები

გასათვალისწინებელია სამეცნიერო სტილის 4 აკრძალვა:

1. მე, ჩვენ პირველი პირის ნაცვალსახელები

„მე“ – სამეცნიერო ტექსტი ემოციურ და სუბიექტურ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველში, როდესაც მასში გამოყენებულია „მე“ ნაცვალსახელი, რადგან ეს უკანასკნელი გამოხატავს, რას ფიქრობს, რას გრძნობს ავტორი, რითაც მკითხველს უნდობლობა უჩნდება ავტორის მიერ მოტანილი არგუმენტების მიმართ. მაშინაც კი, როდესაც გამოკითხვას, ემპირიულ კვლევას ვატარებთ, უმჯობესია შემდეგი ფორმულირება: „გამოიკითხა 50 არაქართულენოვანი სტუდენტი ქართული ენის სწავლების მეთოდების სირთულესთან დაკავშირებით“ და არა „მე გამოვკითხე 50 არაქართულენოვანი სტუდენტი“.

2. **„ჩვენ“** – ამ შემთხვევაში კიდევ უფრო დამაბნეველია, ვინ იგულისხმება „ჩვენ“ ფორმაში. მე და მკითხველი? – მკითხველთან ერთად ტექსტში მოგზაურობა საბავშვო წიგნებისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ არა სამეცნიერო ნაშრომებისთვის. ამ უკანასკნელში მკითხველი თავად წყვეტს, გაიზიაროს თუ არა ავტორის არგუმენტები. შესაბამისად, სამეცნიერო ტექსტი არ ესაუბრება მკითხველს. ეს, ძირითადად, სახელმძღვანელოებისთვის არის დამახასიათებელი.
3. **ამბის თხრობა** – მკვლევარი კი არ მოგვითხრობს ამბავს, არამედ ასაბუთებს საკვლევ კითხვებს / ჰიპოთეზას
4. **მეტაფორები** – ხშირ შემთხვევაში სამეცნიერო ტექსტებს მეტაფორები მეცნიერულობას აცლის, რადგან ერთმნიშვნელოვნებას უკარგავს მათ და ზოგჯერ შინაარსის გაგება ინტერპრეტაციაზე დამოკიდებული.

NB პირველი პირის ნაცვალსახელის „მე“-ს გამოყენება შესაძლებელია ნაშრომის შესავალ თავში ან იმ შემთხვევაში, როდესაც გარკვეული საკითხის ფორმულირება ძალიან ხისტია და არაბუნებრივი გვეჩვენება.

სამეცნიერო სტილის ნიმუში:

ნიმუში 6.

„გლობალურმა ცვლილებებმა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებმა საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. ურთულეს სიტუაციაში აღმოჩნდა ქართველი ახალგაზრდობა, რომელთაც უჭირთ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება და ყოველდღიურად მზარდი კონკურენციის პირობებში დასაქმების ბაზარზე თავის დამკვიდრება. საერთო ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ მათ მეტად უძნელდებათ საკუთარი უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება; ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება, მიდრეკილებებისა და ინტერესების აღმოჩენა და მათი რელევანტურ პროფესიებთან დაკავშირება; ამდენად, უმნიშვნელოვანესია მოსწავლეების სწორი პროფესიული ორიენტაცია და კარიერული არჩევანის გაკეთებისას მათი მხარდაჭერა.

მოსწავლეთა პროფორიენტაციის ხელშესაწყობად გერმანულიდან ითარგმნა და ქართულ ენაზე ადაპტირდა ე.წ. ინტერესების ტესტი, რომელიც 8 სხვადასხვა სფეროდან მოიცავს კითხვებს. იმისათვის, რომ კვლევა უფრო მასშტაბური და საინტერესო გაგვეხადა, ინტერესების კითხვარში გავაერთიანეთ მიუნხენის პიროვნული ტესტი. პიროვნული მახასიათებლებისა და ინტერესების კვლევამ მოიცვა 319 მოსწავლე, მათგან 192 გოგონა და 127 ბიჭი. შერჩევა რეპრეზენტატული იყო საქართველოს სამ რეგიონში: თბილისში, რუსთავსა და გორში (საბაური 2017,25).

გაითვალისწინეთ სამეცნიერო სტილთან დაკავშირებული პრაქტიკული რჩევები:

უმაღლესი განათლების დაწყებით კურსებზე ხშირ შემთხვევაში სტუდენტები მარტივი პრიმიტიული ენით წერენ. მას შემდეგ, რაც კონკრეტულ მიმართულებას ირჩევენ, უჩნდებათ მოთხოვნილება, ნაწერი გართულდეს და დაიტვირთოს დარგისთვის დამახასიათებელი ტერმინებით. „ოქროს შუაღედის“ დაჭერა სამეცნიერო სტილის დასაცავად აუცილებელია იმისთვის, რათა მკითხველმა ტექსტი გაიგოს და შეძლოს, მიყვეს ნაშრომში მოტანილ არგუმენტებს. ლელა პატარიძე თავის გამოუქვეყნებელ ხელნაწერებში გვთავაზობს სამ მნიშვნელოვან პრინციპს „ოქროს შუაღედის“ მისაღწევად:

I პრინციპი – გრამატიკა და თხრობა

- ქვემდებარე და მოქმედი პირი

წინადადების მთავარი წევრებია: ქვემდებარე და შემასმენელი, თხრობის ცენტრში არიან მოქმედი პირები და მათი მოქმედებები. ზოგჯერ მოქმედი პირი არ არის ქვემდებარე. შევადაროთ ორი ქვემოთ მოცემული წინადადება ერთმანეთს:

1. ჯოუნსი უყურებდა, როგორი რეაქცია ჰქონდათ გერმანელებს ჰიტლერის გამოსვლაზე ჯერ ბერლინში და მერე ფრანკფურტში, როგორც თავად წერს, მან „წმინდა პრიმიტიული თაყვანისცემა“ იგრძნო.

2. ჯოუნსისათვის „წმინდა პრიმიტიული თაყვანისცემის“ საფუძვლად იქცა ის რეაქცია, რომელიც მას ჰქონდა გერმანელების დანახვაზე, რომელიც მათ განიცადეს ჰიტლერის გამოსვლისას ჯერ ბერლინში და მერე ფრანკფურტში.

რომელი წინადადებაა ალჰადი? პირველ წინადადებაში ქვემდებარეა მოქმედი პირი, ხოლო მეორეში – არა, ამ შემთხვევაში ქვემდებარე ქმედებაა (*ჯოუნსის მიერ დანახული რეაქცია*). აშკარაა, რომ პირველ წინადადებაში, რომელშიც ქვემდებარეა მოქმედი პირი, გაცილებით უფრო ნათელია შინაარსი.

ამრიგად, ყოველთვის უმჯობესია, წინადადების ქვემდებარე მოქმედი პირი ან საგანი იყოს. თუმცა მოქმედი პირი მხოლოდ ცოცხალი არსება არ არის, ის შეიძლება აბსტრაქციაც იყოს (მაგ: ეკონომიკური კრიზისი).

- ზმნა და სახელმზმნა (ნომინალიზაცია)

უკვე დასახელებული მაგალითებიდან ნათელი და ალჰადი სტილის გამო შეირჩა პირველი წინადადება. აღნიშნულ წინადადებაში („ჯოუნსი უყურებდა, როგორი რეაქცია ჰქონდათ გერმანელებს ჰიტლერის გამოსვლაზე ჯერ ბერლინში და მერე ფრანკფურტში, როგორც თავად წერს, მან „წმინდა პრიმიტიული თაყვანისცემა“ იგრძნო.“) ქვემდებარის მოქმედებები გამოხატულია ზმნებით (უყურებდა, წერს, იგრძნო) და არა სახელებით ან სახელმზმნებით (დანახული, გრძნობა). ზმნის სახელად გადაკეთებით მისი გაარსებითება, ე.ი. ნომინალიზაცია ხდება, რაც წინადადებაში სიტყვათა რაოდენობას ზრდის და, შედეგად, წინადადება ბუნდოვანი ხდება.

II პრინციპი: ჯერ ნაცნობი ინფორმაცია და შემდეგ – ახალი

ყოველთვის უმჯობესია, მკითხველისათვის ნაცნობი ინფორმაციით დაიწყოს წინადადება და ახალი (უცხო) ინფორმაციით დასრულდეს, წინადადების პირველ სიტყვებში მოექცნენ მოქმედი პირები, მოქმედებები კი ზმნებით იყოს გადმოცემული, მაგალითად:

„საქართველოს ეროვნული მუზეუმი დამთვალიერებლების ნაკლებობას განიცდის. ამის მთავარ მიზეზად მარკეტინგის არასწორი გაგება სახელდება, რომელიც ბევრად უფრო კომპლექსური პროცესია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.“

III პრინციპი – დარგობრივი ტერმინოლოგიისა და რთული ინფორმაციის გადაცემა-გაცნობა წინადადების ბოლოს

თუ ნაშრომში დარგისთვის სპეციფიკური ტერმინი გვხვდება, რომელსაც, სავარაუდოდ, მკითხველი არ იცნობს, ისე უნდა აიგოს წინადადება, რომ ეს ტერმინი წინადადების ბოლოს მოთავსდეს, რათა მკითხველმა კონტექსტის მიხედვით შეძლოს მისი მნიშვნელობის გაგება,⁴⁰ მაგალითად:

მეოცე საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს ქალების მიერ დაწერილ რომანებსა და დრამებში ვხვდებით მე-19 საუკუნეში შექმნილი დედის ცალმხრივი სურათის კრიტიკას. დედის როლში მყოფი ქალის პიროვნული განვითარების ანალიზი შესაძლებელს ხდის ტექსტებში აღწერილი ეპოქის შესაბამისი პრობლემა ისტორიის კონტექსტში იქნეს განხილული New Historicism-ის გამოყენებით.

გაითვალისწინეთ:

- როცა წერთ საშინაო ნაშრომს, ამით სამეცნიერო სივრცის ნაწილი ხდებით და აუცილებელია წესების დაცვა.
- საშინაო ნაშრომის/სამეცნიერო სტილის ნაშრომის შექმნით თქვენ იძენთ დარგობრივ ცოდნას, რომელიც, შესაძლებელია, მოგვიანებით განავითაროთ.
- სამეცნიერო ტექსტებში ყურადღება უნდა მიაქციოთ არა მხოლოდ შინაარსს, არამედ წინადადებათა წყობას, სიტყვათა არჩევანს, ტერმინებს და აზრთა ბმულობას.
- თანამედროვე სამეცნიერო სივრცე მოკლე და გასაგებ წინადადებებზეა ორიენტირებული.
- რთული და ჩახლართული წინადადებები „განსწავლულობასთან“ აღარ ასოცირდება.

⁴⁰ სამეცნიერო სტილის სამი მნიშვნელოვანი პრინციპი ეფუძნება ლელა პატარიძის გამოუქვეყნებელ სკრიპტს, ლექცია 9.

საგარჯიშოები

საგარჯიშო 1. სტილის განსაზღვრა.

გაეცანით ქვემოთ მოცემულ სხვადასხვა ფუნქციურ ტექსტს და ამოიცანით, რომელი სტილითაა დაწერილი განეკუთვნება თითოეული მათგანი, გამოყავით მათი მახასიათებლები.

ნიმუში 1.

„პროფესიული არჩევანი არის ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ფენომენი, რომელიც მთელი რიგი სამეცნიერო და პარადიგმატური პერსპექტივებისაგან შედგება. იგი შეიძლება გაგებულ იქნას როგორც სხვადასხვა პირობების, ალტერნატივების და საკუთარი თავის შესაძლებლობებისა და უნარების გაცნობის პროცესი. იგი მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს როგორცაა: ინფორმაციის მიწოდება, კონსულტირების გაწევა, კომპეტენციების შეფასება, გადაწყვეტილების უნარების განვითარებასა და კარიერის დაგეგმვა.

კარიერის დაგეგმარებას, როგორც პოლიტიკის სფეროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ბოლო ათი წლის განმავლობაში იგი აქტიურად განიხილება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, მათ შორის OECD, მსოფლიო ბანკის და ევროპული კომისიის და მისი სააგენტოების მიერ“ (მარდალეიშვილი, საბაური 2017, 315).

ნიმუში 2

ყველამ იცის, რომ ეხლანდელს დროში დევნა და ძულება ეროვნული, ერთმანეთის შეუწყნარებლობა, ერთმანეთის გაუტანლობა, იმის გამო, რომ შენ სხვა თესლისა ხარ და მე სხვა თესლისა და ერთად ვერ გვეცხოვრებო, მარტო ბრიყვის და უვიცის მოძღვრებაა და სამართლიანად გასაკიცხი ყოველ პატიოსან და გონებაგახსნილ კაცისგან. იქნებ ამით მოისურვონ სიტყვა მოგვიჭრან: „კავკასს“ ყოველ ამაში რა საქმე აქვს, რად ესარჩლება ჩაგრულთა და დევნულთა? ის საქმე აქვს, რაც ყოველ პატიოსანს კაცს, რომელიც ვერ შეიფერებს, ვერ შეიწყნარებს, რომ ერთმა სთელოს და სჩაგროს მეორე ცალკე კაცი იქნება, თუ მთელი კრებული, ან მთელი ერი... ერთადერთი მოძღვრებაა კაცთა კრებულის საბედნიეროდ და რომელიც გვასწავლის: ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის, შენც იცხოვრე და სხვაც აცხოვრეო. ეს მცნება ურომლისოდაც ვერა კრებული, ვერა საზოგადოება, ვერა ერი ვერ ჰხეირობს, შესაძლოა კაცმა დროთა ხელშეწყობით გასთელოს, მოშუშოს, მაგრამ ძირი მაგარი აქვს, როცა იქნება ამოხეთქავს და თავისას მოითხოვს უნაკლულოდ (ქავჭავაძე 1984, 856).

ნიმუში 3

გრამენტან ახალი კაბა ვიყიდე, საშინაო კაბა, გრძელი, სადამოს ჩასაცმელი, განსაკუთრებული საშინაო სადამოებისთვის, ვიცი, ვისთვისაა, მომწონს, იმიტომ რომ რბილი და გრძელია და მრავალ შინ დარჩენას ამართლებს, მაგალითად, დღევანდელს. მაგრამ არ მინდა მოზომებისას ივანი მესწრებოდეს, მალინას დასწრება ხომ საერთოდ არ მინდა, მხოლოდ მაშინ შემიძლია, სარკეში ხშირად ჩავიხედო, როცა მალინა სახლში არაა, დერეფანში, მაღალი სარკის წინ დიდხანს უნდა ვიტრიალო, ცხრა მთას იქით ყველა კაცისგან, ღრმაზე ღრმად, ზეცამდე მაღლა, საარაკო სიშორეში (ბახმანი, 2017 141).

ნიმუში 4

საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის უკანონო სამხედრო დაჯგუფებების რუსეთის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში გაერთიანების თაობაზე ე.წ. შეთანხმების რატიფიცირებას რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის მიერ, რომელიც 2018 წლის 24 იანვარს განხორციელდა (<http://mfa.gov.ge/MainNav/MediaCenter/Statement.aspx> 24.01.2018).

სავარჯიშო 2. სხვადასხვა სტილის ნიმუშების შედგენა.

მოიძიეთ და მოიყვანეთ სხვადასხვა სტილის თითო ნიმუში. ჩამოწერეთ ყველა ის მახასიათებელი, რომლებიც თქვენ მიერ მოძიებულ ტექსტებში იჩენს თავს.

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

სავარჯიშო 3. სტილური ხარვეზების გასწორება

ქვემოთ მოცემულია ამონარიდი საშინაო ნაშრომიდან, წაიკითხეთ ყურადღებით და გამოკვეთეთ სტილური ხარვეზები, შეეცადეთ, გაასწოროთ ისინი.

III ჯვაროსნული ლაშქრობის სახე ვეფხისტყაოსანში ჯვაროსნული ლაშქრობების ანარეკლი შესაძლებელია ვიპოვოთ იმდროინდელ ლიტერატურაში. ჯვაროსნების მამაცობა და თავგანწირვა ხიბლავდა ბევრ მწერალს, ამიტომ ცდილობდნენ ეს ყველაფერი ჩაეწერათ და სიტყვებით გადაეცათ. მაგალითად, იმ ეპოქაში დაწერილი პოემებია „სიმღერა ანტიოქიაზე“ და „წმინდა ომის ისტორია“ (Кривушин 2001, 4). „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც დაიწერა დაახლოებით III ჯვაროსნული ლაშქრობისას, აუცილებლად არსებობს გამოძახილი იმდროინდელი მსოფლიო მდგომარეობის. გავამახვილოთ ყურადღება III ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიაზე. სამი სამეფოს მეფე (გერმანია, საფრანგეთი და ინგლისი) წმინდა მიწის განთავისუფლებას ცდილობდნენ, რომლებიც არაქრისტიანების მიერ იყო დაპყრობილი. თუმცა სამი ქვეყნის ალიანსი მალევე დაიშალა და საბოლოოდ მხოლოდ ინგლისის მცირერიცხოვანი ჯარი დარჩა ბრძოლაში ჩართული. მათ შეძლეს ციხე აკრას აღება, თუმცა იერუსალიმამდე ვერ მიაღწიეს. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი თავი, სადაც სამი რაინდი (ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი) მცირერიცხოვანი ჯარით ცდილობენ ქაჯეთის ციხის აღება, რადგან ნესტან-დარეჯანი იქ იყო დატყვევებული. აქედან გამომდინარე ქაჯები იყვნენ ბოროტები, როგორც ევროპელებისთვის სალადინი და მისი ჯარი. ერთადერთი განსხვავება, ამ ორი გარემოებას შორის, არის ის, რომ პოეტმა შეეცადა შეეცვალა სიტუაცია, სადაც სამი რაინდი (მეფე) „ერთგად ძმად შეფიცვულთა“ (რუსთაველი 2011, 394), ანუ ძმადნაფიცები იყვნენ, როდესაც რეალობაში მონარქებს შორის დაძაბული დამოკიდებულება სუფევდა. სწორედ ამ დაძაბულმა დამოკიდებულებამ ხელი შეუშალა ჯვაროსნებს წმინდა მიწის აღება.
--

სავარჯიშო 4. სტილის განსაზღვრა

წაიკითხეთ ამონარიდები და განსაზღვრეთ, რომელი სტილია გამოყენებული და რატომ, რის საფუძველზე დაასკვნით ეს, ჩამოთვალეთ შესაბამისი სტილის თავისებურებები. ხაზი გაუსვით იმ ადგილებს, რომლებიც მიაწიშნებს თქვენ მიერ არჩეულ სტილზე:

ტექსტი 1)

ტრაპეციის⁴¹ ოსტატმა, თავიდან სრულყოფისკენ სწრაფვის მიზნით, შემდგომ კი ტირანიაში გადაზრდილი ჩვევის გამო, თავისი ცხოვრება ისე მოაწყო, რომ ამ თეატრში მუშაობის განმავლობაში ტრაპეციიდან არც დღე, არც ღამე არ ჩამოდიოდა. ცნობილია, რომ ეს ხელოვნება, რომელსაც ოსტატები ვარიეტეს მაღალ გუმბათებში ეუფლებიან, ყველაზე რთულია ადამიანის მიერ მიღწეულთაგან. მის არც ისე ბევრ მოთხოვნილებას მსახურები ასრულებდნენ ერთმანეთის მონაცვლეობით. ისინი დაბლა სდარაჯობდნენ და ყველაფერს, რაც მაღლა იყო საჭირო, თვითნაკეთი ჭურჭლით ეზიდებოდნენ ზემოთ-ქვემოთ. ოსტატის ცხოვრების ასეთი წესი გარშემოცოფთათვის განსაკუთრებულ სირთულეებს არ ქმნიდა. მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული სხვა ნომრების შესრულების დროს იყო ოსტატი ოდნავ შემაწუხებელი - ის ამ დროსაც ტრაპეციაზე რჩებოდა და მიუხედავად იმისა, რომ უმეტესად სიმშვიდეს ინარჩუნებდა, პუბლიკიდან მზერა მაინც ხშირად გაურბოდათ მისკენ. მაგრამ ამას დირექცია გაგებით ეკიდებოდა, რადგან ოსტატი მართლაც არაჩვეულებრივი, შეუცვლელი ხელოვანი გახლდათ. ამასთანავე, ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ ასე ცხოვრება სიჯიუტით არ იყო გამოწვეული, ის მხოლოდ მუდმივ ვარჯიშში ინარჩუნებდა თავს, მხოლოდ ამგვარად იყო შესაძლებელი ამ სრულყოფილი ხელოვნების ფლობა (ფრანც კაფკა - შიმშილის ხელოვანი).

ტექსტი 2)

1945 წლის 9 მაისს გერმანიის კაპიტულაცია გამოცხადდა – მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. ომმა ადამიანის, როგორც დამანგრეველის, პოტენციური კიდევ ერთხელ წარმოაჩინა და გაურკვეველი გახდა კაცობრიობის არსებობის არსი, თუმცა ინტელექტუალური საზოგადოება დაკარგული ღირსების დაბრუნების ერთადერთ საშუალებად თავისუფალ გონს მიიჩნევდა. თავისუფალი გონის საყრდენი კი ენაა, რომელიც ნაციონალ-სოციალისტებმა ერთგვარ იარაღად გამოიყენეს და სწორედ ამიტომ მიაჩნდათ შემდგომი პერიოდის ავტორებს, რომ მათთვის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ახალი ენის პოვნა, რომლის საშუალებითაც ეპოქის ტკივილი კარგად გადმოიცემოდა. ჩვენ არ გვჭირდება გრამატიკის უზადლო მცოდნე პოეტი. “ჩვენ ის გვჭირდება, ვინც ხეს ხეს უწოდებს, დედაკაცს - დედაკაცს: ხმამაღლა და გარკვევით იტყვის სათქმელს კავშირებითი კილოს გარეშე... რადგან ჩვენი ძილი და ღამე ბრძოლის ხმაურითაა დამძიმებული, დილა კი – მარტოობით.” – წერს ვოლფგანგ ბორხერტი (ჰოფმანი 2004:15).

⁴¹ ცირკში: სატანვარჯიშო იარაღი - წყვილი ბაგირით, თოკით ჩამოკიდებული ჰორიზონტალური ღერძი.

ტექსტი 3)

- ძია გრიშა, რამდენი წლისა ხარ?
- სამოცდაშვიდს აღარაფერი მიკლია.
- რამდენი წელია, ბუფეტში მუშაობ?
- არც თავი მახსოვს, შენი ჭირიმე, პატარა ბიჭუნა ვიყავი, მამაჩემმა რომ საშოვარში წამიყვანა.
- შვებულებაში რამდენჯერ ყოფილხარ?
- გრიშამ გაიცინა.
- რა გაცინებს?

ეხ, შვებულება ჩემისთანა კაცისთვის არ მოუგონიათ, შვილო. აგერ, ფეხები დამისივდა. ერთი კვირა ვიწევი საავადმყოფოში. ვერ გავძელი და გამოვიქეცი. საქმეს ვერ ვუღალატე.

ტექსტი 4)

„საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია: ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის; ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის; დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;“

ტექსტი 5)

მღვდელს რომ ჰკითხო, ის ქრისტეს მოციქულია ამ ქვეყნად, ის ამბობს, ეკლესია და სარწმუნოება ხალხს სულიერ საზრდოს აძლევს და ამ ქვეყნად სიყვარულსა და ერთობას ქადაგებსო.

ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ეხლანდელი ეკლესია და სამღვდელოება მთავრობის მოსამსახურეა და ყველაფერში ისე იქცევა, როგორც მთავრობა უბრძანებს. მთავრობა სარგებლობს ხალხის გაუნათლებლობით, რწმებით და ცდილობს, რომ ხალხმა მხოლოდ საიქიოზე იფიქროს და იზრუნოს, სააქაოზე კი შენს მაგივრად მე ვიფიქრებო. ასე ამბობს მთავრობა, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით მისი ზრუნვა. მთავრობა ტყუილუბრალოდ ფლანგავს ხალხის ფულს ძვირფას ეკლესიების აშენებაზე. რუსეთში ბევრია ისეთი ეკლესია, რომელიც რამდენიმე მილიონი დაჯდა. ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე რომ სობოროა აშენებული, ის ნახევარი მილიონი ღირს. მაგრამ ვკითხოთ ერთი ამ ეკლესიების აშენებლებს, რათ უნდათ მარმარილოს კედლები, ძვირფასი თვლებით მოჭედული ხატები, ოქროს ბარძიმ-ფეხშუმები და სახარება?

განა ქრისტე ასეთ ძვირფას შენობაში ღოცულობდა?

რათ უნდათ მღვდლებს ათას და ათი ათას მანეთიანი სამოსელი?

განა ქრისტეს ისე უბრალოდ არ ეცვა, როგორც ყველას?

მღვდლებს რომ კითხო, ძვირფასი მორთულობა და ძვირფასი ეკლესია მლოცველს სასოებას უმატებსო...

საიდან მიიღო ეკლესიამ ამდენი ფული? ხალხიდან და მლოცავებიდან, მაგრამ იკითხეთ, რატომ არ ეხმარებიან გაჭირვების დროს იმ ხალხს, რომელმაც იმოდენა შეძლება მისცა მღვდლებსა და ბერებს?

დღეს ყველაფერი იყიდება: პური, ღვინო, საცმელი, საჭმელი, თივა, ქერი, მარილი, ლოცვა, კურთხევა, პანაშვიდი, პარაკლისი და წირვა.

თუ მღვდელს ერთი მანეთი არ მიეცი, პანაშვიდს არ გადაიხდის, თუ თუმანი ან ხუთი მანეთი არ მიეცი, ჯვარს არ დაგწერს, შვილს არ მოგინათლავს, ჭირნახულს არ გიკურთხებს და შენთვის არ ილოცავს.

როგორც ხედავთ, ცხოვნება და ცოდვების მიტევებაც ფულით იყიდება.

მაგრამ თუ ღარიბი ხარ და მღვდელს ყოველდღე ღმერთს არ შეაბრალებინე შენი ტანჯული და წამებული სული, მაშინ უეჭველად ჯოჯოხეთში შეხვალ.

ასეა ამ ქვეყნად: მდიდრებს ეხლავე ჰპირდებიან ცხოვნებას, ღარიბებს კი - სულის წაწყმედას.

როგორც ხედავთ, სამღვდელოება მდიდრების მოსამსახურე ყოფილა, რადგან იგი მართო მდიდრებისათვის და ძლიერებისათვის ლოცულობს... (ჯავახიშვილი 2016).

შემაჯამებელი ტესტი: სტილის საკითხები

აირჩიეთ და შემოხაზეთ სწორი პასუხი

1. დაასახელეთ რომელი სახის სტილს გამოყოფენ წერილობით მეტყველებაში?
 - ა) პუბლიცისტური, მხატვრული
 - ბ) ესეისტური
 - გ) დოკუმენტური, ფანტასტიკური
2. განმარტეთ სამეცნიერო სტილი:
 - ა) მისი მიზანია თანამედროვეობის აქტუალური თემების გაშუქება;
 - ბ) იგი აზრების გაზიარებას ემსახურება და აერთიანებს ვერბალურსა და არავერბალურ ენას;
 - გ) მასში გამოიყენება სპეციფიკური, ნეიტრალური სტილი და მეტა-ენა.
3. რით განსხვავდება სამეცნიერო სტილი სხვა სტილებისგან?
 - ა) ტერმინები და ცნებები უნდა იყოს განმარტებული. ამით ნათელი გახდება ტექსტის შინაარსი და გაირკვევა, რა მნიშვნელობით არის გამოყენებული ცნებები;
 - ბ) მასში შესაძლებელია შეგხვდეს გრამატიკული წესების უგულებელყოფა; სხვადასხვა სტილთა შერევა;
 - გ) მასში გამოიყენება ზმნის მესამე პირის პასიური კონსტრუქციები.
4. დაასახელეთ სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელი აკრძალვა:
 - ა) სამეცნიერო ტექსტი ემოციურ და სუბიექტურ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველში, როდესაც მასში გამოყენებულია „მე“ ნაცვალსახელი;
 - ბ) სამეცნიერო ტექსტებში მეტა-ენა არ უნდა გამოვიყენოთ;
 - გ) სამეცნიერო ტექსტები ავტორის სუბიექტურ მსჯელობას უნდა მოიცავდეს.
5. განმარტეთ ოფიციალურ-საქმიანი სტილი:
 - ა) უმეტეს შემთხვევაში წერილობითი სახით გვხვდება და მოიცავს საქმიანი ქაღალდების ენას;
 - ბ) მსჯელობა დარგში მნიშვნელოვან წყაროებზე, მეთოდებზე, თეორიებზე დაფუძნებულ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს;
 - გ) დამახასიათებელია დაუსრულებელი წინადადებები, არავერბალური ენა.
6. სად, რა ფუნქციით ვიყენებთ ოფიციალურ-საქმიან სტილს?
 - ა) ვიყენებთ მაშინ, როცა საჭირო ხდება ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანა;
 - ბ) როცა მნიშვნელოვანია დამაჯერებელი მსჯელობა და მკითხველზე ემოციური ზემოქმედება;

გ) როცა გვჭირდება ოფიციალური ტექსტის ფორმულირებისთვის საჭირო კლიშეები.

7. რა არის პუბლიცისტური სტილის დანიშნულება?

- ა) სპეციფიური, ნეიტრალური სტილისა და მეტა-ენის გამოყენება;
- ბ) თანამედროვეობის აქტუალური თემების გაშუქება;
- გ) ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანა.

8. რა არის პუბლიცისტური ტექსტების მიზანი?

- ა) ტერმინებისა და ცნებების განმარტება;
- ბ) ავტორის პოზიციის ღია დაფიქსირება;
- გ) სინამდვილის მხატვრული ხერხებით გადმოცემა.

9. ჩამოთვალეთ მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელი ნიშნები:

- ა) სიტყვათა მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენება;
- ბ) ავტორის ობიექტური პოზიციის დასაბუთება;
- გ) მხატვრული ხერხების, ინდივიდუალიზმის გამოყენება.

10. განსაზღვრეთ სასაუბრო სტილის მახასიათებლები:

- ა) დიალოგურობა, არაოფიციალურობა, დაუსრულებელი წინადადებები;
- ბ) დარგობრივი ტერმინოლოგია, აზრის ლაკონურობა, ნეიტრალური ენა;
- გ) ნეოლოგიზმები, მხატვრული ხერხების გამოყენება, ემოციურობა.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

- გოჩიტაშვილი, ქეთევან, შაბაშვილი, გიული, და შარაშენიძე, ნინო. 2009. *აკადემიური წერა*. თბილისი: საიმედო
- მ. კიკვაძე, ნ. ცეცხლაძე, ნ. ფარტენაძე, მ. ხახუტაიშვილი და დ. ახვლედიანი. *აკადემიური წერა*. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი. ქართული ფონოლოგიის დეპარტამენტი. თბილისი: ივერიონი
- დუნდუა, შალვა და შავთვალაძე, ნანა. 2010. *აკადემიური წერა*. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
- შუღრა, ომარ. 1996. *ოფისის მართვის საკითხები*. თბილისი: საქართველოს სოციალურ – ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის საინფორმაციო – საგამომცემლო ცენტრი. <http://www.bpa.ge/book/book24.pdf> (30.05.2018).

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

- Gillet, Andy, Angela Hammond & Mary Martala, 2009, *Successful Academic Writing*, University of Hertfordshire: British of Congress Cataloging-in-Publication Data

გამოყენებული ლიტერატურა გერმანულ ენაზე:

- Franck, Norbert und Joachim Stary. 2013. *Die Technik wissenschaftlichen Arbeitens: Eine praktische Anleitung*. 17. Aufl. Berlin: Schöningh.
- Hiennerth, Claudia, Huber, Beate und Daniela Süssenbacher. 2009. *Wissenschaftliches Arbeiten kompakt. Bachelor- und Masterarbeit erfolgreich erstellen*. Wien: Linde.
- Preißner, Andreas. 2012. *Wissenschaftliches Arbeiten. Internet nutzen – Text erstellen – Überblick behalten*. Berlin: De Gruyter.
- Rost, Friedrich. 2012. *Lern- und Arbeitstechniken für das Studium*. 7. Auflage. Berlin: Springer.

გამოყენებული ლიტერატურა სავარჯიშოებისთვის:

- ამონაშვილი, ეკატერინე. 2017. *მერე რა*. <https://www.radiotavisupleba.ge/a/tavisupali-sivrtse-ekaterine-amonishvili-mere-ra/28946422.html>) 25.02.2018
- ბაჭველაშვილი, ქეთევან. 2016. *USAID მზად არის ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას ქვეყნის შემდგომი რეფორმირების პროცესში*. http://sazogadoeba.ge/news.php?post_id=40619. 26.02.2018
- ბერძენიშვილი, ლევან. 2016. *წიგნიერების ევოლუცია*. თბილისი: არტანუჯი.
- ბრეგაძე, ლევან. 2011. *ევროპა ვართ თუ აზია?* თბილისი: ინტელექტი
- ელბაქიძე, მაკა 2008. *ვეფხისტყაოსნის ჟანრის განსაზღვრისთვის*. სჯანი N.8. 2007

[83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C/](#) (22.02.2018).

თავი 9. ნაშრომის დამუშავება და საბოლოო რედაქტირება (თინათინ ქავთარაძე)

მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს:

- როგორ გადავამუშაო ნაშრომი და მივცე საბოლოო სახე? (რედაქტირება წინადადების, აზნაცის, ცალკეული თავის პარაგრაფისა და მთლიანი ტექსტის დონეზე)
- როგორ გადავამოწმო არგუმენტები? (წყაროები, ციტატების სისწორე)
- როგორ ვაქციოთ ნაშრომი ყველასთვის გასაგები და ზუსტი?
- რას ნიშნავს Peer-Review? (რეცენზირების დანიშნულება; უკუკავშირის გაცემა-მიღების ეთიკა)
- აკადემიური ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

9.1 ნაშრომის დამუშავება

უკვე დაწერილი ინდივიდუალური ნაშრომის საბოლოო დამუშავების რამდენიმე ეტაპი და დონე არსებობს.

9.1.1. რედაქტირება წინადადების დონეზე

ინდივიდუალური ნაშრომის რედაქტირების პირველი საფეხურია - რედაქტირება წინადადების დონეზე. წინადადებების დონეზე რედაქტირებისას უნდა გასწორდეს ხარვეზები შემდეგი მიმართულებით:

- სტილისტური
- სინტაქსური
- მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული ხარვეზები
- პუნქტუაციური ხარვეზები

მაგალითები:

სტილისტური ხარვეზი – „ფინანსთა მინისტრი სიტყვაში გამოვიდა“.

სწორი ფორმაა: „ფინანსთა მინისტრი სიტყვით გამოვიდა“.

ასევე სტილისტური ხარვეზია: „დაუფასებელი ღვაწლი“, უნდა იყოს „ფასდაუდებელი ღვაწლი“, რადგან ამ კონტექსტში დაუნახავ შრომაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ისეთ ღვაწლზე, რომლის შეფასებაც შეუძლებელია.

სინტაქსური ხარვეზები – სინტაქსური შეცდომაა: „მამაო გრიგოლმა“, უნდა იყოს: მამა გრიგოლმა. „არაერთი მძიმე დღეები...“, უნდა იყოს: „არაერთი მძიმე დღე...“, რადგან არაერთი მრავლობითის აღმნიშვნელია და მასთან წინადადების წევრები მხოლოდობითში დგება.

მორფოლოგიური ხარვეზები – წინადადების რედაქტირებისას ასევე ყურადღება უნდა მიაქციოთ რამდენად სწორი ფორმით არის მოცემული ზმნა და არსებითი სახელები. მაგალითად მორფოლოგიური შეცდომაა: „იჯდნენ..“ სწორი ფორმაა „ისხდნენ...“

ორთოგრაფიული ხარვეზები – ტექსტზე მუშაობისას დააკვირდით სიტყვების მართლწერას. მაგალითად ორთოგრაფიული შეცდომებია დაშვებული ამ წინადადებაში: „ალკოჰოლიზმის გამომწვევ ფაქტორებად ძირითადად საბუთდება: ოჯახური ჯონფლიქტი, ემოცა, სტრესი, ფინანსური პრობლემები და ა.შ.“ სწორი ფორმაა: ალკოჰოლიზმის გამომწვევ ძირითად ფაქტორებად ითვლება: ოჯახური კონფლიქტი, ემოცია, სტრესი, ფინანსური პრობლემები და ა.შ.

პუნქტუაციური ხარვეზები – ნაშრომის რედაქტირებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სასვენ ნიშნებს. სტრიქონი არ დაიწყეთ დამამთავრებელი ბრჭყალით, ფრჩხილით ან კვადრატული ფრჩხილით. პუნქტუაცია მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა: წერტილი (.), მძიმე (,), წერტილ-მძიმე (;), ორი წერტილი (:), კითხვის ნიშანი (?), ძახილის ნიშანი (!), დეფისი (-) და ტირეები (--), ფრჩხილები და კვადრატული ფრჩხილები ([]) ბრჭყალები („ „) და სხვ.

მაგალითი: აუქციონზე გამოიტანეს ოქროს საათი რომელიც ამერიკელმა დიპლომატმა შეიძინა. სწორი ფორმაა: აუქციონზე გამოიტანეს ოქროს საათი, რომელიც ამერიკელმა დიპლომატმა შეიძინა.

განვმარტოთ თითოეული მათგანი:

წერტილი – წერტილით ბოლოვდება თხრობითი წინადადება.

ვერტიკალურ ნუსხაში ჩამოთვლილი პუნქტების ბოლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვსვამთ წერტილს, თუ პუნქტები დასრულებულ წინადადებებს წარმოადგენს. სხვა შემთხვევაში ნუ დასვამთ წერტილს უკანასკნელი პუნქტის ბოლოშიც. ასევე არ დასვით წერტილი თავის ან ნაწილის სათაურის ბოლოს.

მძიმე – გამოიყენება წინადადებების კომპონენტებს შორის. ფრაზებსა და ცალკეულ სიტყვებს შორის.

წერტილ-მძიმე – წერტილ-მძიმით აღინიშნება იმაზე უფრო დიდი პაუზა, ვიდრე ეს მძიმის გამოყენების შემთხვევაში მიიღწევა.

კითხვის ნიშანი – დასვით კითხვის სახით ჩამოყალიბებული სრული წინადადების ბოლოს.

მახილის ნიშანი (!) – მახილის ნიშანი იშვიათად გამოიყენება აკადემიურ ნაშრომში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ციტირებული მასალის ნაწილია.

დეფისი და ტირე

დეფისი (-) არის მოკლე, ერთი მარტივი ასოს სიგანის ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც გამოიყენება: ნაირფუძიანი ანდა გაორკეცებული რთული სიტყვების დაწერის დროს. მაგალითად: ნაპირ-ნაპირ, ორ-ორი, მთა-ბარი, მისვლა-მოსვლა, ქართლ-კახეთი-იმერეთი...

ტირე (—) არის ორი დეფისის ზომის ჰორიზონტალური ხაზი, რომელიც ამავე დროს, დეფისისგან განსხვავებით, თითო ინტერვალით კიდევ უნდა დასცილდეს წინამორბედსა და მომდევნო სიტყვებს.

9.1. 2 რედატირება აბზაცის დონეზე

ნაშრომში აბზაცის რედაქტირებისას საჭიროა:

- აბზაცი უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ თავს
- შიგა სტრუქტურის გამართვა-სრულყოფა – მთავარი და დამხმარე წინადადებების ლოგიკური ურთიერთშესაბამისობა

9.1.3. რედატირება მთლიანად აკადემიური ტექსტის დონეზე

ტექსტის დაბეჭდვამდე დამატებით გაადმოწმეთ მართლწერა. პუნქტუაციის, სტილისტური და ორთოგრაფიული ხარვეზები. შეამოწმეთ შემდეგი დეტალები:

- შეადამოწმეთ ნაშრომის საკვანძო ნაწილები: შესავალი, პირველი აბზაცები, დასკვნა
- ციტირებისა და პარიფრაზის წესი
- აბზაცების შექმნა და მათი აზრობრივი ბმა
- სათანადო დამოწმება

ნაშრომში თანმიმდევრობის ლოგიკა აღნიშნეთ შემდეგი სიტყვებით:

ამრიგად,...

საცნაურია...

აღნიშნულით დასტურდება...რომ...

9.2. როგორ შევამოწმო არგუმენტები? (წყაროები, ციტატების სისწორე)

მსჯელობისას ნებისმიერ დებულებას დადასტურება სჭირდება. არგუმენტი სწორედ ამას ემსახურება, ამრიგად, თქვენს ნაშრომში უხვად იქნება არგუმენტები.

- ნაშრომის რედაქტირებისას აუცილებლად უნდა შეამოწმოთ რამდენად არგუმენტირებულია თითოეული დებულება და არის თუ არა წყაროები ზუსტად მითითებული ციტატებთან, პარაფრაზებსა და რეზიუმეებთან
- იმის მიხედვით, რომელი დამოწმების სტილს იყენებთ - იქნება ეს სქოლიო/შენიშვნები, თუ ტექსტში ჩართული მითითება - უნდა გადახედოთ და გულდასმით შეამოწმოთ რამდენად თანმიმდევრული და ერთგავროვანია მთელს ნაშრომში დამოწმების შემთხვევები.

სქოლიოში/შენიშვნებში დამოწმების წესი: სახელი გვარი. *სათაური*. (გამოცემის ადგილი: გამომცემლობა, წელი), შესაბამისი გვერდის ნომრები.

მაგალითი:

არნოლდ ჩიქობავა. *იბერიულ კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია : სახელმძღვანელო ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის* (თბილისი: განათლება, 1965), 35-36.

ტექსტში ჩართულ მითითებაში დამოწმების წესი: (ავტორი, თარიღი და შესაბამისი გვერდის ნომრები).

მაგალითი:

(ჩიქობავა, 1965, 35-36).

9.3. როგორ ვაქციოთ ნაშრომი ყველასთვის გასაგები და ზუსტი?

სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა ყოველთვის აუცილებელია. დაუსვით საკუთარ თავს კითხვა: ვინ არის თქვენი მსმენელი? თუ თქვენი მსმენელი კონკრეტულად თქვენი დარგის სპეციალისტია, მაშინ შეიძლება ტერმინების ხშირად გამოყენება, თუმცა აქაც მნიშვნელოვანია ყველა ტერმინი კონტექსტის შესაბამისად გამოიყენოთ და ასევე, განმარტოთ ისინი. თქვენი მკითხველი, შესაძლოა, არ იყოს დარგის სპეციალისტი, ამიტომ აუცილებელია სიცხადე, სიზუსტე ტერმინების განმარტებისას, ასევე ის, რომ არ განმეორდეთ ხშირად. ერთსა და იმავე მოსაზრებას არ სჭირდება რამდენჯერმე განმეორება და არც უხვი მაგალითებია მის დასადასტურებლად საჭირო. ეცადეთ წეროთ ლაკონურად.

ტექსტის სიზუსტის შესამოწმებლად დაუსვით ნაშრომს შემდეგი კითხვები:

- რამდენად მკაფიოდ განმარტავთ უცხო ტერმინებს?
- ხშირად ხომ არ იმეორებთ ერთსა და იმავე მოსაზრებას?
- ხომ არ შეინიშნება ნაშრომში ისეთი არგუმენტები, რომლებიც ზუსტად არ უკავშირდება თქვენს დებულებას?

9.4. რას ნიშნავს Peer-Review? (რეცენზირების დანიშნულება; უკუკავშირის გაცემა-მიღების ეთიკა)

უკუკავშირი (Feedback) გეხმარებათ არამხოლოდ იმაში, რომ უკეთ გაიაზროთ საკუთარი შეცდომები, არამედ თქვენს ძლიერ მხარეებსაც უსვამს ხაზს. საუნივერსიტეტო სწავლებაში უკუკავშირის მიღება მუდმივი პროცესია. ეს იქნება ლექტორი, სტუდენტი, მომხსენებელი, თუ ნაშრომის ავტორი, ყველა იღებს უკუკავშირს. ეს ხელს უწყობს, ერთის მხრივ, სწავლებაში მუდმივ ჩართულობას, მეორეს მხრივ კი, სწავლების ჯანსაღად მიმდინარეობის პროცესს. რეცენზირება უკუკავშირის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა. საუნივერსიტეტო სწავლებაში რეცენზირება გეხმარებათ: ა) თანაჯგუფელებთან კომუნიკაციის დამყარებაში; ბ) კრიტიკულ აზროვნებაში; გ) შეცდომების გააზრებასა და მათ გამოსწორებაში. რეცენზირება, ასევე, შესაძლებლობას გაძლევთ, ჩაერთოთ შეფასებაში და მაქსიმალურად დაეხმაროთ თქვენს თანაჯგუფელს ნაშრომის გაუმჯობესებაში. გასათვალისწინებელია რეცენზირების ეთიკა.

რეცენზირების დროს უკუკავშირი უნდა იყოს:

- კონსტრუქციული
- კონკრეტული
- ობიექტური
- ლაკონიური

არ იფიქროთ, რომ დესტრუქციული და სუბიექტური, თუნდაც აგრესიული უკუკავშირი რაიმე შედეგის მომტანი იქნება. გახსოვდეთ, სუბიექტურობა, საუნივერსიტეტო სწავლებაში, ვერავის დაეხმარება. რეცენზირების მიზანი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაშრომის გაუმჯობესებაა. სწორედ აქედან გამომდინარე მიუღებელია რეცენზირების დროს ბუნდოვანი და სუბიექტური უკუკავშირის გაცემა.

მოერიდეთ რეცენზირების დროს მსგავსი ფრაზების გამოყენებას:

- არაფერი არ ვარგა
- ნაშრომი არ პასუხობს მოთხოვნებს
- ძლიერი მხარეები ნაშრომში არ არის

- ყველაფერი გამოსასწორებელია

აღნიშნული ფრაზები ბუნდოვანია და არაფერს ამბობს კონკრეტულად ნაშრომის რომელი ასპექტებია გამოსასწორებელი და გასაუმჯობესებელი. ასევე, უნდა ითქვას, რომ რეცენზირების დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია უკუკავშირის არამხოლოდ გაცემა, არამედ მიღებაც. ნაშრომის ავტორმა აუცილებლად, ზედმიწევნით, უნდა წაიკითხოს და გაიაზროს თითოეული შენიშვნა.

ნაშრომის ავტორის მიერ უკუკავშირის მიღება:

- გულდასმით წაიკითხეთ შენიშვნები
- გაითვალისწინეთ შენიშვნები და ასახეთ ისინი ნაშრომში
- კიდევ ერთხელ დაარედაქტირეთ ნაშრომის საბოლოო ვარიანტი რეკომენდაციების მიხედვით.

ნაშრომის ავტორისთვის:

- რეცენზენტი არ არის თქვენი მტერი
- რეცენზენტს არ სურს თქვენი დაჩაგვრა
- უკუკავშირი გეხმარებათ

რეცენზენტისთვის:

- ნუ იქნებით მიკერძოებულად ღმობიერები
- იყავით ობიექტურები
- მოკრძალებულად გაეცით რჩევები
- ნუ დაატეხთ ავტორს თავს რისხვას

9.5. აკადემიური ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები

აკადემიური ნაშრომის რედაქტირებისას გაითვალისწინეთ შემდეგი კრიტერიუმები:

- ენა და სტილი: ენისა და სტილის გამართულობა
- ნაშრომის სტრუქტურა: ტექსტის მთლიანობა და კომპონენტებს შორის კავშირი
- ნაშრომის თითოეული თავის ლოგიკური ბმა
- არგუმენტების თანმიმდევრულობა და შემოწმებადობა
- წყაროების დამოწმების სიზუსტე როგორც ბიბლიოგრაფიაში, ასევე სქოლიოს, ან ტექსტში ჩართულ მითითებაში
- ნაშრომის ტექნიკური გამართულობა: შრიფტის ზომა, ველები, ინტერვალები, გვერდების დანომვრა, თავების განლაგება

სავარჯიშოები

სავარჯიშო 1.

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი წინადადებები და გაასწორეთ მორფოლოგიური, სტილისტური, ორთოგრაფიული შეცდომები.

1.1

1. შემოდგომის ტყე ათასწრად აელვარებული საოცარი სანახავი იყო.
2. ზეგ სამსახატს დანიშნულია შეხვედრა
3. ლუარსაბი გვარად თათქარიძე კახეთის ერთ სოფელში ცხოვრობდა.
4. ეს ამბავი რა თქმა უნდა ყველას გახარდა
5. წიგნები გაყიდვაში გამოვა სულ მალე
6. მე რომ მოვედი ის წასული დამხვდა
7. დედა როცა სადილ ამზადებდა ბავშვი თამაშობდა
8. წადი თორემ დაგიჭერენ და დავილუპებით
9. გუშინ ნინო ჩამოვიდა დახვდა უამრავი ხალხი დიდი ოვაციით შეხვდნენ
10. ურიგო არ იქნებოდა სტატია დროულად ჩაგებარებინა

1.2

1. სამართალდამცავები აცხადებენ რომ გამოძიებულ იქნა მნიშვნელოვანი დანაშაული
2. კარგად თუ დავუფიქრდებით ამ საქმეს სასიკეთო ბოლო არ უჩანს
3. მინისტრმა განაცხადა რომ გამოძიების მსვლელობისას გათვალისწინებულ იქნა მსჯავრდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა
4. ჭიათურაში ამბობენ რომ მუშა ხელი არ იყო შესაბამისად დატრენინგებული
5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური არ იყო ინფორმირებული აღნიშნული ღონისძიების შესახებ
6. საჯარო პირები კიდევ ერთხელ გააფრთხილეს ნეპოტიზტური პოლიტიკის მანკიერებების შესახებ
7. საბოლოოდ აღმოჩნდა რომ ყველა ვინც წვეულებას ესწრებოდა არ გაითვალისწინა დრესკოდი

სავარჯიშო 2.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ნიმუში (ნაწყვეტი საშინაო ნაშრომიდან) და დაარედაქტირეთ წინადადებისა და აზრის დონეზე).

„სამი სიკვდილი“: მოთხრობის ანალიზი

1.1 ძირითადი სათხრობი სიტუაცია: მოთხრობაში გვხვდება თხრობის აუქტორული სიტუაცია, რადგან მთხრობელი ყოვლისმცოდნეა. მან იცის ყველაფერი ყოველ მოქმედ პირზე. მაგალითად პირველ თავში ის ჯერ აღვნიშნავს სიტუაციას, რომელშიც უნდა განვითარდეს და დაიწყოს მოქმედება, შემდეგ გვაცნობს პერსონაჟებს. ამ უკანასკნელთ მთხრობელი თანაზომიერ ყურადღებას უთმობს: “შემოდგომა იდგა. დიდ გზაზე ჩქარი ჩოროთით მიდიოდა ორი ეკიჟი. წინა კარეტაში ორი ქალი იჯდა. ერთი ქალბატონი იყო, გამხდარი და გაყვითლებული. მეორე – მოახლე, ლოყებდაჟდაჟა და ჩასუქებული.” მთხრობელი მოახლისა და ქალბატონის ფიზიონომიებს, ჩაცმულობას აღწერს ისე,

თითქოს, სწორედ იმ კარეტაში იჯდეს. მთხრობელი მოქმედი პირების ფიქრებზე, განცდებსა, თუ შიებზე გიყვება. თხრობის სტილი შენარჩუნებულია ბოლომდე და არც ერთ ეტაპზე არ იცვლება.

1.2 დროითი სტრუქტურა: მოთხრობაში გვხვდება ანალებსისები, ანუ მოვლენების გახსენება და ჩართვა წარსულიდან, მოქმედების მსვლელობის გარკვეულ საფეხურზე. პირველ თავში, თხრობა ჩვეულებრივ მიმდინარეობს იქამდე, სანამ ქალბატონის ქმარი ექიმთან არ იწყებს საუბარს: „ – მე ყოველგვარი ღონე ვიხმარე იმისთვის რომ დამეკავებინა იგი. ველაპარაკე ჩვენს შესაძლებლობაზე, ბავშვებზე, რომლებიც უნდა მივატოვოთ ჩემს საქმეებზე – არაფრის გაგონება არ უნდა.“ ამ ეპიზოდთან მკითხველი იგებს იმას, რაც მოხდა მანამდე.

მოთხრობაში გვხვდება პროლეფსისებიც, ანუ მოქმედება, რომელიც მოხდება მომავალში და რომელიც ჩართული მოხმედების განვითარების გარკვეულ საფეხურზე. მაგალითად, სათაური პროლეფსურია „სამი სიკვდილი“ მიგვანიშნებს, რომ ნაწარმოები ვიღაც მოკვდება. მკითხველი ემზადება გარკვეული მოქმედებებისთვის. გარდა ამისა პირველსავე თავში ვხვდებით პროლეფსისს: „ოღონდაც ჩქარა, ჩქარწავიდე საზვარგარეთ, იქ მალე მოვიკეთებ.“ ასე ფიქრობს ავადმყოფი და ამ შემთხვევაში, პროლეფსისის ადრესანტი არის მოქმედი პირი. ეს კი იმას ნიშნავს რომ მხოლოდ სურვილი და ოცნებაა გადმოცემული, რადგან მოქმედმა პირმა დანამდვილებით არ იცის რა მოხდება მის თავს მომავალში.

მესამე თავში ვკითხულობთ ავადმყოფის მონოლოგს, აქ გვხვდება პროლეფსისიცა და ანალებსისიც. ქალბატონი დარწმუნებულია, რომ იტალიაში დაძლევა ავადმყოფობას. ვკითხულობთ:

„... ვიცი, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია, ისიც ვიცი, ადრე რომ დაეჯერებინა ჩემთვის ქმარს, ახლა იტალიაში ვიქნებოდი და შესაძლოა, კი არა, ნამდვილად გამოჯანმრთელებული ვიქნებოდი.“ ეს ვარაუდია რადგან დანამდვილებით შეუძლებელია მომავლის ცოდნა, ამიტომ წინადადება პროლეფსურია, მისი ადრესანტი კი, ისევ, მოქმედი პირია შემდეგ: „ყველა ამას ეუბნებოდ მაგრამ რას იზამ, ეტყობა, ასეთი იყო ღვთის ნება.“ ეს ანალებსისია, რადგან მოქმედი პირი წარსულს ეხება: ქმარს ყველა ეუბნებოდა რომ იტალიაში გამოჯანმრთელდებოდიო.

სავარჯიშო 3.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული პროსპექტუსის⁴² ნიმუში და დაარედაქტირეთ მოცემული ცხრილის მიხედვით:

რედაქტირება წინადადების დონეზე	სტილისტური, სინტაქსური, მორფოლოგიური, პუნქტუაციური ხარვეზები
რედაქტირება აბზაცის დონეზე	ლოგიკური კავშირი წინადადებებს შორის
რედაქტირება ცალკეული	შესავალი: საკვლევი პრობლემა, კვლევის

⁴² სამცხიერო-კვლევითი პროექტის გეგმა

თავის დონეზე	მნიშვნელობა, მიზანი, ჰიპოთეზა, ნაშრომის სტრუქტურა. ბიბლიოგრაფია: ბიბლიოგრაფიაში მუხლების თანმიმდევრობა, წყაროების გამართულობა.
რედაქტირება მთლიანი ნაშრომის დონეზე	ციტირება, პარაფრაზირება, რეზიუმირება; ნაშრომის ფორმა - ნაწილების თანმიმდევრობა, სატიტულო გვერდი, განაცხადი, სარჩევი ბიბლიოგრაფია; შრიფტის ზომა, ველები, ინტერვალები

ნაშრომის სათაური:

განსხვავებული სექსუალური ორიენტაციით გამოწვეული ბულინგი სკოლებში

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებულად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არარის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი გვარი 06.09.20

სარჩევი

შესავალი3

ბიბლიოგრაფია.....4

შესავალი

არც ერთ დროს არ ყოფილა ადამიანების უფლებები დაცული ისე, როგორც ეს ჩვენს დროში, 21-ე საუკუნეშია. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველივე მუხლის თანახმად : „ ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონება და სინდისი და ერთმანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით.“ თუმცაღა ითვალისწინებს ყველა ამ მუხლს? მიუხედავად იმისა რომ ზემოთხსენებული უფლება ყველასთვის ნათელია და ხელმისაწვდომი, მაინც არიან ადამიანები, რომლებიც მას განზრახ ან უნებლიედ არღვევენ. შეიძლება ეს დარღვევა ერთი შეხედვით არც ისე მკაფიო და საშიში იყოს, მაგრამ ხშირად სწორედ ასეთ შემთხვევებს მივყავართ ფატალურ შედეგებამდე.

ბულინგი ძალადობის ერთ-ერთი ფორმაა და იგი ძირითადად სკოლებში აღინიშნება. საკმაოდ გავრცელებულია სექსუალური ორიენტაციის, ადამიანის იდენტობის გამო ბულინგი და ამ თემასაც დაეთმობა მოცემული ნაშრომი. შევეცდები მოკლედ განვიხილო თუ რა გამოწვევების, რა პრობლემების წინაშე დგას დღესდღეისობით სკოლა და რატომ არის ბავშვებში ასეთი გავრცელებული ერთმანეთის სტიგმატიზაცია. გარდა ამისა ვისაუბრებ ბულინგის ისევე როგორც სუბიექტებზე, ასევე ობიექტებზე. რა იწვევს მას და

რა უფრო საშიშია იყო მსხვერპლი თუ მოძალადე. რა შედეგები შეიძლება აგრესიის და ძალადობის ამ ფორმამ გამოიწვიოს.

შესაძლოა ეს პრობლემა საზოგადოების დიდი ნაწილისთვის სასაცილო იყოს, მაგრამ საქართველოში ყოველი 10 ბავშვიდან 7 მისი მსხვერპლია და ამ ყველაფერში საზოგადოების წვილილიც საკმაოდ დიდია. სკოლებში კი, მიუხედავად არსებული კანონებისა და ქვეყის კოდექსისა, მაინც ხუჭავენ მასწავლებლები და დირექტორები ბულინგის ფაქტებზე თვალს, მეტიც, ისინი მას ხშირად აქეზებენ, განსაკუთრებით კი მაშინ როცა ბულინგი სექსუალური იდენტობითაა გამოწვეული და საზოგადოების უმრავლესობა ჰომოფობიურადაა განწყობილი. მსურს, რომ ეს ნაშრომი სწორედ ამ თემას მივუძღვნა მისი პრობლემატურობის გამო და ვისაუბრო იმ ხერხებზე, რომლებითაც მისი აღმოფხვრა მოხერხდება.

ბიბლიოგრაფია

1. ადამიანთა უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
2. გიორგი ნონიაშვილი, ბულინგი სკოლებში გვ. 72-75 17 მაისი თბილისი: იდენტობა| Identoba 2014 სარედაქციო კოლეგია : შორენა გაბუნია, ირაკლი ვაჭარაძე, ანა რეხვიაშვილი
3. ანა ჭეიშვილი, მამულაშვილი ლილი ლესბოსელი და ბისექსუალი გოგოების ბულინგი სკოლებში 2013 (<http://identoba.org/wp-content/uploads/2015/04/lesboseli-da-bisexuali-gogoebis-bulingi.compressed.pdf>)
4. ანა გაბუნია სოციალური სტიგმის გავლენა ლგბტ ადამიანებზე 2013 (<http://identoba.org/wp-content/uploads/2015/04/socialuri-stigma.ana-gunia.pdf>)
5. ანა ქათამაძე ჰომოფობია საზოგადოებაში 2013 (<http://identoba.org/wp-content/uploads/2015/04/homopobia-sazogadoebashi.-ana-katamadze..pdf>)
6. თიკა დოლიძე ბულინგი სკოლებში 2013 (https://identoba.files.wordpress.com/2013/02/e18397e18398e18399e18390-e18393e1839de1839ae18398e1839ae18394_e18391e183a3e1839ae18398e1839ce18392e18398.pdf)

სავარჯიშო 4.

წაიკითხეთ მოცემული შესავლის ნიმუში და გააკეთეთ რეცენზია (Peer-Review) ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით:

რეცენზენტი აკეთებს შეფასებას:
ძლიერი მხარეები: არის თუ არა შესავლის ნიმუში შესაბამისობაში აკადემიური წერის სტანდარტებთან (საკვლევი პრობლემა, პრობლემის მნიშვნელობა/აქტუალობა, კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზა, ნაშრომის სტრუქტურა).

სუსტი მხარეები: რა არის გამოსასწორებელი? რა რჩევებს მისცემდით ავტორს შესავლის გასაუმჯობესებლად? (გაითვალისწინეთ, რომ რჩევა უნდა იყოს კონკრეტული და კონსტრუქციული).

თემის სათაური: იოჰან გუტენბერგის გამოგონების რეფორმაციული მნიშვნელობა

შესავალი

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ადამიანები სულ უფრო და უფრო იწყებდნენ საკუთარი გონებით მოქმედებას, რაც ერთი სახით პროგრესის მაჩვენებელია საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის, შესაბამისად რეგრესის მაჩვენებელი იყო ეს მცირე ნაწილისთვის, კერძოდ, დიდგვაროვნებისთვის, რადგან როგორც მოგეხსენებათ, გაცილებით მარტივია სხვისი გონებით მოქმედი ადამიანის მართვა, საკუთარი გონებით მოქმედი ადამიანისგან განსხვავებით. სწორედ ამ მიზეზის გამო განვითარება და ინოვაცია პირდაპირ ურტყამდა დიდგვაროვნებს, ასეთივე დარტყმა მიაყენა გერმანელმა გამომგონებელმა იოჰან გუტენბერგმა წიგნის საბეჭდი დაზვის გამოგონებით, თუმცა ამით არა მარტო მაღალი ფენის წარმომადგენლებს შეეხო, არამედ სასულიერო ფენას, რომელიც აგრეთვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადამიანების კვლავ სიბნელეში დატოვების კუთხით. დიდი ხნის განმავლობაში წიგნი ძალიან ძვირი იყო, მისი კითხვა შეუძლო მხოლოდ მდიდრებს, ღარიბებს არ მიუწვდებოდათ ხელი მასზე, მათდასაუბედუროდ, არც კი ინტერესდებოდნენ რა ეწერა მასში, ისინი მიიჩნევდნენ, რომ მთავარი არის ლუკმა-პურის შოვნა და ბატონის თაყვანიცემა. ასეთი შეხედულება კი დიდგვაროვანთა წისქვილზე ასხამს წყალს.

იოჰან გუტენბერგის წიგნის საბეჭდმა მანქანამ და შემდგომ მის მიერ დაბეჭდილმა პირველმა წიგნმა დიდი გავლენა მოახდინა იმ დროინდელ მსოფლიოში, მან შემოიტანა რაღაც ახალი სამყაროში, რომლის საშუალებითაც შეძლებდა ალებეჭდა წარსულის მთელი რიგი მოვლენები, ბიბლიის დაბეჭდვით კი მკითხველის დარწმუნება ადამიანის სკაუთარ თავში, რომ სასულიერო პირი მას არ ატყუებს. ბიბლიის დაბეჭდვამდე სასულიერო პირი განა მას არ ამბობდა რაც თვითონ სურდა?! გლეხი ხომ მაინც ვერ წაიკითხავს ბიბლიას! სწორედ ამ დამოკიდებულების წინააღმდეგ გაილაშქრა გუტენბერგმა თავისი გამოგონებითა და ბიბლიის დაბეჭდვით.

ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის, თუ როგორ მისცა იმ დროინდელ საზოგადოებას ერთმა წიგნმა, თუნდაც ბიბლიამ მოტივი იმისა, რომ შემდგომში სხვადასხვა რელიგიური დაპირისპირებები გამოეწვია. რატომ არსებობდა ყოველთვის ჩატეხილი ხიდი დიდგვაროვნებსა და ღარიბებს შორის. კონკრეტულად შევეხები რეფორმაციას გერმანიაში, რადგან სწორედ აქ დაიბადა რეფორმაციის იდეა. იდეა, რომელიც გუტენბერგის ბიბლიით დაიწყო და მარტინ ლუთერით დასრულდა.

ჩემი მიზანია, გამოვიკვლიო მე-15-16 საკუნეში არსებული საზოგადოების პოზიციები რეფორმაციის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, როგორც სასულიერო პირების, ისე საერო პირებისა, რათა ორივე მხარის არგუმენტის შედეგად მივიღე გარკვეული სახის დასკვნამდე.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა იოჰან გუტენბერგის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვას. მეორე ნაწილში ვისაუბრებ მისი გამოგონების რეფორმაციულ მნიშვნელობასა და საზოგადოებაში არსებულ ფენებზე. წარმოვაჩენ, რამდენად დიდია ეკლესიის როლი საზოგადოებისთვის. რაც შეეხება მესამე ნაწილს მასში საუბარი იქნება რეფორმაციისგან განუყოფელ პიროვნებაზე, მარტიუნ ლულთერსზე, მის მსოფლმხედველობაზე, მიზნებსა და ნაბიჯებზე.

სავარჯიშო 5.

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული საშინაო ნაშრომი და შეაფასეთ ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

ენა და სტილი: ენისა და სტილის გამართულობა
ნაშრომის სტრუქტურა: ტექსტის მთლიანობა და კომპონენტებს შორის კავშირი
ნაშრომის თითოეული თავის ლოგიკური ბმა
არგუმენტების თანმიმდევრულობა და შემოწმებადობა
წყაროების დამოწმების სიზუსტე როგორც ბიბლიოგრაფიაში, ასევე სქოლიოს, ან ტექსტში ჩართულ მითითებაში
ნაშრომის ტექნიკური გამართულობა: შრიფტის ზომა, ველები, ინტერვალები, გვერდების დანომვრა, თავების განლაგება

ქალის როლი და სტატუსი XV-XVI საუკუნეების პრეკოლონიალურ ანდებსა და ინკებში

ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

სარჩევი

შესავალი 3

ლიტერატურის მიმოხილვა 4

ლიტერატურის მიმოხილვის შეჯამება 7

ბიბლიოგრაფია 10

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს
ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ,
გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში
არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

შესავალი

ქვემოთ მოყვანილ კვლევაში გაეცნობით ქალის როლს და სტატუსს ლათინური ამერიკის ცივილიზაციებში, კერძოდ, განვიხილავთ ინკებსა და კოლონიალურ ანდებს. კვლევა ძირითადად დაეყრდნობა კონსტანს კლესენისა და ემლი რივზის ტექსტებს (*Aesthetics and Asceticism in Inca Religion* და *Transforming Gender Roles in the Colonial Andes: Native Andean Female Resistance to Colonial Spanish Constructs of Gender Hierarchy*). ასევე დავიხმარებ მეთექვსმეტე საუკუნეში მოღვაწე პერუელი ისტორიკოსისა და მწერლის- გარსილასო დე ლა ვეგას 1609 წელს გამოქვეყნებული ნაშრომთა კრებულის *Royal Comentarías of the Incas, and general history of Peru* (სამეფო კომენტარები ინკებზე და პერუს ზოგადი ისტორია) პირველ ნაწილს- *The house of the virgins dedicated to the Sun*, რომელშიც აღწერილია აკლების (*Accllas*) ცხოვრების წესი, მათი მისია ინკების საზოგადოებაში, მათი მნიშვნელობა სამეფოს ფუნქციონირებაში. ფაქტებს და ისტორიებს, რომლებიც ამ წიგნშია მოთხრობილი, მწერალი ბავშვობიდანვე აგროვებდა თავისი ინკა ნათესავებისაგან და ძველი სოფლების მკიდრებისგან, დღესაც ინკების ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნო წყაროდ თვლიან.

კულტურული ისტორიკოსი კონსტანს კლესენი საუბრობს ინკების რელიგიურ ხედვებზე, მათ მიერ შექმნილ სისტემაზე, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა მათივე ცივილიზაციის რაობა. ამ სისტემაში კი ქალს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი დააკისრეს და მისი არსებობა დაიყვანეს სხვადასხვა სოციალური, მორალური, ბიოლოგიური და ფილოსოფიური ხედვების ჩამოყალიბების იარაღად. აქაც განხილულია „რჩეული ქალები“, იგივე აკლები, რომლებსაც ასკეტური ცხოვრების წესი დაუკანონეს და რომლის დარღვევის შემთხვევაში სიკვდილით ისჯებოდნენ. ემლი რივზის ნაშრომში კი აქცენტი გაკეთებულია ქალის როლის თავდაპირველი მდგომარეობის სხვადასხვა ტიპის მეტამორფოზებზე კოლონიალურ ანდებში. აქაც მოყვანილია ქალის კონკრეტული წოდებები და სტატუსები. ასევე, განხილულია პოლიტიკურ-სოციალური ფონები, რომლებიც ამ ცვლილებების წინ ან თანამედროვედ არსებობდა. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში განხილული ცივილიზაციების დამოკიდებულებებმა ქალის როლის სპეციალიზაციის შესახებ და მათ მიერ განხორციელებულმა შესაბამისმა ქცევებმა მკაფიო როლი შეასრულა არა მარტო ლათინური ამერიკის (რომელიც, უდავოდ, შედგება თანამედროვე მსოფლიოს გამორჩეულად ძლიერი ეთნიკური და კულტურული ინდივიდუალიზმით დატვირთული ხალხებით), არამედ აშშს, ევროპის გამორჩეულად ძლიერი თუ ნაკლებად დომინანტური ერების ხასიათზეც. იგივეს თქმა შეიძლება მსოფლიოს დანარჩენი ნაწილების გარკვეულ ქვეყნებზეც, მაგრამ, ვინაიდან ეს კვლევა მხოლოდ ლათინური ამერიკის კონკრეტულ ცივილიზაციებს ეხება, ამ საკითხის მტკიცებას არ დავიწყებ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინკებისა და კოლონიალური ანდების საზოგადოებებში შექმნილი სისტემები დიდწილად იდგა ქალის მხრებზე, რის გამოც ხდებოდა მისი როლის დაბადებისთანავე სტიგმატიზაცია, რაც თავისთავად ნიშნავდა მათი უფლებების და შესაძლებლობების უპირობო შეზღუდვას. ხშირ შემთხვევაში, მათთვის შექმნილი წესებიდან ოდნავ გადახვევის გამოც კი ქალები სიკვდილითაც ისჯებოდნენ. ამ პრობლემასთან დაკავშირებით უამრავი კითხვაა წამოჭრილი. ერთ-ერთი ყველაზე მთავარია, თუ რამ განაპირობა კულტურულ-ფილოსოფიურად ორ უდიდეს და მსოფლიოსთვის უმცირფასეს ცივილიზაციაში ქალის როლზე სპეკულირების წარმოშობა და მისი დონის ზრდა. ქვემოთ მოცემულ კვლევაში შევეცდები სწორედ ამ კითხვას ვუპასუხო და ჩამოვაყალიბო მყარი მოსაზრება კოლონიალურ ანდებში, ინკების იმპერიაში ქალის როლზე მოქმედ პოლიტიკურ, კულტურულ და ფილოსოფიურ საფუძვლებზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ბარბარა სომერვილი 2004 წელს გამოცემულ წიგნში „ინკების იმპერია“ გვაცნობს აკლებს-რჩეულ ქალებს, რომლებიც 10 წლის ასაკიდან ცხოვრებას იწყებდნენ აკლაჰუასებში (Acllahuasi)- დაწესებულებაში, რომელიც საკუთარ სახლებს მოწყვეტილი გოგონებისთვის იყო სახლიც, სკოლაც და ტაძარიც. აკლაჰუასების მაცხოვრებლები აქვე იძენდნენ უმაღლესი დონის განათლებას, ისეთს, რისი შესაძლებლობაც „არარჩეულ“ გოგონებს არ ჰქონდათ. ინკების სახელმწიფო ძალღონეს არ იშურებდა იმისთვის, რომ რჩეულ ქალებს მიეღოთ შესაძლო უმაღლესი განათლება, შეეთვისებინათ დახვეწილი ქცევის წესები, მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო: აკლებს ანუ რჩეულ ქალებს ყოფდნენ დანიშნულების მიხედვით. ზოგი მათგანი ხდებოდა მეზრდოლი, ზოგი წარჩინებული პოლიტიკოსის ან სხვა საზოგადო მოღვაწის ცოლი, Sapa Inca-ს ანუ ინკების იმპერატორის/მეფის მეორე ცოლი, ზოგს კი ბედი რელიგიური რიტუალის დროს მსხვერპლობას არგუნებდა.

რელიგიურ საზოგადოებაში, 10 წლამდე მიმზიდველი გოგონები შესაძლოა შეერჩიათ ერთ-ერთ „რჩეულ ქალად“. ეს გოგონები სწავლობდნენ აკლაჰუასებში, სადაც ისინი სრულყოფილად ეუფლებოდნენ ქსოვას, ჩიჩას დამზადებას Sapa Inca - სა და სასულიერო პირებისთვის, ასევე მონაწილეობდნენ რელიგიურ რიტუალებში. ზოგიერთი მათგანი ხდებოდა არისტოკრატთა პატარძალი ან Sapa Inca - ს მეორე ცოლი. სხვები რჩებოდნენ რელიგიურ ცხოვრებაში ან აკლაჰუასში მასწავლებლებად. სხვების მიმართ კი ბედი ასეთი კეთილი არ იყო: ისინი ადამიანი მსხვერპლები ხდებოდნენ.

სომერვილის თქმით, აკლების რიცხვი (ესპანელები, ანუ კოლონიზატორები მათ მოიხსენიებდნენ, როგორც „მზის ქალწულებს“) 1500-ს აღწევდა იმპერიის სიძლიერის დროს. ამ წყაროდან, ასევე, ვიგებთ, რომ ეს გოგონები ძირითადად ფიზიკური სილამაზის საფუძველზე ირჩეოდნენ, ხოლო არჩევის შემდეგ უარის თქმის უფლება სიკვდილის ტოლფასი იყო, ისევე, როგორც აღკვეცის შემდეგ სასიყვარულო პარტნიორის გაჩენა სრულდებოდა ორივე მათგანის (ქალისა და თავისი სატრფოს) სიკვდილით დასჯით.

ავტორი რჩეულ ქალებს ინკების სახელმწიფოს მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს მექანიზმად თვლის. მოსახლეობა არ იშურებდა გულუხვ შესაწირს აკლაჰუასისა და თავად აკლების „შესანახად“. სინამდვილეში კი ეს შემოწირულობა მთელ სახელმწიფოს ამარაგებდა, რამაც, საბოლოო ჯამში, განაპირობა ინკების იმპერიის არა მხოლოდ მატერიალური, არამედ იდეოლოგიური გაძლიერება.

ჩემ მიერ მოყვანილი მეორე წყაროა ელისაბედ აბოტის 2001 წელს გამოცემული წიგნი „A History of Celibacy“. ეს წიგნი შეეხება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების კულტურებისა და რელიგიების დამოკიდებულებებს ე.წ. შინაბერობის (Celibacy)/ ქალწულობის (virginity) შესახებ. საკმაოდ გამორჩეული, მრავალფეროვანი და მსოფლიოსათვის მნიშვნელოვანი კულტურების სიაში მოხვდა კოლონიალური ანდები, მათ შორის, ინკებიც. აქ ავტორი აკლ ქალებს „A virgin Priestesses of the Sun“-ს უწოდებს და მათ ევროპულ ანალოგსაც კი უძებნის. ამბობს, რომ აკლები ვესტალების ინკური ვერსიაა. (ანტიკურ რომში ვესტალები იცავდნენ ვესტას წმინდა ცეცხლს ჩაქრობისგან . თითოეული ვესტალი ცეცხლს 30 წლის განმავლობაში დარაჯობდა, ჰქონდათ უდიდესი სიმბოლური დანიშნულება რელიგიის კუთხით.) მაგრამ რეალურად, მათი დანიშნულება მხოლოდ რელიგიური სიბოლურობითა და საკრალურობით არ შემოიფარგლება. აკლების როლის გავლენა ინკათა საზოგადოებაზე და, შესაბამისად, ინკურ პოლიტიკაზე მეტად მნიშვნელოვანია.

Acclawasi - ასე მოიხსენიებს აბოტი აკლების სამყოფელს (ჩემ მიერ მოყვანილ პირველ წყაროში ავტორი ამ ადგილს მოიხსენიებს, როგორც Acclahuasi). აქ აღწერილია რჩეულების ერთი ჩვეულებრივი დღე აკლავასში. აკლებს, რომლებიც აკლავასში მასწავლებლებად რჩებოდნენ ეწოდებოდათ მამაკონასები (Mamaconas). მათი მოვალეობები გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ჩვეულებრივი აკლასი. მათ მოვალეობაში სისხლიანი რელიგიური რიტუალების ჩატარებაც შედიოდა ყოველ თვეში მინიმუმ ერთხელ.

ინკების ცხოვრება რელიგიას ჰქონდა მოცული. მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რიტუალები იყო. ცერემონიები და მსხვერპლშეწირვები, რომლებიც მარცვლეულის და ცხოველების ნაყოფიერების და მავედრებელ ადამიანთა ჯანმრთელობის გარანტიად იყო ქცეული. ინკათა პანთეონი გადაჭედილი იყო, ინთი კი - მზის ღმერთი, ინკების დინასტიის დამფუძნებელი, ყველაზე მნიშვნელოვან ღვთაებათა შორის იყო.

წარჩინებულ ინკებს თავი მზის ღვთაება ინთის შთამომავლებად მიაჩნდათ. სწორედ ამიტომ, მათი აზრით, ნამდვილ ინკას მხოლოდ ქალწული ქალი უნდა ხვდომოდა წილად. ინკებმა კი შექმნეს რჩეულ ქალთა ძღვევამოსილი ინსტიტუტი, რომელიც მისი იდეით იმდენად უნივერსალური იყო, რომ ინკური საზოგადოების ნებისმიერ არარაციონალურ და ეგოისტურ სურვილებს მოერგებოდა. ეს კი იდეალური და ურყევი მექანიზმია ფანატიკურად მოწყობილი გონებების სამართავად.

პერუელი ისტორიკოსი და მწერალი გარსილასო დე ლა ვეგა თავის 1609 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში Royal Comentaries of the Incas, and general history of Peru იხსენებს ბავშვობაში თავისი თვალთი ნანახ ორი რჩეული ქალწულის მსხვერპლშეწირვას ინკათა ერთ-ერთ ფესტივალზე და ამბობს, რომ მის მიერ დანახული

ეს სცენა ინკათა სისასტიკის მთლიანად აღსაწერად არ გამოდგებოდა. ეს წყარო იმითაა განსაკუთრებული, რომ აქ მოყვანილი ფაქტების ნაწილი პირველწყაროდ შეგვიძლია ჩავთვალოთ, ნაწილი კი მეორეულად. სწორედ ამიტომ ითვლება დე ლავეგას ეს წიგნი ინკების შესახებ არსებულ ყველაზე აკურატულ ისტორიულ წყაროდ.

ირენ სილვერბლატი წიგნში „Moon, Sun and Witches“ აღწერს ქალების კრიტიკულ მდგომარეობას 1500-იანი წლების ანდებში. ამ ტერიტორიებში ესპანელების შესვლით დაიწყო მათი სისტემატური დევნა და სიკვდილით დასჯა. ამ ქმედებების საბაზად დამპყრობლები ასახელებდნენ, რომ ქალები, რომელიც სინამდვილეში ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მათი კულტურისა და ფასეულობების განადგურებისთვის, იყვნენ ჯადოჯრები და საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენდნენ. სინამდვილეში სასტიკი რეპრესიების მიზეზი იყო ესპანელთა შიში ძლიერი ანდელი ქალების მიმართ.

როზმარი ჯოისის „Negotiating Sex and Gender in Classic Maya Society“ მოგვითხრობს მაიას ტომის შეხედულებებზე სქესის შესახებ. მისი თქმით, მათთვის სქესი მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური მახასიათებელი იყო და არანაირი კავშირი არ ჰქონდა ადამიანის მენტალურ განვითარებასთან, შესაბამისად, სოციალურ სტატუსთან. მათ ღვთაებებსაც კი არ ჰქონდათ გამოკვეთილი სქესი, რადგან ეს არანაირი მნიშვნელობის მატარებელი არ იყო.

სქესის ფლუიდურობის გაგება მეზოამერიკულ იდეოლოგიაში რამდენიმე გზითაა გამოხატული. როგორც ევა ჰანტმა აღნიშნა, რამდენიმე პრეკოლონიალური მეოამერიკული ღვთაება აღწერილია როგორც სექსუალურად ფლუიდური, ზოგჯერ მამაკაცი, ზოგჯერ ქალი.

აღნიშნული წყარო დამეხმარება პარალელი გავავლო და შევადარო ცენტრალური ამერიკის ხალხების წარმოდგენები და დამოკიდებულებები ქალის როლსა და სტატუსზე.

ლიტერატურის მიმოხილვის შეჯამება

კვლევაში ჩემ მიერ გამოყენებულ წყაროთაგან ერთ-ერთია ბარბარა სომერვილის „ინკების იმპერია“, რომელიც 2004 წელს დაიბეჭდა გამომცემლობა „Facts on File“-ის მიერ. აღნიშნული ლიტერატურის წყაროდ გამოყენება მართებულად ჩავთვალე იმის გამო, რომ ამ წიგნში მოთხრობილია აკლების ანუ „რჩეული ქალების“ ხვედრის შესახებ 10 წლის ასაკიდან ანუ არჩევისა და აკლაპუასში გადასახლების დღიდან. წყაროს გაცნობის შემდეგ ვიგებთ, თუ რა მოსამზადებელ ეტაპებს გადიოდა თითოეული აკლა (ავტორის თქმით, მათი რაოდენობა იმპერიის სიძლიერის მომენტში 1500-ს აღწევდა), რის მიხედვით ხდებოდა მათი დიფერენცირება მეზომოდ, განმანათლებლად, წარჩინებული პოლ იტიკოსის ან საზოგადო მოღვაწის ცოლად, Sapa Inca-ს ანუ ინკების იმპერატორის მეორე ცოლად ან თუნდაც რელიგიური რიტუალისთვის გამზადებულ მსხვერპლად.

ელისაბედ აბოტის 2001 წელს გამოცემული წიგნი „A History of Celibacy“ მოგვითხრობს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების კულტურისა და რელიგიის დამოკიდებულების

შესახებ შინაბერობასა და ქალწულობაზე. ამ ხალხებს შორისაა კოლონიალური ანდების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და ჩემი ნაშრომის მთავარი ობიექტი- ინკები. აქ, ისევე როგორც ზემოთ ხსენებულ წყაროში, ავტორი აღწერს აკლებს, მაგრამ განსხვავებით „ინკების იმპერიისგან“ აქ გამოკვეთილია ამ ქალების როლი და მნიშვნელობა იმპერიის ფუნქციონირებაში. აბოტი ნათლად გვისახავს მექანიზმს, რომლის მიხედვითაც იმპერატორი და სასულიერო პირები მართავდნენ ინკ ხალხს. ამ მექანიზმში კი მთავარი როლის შემსრულებლები აკლები ანუ „რჩეული ქალები“ იყვნენ. ეს თემა კი, მოგეხსენებათ, პირდაპირ ეხმიანება ჩემი ნაშრომის საკვლევ საკითხს.

მეთექვსმეტე საუკუნეში მოღვაწე პერუელი ისტორიკოსი და მწერალი გარსილასო დე ლა ვეგა 1609 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა კრებულის (*Royal Comentarías of the Incas, and general history of Peru*- სამეფო კომენტარები ინკებზე და პერუს ზოგადი ისტორია) პირველ ნაწილში- *The house of the virgins dedicated to the Sun*, აღწერს აკლების (*Acllas*) ცხოვრების წესს, მათ მისიას ინკების საზოგადოებაში და მნიშვნელობას მთლიანად სამეფოს ფუნქციონირებაში. როგორც უკვე აღვნიშნე, ფაქტებს და ისტორიებს, რომლებიც ამ წიგნშია მოთხრობილი, მწერალი ბავშვობიდანვე აგროვებდა თავისი ინკა ნათესავებისაგან და ძველი სოფლების მკიდრებისგან. ეს ინფორმაცია კი დღესაც ინკების ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნო წყაროდ ითვლება, რადგან დე ლა ვეგას პირდაპირი კონტაქტი ჰქონდა იმ ადამიანებთან (ან მათ შვილებთან), რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ინკათა პრეკოლონიალური სამეფოს ფუნქციონირებაში.

მელანი ბაიამის 2008 წელს გამოქვეყნებული სტატია „*The Modernization of Resistance Latin American Women since 1500*“ ძირითადად დაფუძნებულია ირენ სილვერბლატის წიგნზე, რომელსაც მეც განვიხილავ. ავტორი საუბრობს ლათინური ამერიკის მკვიდრი ქალების მდგომარეობაზე ევროპელი კონკვისტადორების შესვლის შემდეგ. ესპანელები ცდილობდნენ ევროპული ფასეულობები დაენერგათ პერუსა და სხვა სამხრეთ ამერიკულ ხალხებში, რამაც გამოიწვია პატრიარქატის სახეცვლილი გაძლიერება და ლათინოამერიკელი ქალის უფრო მეტად, სხვა კუთხით მარგიალიზაცია. მაგალითად, შემოვიდა მკვიდრი ქალების სიკვდილით დასჯა, ამჯერად, ჯადოქრობის და ეშმაკის მსახურობის ბრალდებით. ეს სტატია მეხმარება თვალსაჩინო პარალელი გავავლო კოლონიალური ანდების, ინკების მკვიდრ და პერუელ ქალებს შორის.

ჩემ მიერ მოყვანილი მეხუთე წყარო- როზმარი ჯოისის „*Negotiating Sex and Gender in Classic Maya Society*“, 2001 წელს გამოქვეყნებული ნაშრომია, რომლის მთავარი მიზანია პრეესპანური მეზოამერიკული საზოგადოებების (როგორიც, მაგალითად, მაია) დამოკიდებულების შესწავლა სქესისა და გენდერის მიმართ. ეს ტექსტი საშუალებას მოგვცემს პარალელი გავავლოთ კოლონიალური ანდების, ინკების და მაიას საზოგადოების წარმომადგენლების განვითარების დონეს შორის გენდერისა და სქესის საკითხებში, რაც დაგვეხმარება გავიგოთ თუ რამ განაპირობა ამ ხალხებში ქალის როლის რადიკალური სტიგმატიზაცია.

ირენ სილვერბლატი 1987 წელს გამოცემულ წიგნში „*Moon, Sun and Witches*“ გვიყვება მეთექვსმეტე საუკუნის ანდების მკვიდრი ქალების როლზე მათი კულტურის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. ესპანელების შესვლის შემდეგ დაიწყო ქალების დევნა და სიკვდილით დასჯა, რადგან პატრიარქალურ სისტემას, რომელსაც სურდა სამხრეთ

ამერიკის „გაევროპულება“ ემინოდა იმ წინააღმდეგობრივი ძალის, რომელიც იქაურმა ქალებმა გამოიჩინა მათი განზრახვების მიმართ. ამ წყაროში მოყვანილი ფაქტები და ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს დავინახოთ თუ რა როლი დაიკისრა ლათინური ამერიკის ქალთა საზოგადოებამ ევროპელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც, საბოლოო ჯამში, ინკათა იმპერიის დამხობით და ანდების კოლონიზაციით დასრულდა.

მოყვანილი წყაროები დახმარებით გავაანალიზებ და ვიმსჯელებ ქალის როლსა და სტატუსზე XV-XVI საუკუნეების პრეკოლონიალურ ანდებსა და ინკების იმპერიაში. შედეგად კი კვლევა უპასუხებს მის მთავარ შეკითხვას, თუ რამ განაპირობა მსოფლიოს კულტურულად უძვირფასეს ცივილიზაციებში ქალის როლის უკიდურესი მარგინალიზაცია და მისით სპეკულირების პოპულარიზაცია.

შემაჯამებელი ტესტი: ნაშრომის დამუშავება და საბოლოო რედაქტირება

გაეცით პასუხი შემდეგ ღია კითხვებს.

1. პირველი საფეხური ნაშრომის რედაქტირებისას, არის რედაქტირება წინადადების დონეზე. რატომ? იმსჯელეთ მისი მნიშვნელობის შესახებ.
2. რა ითვლება სინტაქსურ ხარვეზებად?
3. რა არის მორფოლოგიური შეცდომა და როგორ უნდა აღმოვაჩინოთ ის ნაშრომში?
4. რატომ უნდა გადავამოწმო არგუმენტების სისწორე?
5. რა საჭიროა სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა?
6. რა არის რეცენზირება და რა საჭიროა ის?
7. იმსჯელეთ რეცენზირების ეთიკის შესახებ.
8. როგორია აკადემიური ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები?

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე:

აფრიდონიძე, შუქია. 2007. *ჩვენი ენა ქართული*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ეკო, უმბერტო. 2014. *როგორ დავწეროთ საკვალიფიკაციო ნაშრომი*. მთარგმნ. სალომე კენჭოშვილი. თბილისი: არეტე.

თურაბიანი, ქეთი ლ. 2007. *სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის*. „ჩიკაგოს სტილი“ სტუდენტისა და მკვლევარებისათვის. მთარგმნ. ანა ადამია და მარინე თავყელიშვილი.
<http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/sakhelmdzghvanelo-repheratebis-thezisebis-da-disertatsiebis-avtorebisathvis-qeith-l.-thurabiani.pdf> (10.06.2018).

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე:

Abbot, Elizabeth, 2001, A History of Celibacy, Cambridge, The Lutterworth Press

<https://books.google.ge/books?id=whs0eudAfJC&pg=PA189&lpg=PA189&dq=acilas&source=bl&ots=w7u178ihlt&sig=DHbSAwHbq8tfm02WI0udmCQa68&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwj6ytnjx5fbAhUDPROQKHT2eDX8Q6AEIfjAN#v=onepage&q&f=true> (22.05.2018)

Byam, Melanie (2008). The Modernization of Resistance: Latin American Women since 1500. Undergraduate Review, 4, 145-150.

http://vc.bridgew.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1096&context=undergrad_rev (25.05.2018)

JOYCE, ROSEMARY A, 2001, Negotiating Sex and Gender in Classic Maya Society, Washington, D.C., Dumbarton Oaks Research Library and Collection

http://128.103.33.14/publications/doaks_online_publications/Gender/gen09.pdf (25.05.2018)

Silverblatt, Irene, 1987, Moon, Sun and Witches, New Jersey: Princeton University Press

https://www.researchgate.net/publication/26502318_Irene_Silverblatt_Moon_Sun_and_Witches_Gender_Ideologies_and_Class_in_Inca_and_Colonial_Peru_Princeton_University_Press_1987_266_paginas (25.05.2018)

Somervill, Barbara A, 2004, Empire of the Incas , New York, Facts on File

file:///C:/Users/STUDENT/Downloads/mxdoc.com_somervill-barbara-empire-of-theinca..pdf (22.05.2018)

Vega, Garcilaso de la, 1966, trans. Harold V. Livermore, Royal Comentarios of the Incas, and general history of Peru , Austin: University of Texax press
http://www.uwosh.edu/faculty_staff/cortes/classes/Fall%202013/122%20Q1/garcilaso%20de%20la%20Vega%20el%20inca.pdf (30.04.2018)

თავი 10. სამეცნიერო ნაშრომის ზეპირი წარდგენა (ნათია ქასრაშვილი)


მოცემულ თავში პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს:

- სიტყვით გამოსვლის როგორი ფორმები არსებობს?
- როგორ უნდა მოემზადოთ სამეცნიერო ნაშრომის პრეზენტაციისთვის?
- რომელ კომპონენტებს მოიცავს პრეზენტაცია?
- როგორი დამხმარე საშუალებები არსებობს პრეზენტაციის ვიზუალური გაფორმებისთვის, როგორ ფუნქციას ასრულებს და როგორ უნდა გამოიყენოთ თითოეული მათგანი?
- რა განსაზღვრავს პრეზენტაციის წარმატებას და რა შეცდომებს უშვებენ მომხსენებლები პრეზენტაციისას?
- როგორ შეიძლება დაძლიოთ საჯარო გამოსვლის შიში?

წერილობით შესრულებული ტექსტების ზეპირი წარდგენა უნივერსიტეტში სწავლის პროცესის შემადგენელი ნაწილია. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კი თითქმის არ მოიპოვება პროფესიული საქმიანობა, რომელშიც პრეზენტაციას (ლათ. praesentatio — წარდგენა, წარმოდგენა) მნიშვნელოვანი ადგილი არ უჭირავს. განასხვავებენ სიტყვით გამოსვლის ორ ძირითად ფორმას: მოხსენებასა და პრეზენტაციას.

- კლასიკური **მოხსენება** მონოლოგური ხასიათისაა და ტექნიკურ მხარდაჭერას (სლაიდ-შოუ, ვიდეო, ფოტო-მასალა და ა.შ.) იშვიათად საჭიროებს.
- **პრეზენტაციას** დიალოგური ხასიათი აქვს, პროცესში აქტიურად არის ჩართული აუდიტორია და იგი სხვადასხვა მედიის, ვიზუალური დამხმარე საშუალებების თანხლებით წარიმართება (Stickel- Wolf und Wolf 2016, 279).


სიტყვით საჯარო გამოსვლის სხვადასხვა ფორმის (იხ. გამოსახულება 24), თავისებურებების და პრინციპების ახსნა-ჩამოყალიბების ცდები მრავალ სახელმძღვანელოში გვხვდება. წინამდებარე თავში გაგაცნობთ მხოლოდ **სამეცნიერო ნაშრომის ზეპირი წარდგენის** ძირითად ასპექტებსა და მახასიათებლებს.



გამოსახულება 234: სიტყვით გამოსვლის ტიპები

10.1. პრეზენტაციის მომზადების ეტაპები

პრეზენტაციის სპონტანურად წარდგენა რთულია და ეს გამოცდილ მომხსენებლებსაც უჭირთ. მიიჩნევა, რომ კარგი პრეზენტაციის საწინდარი კარგი მომზადებაა. ამ მიზნით, სასურველია, წინასწარ დაიჭიროთ თადარიგი და პრეზენტაციის დაგეგმვისას გაითვალისწინოთ შემდეგი ასპექტები:



გამოსახულება 24: პრეზენტაციის მომზადების ეტაპები

პრეზენტაციის მიზანი: აქ არ იგულისხმება თქვენი ნაშრომის მიზანი, არამედ ის, რისი მიღწევა გსურთ მისი პრეზენტაციით. ეს შეიძლება იყოს:

- გარკვეული საკითხის შესახებ წარმოდგენის შექმნა მსმენელთათვის და აუდიტორიის მოტივირება
- კონკრეტული კვლევის შედეგების შეტყობინება ან რაიმე სფეროში მეცნიერული წინსვლის, სიახლის წარმოჩენა
- სწავლება ან ინფორმაციის გადაცემა
- კარგი შთაბეჭდილების მოხდენა
- ვალდებულების მოხდა, ქულის მიღება და ა.შ.

პრეზენტაციის მომზადების საწყის ეტაპზე მიზნის განსაზღვრა გაგიმარტივებთ დანარჩენი კომპონენტების შესრულებას.

სამიზნე აუდიტორია / მსმენელი: მიზნის განსაზღვრის შემდეგ მნიშვნელოვანია, შეისწავლოთ თქვენი მსმენელი. ეფექტური პრეზენტაცია დამსწრე აუდიტორიაზეა ორიენტირებული და მის ინტერესებსა და წინარე ცოდნას მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს. ისეთი ინფორმაცია უნდა გადასცეთ მსმენელს, რომლის კონტექსტიც მისთვის ნაცნობია და განმარტოთ ყველა უცხო ტერმინი, რათა იგი ზედმეტად არ გადატვირთოთ და დაამძიმოთ უცნობი, დარგობრივი ლექსიკით. იმისთვის, რათა სამიზნე აუდიტორიას ინფორმაციის გადამუშავება არ გაუჭირდეს და თქვენი პრეზენტაცია მომაკვდინებლად მოსაწყენი არ გახდეს, წინასწარ გაარკვიეთ

აუდიტორიის მოლოდინები, დაეკითხეთ კურსის ხელმძღვანელს ან თავად მონაწილეებს (Stickel-Wolf und Wolf 2016, 281).


პრეზენტაციის გარემო: გაითვალისწინეთ, რომ გარემო განსაზღვრავს თქვენი პრეზენტაციის ხასიათს. მომზადების ამ ეტაპზე უნდა მოაგვაროთ ფორმალური საკითხები და გაარკვიოთ, რა სიტუაცია დაგხვდებათ იქ, სადაც პრეზენტაცია უნდა ჩატარდეს:

- რა ზომისაა აუდიტორია?
- რამდენი ადამიანი დაესწრება თქვენს პრეზენტაციას? 15-25, 50-70 თუ მხოლოდ რამდენიმე გამომცემელი / საგამოცდო კომისიის წევრი? თუ ჰენდაუთის (იხ. ქვეთავი 10.3.2) დარიგებას აპირებთ, მოგიწევთ შესაბამისი რაოდენობის ეგზემპლარის დაბეჭდვა.
- რომელი დამხმარე საშუალებების (კომპიუტერი, პროექტორი, დაფა, ფლიპჩარტი) გამოყენება შეგიძლიათ? გჭირდებათ ვინმე (მაგ. ტექნიკოსი), ვინც ტექნიკის გამართვაში დაგეხმარებათ?
- რამდენი დროა განკუთვნილი მოხსენებისთვის? რამდენი დრო ეთმობა დისკუსიას?
- როდის უნდა დასვას მსმენელმა კითხვები, თქვენი პრეზენტაციის დასასრულს თუ პრეზენტაციის მსვლელობისას?

პრეზენტაციის შენაარსი: აუდიტორიის ინტერესებისა და გარემოს შესწავლის შემდეგ თქვენი მომდევნო ამოცანაა, კარგად ჩამოაყალიბოთ, რაზე ილაპარაკებთ: გამოყოთ ძირითადი საკითხები და ლოგიკურად ააგოთ არგუმენტაცია. მომდევნო ქვეთავში ზედმიწევნით განვიხილავთ პრეზენტაციის აგებულებასა და მის შინაარსობრივ მხარეს.

10.2. პრეზენტაციის სტრუქტურა

აკადემიური პრეზენტაცია ოთხ ძირითად ერთეულს მოიცავს: შესავალი, ძირითადი ნაწილი, შეჯამება და დისკუსია. ამ უკანასკნელზე ხშირად უარს ამბობენ დროის სიმცირის, ან ცუდ შემთხვევაში, აუდიტორიის ნაკლები ინტერესისა თუ ჩართულობის გამო.



გამოსახულება 25: პრეზენტაციის სტრუქტურული ელემენტები

10.2.1. შესავალი

პრეზენტაციის ეფექტური დასაწყისისთვის მომხსენებელს შემდეგი სამი კომპონენტის დაცვა მოეთხოვება:

- ა) კონტაქტი დაამყაროს მსმენელთან,
- ბ) თემის მიმართ ინტერესი აღუძრას მას და
- გ) ორიენტაცია გაუადვილოს.

პრეზენტაციის მოსასმენად მოსულ აუდიტორიას იმედი აქვს, რომ რამე ახალს შეიტყობს. ეს მოლოდინი კი, სასურველია, პირველივე წუთებში გაუმყაროთ მას. ამისთვის, უწინარესად, მოხსენების მიზნები უნდა დაასახელოთ, პრეზენტაციის მნიშვნელოვნება (სარგებელი) წინ წამოაწიოთ და მოხსენების სტრუქტურა (აგებულება) მოკლედ გააცნოთ აუდიტორიას. შესავალი ნაწილის ბოლოს მსმენელს კითხვები აღარ უნდა ჰქონდეს იმის შესახებ, რა მოელის და რამდენ ხანს გასტანს პრეზენტაცია, რატომაა კარგი, რომ ამ პრეზენტაციას ესწრება და რით არის განსახილველი თემა საიტერესო. შემდეგ შეგიძლიათ მიესალმოდეთ და მადლიერება გამოხატოთ დასწრების გამო (დიახ, არ არის აუცილებელი, პირველი წინადადება მისაღება იყოს. შეგიძლიათ, ჯერ თემის წარდგენით მკითხველის ყურადღება მიიპყროთ და შემდეგ მიესალმოდეთ და გააცნოთ თავი) (Franck und Stary 2006, 58). პრეზენტაციის შესავალ ნაწილში მსმენელთა ინტერესის გაღვივების ხერხები და მაგალითები იხ. გამოსახულება 24-ში.

მსმენლის დაინტერესების ხერხები	მაგალითები
რიტორიკული კითხვა	<i>რა ეშველება საქართველოს განათლების სისტემას?</i>
პროვოკაციული თეზისი	<i>საქართველოში განათლების მიღება შეუძლებელია</i>
დებულება	<i>სტუდენტების ხმა გადამწყვეტი უნდა იყოს, როცა ფაკულტეტზე ლექტორების დატოვება-დათხოვნის საკითხი დგას.</i>
თემატური გონებრივი იერიში	<i>საქართველოში მცხოვრები რუსების უმრავლესობა საქართველოში დაიბადა თუ რუსეთში?</i>
წინააღმდეგობრივი თვალსაზრისი	<i>ხალხის შემოსავალი იმატებს და სიღარიბეც მეტია.</i>
ციტატა	<i>„ადამიანთა დიდი ნაწილი უმეტესად ემორჩილება საჭიროებას, ვიდრე გონიერებას და ესეც უმეტესად სასჯელის შიშით, ვიდრე ზნეობრივი სიმშვენიერის დასაკმაყოფილებლად.“ (არისტოტელე)</i>
მნიშვნელოვანი ფაქტი ან აქტუალური ინფორმაცია	<i>გერმანიის მოსახლეობის 59 პროცენტი მიიჩნევს, რომ გერმანიაში ბევრი უცხოელი ცხოვრობს და თუ სამუშაო ადგილების რაოდენობა შემცირდება, უცხოელები თავიანთ ქვეყნებში უნდა დაბრუნდნენ.</i>
პარალელის გავლება	<i>როგორც წინა გამომსვლელმა აღნიშნა... როგორც კურსის ფარგლებში არაერთხელ ვიმსჯელებთ...</i>
იუმორი	<i>ერთმა ცნობილმა კაცმა ერთხელ თქვა: შესაძლებელია, ილაპარაკო ყველაფერზე, მაგრამ არ უნდა გაგრძელდეს 45 წუთზე მეტხანს. მე კი მინდა, 20 წუთში შევეცადო...</i>
სავარჯიშო	<i>აუდიტორიას შეგიძლიათ,</i>

-
- ა) აჩვენოთ თემატური სურათი და ჰკითხოთ, რას ხედავენ მასზე. შემდეგ თავად ახსნათ და დააკავშიროთ სურათი თქვენს თემასთან;
 - ბ) სთხოვოთ, ჩამოწეროს მოლოდინები პრეზენტაციის თემასთან დაკავშირებით. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ კი შეამოწმეთ, რომელი მოლოდინი არ გამართლდა და რატომ.
-

გამოსახულება 26: პრეზენტაციის დაწყებისა და მსმენელთა დაინტერესების საშუალებები⁴³

10.2.2. ძირითადი ნაწილი

პრეზენტაციის ძირითადი ნაწილი ერთგვარი გზის ჩვენებაა: თქვენ უხსნით მსმენელს კონკრეტულ საკითხს და აქტიურად რთავთ მასაც ამ ახსნაში. იმისთვის, რათა გაგიადვილდეთ მოხსენების ამ ნაწილის ჩამოყალიბება, განიხილეთ მხოლოდ პრიორიტეტული საკითხები, გამოყავით სამი ან მაქსიმუმ ხუთი ძირითადი ასპექტი და იმსჯელეთ მათზე. ძირითადი ნაწილის აგებაში დაგეხმარებათ შემდეგი კითხვები:

- რა შეტყობინება (მესიჯი) გსურთ, გადასცეთ მსმენელს?
- რომელია თქვენი თემის საკვანძო საკითხები?
- საკმარისად იყენებთ პრაქტიკულ მაგალითებს, რათა მსმენელმა მასალის უკეთ გააზრება შეძლოს?

პრეზენტაციისთვის განსახილველი საკითხების გამოყოფის შემდეგ მნიშვნელოვანია ინფორმაციისა და არგუმენტების ნათლად და თანმიმდევრულად დალაგება. სხვადასხვა სახელმძღვანელოში აკადემიური ნაშრომის პრეზენტაციის ძირითადი ნაწილის დალაგების მრავალფეროვან სტრატეგიებს ვხვდებით. მათგან ყველაზე გავრცელებული კი მოხსენების ბირთვის სამი საფეხურით წარდგენაა (შდრ. Stickel-Wolf und Wolf 2016, 288-289; Balzert u.a. 2015, 348; Beebe and Beebe 2007, 206):

- საკვლევი საკითხი/პრობლემა → პრობლემის მოგვარების აქამდე არსებული გზა → პრობლემის გადაჭრის ახალი გზა

ან

- საკვლევი საკითხი/პრობლემა → საკითხზე არსებული ცოდნის/სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა → საკითხის განხილვის ახლებური მიდგომის შემუშავება.

მოცემული ორი მოდელიდან კი ირჩევთ ერთს იმის გათვალისწინებით, როგორი ტიპის აკადემიურ ნაშრომის პრეზენტაციას აკეთებთ, კომპილაციურია თქვენი ნაშრომი თუ კვლევითი (აკადემიური ნაშრომის ტიპებზე დაწვრილებით იხ. თავი 1).

10.2.3. დასკვნითი ნაწილი

ცნობილია, რომ მსმენელს პრეზენტაციის დასაწყისი და დასასრული ყველაზე უკეთ ამახსოვრდება. შემაჯამებელი ნაწილი ისე უნდა მოამზადოთ, რომ იგი მსმენელის მეხსიერებაში დარჩეს. გავრცელებულია, პრეზენტაციის დასკვნითი ნაწილის ეფექტურად დასრულების რამდენიმე სტრატეგია:

⁴³ შდრ. Frank und Stary 2013, 219-221; Frank und Stary 2006, 54-56; Stickel-Wolf und Wolf 2016, 287.

- მოხსენების ძირითადი საკითხებისა და მათი დამუშავების გზების მოკლედ შეჯამება
- შეჯამების შესავალ ნაწილში დასმულ საკითხთან დაკავშირება
- ხაზგასმა, რა არის ახალი და ინოვაციური თქვენ მიერ დამუშავებულ საკითხში
- საკითხის შემდგომი კვლევისთვის რეკომენდაციისა და პერსპექტივების დასახვა
- თემის შესახებ დამატებით წყაროებზე: ლიტერატურა, ვებ-გვერდები და ა.შ. მინიშნება
- დამსწრეთათვის მადლობის გადახდა მოსმენისა და ჩართულობისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- დისკუსიის გამომწვევი კითხვების დასმა (შდრ. Stickel-Wolf und Wolf 2016, 289).

მოხსენების დასასრული წინასწარ უნდა შეატყობინოთ აუდიტორიას (მაგ.: „ეს არის ბოლო საკითხი, რომელზეც ვისაუბრებ და ამით ვასრულებ პრეზენტაციას“) და შემდეგ დროულად დაასრულოთ. თუ მცირე აუდიტორიაში გიწევთ პრეზენტაციის გაკეთება, სთხოვეთ აუდიტორიას, აზრი გამოთქვას თემის ან პრეზენტაციის მსვლელობის შესახებ.

ექსპერტების რჩევა:

აუცილებლად მოამზადეთ მოხსენების დასასრული წერილობით და შემდეგ დაისწავლეთ ტექსტი. იმის გათვალისწინებით, რომ დასასრული თქვენი გამოსვლის ყველაზე ღირებული კომპონენტია (შესავალი ნაწილის შემდეგ), სპონტანურად არ ილაპარაკოთ და მთელი მონდომებით იმუშავეთ მასზე (Franck und Stary 2006, 68).

10.2.4. კითხვები და დისკუსია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგი პრეზენტაცია დისკუსიით სრულდება. თუ გსურთ, რომ პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიამ წარმატებით ჩაიაროს, ამისთვისაც ზუსტად ისე უნდა მოემზადოთ, როგორც პრეზენტაციისთვის:

- წინასწარ დაადგინეთ, რამდენი დროა გათვლილი დისკუსიისთვის?
- დისკუსიის წამოსაწყებად რომელი შეკითხვით მიმართავთ მსმენელს?
- როგორი სავარაუდო შეკითხვები შეიძლება დაისვას აუდიტორიაში?

მნიშვნელოვანია, რომ მსმენლის ნებისმიერ შეკითხვას დროულად უპასუხოთ და იფიქროთ ხმამაღლა, რადგან დუმილით ოპტიმალური პასუხის ძიება აუდიტორიის ნებისყოფაზე ცუდად მოქმედებს. შეგიძლიათ, დააკვირდეთ კითხვის ავტორის რეაქციებს და მისი ფორმულირებები, კითხვის დასმის მანერა თქვენი პასუხებისთვის გამოიყენოთ. თუ კითხვაზე პასუხი არ გაქვთ, სჯობს, გულახდილად აღიაროთ ეს, მადლობა გადაუხადოთ კითხვის ავტორს და დაპირდეთ მას, რომ ეს თქვენი მომდევნო კვლევის საგანი გახდება. პასუხი გაეცით ყოველთვის საქმიანად და პიროვნულ შეურაცხყოფად ან თავდასხმად არ მიიღოთ გარკვეული შენიშვნები. მაღლიერების

გამოხატვით მიიღეთ უკუკავშირი აუდიტორიისგან და ეს უკანასკნელი გამოიყენეთ თქვენი პრეზენტაციის უნარების ან თქვენი თემის დახვეწა-გაუმჯობესებისთვის.

10.3. პრეზენტაციის დამხმარე საშუალებები და მათი დანიშნულება

მიჩნეულია, რომ ხუთი ძირითადი შეგრძნებიდან (მხედველობა, სმენა, გემო, ყნოსვა და შეხება), ადამიანი ყველაზე უკეთ მხედველობით მიღებულ ინფორმაციას აღიქვამს და იმახსოვრებს (შდრ. Beebe and Beebe 2007, 321). ამრიგად, პრეზენტაციისას ვიზუალური დამხმარე საშუალებების გამოყენება სასარგებლოა და ინფორმაციის მოსმენა-გააზრებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში მათგან ყველაზე გავრცელებულია სლაიდ-შოუ, დაფა, ფლიპჩარტი და ჰენდაუთი.

დღესდღეობით სამეცნიერო პრეზენტაციებს მეტწილად სლაიდ-შოუს თანხლებით წარადგენენ. სლაიდებთან ერთად კი ჰენდაუთის, დაფისა, და ფლიპჩარტის ჩართვა საკმაოდ მოსახერხებელია. ეს უკანასკნელნი უფრო მეტ დინამიკას სძენენ მოხსენებას, მათზე ხომ ინფორმაცია ლაპარაკის თანადროულად იწერება. ამრიგად, მსმენელს საშუალება აქვს, ინფორმაციის შექმნის პროცესს ადევნოს თვალი და მომხსენებელთან ერთად იაზროვნოს.

10.3.1. სლაიდ-შოუ

სლაიდ-შოუს აგებისას მის ვიზუალურ გაფორმებას იგივე დანიშნულება აქვს, როგორც ციტატებს აკადემიურ ნაშრომში: ორივე მათგანი განსახილველი საკითხებისა და იდეების გასამყარებლად, დასაზუსტებლად და თვალსაჩინოდ წარსადგენად გამოიყენება. სლაიდების გამოყენებით შესაძლებელია ვიზუალურად აჩვენოთ ტექსტები, გრაფიკული გამოსახულებები, სქემები, დიაგრამები, სმარტ-არტები, ფოტო მასალა, ვიდეო ფრაგმენტები და სხვა ნებისმიერი რამ, რაც მოხსენების ტექსტის გაგებას გაამარტივებს.

აკადემიურ სივრცეში პრეზენტაციის სლაიდების მომზადებას თავისი წესები და კრიტერიუმები აქვს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა. ესენია:

სლაიდების რაოდენობა:	მიიჩნევა, რომ თუ 20 წუთი გაქვთ პრეზენტაციისთვის, დაახლოებით 10 სლაიდს უნდა მოიცავდეს თქვენი პრეზენტაცია. ⁴⁴ ამრიგად, ერთ სლაიდზე საშუალოდ ორი წუთი უნდა ილაპარაკოთ. ამასთან, სჯობს, პრეზენტაცია იყოს მოკლე და მეტი დრო დაუთმოთ კითხვა-პასუხსა და დისკუსიას.
-----------------------------	--

სტრუქტურული ელემენტები:	სლაიდ-შოუ უნდა მოიცავდეს შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებს შემდეგი თანმიმდევრობით:
--------------------------------	---

⁴⁴ ამერიკელი ავტორი და ორატორი გაი კავასაკი (2005) თავის ბლოგზე PPT პრეზენტაციის მარტივ. ე.წ. „10/20/30 წესს“ გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც, პრეზენტაცია უნდა მოიცავდეს 10 სლაიდს, იგი არ უნდა გაგრძელდეს 20 წუთზე მეტ ხანს, ხოლო სლაიდებზე შრიფტის ზომა უნდა იყოს 30. „10/20/30 წესი“ მომხსენებელს „აიძულებს“, გამოიყენოს დიდი შრიფტი, მცირე რაოდენობის სლაიდების საშუალებით კი გადმოსცეს მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია (დაწვრილებით იხ. გ. კავასაკის ბლოგი: https://guykawasaki.com/the_102030_rule/).

- სატიტულო სლაიდი (იხ. სატიტულო სლაიდის ნიმუში) – *სავალდებულოა*
- პრეზენტაციის გეგმის სლაიდი (იხ. გეგმის სლაიდის ნიმუში) – *სავალდებულოა*
- სლაიდები ძირითადი ნაწილისთვის (რაოდენობა დამოკიდებულია პრეზენტაციის მოცულობაზე) – *სავალდებულოა*
- შემაჯამებელი / დასკვნითი სლაიდი – *სასურველია*
- სლაიდი გამოყენებული ლიტერატურისთვის – *სასურველია*
- სლაიდი მადლიერებისთვის – *ნებაყოფლობითია*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით თითოეულ სლაიდზე უნდა იყოს მითითებული: უნივერსიტეტის ლოგო, პრეზენტაციის ჩატარების თარიღი, ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი და სლაიდის თემატური ერთეულის სახელწოდება (ჩუბინიძე 2011, 99).

შრიფტის ტიპი: ქართული ენის შემთხვევაში ტექსტის შრიფტი უნდა იყოს Unicode-ში კოდირებული Sylfaen-ი (და არა აკადემიური ნუსხური ან სხვა). მთავრული ასოები შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ სათაურის გასაფორმებლად.

შრიფტის ზომა: ერთმანეთისგან უნდა განირჩეოდეს სათაურისა და ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომები:

- სათაურის შრიფტის ზომა არ უნდა იყოს 30-ზე ნაკლები;
- ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა არ უნდა იყოს 20-ზე ნაკლები.

სლაიდ-შოუს შრიფტის ზომა აუდიტორიის მოცულობაზეც არის დამოკიდებული. თუ დიდ აუდიტორიაში გიწევთ პრეზენტაციის გაკეთება, შესაბამისად, შეარჩევთ კიდევ უფრო დიდი ზომის შრიფტს, რათა უკანა რიგებში მსხდომთათვის აღქმადი იყოს ინფორმაცია.

ტექსტის კომპოზიცია:

სლაიდებზე არ უნდა ეწეროს ვრცელი ტექსტი, არამედ მხოლოდ თეზისებად ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქსიმალურად მარტივი კონსტრუქციებით. თეზისები დაყავით ბულეტებად (პუნქტებად). დასაშვებია, საშუალოდ 4-6 ბულეტი ერთ სლაიდზე, ხოლო თითო ბულეტზე მაქსიმუმ 7 სიტყვა. „განგრძობადი ნარატივი სასურველია გამოიყენებოდეს მხოლოდ რაიმე მნიშვნელოვანი წყაროს ციტირებისას“ (ჩუბინიძე 2011, 100).

**ფონური
გაფორმება:**

ერთი სლაიდის ფარგლებში გამოიყენეთ ერთგვაროვანი და
სადა ფონი / თემა. შექმენით ვიზუალური კონტრასტი:
ეფექტურია მუქი ტექსტი ღია ფონზე.

ფერები:

ფერი თქვენი პრეზენტაციის განწყობას ქმნის. მისი
საშუალებით შესაძლებელია გამოკვეთოთ მნიშვნელოვანი
ინფორმაცია (მაგ. რიცხვები, სიტყვები). ფერების
შერჩევისას გასათვალისწინებელია მოხსენების
დანიშნულება და ადგილი. გაარკვეით, რა ფერთან
ასოცირდება ის დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელშიც
პრეზენტაციას აკეთებთ, და ეცადეთ, თქვენი პრეზენტაციის
ფერებიც მას დაუკავშიროთ.

ანიმაცია:

გამოიყენეთ ერთგვაროვანი, სადა ანიმაციები (მაგ.,
ბულეტიდან ბულეტზე გადასვლის ეფექტი), რაც
მსმენელთა ყურადღებას არ გაფანტავს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის / პროგრამის
ლოგო

**მესწიერება და კვლევა:
რას ნიშნავს მესწიერულობა?**

კურსის / პროგრამის /
კონფერენციის დასახელება

პრეზენტაციის
სახელწოდება

აკადემიური მუშაობის ტექნიკები

ნათია ქასრაშვილი
natia.kasrashvili@iliauni.edu.ge
24 ივნისი 2018

მომხსენებლ(ებ)ის სახელი, გვარი
და საკონტაქტო ინფორმაცია

პრეზენტაციის
წარდგენის თარიღი

გამოსახულება 27: სატიტულო სლაიდის ნიმუში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შინაარსი:

უნივერსიტეტის /
პროგრამის ლოგო

სლაიდის თემატური
ერთეულის სახელწოდება

- ტერმინის „მესწიერება“ განმარტება
- სამეცნიერო ეთიკა: მესწიერულობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები
- განსხვავება ყოველდღიურ ცხოვრებაში და სამეცნიერო კვლევაში
- სამეცნიერო ტექსტის სახეობები
- რა არის სამეცნიერო ნაშრომის შექმნის მიზანი?
- შეჯამება
- გამოყენებული ლიტერატურა

ავტორ(ებ)ის
სახელი და გვარი

ნათია ქასრაშვილი

24 ივნისი 18

6

გამოსახულება 28: გეგმის სლაიდის ნიმუში

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოსახულებები, დიაგრამები, სურათები და ვიდეო მასალა პრეზენტაციის გაგებას ამარტივებს. სხვადასხვა პროგრამის საშუალებით მათი ჩართვა პრეზენტაციის პროცესში რთული არ არის, მთავარი მათი სწორად შერჩევაა.

ამბობენ, რომ ერთი **სურათი** უფრო მეტს ამბობს, ვიდრე ათასი სიტყვა. ფოტო მასალას შეუძლია მსმენლის ყურადღების მიპყრობა, დაფიქრება, მასში ცნობისმოყვარეობის გაღვივება და ასოციაციების აღძვრა. სურათი რთული საკითხების მარტივად გააზრებას უწყობს ხელს და ინფორმაციის დამახსოვრების საუკეთესო საშუალებაა (Franck und Stary 2006, 13). სურათების შერჩევისას სიფრთხილე გმართებთ. ისინი ზედმიწევნით უნდა ასახავდეს თქვენს მთავარ სათქმელს და კარგი ხარისხით (მაღალი რეზოლუციით) გამოირჩეოდეს. ფოტო მასალის შერჩევისას დასვით კითხვები:


- რა მიზანს ემსახურება ამ სურათის ჩვენება? განაცვიფრებს იგი აუდიტორიას? გადმოსცემს მნიშვნელოვან შეტყობინებას?
- საკმარისია სურათის მხოლოდ სათაურით ჩვენება, თუ საჭიროა დამატებითი ტექსტიც?
- გასაგები იქნება აუდიტორიისთვის ფოტოს მნიშვნელობა თუ საჭიროა კონტექსტის განმარტებაც?

გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერ ვიზუალურ გაფორმებას ან ინფორმაციას, რომელიც თქვენ არ გეკუთვნით და ნასესხებია სხვა წყაროდან, აუცილებლად სჭირდება წყაროს მითითება (იხ. გამოსახულება 27).



გამოსახულება 29: სლაიდის ფოტო-მასალით გაფორმების ნიმუში

პრეზენტაციის აღქმასა და გაგებას ამარტივებს ინფორმაციის სისტემატიზაცია და ამისთვის გრაფიკული ობიექტებისა და ცხრილების გამოყენება.



გამოსახულება 30: სლაიდზე ინფორმაციის წარმოდგენა ორი სხვადასხვა ფორმის დიაგრამით (ნიმუში)

პრეზენტაციის მომზადებისას სტუდენტები უწინარესად კონცენტრირდებიან ხოლმე სლაიდ-შოუს აგებაზე და ავიწყდებათ, რომ მთავარი არა სლაიდები, არამედ მათი შინაარსია. გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ თანამედროვე ტექნიკური მიღწევების გამოყენება არ აქცევს თქვენს გამოსვლას საინტერესოდ.

სლაიდების მომზადებისას ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები:

- სლაიდებით გადატვირთული პრეზენტაცია
- ინფორმაციით გადატვირთული სლაიდები
- მცირე ზომის შრიფტი
- ტექსტის ვიზუალური გაფორმება (მაგ. სურათების, ცხრილების, დიაგრამების, გრაფიკების და ა.შ.) ახსნა-განმარტების გარეშე
- ანიმაციების არამიზნობრივად, დეკორაციული მიზნით გამოყენება

პრეზენტაციის სლაიდების მოსამზადებლად კლასიკური და ყველაზე გავრცელებული პროგრამაა Microsoft PowerPoint (შემოკლებით PPT), ან Keynote, თუ Apple-ის iOS სისტემის მეორე მოწყობილობით სარგებლობთ. ამ პროგრამებით მუშაობის გასამარტივებლად შექმნილია არაერთი სახელმძღვანელო და ვიდეო ინსტრუქცია⁴⁵. სლაიდ-შოუს ეფექტურად გამოყენების (და ზოგადად, ეფექტური პრეზენტაციის) საუკეთესო მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ Ted Talks-ის ვებგვერდზე⁴⁶.

⁴⁵ პაუერპოინტ-პროგრამაში სამუშაოდ დეტალური ინსტრუქცია მოცემულია აკადემიური წერის ცენტრის ლექტორის, მაგდა ასათიანის ვიდეო-ლექციაში. იხ. ბმული: <https://bit.ly/2vLVwDd>

⁴⁶ Ted (აბრ. Technology, Entertainment, Design) Talk - ინოვაციების ყოველწლიური კონფერენციების სახელწოდებაა, რომელიც იმართება კალიფორნიაში. კონფერენციის ვიდეოები უფასოდ შეგიძლიათ იხილოთ Ted Talk-ის ვებ-გვერდზე - <https://www.ted.com/talks>. მათი ყურება შესაძლებელია ტიტრებით, მათ შორის ქართულ ენაზეც.

10.3.2. ჰენდაუთი

იმისთვის, რათა მსმენელს გაუადვილდეს პრეზენტაციის გააზრება და აქტიურად იყოს ჩართული პროცესში, მომხსენებელი იყენებს თეზისების ფურცელს, ე.წ. ჰენდაუთს (ინგლ. handout — მოწყალება, სამოწყალოდ გაცემული რამ). ტექსტის ეს სახეობა პრეზენტაციის, მოხსენების შემოკლებული ვარიანტია, თანმიმდევრულად მიჰყვება პრეზენტაციის მთავარ საკითხებს და პრეზენტაციის დაწყებამდე ამოზეჭდილი ურიგდება აუდიტორიის ყველა წევრს. მისი მთავარი დანიშნულებაა, განაწყოს მსმენელი პრეზენტაციის მოსასმენად, გაუადვილოს მას ინფორმაციის გააზრება და მოსმენის პარალელურად არ დასჭირდეს ინფორმაციის ჩაწერა. ამასთან, თუ მსმენელი პრეზენტაციის დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ ჩახედავს მას, შეძლებს, მთელი მოხსენება აღიდგინოს მეხსიერებაში. ჰენდაუთი პრეზენტაციის შესახებ შთაბეჭდილებას უქმნის ასევე მათაც, ვინც პრეზენტაციას არ დასწრები.

ჰენდაუთის ტექსტის შედგენისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი ასპექტები:

შინაარსი: მაქსიმალურად ლაკონიურად, თანმიმდევრულად და თვალსაჩინოდ უნდა ჩამოაყალიბოთ მოხსენების მოკლე შინაარსი და ჰენდაუთში მოცემული გეგმის მიხედვით უნდა განავრცოთ თითოეული კომპონენტი. ამდენად, ჰენდაუთზე იწერება:

- თავსართი, ე.წ. ქუდი (ინფორმაცია იმის შესახებ, ვინ ლაპარაკობს, სად, რა კონტექსტში და როდის)
- პრეზენტაციის სათაური
- სტრუქტურა
- ამ სტრუქტურის გაშლა საკვანძო ინფორმაციის წარმოჩენით: მნიშვნელოვანი თარიღებით, ციფრებით, ცხრილებით, გრაფიკებით, მონაცემებით, ძირითად ცნებათა განმარტებებით, ციტატებით და ა.შ.
- პრეზენტაციის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

შენიშვნები: ჰენდაუთი, სასურველია, სრულდებოდეს შენიშვნებისთვის გამოყოფილი ადგილით. მსმენელს საშუალება აქვს, შენიშვნებში ის საკითხები ჩაინიშნოს, რომლებიც გაუგებარი ან საკამათო იყო, რათა მოხსენების დასრულებისას, დისკუსიაში მომზადებული ჩაერთოს (Franck und Stary 2006, 84). ადგილი უნდა დატოვოთ ველებზეც, რათა შესაძლებელი იყოს კონკრეტულ ადგილებზე შენიშვნების მიწერა.

ენა: ვრცელი, დასრულებული წინადადებების ნაცვლად დაწერეთ თეზისები და დებულებები. გამოიყენეთ ნომინალური სტილი, დაახლოებით ისე, როგორც ამას სათაურების ფორმულირებისას აკეთებთ.

შრიფტი: შრიფტის ზომა არ უნდა იყოს 8-ზე ნაკლები და 14-ზე მეტი. თვალსაჩინოებისთვის გამოიყენეთ დოკუმენტის გაფორმების სხვადასხვა საშუალება: შრიფტის ზომის ცვლილება, ბულეტები, ტექსტის დახრა, ხაზგასმა, ნუმერაცია და ა.შ. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ჰენდაუთის თავსართი, ე.წ. ქუდი იწერება ძირითადი ტექსტისგან განსხვავებული მცირე შრიფტით.

მოცულობა: სასურველია, რომ ჰენდაუთი არ აღემატებოდეს ორ გვერდს. თუ იგი ორი ან მეტი გვერდისგან შედგება, უნდა დანომროთ ისინი, რათა მკითხველს ორიენტაცია გაუადვილდეს.

ჰენდაუთის მომზადებისას ხშირად დაშვებული შეცდომები:

- მასში პრეზენტაციის ტექსტის სიტყვასიტყვით ასახვა ან დიდი მოცულობის ტექსტის მითითება, რაც მსმენლის დემოტივაციას იწვევს
- შესავალი ტექსტის ან შესავალი ციტატის განთავსება ჰენდაუთზე. პრეზენტაციის შესავალი ნაწილი აუდიტორიამ უნდა მოისმინოს და არა, წაიკითხოს
- ციტატების მოყვანა სათანადო დამოწმების, ბიბლიოგრაფიული მონაცემების მითითების გარეშე
- ორთოგრაფიული და გრამატიკული შეცდომები
- ინდივიდუალური შემოკლებების, აბრევიატურების გამოყენება ახსნის გარეშე

ჰენდაუტის ნიშნები

ჰენდაუტის ე.წ. ქუდზე იწერება:

- უნივერსიტეტის დასახელება
- საგნის / კურსის დასახელება
- კურსის ხელმძღვანელის მონაცემები
- სტუდენტის მონაცემები
- სემესტრი
- მოხსენების წარდგენის თარიღი

მოხსენების სტრუქტურა

ჰენდაუტის ძირითად ნაწილში შეიძლება განთავსდეს:

- თარიღები
- განმარტებები
- სურათები
- გრაფიკები
- მაგალითები
- ძირითადი თეზისები
- ციტატები
- და სხვა.

წყაროები, რომლებიც ნაშრომზე მუშაობისას გამოიყენეთ

ჰენდაუტის ბოლოს ან ტექსტში, საკითხებს შორის უნდა გამოიყოს ცარიელი სივრცე მსმენლის მიერ შენიშვნების ჩასანიშნად

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სემესტრი
აკადემიური მუშაობის ტექნიკები
კურსის ხელმძღვანელი:
სტუდენტი:

გაზაფხულის

28.05.2018

კვოტირების სისტემის როლი გენდერული ბალანსის დამყარების საკითხში საქართველოს მაგალითზე

გეგმა:

შესავალი

I. გენდერული დისბალანსი

II. ქვეყნები, რომლებშიც გაამართლა კვოტირებამ

III. კვოტირების დადებითი და უარყოფითი მხარეები

შეჯამება

ბიბლიოგრაფია

მოხსენების

გენდერული კვოტა → მმართველობის ორგანოებში ქალების და მამაკაცების წარმომადგენლობის დაკანონებული დონე

კვლევის მიზანი: სხვადასხვა ქვეყნის მაგალითების წარმოჩენით კვოტირების სისტემის დადებითი როლის ჩვენება გენდერული უთანასწორობის მოგვარების საკითხში

საკვლევი კითხვები:

- ა) რა შედეგი მოიტანა კვოტირების სისტემამ დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებში?
- ბ) რა როლს ითამაშებს აღნიშნული სისტემა გენდერული თანასწორობის დაცვაში?

1. გენდერული დისბალანსი: ქალთა ნაკლები ჩართულობა ქართულ პოლიტიკაში

2. ქვეყნები, რომლებშიც კვოტირების სისტემამ ყველაზე მეტად გაამართლა:

1. საკანონმდებლო კვოტები (საფრანგეთი)
2. შიდაპარტიული კვოტები (გერმანია, ნორვეგია)
3. ნეიტრალურ-გენდერული კვოტები

3. კვოტირების დადებითი და უარყოფითი მხარეები:

- დადებითი: ა) ქალთა რაოდენობის ზრდა პარლამენტში; ბ) სხვა უმცირესობათა ჯგუფების წახალისება;
- უარყოფითი: ა) არაკვალიფიციური ქალების რაოდენობის ზრდა საკანონმდებლო ორგანოში; ბ) კვოტირებით იმის განსაზღვრა, რომ ქალები, კაცებისგან განსხვავებით, დაჩაგრულები არიან.

შეჯამება: გენდერული დისბალანსის პრობლემის ნაწილობრივი აღმოფხვრა

ბიბლიოგრაფია

კაკულია, თამარ. 2016. *გენდერული კვოტირების საკითხები საქართველოში*. სამაგისტრო ნაშრომი, კავკასიის უნივერსიტეტი.

ხომერიკი, ლელა. 2006. *გენდერი და პოლიტიკა*. თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

Dahlerup, Drude and Lenita Freidenvall. 2010. *Judging gender quotas: predictions and results*.

https://www.academia.edu/11447037/Judging_gender_quotas_predictions_and_results (16.05.2018).

Krook, Mona Lena. 2010. *Representation Effects of electoral Quotas*. http://www.mlkrook.org/pdf/Krook_NSF.pdf (16.05.2018).

10.3.3. მაგნიტური დაფა

ძველი დაფა და მასზე საწერი საშუალება, ცარცი დღეს მაგნიტურმა დაფამ და ფერადმა მარკერებმა ჩაანაცვლა. დაფის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ იგი არ არის დამოკიდებული ელექტრობაზე, ტექნიკურად მუდმივად გამართულია, მასზე დაწერილის შესწორება და წაშლა მარტივად შესაძლებელი და მრავალჯერადად გამოყენება შეიძლება. გონივრული და სასარგებლოა, დაფაზე წერას მიმართოთ გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებისას ან იმ შემთხვევაში, როცა პრეზენტაციის მსვლელობისას მოულოდნელად რაღაც ხდება: თუ აუდიტორია რომელიმე ასპექტის დაზუსტებას ან უფრო თვალსაჩინო განმარტებას ითხოვს ან აუდიტორიაში გაჩენილი კითხვების თავმოყრა არის საჭირო, რათა ნაბიჯნაბიჯ უპასუხოთ მათ (Voss 2017, 161).

10.3.4. ფლიპჩარტი

ფლიპჩარტი A2 ფორმატის, დიდი ზომის ფურცლებია სპეციალური სადგომით. ფლიპჩარტიც იმავე მიზნებით გამოიყენება, როგორითაც მაგნიტური დაფა. დაფისგან განსხვავებით მასზე დაწერილი მარტივად არ იშლება და ყოველთვის უნდა გააკონტროლოთ, რამდენი ფურცლის გამოყენებას აპირებთ, რამდენად საკმარისი ფურცელია ფლიპჩარტზე და ა.შ. თუმცა, დაფისგან განსხვავებით, მარტივად გადაადგილება, მასზე შექმნილი ინფორმაციის ჩამოხსნა და შენახვა შესაძლებელი. ფლიპჩარტი მოსახერხებელია თეზისებისა და დებულებების ჩამოსაწერად, ყველაზე ხშირად კი მას გონებრივი იერიშისთვის იყენებენ.

10.4. პრეზენტაციის მსვლელობა

10.4.1. ვერბალური მხარე

წარმატებული პრეზენტაციისთვის მნიშვნელოვანია, თქვენი გამოსვლის ტექსტი წინასწარ შეადგინოთ, ყველა საჭირო ინფორმაციას ერთ დოკუმენტში მოუყაროთ თავი და პრეზენტაციის წარდგენამდე ივარჯიშოთ. გაითვალისწინეთ, რომ პრეზენტაციის ტექსტი განსხვავდება დაწერილი სამეცნიერო ნაშრომის ტექსტისგან. წინამდებარე ქვეთავში გაგაცნობთ პრეზენტაციის მსვლელობისას მნიშვნელოვან ვერბალურ (ლათ. verbalis სიტყვიერი) კომპონენტებს, რომლებითაც მსმენელს მოხსენების აღქმა გაუმარტივდება⁴⁷, ესენია:

კითხვები: უაღრესად სასურველია, თქვენი პრეზენტაცია ინტერაქციულ

⁴⁷ შდრ. Theisen 2013, 264; Voss 2017, 158; Karmasin und Ribing 2014; 151; Kipman u.a. 2018, 168; Franck und Stary 2006, 64-68

ელემენტებს მოიცავდეს და მხოლოდ მონოლოგურ რეჟიმში არ წარიმართოს. ამის მისაღწევად, ჩართეთ მსმენელები პრეზენტაციის პროცესში კითხვების დასმით. კითხვები შეიძლება იყოს ღია და რიტორიკული. ორივე მათგანი სასარგებლოა მოხსენების წარდგენისას. მთავარია, ნათლად ჩანდეს, პასუხს მსმენელისგან მოელოთ, თუ თავადვე პასუხობთ მას. თუ მსმენელს მიმართავთ, სჯობს, წინადადება დაიწყოთ ამგვარად, მაგ.: „როგორ ფიქრობთ, რა უპირატესობა აქვს სემინარს ლექციასთან შედარებით?“ შემდეგ გააკეთეთ მცირე პაუზა და დაელოდეთ აუდიტორიას, რათა დაფიქრდეს პასუხზე. თუ კითხვა რიტორიკულია, პირდაპირ იკითხეთ: „რა უპირატესობა აქვს სემინარს ლექციასთან შედარებით?“

მოერიდეთ ე.წ. ცოდნის შესამოწმებელ კითხვებს (რაც სკოლასთან ასოცირდება): მაგ.: „რომელ ქვეყანაში გამოიგონეს ტელეფონი?“ და დახურულ კითხვებს, რომელზე პასუხიც „დიახ“ ან „არაა“.

მაგალითები: ცნობილია, რომ ადამიანებს მალევე სწყინდებათ მოსმენა. იმისთვის, რათა მოხსენება მოსაწყენი არ გახდეს, ხშირად გამოიყენეთ მაგალითები. კონკრეტული და გასაგები მაგალითები ნებისმიერ მსმენელს ხიბლავს და საუკეთესო საშუალებაა ინფორმაციის დასამახსოვრებლად. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მაგალითები პირადი გამოცდილებიდან, ყოველდღიური ცხოვრებიდან ან აქტუალურ მოვლენებთან დაკავშირებული მაგალითები.

შედარებები: მსგავსება-განსხვავებების წარმოჩენა უფრო თვალსაჩინოს ხდის საჯარო სიტყვის გამოსვლას. შედარებების გამოყენებით შესაძლებელია, საკითხი სხვადასხვა პერსპექტივით წარმოაჩინოთ, რითაც აუდიტორიას უცნობი ასპექტების გააზრება გაუადვილდება.

პიროვნებები: პრეზენტაცია მაგ. ფირმა „Apple“-ის წარმატების ისტორიის შესახებ უფრო საინტერესო იქნება, თუ თხრობას სტივ ჯობსის სურათის ჩვენების შემდეგ დაიწყებთ.

უჩვეულო მოვლენები: ყველაფერი, რაც დადგენილ ნორმებს სცდება, განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. ამრიგად, მოიძიეთ და წარმოადგინეთ პრეზენტაციისას თქვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებული უჩვეულო და მოულოდნელი ასპექტები.

ციფრები, მონაცემები, ფაქტები: ეს ის მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომლებითაც თქვენი კომპეტენციის წარმოჩენას შეძლებთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ძნელად აღსაქმელია ციფრები და სტატისტიკა, თუ მას არ ახლავს საილუსტრაციო მასალა.

- ლოგიკური ბმა:** გამოიყენეთ მზა ენობრივი საშუალებები, რათა მოხსენების ნაწილები ლოგიკურად გადაეხედოს ერთმანეთს: „ეს რაც შეეხებოდა პირველ საკითხს, ახლა კი მეორე საკითხზე გადავიდეთ“.
- ხიდი:** მსმენელს მოსწონს, როცა თქვენს მოხსენებაში ისეთ რამეს აღმოაჩენს, რაც უკვე იცის. გამოიყენეთ მსმენლის წინარეცოდნა ახალი ინფორმაციის გადასაცემად: „ალბათ გახსოვთ...“.
- ჰაილაითი:** წინ წამოსწიეთ მოხსენების საკვანძო ადგილები: „ეს საკითხი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია“ ან „ამ მოსაზრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“.
- რიტორიკული გამაძლიერებელი საშუალებები:** წინადადების ამგვარი დაწყება აუდიტორიის ყურადღების მიპყრობის საუკეთესო საშუალებაა: „წარმოიდგინეთ...“, „არ დაიჯერებთ...“, „სუსტი მხარე ისაა, რომ...“, „გადამწყვეტია ის, რომ...“; „განა ყველა არ ვიცნობთ ამ პრობლემას“, „ეს საკმაოდ ცნობილი თემაა, მაგრამ დღეს მსურს ეს საკითხი ახლებურად, ჯერ კიდევ უცნობი ასპექტით წარმოვაჩინო“ და.ა.შ.

